



საქართველოს პარლამენტი

ქალაქის გაქლიერების ათწლეული

2012-2022 წლების ძირითადი მიღწევები და გამოწვევები





საქართველოს პარლამენტი



საქართველოს
პარლამენტის
კვლევითი
ცენტრი

ქალაქის ბაქლოერების ათწლოეული

2012-2022 წლების ძირითადი მიღწევები და გამოწვევები

თბილისი
2023

დოკუმენტის შესახებ

დოკუმენტი წარმოადგენს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ანგარიშს ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში გენდერული თანასწორობის მიმართულებით ქვეყნის მიერ ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ. დოკუმენტი მომზადდა სსიპ პარლამენტის კვლევით ცენტრთან თანამშრომლობით. მისი მიზანია, უზრუნველყოს ინსტიტუციური მეხსიერების განვითარება გენდერული თანასწორობის, ქალთა ეკონომიკური და პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერების, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ცნობიერების ამაღლებისა თუ გენდერული მეინსტრიმინგის მექანიზმების შესახებ. დოკუმენტში თავმოყრილია საქართველოს მიერ ბოლო ათწლეულის განმავლობაში მიღწეული პროგრესი გენდერული თანასწორობის კუთხით, განხილულია გამოწვევები და მათ აღმოსაფხვრელად გადადგმული ნაბიჯები. ანგარიშში მიმოხილულია საქართველოს პროგრესი საერთაშორისო ასპარეზზე როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციის პროცესში, ასევე – მასთან ეროვნული კანონმდებლობის დაახლოების მიმართულებით.

პუბლიკაციაში მოცემულ ინფორმაციასთან ან მონაცემებთან დაკავშირებით ნებისმიერი კითხვით, გთხოვთ, მიმართოთ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს.

შენიშვნა: დოკუმენტში წარმოდგენილი მოსაზრებები და განცხადებები ეკუთვნის ავტორებს და არ გამოხატავს საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრის ოფიციალურ პოზიციას.

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო
ვებგვერდი <https://parliament.ge/parliament/councils/51090/about>
ელ. ფოსტა gender@parliament.ge
ტელ. +995 32 2 28 16 79

ავტორები

დოკუმენტზე მუშაობდნენ მკვლევარები:

ლია ნადარაია
ანა მაგრაქველიძე
მარიამ ხარებაშვილი

დიზაინერი: **გვანცა მახათაძე**

პუბლიკაციის ავტორები მადლობას უხდებიან ყველა იმ მესამე პირსა თუ ორგანოს, რომელთა დამსახურებითაც შესაძლებელი გახდა მონაცემთა მოპოვება და დამუშავება, რაც შემთხვევაში შეიქმნა და განახლდა გარკვეული მონაცემი, ჩატარდა ინტერვიუები, განხორციელდა დოკუმენტის რეცენზირება-რედაქტირება და უზრუნველყოფილ იქნა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა.

თბილისი, 2023

ძვირფასო მკითხველო,

განვლილი 10 წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების პოლიტიკის მიმართულებით.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ძირეული ცვლილებები მიმდინარეობდა, როგორც საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესების, ასევე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

გასული ათწლეულის განმავლობაში ხდებოდა არსებითი თანასწორობის პრინციპების ჩამოყალიბება, რადიკალურად იცვლებოდა სახელმწიფოს პოლიტიკა, საზოგადოების ხედვა და რეაგირება ქალთა მიმართ ძალადობის გამონეგვაზე, უმჯობესდებოდა ზრუნვის და სოციალური პოლიტიკა, რასაც გენდერული თანასწორობისთვის დამატებითი ბიძგი უნდა მიეცა. ამ პროცესების კვალდაკვალ კი აქტუალური გახდა გარდამტეხი მომენტების აღბეჭდვა და ისეთ დოკუმენტში თავმოყრა, რომელიც ფართო საზოგადოებასაც მოუყვებოდა განვლილ გზაზე. პუბლიკაციის შექმნაც სწორედ ამას ისახავს მიზნად – გააერთიანოს ყველა ის ცენტრალური ცვლილება, რომელიც ბოლო დეკადის განმავლობაში განხორციელდა.

დოკუმენტი, რომელიც ქალების გაძლიერების ათწლეულს მიმოიხილავს, მოიცავს არა მხოლოდ სახელმწიფო ძალისხმევას ასევე ამ პროცესში ჩართული სხვა მნიშვნელოვანი აქტორების წვლილსაც. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროცესში, სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად, მნიშვნელოვანია საერთაშორისო პარტნიორების, არასამთავრობო ორგანიზაციების, და თითოეული იმ პირის როლი, რომლებიც ძალისხმევას არ იშურებდნენ ხელშესახები შედეგების მისაღწევად.

მოხარული ვარ, რომ ამ ანგარიშით შევძელით მცირედით მაინც აღგვწერა ეს პროცესები, კონკრეტული ადამიანების როლი და მათგან, პირველწყაროსგან, მოგვეწოდებინა ინფორმაცია იმ გარდამტეხი ცვლილებების შესახებ, რომლებმაც ხელი შეუწვეს თანასწორობის პრინციპების ინტეგრირებას სახელმწიფო პოლიტიკასა და ზოგადად, საზოგადოებრივი ცხოვრებაში.

თავისთავად, გვქონდა სურვილი უფრო მეტი რესპონდენტი გამხდარიყო დოკუმენტის მონაწილე, თუმცა გარკვეულმა პროცესებმა და თავად ანგარიშის შემჭიდროებულ ვადებში შექმნის აუცილებლობამ, გაართულა ეს მისია. შესაბამისად, ვერ გვექნება მოლოდინი, რომ დოკუმენტი სრულყოფილად გაანალიზებს გენდერული თანასწორობისთვის მნიშვნელოვან თითოეულ საკითხს და მიმდინარე გამონეგვებს. თუმცა, ვიმედოვნებ, რომ აღნიშნული ანგარიში, განვლილი ათწლეულის ჭრილში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების, რეფორმების, ფაქტებისა და მიღწეული შედეგების მიმოხილვით, მკითხველს მიაწვდის საჭირო ინფორმაციას და ნათელ წარმოდგენას შეუქმნის საქართველოში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის პოლიტიკაზე.

ამ ანგარიშის შექმნის იდეა ევროინტეგრაციის გზაზე ახალი პერსპექტივის გაჩენას უკავშირდება. მიმდინარე პერიოდში კი კანდიდატის სტატუსის მიღების რეკომენდაციამ მას კიდევ უფრო დიდი დატვირთვა მისცა. სწორედ, ამ გარდამტეხ მომენტში, განხორციელებული რეფორმების, მიღწევებისა და გამონეგვების ეს შემაჯამებელი დოკუმენტი, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი დამხმარე რესურსი იქნება ჩვენი ქვეყნისა და ევროკავშირის დაახლოების პროცესში.

ანგარიშის შექმნის მომენტში ამაყად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კანდიდატის სტატუსის მიღების წინაპირობად გაცემული ევროკომისიის 12 რეკომენდაციის მე-9 რეკომენდაცია აღიარებულია სრულად შესრულებულად. ეს კი საქართველოს პარლამენტის, მთავრობის, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თითოეული წევრის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის, არასამთავრობო სექტორის, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების ერთობლივი და დაუღალავი შრომის შედეგია. ამ პრო-



ცესის დადებითად წარმართვას აძლიერებდა საბჭოს ფარგლებში მულტიპარტიულ რეჟიმში მუშაობის პროცესიც, რისთვისაც მადლობას ვუხდით ჩვენს კოლეგა დეპუტატებს.

ვიმედოვნებ, დოკუმენტი სამომავლოდ სასარგებლო რესურსი გახდება კერძო თუ საჯარო სექტორის წარმომადგენლების, მკვლევარების, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების, გენდერული თანასწორობით დაინტერესებული ახალგაზრდებისა და სხვა ნებისმიერი პირისთვის. ამასთან, იმედი მაქვს, დოკუმენტი დაგვეხმარება, რათა ეს ათწლიანი პერიოდი და მიღებული გამოცდილება მყარი საფუძველი გახდეს სამომავლო განვითარების მიზნების განსაზღვრისას.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ შალვა პაპუაშვილს, ვისი უპირობო მხარდაჭერითაც გახდა შესაძლებელი ამ ანგარიშზე მუშაობა. ამასთან, მადლობას ვუხდით დოკუმენტის ავტორებს, მის შექმნაში ჩართულ ექსპერტებს, იმ რესპოდენტებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებში და უდიდესი დახმარება გაგვიწიეს, რათა ახლო, სიღრმისეული ხედვა გვქონოდა მათი თვალთ დანახულ მიღწევებზე და გამონწვევებზე.

პატივისცემით,
ნინო წილოსანი

*გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე
საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე*

წინასწორი მნიშვნელობა

გენდერულად ნეიტრალური კანონმდებლობა, პოლიტიკა თუ პრაქტიკა ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს თანასწორობის მიღწევას და, რიგ შემთხვევებში, შეიძლება დისკრიმინაციულიც კი იყოს; ამიტომ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დამკვიდრების კუთხით, საკვანძო მნიშვნელობა აქვს ერთიანი სახელმწიფო ხედვისა და სისტემური მიდგომის ჩამოყალიბებას.

დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის განმავლობაში ქვეყანამ გრძელი გზა განვლო გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების მიზნის მისაღწევად. რიგი გამოწვევების მიუხედავად, გენდერული თანასწორობის მიმართულებით უნდა აღინიშნოს მნიშვნელოვანი წარმატებები, რასაც განაპირობებდა მულტისექტორული მიდგომა და მიზანმიმართული, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავებული პოლიტიკის განხორციელება.

წარმოდგენილი ანგარიში თავს უყრის გასული ათწლეულის განმავლობაში საქართველოს მიერ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და აღნიშნული მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ განხორციელებული ინსტიტუციური და საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ინფორმაციას. დოკუმენტი აერთიანებს ინფორმაციას ხელისუფლების სამივე შტოსა და საერთაშორისო ასპარეზზე იმ ძირეული მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ, რომელთაც გარდამტეხი ცვლილებები მოახდინეს საქართველოში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის კუთხით.

კვლევაში მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა საქართველოს მიერ გენდერული პოლიტიკის განსაზღვრასა და აღსრულებას. სწორედ ამიტომ, დეტალურად არის მიმოხილული პოლიტიკის ის დოკუმენტები, რომლებიც ხელისუფლებამ ბოლო ათი წლის განმავლობაში მიიღო; ამასთანავე, მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა მათ აღსასრულებლად განხორციელებულ ქმედებებს.

სწორედ ამ ცვლილებათა თვალსაჩინოებისთვის, დოკუმენტი აერთიანებს შემდეგ თემებს:

- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმები;
- საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე;
- სახელმწიფოს გენდერული პოლიტიკის განსაზღვრა და აღსრულება;
- გენდერული მეინსტრიმინგი და მისი ზედამხედველობა;
- ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მისაღებად საქართველოსთვის ევროკომისიის მიერ მიცემული რეკომენდაციის (მე-9 რეკომენდაცია – გენდერული თანასწორობის გაძლიერება, ბრძოლა ქალთა წინააღმდეგ მიმართულ ძალადობასთან) შესრულება და მონიტორინგი.

ანგარიშზე მუშაობა მიმდინარეობდა 2023 წლის ივლისი-ნოემბრის პერიოდში. დოკუმენტის მომზადებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სახელმწიფო უწყებებისა და საკითხზე მომუშავე პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, დამოუკიდებელი ექსპერტები.

გვსურს, მადლობა გადავუხადოთ პროცესში ჩართულ ყველა მხარეს და ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე პუბლიკაცია მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყანაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სახელმწიფო მექანიზმების დახვეწისა და გადანყვეტილების მიღების პროცესებში გენდერული მეინსტრიმინგის ორგანულად ინტეგრირებაში.

აბრევიატურები

BPfA	პეკინის სამოქმედო პლატფორმა
CEDAW	გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია
GIA	გენდერული ზეგავლენის შეფასება
GRB	გენდერულად მგრძობიარე ბიუჯეტირება
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
IFES	საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი
IRI	საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი
NDI	ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
UNFPA	გაეროს მოსახლეობის ფონდი
UN Women	გაეროს ქალთა ორგანიზაცია
USAID	აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
SDG	მდგრადი განვითარების მიზნები
ცესკო	საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
ECHR	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
OP-CEDAW	ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ დამატებითი ოქმი
OHCHR	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი
UPR	უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა
MDG	ათასწლეულის განვითარების მიზნები
CSW	გაეროს ქალთა სტატუსის კომიტეტი
GREVIO	სტამბოლის კონვენციის განხორციელების მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფი
OSCE/ODIHR	ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი

სარჩევი

წინასიტყვაობა	5
აბრევიატურები	6
შემაჯამებელი მიმოხილვა	9
ქალთა ეკონომიკური გაძლიერება	10
ბავშვთა ნაადრევი ქორწინების პრევენცია	10
პარლამენტის საზედამხედველო მექანიზმების გაძლიერება	11
სექსუალური შევიწროების პრევენციის ღონისძიებები	12
შრომით ურთიერთობებში თანაბარი პირობების უზრუნველყოფა	12
ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობა	13
გენდერული ბიუჯეტირება	13
საზოგადოების ჩართულობა და ცნობიერების ამაღლება	13
საკანონმდებლო ცვლილებები ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერისთვის	14
გენდერული გავლენის შეფასება (GIA)	14
ეროვნული სტრატეგიები და სახელმწიფო კონცეფციები	15
ევროკავშირის მე-9 რეკომენდაცია: გენდერული თანასწორობის გაძლიერება, ბრძოლა ქალთა წინააღმდეგ მიმართულ ძალადობასთან	16
მეთოდოლოგია	17
თავი I. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმები	18
საკანონმდებლო დონე	18
აღმასრულებელი დონე	22
დამოუკიდებელი ინსტიტუტები	31
სასამართლო ხელისუფლება	37
ადილობრივ დონეზე არსებული გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმები	40
თავი II. საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე	49
საქართველოს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისთან (OHCHR) თანამშრომლობა	50
გაეროს მდგრადი განვითარების დღის წესრიგი (SDG's)	62

გაეროს ქალთა სტატუსის კომიტეტთან (CSW) თანამშრომლობა	63
ადამიანის უფლებების რეგიონალურ სტრუქტურებთან თანამშრომლობა	64
საერთაშორისო რეკომენდაციები	68
თავი III. გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები	81
თანასწორობის პოლიტიკის დამკვიდრება და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა	82
სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები: ეროვნული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები	86
ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრა	91
სექსუალური შევიწროების მექანიზმის დანერგვა	102
ქალთა ეკონომიკური გაძლიერება	105
გენდერული თანასწორობა შრომით ურთიერთობებში	115
გენდერული ბიუჯეტირება	118
ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მხარდაჭერა	123
კანონმდებლობის გენდერული გავლენის შეფასების მეთოდოლოგიის (GIA) დანერგვა	129
საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩართულობა გენდერული თანასწორობის მხარდაჭერასა და ცნობიერების ამაღლების პროცესებში	134
თავი IV. გენდერული მენისტრიმინტი და მისი ზედამხედველობა	144
თემატური მოკვლევების საზედამხედველო მექანიზმი პარლამენტში	144
საპარლამენტო ზედამხედველობის ფარგლებში განხორციელებული ანგარიშგება და გაცემული რეკომენდაციები	148
თავი V. ევროკომისიის მე-9 რეკომენდაციის მნიშვნელობა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის პროცესში: მისი შესრულება და მონიტორინგი	152
ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციის შესრულება და მონიტორინგი	154
შეჯამება და სამომავლო გეგმები	162
ბიბლიოგრაფია	164
დანართი 1 – მდგრადი განვითარების მიზნების გენდერულად მგრძობიარე ინდიკატორები	170
დანართი 1ა – დამატებითი ქვეყნისთვის სპეციფიკური გენდერულად მგრძობიარე ინდიკატორები	174
დანართი 2 – გაერთიანებული საერთაშორისო რეკომენდაციები	176

შემაჯამებელი მიმოხილვა

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა, გენდერული თანასწორობის მიღწევა, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, ძალადობის პრევენცია და მსხვერპლთა დაცვა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, საქართველოს პოლიტიკის პრიორიტეტულ საკითხებს წარმოადგენს.

საქართველოს ხელისუფლებამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის დამკვიდრებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ საქართველო ყველა იმ ძირითადი კონვენციისა და საერთაშორისო შეთანხმების მონაწილე მხარეა, რომელიც ადგენს გენდერული უთანასწორობისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პრინციპებს.

პროგრესი მნიშვნელოვნად განაპირობა მჭიდრო თანამშრომლობამ საერთაშორისო სტრუქტურებთან – ქვეყანამ წარადგინა არაერთი ანგარიში ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის მონიტორინგის საერთაშორისო თუ რეგიონულ მექანიზმებში, უმასპინძლა ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური პროცედურების ვიზიტებს, მოახდინა ფუნდამენტური საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების რატიფიცირება, განახორციელა მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაცია და ერთ-ერთმა პირველმა წარუდგინა ანგარიშები ამ მიზნების შესრულებაზე გაეროს გენერალურ ასამბლეას, გაითვალისწინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და გაეროს კვამი იურიდიული სტრუქტურების გადანაცვები და საერთაშორისო ასპარეზზე მიღებული რეკომენდაციები.

ქვეყანამ საკანონმდებლო რეფორმების განხორციელება 2006 წლიდან დაიწყო, მაშინ, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. 2010 წელს მიიღეს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონი. ადამიანის უფლებათა დაცვისთვის შესაბამისი სამართლებრივი ბერკეტის უზრუნველსაყოფად, შემდგომ ნაბიჯს წარმოადგენდა 2014 წელს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიღება, რომლის მოთხოვნები გავრცელდა საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში.

აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო რეფორმებთან ერთად, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერების მიმართულებითაც; საქართველოს პარლამენტში გენდერული თანასწორობის საკითხებზე კოორდინირებული მუშაობისთვის ჯერ კიდევ 2004 წლიდან განსაზღვრული იყო შესაბამისი ორგანო, რომელიც თავდაპირველად საკონსულტაციო საბჭოს სახით ფუნქციონირებდა, ხოლო 2010 წლიდან, „გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის“ მიღებისა და პარლამენტის რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად უკვე გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს სახით ჩამოყალიბდა.

გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს დონეზეც. კერძოდ, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის პრაქტიკაში რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ, 2008 წლიდან რეგულარულად ხორციელდება „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა“ ეროვნული სამოქმედო გეგმების მიღება და განხორციელება. ამასთანავე, 2014 წლიდან მიმდინარეობს პოლიტიკის ისეთი დოკუმენტების მიღება (მაგ., ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა), რომლებიც ხელს უწყობს მთავრობის პრიორიტეტული მიმართულებების იმპლემენტაციას და გენდერული თანასწორობის მიღწევას.

ქვემოთ, თემატურად არის შეჯამებული, 2012-2022 წლების განმავლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ღონისძიებები, რომელიც მიმართული იყო გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ეტაპობრივად იზრდება ქალთა საქიროების ინტეგრირება სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებში. უნდა აღინიშნოს სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების როლი ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად. 2014 წლიდან დაიწყო ისეთი სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის პროგრამების განხორციელება, როგორებიცაა სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს პროგრამები, სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამები, ასევე – ინოვაციურ ბიზნესებზე მიმართული პროგრამები, რომლებიც ხორციელდება საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ. აღნიშნული პროგრამები მეტწილად მიმართულია სექტორში მოქმედი ბიზნესებისთვის, მათ შორის ქალი მენარმეების, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამების ამოქმედების თავდაპირველ ეტაპზე მნიშვნელოვანი გენდერული სხვაობა იყო ქალ და მამაკაც ბენეფიციარებს შორის, ეტაპობრივად ქალ ბენეფიციართა წილი იზრდება. ამ მხრივ აღსანიშნავია აწარმოე საქართველოს მიკრო და მცირე საწარმოების ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტს ქალ მენარმეთა მიერ ბიზნესის დაწყების ან/და გაფართოების წახალისება წარმოადგენს. შედეგად 2015-2022 წლებში პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ქალი მენარმეების წილი 30%-დან 50%-მდეა გაზრდილი.¹

ამასთანავე, პროგრამის განმახორციელებელი სააგენტოების მიერ თანდათანობით უფრო მეტი ყურადღება ეთმობა პროგრამებში ქალ ბენეფიციართა მონაწილეობის წახალისებას.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მიერ ჩატარებული გენდერული აუდიტის შედეგების საფუძველზე „აწარმოე საქართველო“-მ და „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ“ შეიმუშავეს გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმები, რომელიც გულისხმობს მათ სერვისებსა და პროგრამებში გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირებას, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს პროგრამის მონაწილეებს შორის გენდერული სხვაობის შემცირებას.²

2022 წლიდან, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ინიციატივით, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით და უშუალოდ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაიწყო ლაგოდებისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში საპილოტე პროგრამის განხორციელება ქალებისთვის, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ქალთა ჩართულობას ეკონომიკურ საქმიანობაში.³ აღნიშნული საპილოტე პროგრამის განხორციელებას ლაგოდებისა და მარნეულის გარდა, კიდევ სამი მუნიციპალიტეტი შეუერთდა. მითითებული პროგრამა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მისი სამიზნე არეალი მოიცავს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებს, სადაც განსაკუთრებით მწვავეა გამოწვევები გენდერული თანასწორობისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით. 2022-2023 წლის მონაცემებით, პროგრამის ფარგლებში ჯამში 38-მა ბენეფიციარმა მიიღო თანადაფინანსება სასათბურე მეურნეობის მოსაწყობად.⁴

¹ წყარო: აწარმოე საქართველო, მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ბენეფიციართა სტატისტიკა, 2015-2022 წლების მონაცემები, ოფიციალურად გამოთხოვილი ინფორმაცია, 2023 წელი.

² წყარო: ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და დასაქმების სახელმწიფო ხელშეწყობა საქართველოში, gocioeconomics.ge, გამოქვეყნებულია 30/01/2022, იხ. ბმული: <https://gocioeconomics.ge/?p=14033>, ნანახია: 23/11/2022.

³ წყარო: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სახელმწიფო პროექტები, საპილოტე პროგრამა ქალებისთვის, იხ. ბმული: <https://mepa.gov.ge/Ge/Projects/Details/196>, ნანახია: 23/11/2023.

⁴ წყარო: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, „საპილოტე პროგრამა ქალებისთვის“ მონაწილეთა და გამარჯვებულთა სტატისტიკა, 2022-2023 წლების მონაცემები, ოფიციალურად გამოთხოვილი ინფორმაცია, 2023 წელი.

ბავშვთა ნაადრევი ქორწინების პრევენცია

ადრეულ ასაკში ქორწინება გენდერული უთანასწორობის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზია. ნაადრევ ასაკში ქორწინების შედეგად გოგოების უმეტესობას ეზღუდება განათლებისა და პროფესიის შეძენის შესაძლებლობა, რაც საბოლოო ჯამში ზღუდავს მის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. აღსანიშნავია, რომ ბავშვთა ნაადრევი ქორწინების პრაქტიკა საკმაოდ დიდ გამოწვევას წარმოადგენდა, და მიუხედავად სხვადასხვა პრევენციის ღონისძიებებისა, კვლავ გამოწვევად რჩება.

ბავშვთა ადრეული ქორწინების პრევენცია გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის 21-ე რეკომენდაციას წარმოადგენს. კერძოდ, რეკომენდაცია მოუწოდებს სახელმწიფოებს შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარებით უზრუნველყონ ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობებში თანასწორობის პრინციპების დამკვიდრება და აღკვეთონ არასრულწლოვანი გოგოების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის პრაქტიკა.⁵

2016 წელს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განხორციელდა ცვლილებები, რომლის თანახმადაც აიკრძალა 16 წელს მიუღწევად არასრულწლოვანთა ქორწინება, თუმცა გამონაკლისის სახით, გარკვეულ შემთხვევებში (მაგ. ისეთი როგორცაა ბავშვის დაბადება) 17 წელს მიღწეული პირებისთვის ქორწინება დასაშვები გახდა მხოლოდ მისი ნებითა და სასამართლოს თანხმობით.⁶

2017 წლიდან სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შედეგად აიკრძალა 18 წლამდე ასაკის პირთა ქორწინება, ყველანაირი გამონაკლისის გარეშე.⁷ აღნიშნული, საკმაოდ მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა, ბავშვთა ადრეული ქორწინების პრაქტიკის აღსაკვეთად. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2012-2022 წლებში, 16-დან 19-წლამდე ასაკის პირთა ქორწინების მაჩვენებელი ჯამურ რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობაში გოგოების შემთხვევაში 13.6%-დან 6%-მდე, ხოლო მამაკაცების შემთხვევაში 3%-დან 1%-მდე შემცირდა.⁸ აღნიშნული, რა თქმა უნდა პოზიტიური ცვლილებაა, თუმცა არ არის საკმარისი მაჩვენებელი რათა შევავსოთ თუ რამდენად აღიკვეთა ბავშვთა ნაადრევი ქორწინების საზიანო პრაქტიკა. დემოკრატიის მმართველობის ცენტრის, 2022 წლის ანგარიშში გაანალიზებული მონაცემების თანახმად, 2020-2021 წლებში გაიზარდა ქორწინების მოტივით არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის საფუძველზე სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების რაოდენობა. კერძოდ, 2020 წელს 134 სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობდა გამოძიება, ხოლო 2021 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 212-მდე გაიზარდა.⁹ აღნიშნულ საფუძველზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობის ზრდა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სამოქალაქო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა შექმნა საფუძვლიანი სამართლებრივი ბერკეტი არასრულწლოვანთა მიმართ ნაადრევი ქორწინების შემთხვევებზე რეაგირებისთვის. თუმცა, მონაცემების ნაკლებობის გამო რთულია შევავსოთ თუ რამდენად ეფექტური აღმოჩნდა განხორციელებული ცვლილებები ნაადრევი ქორწინების შემთხვევების პრევენციისა და აღკვეთის კუთხით.

⁵ გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი, რეკომენდაცია #21-თანასწორობა ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობებში, მუხლი 16, გვ. 3, იხ. ბმული: <https://www.refworld.org/docid/48abd52c0.html>, ნანახია: 23/11/2023.

⁶ წყარო: დემოკრატიის მმართველობის ცენტრი, „ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო პრაქტიკა საქართველოში არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები“, 2022, თავი 1, გვ. 13, იხ. ბმული: https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/bavshvobis_asakshi_korcineba_angarishi_saboloo_versia.pdf, ნანახია: 23/11/2023.

⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1108. იხ. ბმული: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=126>, ნანახია: 23/11/2023.

⁸ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ქორწინება, დაქორწინებულთა მონაცემები სქესისა და ასაკის მიხედვით, იხ. ბმული: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/323/kortsineba>, ნანახია: 23/11/2023.

⁹ დემოკრატიის მმართველობის ცენტრი, „ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო პრაქტიკა საქართველოში – არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები“, 2022, თავი 2, გვ. 15, იხ. ბმული: https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/bavshvobis_asakshi_korcineba_angarishi_saboloo_versia.pdf, ნანახია: 23/11/2023.

პარლამენტის საზედამხედველო მექანიზმების გაძლიერება

გაძლიერდა პარლამენტში საზედამხედველო მექანიზმების გამოყენება. აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანია 2018 წელი, როდესაც საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა რეგლამენტში, რაც ერთი მხრივ საკანონმდებლო, მეორე მხრივ, საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერებას ისახავდა მიზნად. პარლამენტი აღიჭურვა სათანადო მექანიზმებითა და ინსტრუმენტებით, რათა უზრუნველყოს მთავრობის ანგარიშვალდებულება გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესის მეშვეობით. სწორედ აღნიშნული რეფორმის შედეგად დაინერგა ისეთი ინოვაციური მექანიზმი, როგორცაა თემატური მოკვლევა; პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლში დეტალურად გაიწერა მოკვლევის პროცესი.

აღნიშნული პრაქტიკის დანერგვით, საქართველოს პარლამენტმა ახალი საზედამხედველო მექანიზმი შეიძინა, რომელსაც მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურები და პასუხისმგებლობების ჯაჭვი გააჩნია; გარდა იმისა, რომ მოკვლევის მთელი პროცესი საჯაროა, ამასთანავე, იგი ყურდნობა ღია პარლამენტისა და კარგი მმართველობის პრინციპებს და უზრუნველყოფს საპარლამენტო საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობას.

თემატური მოკვლევა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოსთვის საპარლამენტო კონტროლის ერთ-ერთი ყველაზე აქტიურად გამოყენებადი ინსტრუმენტია. მექანიზმის დანერგვის პერიოდიდან 2023 წლამდე საბჭომ მულტიპარტიული თანამშრომლობის ფორმატში 7 თემატური მოკვლევის ჯგუფი შექმნა, რის შედეგადაც გასცა 278 რეკომენდაცია შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიმართ. საპარლამენტო ზედამხედველობის ფარგლებში განხორციელებული ანგარიშგება და გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგი საპარლამენტო საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია.

მიუხედავად 2018 წლიდან დაწყებული პროგრესისა, საქართველოს პარლამენტში საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერების კუთხით ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი. გარდა იმისა, რომ კომიტეტების/საბჭოების მიერ გაცემული რეკომენდაციები მეთოდოლოგიური თვალსაზრისით განსხვავდება კომიტეტების/საბჭოების მიხედვით, ამასთანავე, პარლამენტს არ გააჩნია ერთიანი, შეთანხმებული მეთოდოლოგია გაცემული რეკომენდაციების განხორციელების მონიტორინგთან დაკავშირებით.

ამ არასისტემური მიდგომის გამო საპარლამენტო რეკომენდაციები გაბნეულია სხვადასხვა დასკვნაში და ანგარიშებში, რაც პარლამენტის საზედამხედველო საქმიანობის ფრაგმენტულობას უწყობს ხელს და, ამავდროულად, მოქალაქეებს ურთულებს პარლამენტის მიერ გაწეული საზედამხედველო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებას.

სექსუალური შვიწროების პრევენციის ღონისძიებები

2019 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად სექსუალური შვიწროება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში დისკრიმინაციის ფორმად განისაზღვრა, რაც წარმოადგენდა ფუნდამენტურ ნაბიჯს მის წინააღმდეგ აქტიურად ბრძოლისთვის. შედეგად, სექსუალური შვიწროების წინააღმდეგ მექანიზმის დანერგვა არაერთ სახელმწიფო უწყებასა და ორგანიზაციაში (სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, საქართველოს პროკურატურა და სხვ.) განხორციელდა. ამგვარი მექანიზმის არსებობა სახელმწიფო უწყებებში გენდერული მენისტრიმინგის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია და იგი სექსუალური შვიწროების წინააღმდეგ ბრძოლისთვის საქართველოს კანონმდებლობის ეფექტიანად აღსრულებას უწყობს ხელს.

შრომით ურთიერთობებში თანაბარი პირობების უზრუნველყოფა

შრომით ურთიერთობებში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განხორციელდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები. ამ მიმართულებით, ქალთა გაძლიერების კუთხით, მნიშვნელოვან ჩანაწერს მოიცავს საქართველოს შრომის კოდექსი, რომელშიც შესაბამისი ცვლილებები 2020 წლის სექტემბერში შევიდა. კერძოდ, კოდექსის თანახმად, „დამსაქმებელი ვალდებულია, ქალი და მამაკაცი დასაქმებულების მიერ თანაბარი სამუშაოს შესრულების შემთხვევაში, უზრუნველყოს მათთვის თანაბარი შრომის ანაზღაურების გადახდა“, რაც მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია გენდერული სახელფასო სხვაობის შემცირების პროცესში.

ეროვნული კანონმდებლობის განვითარების პარალელურად, გაძლიერდა თანამშრომლობა შრომით ურთიერთობებში თანაბარი პირობების უზრუნველსაყოფად.

2021 წლის სექტემბერში საქართველო „თანაბარი ანაზღაურების საერთაშორისო კოალიციას“ (EPIC) შეუერთდა, რომლის მიზანია მსოფლიოს მასშტაბით სახელფასო სხვაობების შემცირება და თანაბარი ღირებულების საქმიანობის განვითარება ქალისა და მამაკაცისთვის თანაბარი ანაზღაურების უზრუნველყოფა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, კოალიცია მხარს უჭერს სახელმწიფოებს შესაძლებლობების ზრდაში, კანონმდებლობის დახვეწასა და აღსრულების მონიტორინგში.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობა

2020 წელს განხორციელდა საარჩევნო რეფორმა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით. საარჩევნო რეფორმის შედეგად, საქართველოში დაინერგა გენდერული კვოტირების მექანიზმი როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე. კვოტების მოქმედების პირველივე წელს, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობა გაიზარდა: 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად პარლამენტში 30 ქალმა მოიპოვა მანდატი, რაც საკანონმდებლო ორგანოს სრული შემადგენლობის 20%-ია და წინა, 2016 წლის არჩევნების შედეგებთან შედარებით, 4%-ით არის გაზრდილი. მუნიციპალურ დონეზე, 2021 წელს ჩატარებული არჩევნების შედეგად, პროპორციული სისტემით არჩეული ქალი კანდიდატების რაოდენობა 19,59%-დან (190 ქალი) 31,41%-მდე (441 ქალი) გაიზარდა.

მიუხედავად იმისა, რომ მოცემული მაჩვენებელი ჯერ ვერ უტოლდება საერთაშორისოდ მიღებულ 30%-იან „კრიტიკულ ზღვარს“, საქართველოში გენდერული კვოტირების დანერგილი სისტემა ქალთა რაოდენობის ეტაპობრივ ზრდას გულისხმობს, მაგალითად, 2028 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ქალთა წარმომადგენლობა 50-მდე უნდა გაიზარდოს, რაც პარლამენტის წევრთა მესამედს წარმოადგენს.

გენდერული ბიუჯეტირება

აქტიურად დაიწყო მუშაობა გენდერული ბიუჯეტირების საკითხზე. აღნიშნული წარმოადგენს საჯარო მმართველობის მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც იძლევა შეფასების საშუალებას, თუ რა გავლენას ახდენს კონკრეტული საბიუჯეტო გადაწყვეტილებები გენდერულ თანასწორობაზე. საქართველოს პარლამენტში გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს გარდა, გენდერული ბიუჯეტირების საკითხებზე აქტიურად მუშაობს აგრეთვე პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, რომელმაც 2019 წელს „გენდერული ბიუჯეტირების გზამკვლევი“ გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით შეიმუშავა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არაერთი საქმიანობაა განსახორციელებელი, მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ 2021 წლიდან საქართველოს პარლამენტის პროგრამულ ბიუჯეტში საკანონმდებლო საქმიანობის ნაწილში (ბიუჯეტის პროგრამული კოდი 01 01 03 02) ასახულია ჩანაწერი გენდერული თანასწორობის საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

საზოგადოების ჩართულობა და ცნობიერების ამაღლება

გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა გენდერული თანასწორობის მხარდაჭერასა და ცნობიერების ამაღლების პროცესებში, რაც უმნიშვნელოვანესია ქვეყანაში დემოკრატიული პროცესებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული საკითხი გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს სამოქმედო გეგმებში და ყოველწლიურ საქმიანობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს; თუმცა, ცნობიერების ამაღლების მიზნით განეული ძალისხმევა განსაკუთრებით 2021 წლიდან გაძლიერდა, როდესაც საბჭომ შექმნა ახალი საკომუნიკაციო არხები და გააძლიერა თანამშრომლობა ადგილობრივ ორგანიზაციებთან; განაახლა ყოველთვიური ორენოვანი (ქართული/ინგლისური) საინფორმაციო ბიულეტენების გამოქვეყნება და ჩაატარა არაერთი სამუშაო როგორც სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან, ასევე ადგილობრივ მოსახლეობასთან მთელი საქართველოს მასშტაბით.

შეიქმნა პირველი ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომელიც ერთ სივრცეში უყრის თავს გენდერული თანასწორობის საკითხებზე არსებულ ინფორმაციას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საბჭოს ინიციატივითა და პარტნიორი დონორი ორგანიზაციების – გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES)-ის ტექნიკური მხარდაჭერით, შეიქმნა პირველი ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის საკითხზე ინსტიტუციური მეხსიერების დაგროვებას/შენარჩუნებას და ქართული თუ უცხოენოვანი მასალის ერთ სივრცეში განთავსებას.

საკანონმდებლო ცვლილებები ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერისთვის

2022 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი. შედეგად, ძალადობის მსხვერპლი/გადარჩენილი უფლებამოსილია, მიიღოს კომპენსაცია სახელმწიფოსგან. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს, სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებისას, საქართველომ მხოლოდ ერთი დათქმა გააკეთა, სადაც ნათქვამია, რომ კომპენსაციის წესი ცალკე უნდა იქნეს მიღებული და ეს პირობა უკვე შესრულებულია.

შედეგად, ძალადობის მსხვერპლი/გადარჩენილი უფლებამოსილია, მიიღოს კომპენსაცია სახელმწიფოსგან იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი მოძალადის მიერ არ არის ანაზღაურებული. კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. კომპენსაციის გაცემაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფო ბრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს.

2023 წელს გაუქმდა თავშესაფრით სარგებლობისთვის ე.წ „მსხვერპლის სტატუსის“ არსებობის წინაპირობა, რითაც გამარტივდა ძალადობის მსხვერპლთათვის სახელმწიფო თავშესაფრით სარგებლობის შესაძლებლობა. აღნიშნული ცვლილების ძირითად მიზანს წარმოადგენს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის გაძლიერება და სახელმწიფო მომსახურებით, მათ შორის – სახელმწიფო თავშესაფრით – სარგებლობისთვის არსებული ბარიერის დაძლევა.

გენდერული გავლენის შეფასება (GIA)

აქტიურად დაიწყო მუშაობა კანონმდებლობის გენდერული გავლენის შეფასების მეთოდოლოგიის (GIA) დანერგვის მიმართულებით, რის შედეგადაც 2022 წელს პარლამენტის მიერ მოხდა GIA-ს ინსტიტუციონალიზაცია. აღნიშნული პროცესი საქართველოში აქტიურად მიმდინარეობდა პარტნიორი საერთაშორისო, დონორი და ადგილობრივი ორგანიზაციების ჩართულობით. არაერთი საპილოტე GIA-ს განხორციელების შემდეგ, 2022 წლის ოქტომბერში მოხდა ინიცირება, იმავე წლის დეკემბერში კი პარლამენტმა საბოლოოდ

მოახდინა გენდერული გავლენის ანალიზის ინსტიტუციონალიზაცია საქართველოში. შედეგად, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შევიდა ცვლილებები, რამაც ხელი შეუწყო GIA-ს ინსტიტუციური ჩარჩოსა და მექანიზმის ჩამოყალიბებას. ცვლილება, ძირითადად, კანონშემოქმედებითი და ნორმატიული აქტების მომზადების პროცესს შეეხო, რის შედეგადაც აუცილებელი გახდა, ავტორმა და ინიციატორმა წარმოადგინონ საკუთარი შეხედულებები და პოზიციები იმასთან დაკავშირებით, თუ რა გავლენა შეუძლია მოახდინოს ინიციატივამ გენდერული თანასწორობის მიმართულებით. კერძოდ, განმარტებით ბარათში აღნიშნული უნდა იყოს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის გეგავლენის შეფასება.

მიუხედავად განხორციელებული პროგრესისა, გენდერული გავლენის ანალიზის მიმართულებით, ჯერ კიდევ უამრავი სამუშაოა წინ. სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებში არასაკმარისია ცოდნა თავად მექანიზმის შესახებ, რაც სისტემურ და ხანგრძლივ მიდგომას საჭიროებს; ხოლო სიღრმისეული GIA-ს ჩატარება, ერთი მხრივ, დროსთან და, მეორე მხრივ, როგორც საბიუჯეტო, აგრეთვე ადამიანურ რესურსთანაა დაკავშირებული, რაც დამატებითი გამოწვევაა მუდმივად შეზღუდული რესურსების პირობებში.

ეროვნული სტრატეგიები და სახელმწიფო კონცეფციები

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელების მიზნით, 2022 წლის 5 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ მიიწონა, ხოლო 2023 წლის 23 მარტს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ადამიანის უფლებათა დაცვის რიგით მეორე ეროვნული სტრატეგია (2022-2030), რომელიც გამომდინარეობს პირველი ეროვნული სტრატეგიიდან (2014-2020 წწ.) და წარმოადგენს მის ლოგიკურ გაგრძელებას; ეროვნული სტრატეგიის მიზანია საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სისტემური გარანტიების შემდგომი განმტკიცება. დოკუმენტი ასახავს საქართველოს ეროვნულ საჭიროებებსა და არსებულ გამოწვევებს ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით, სტრატეგია ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო, მათ შორის – ევროპული სამართლებრივი დოკუმენტებიდან გამომდინარე ვალდებულებებს (როგორც ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების შემდგომი გაუმჯობესების მიმართულების განმსაზღვრელი შესაძლებლობების ერთობლიობას) და თანხვედრაშია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 25 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა **ორი ცალკე მდგომი სამოქმედო გეგმა, რომელიც ფარავს 2022-2024 წლების პერიოდს და მოიცავს** ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებებს, ხოლო მეორე სამოქმედო გეგმაში ასახულია ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელებისთვის საჭირო ზომები.

2022 წელს მრავალპარტიულ ფორმატში დამტკიცდა გენდერული თანასწორობის ახალი სახელმწიფო კონცეფცია, რითაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა თანასწორობის პოლიტიკის დამკვიდრებისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით. დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფოს ერთიან ხედვას გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისთვის სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ სფეროში, როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო ურთიერთობებში.

2023 წლის მარტში ინტერპარტიულ ფორმატში დამტკიცდა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია. აღნიშნული დოკუმენტი პირველია რეგიონში, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს ერთიან ხედვას კონკრეტულად ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და უკეთესი შრომითი პირობების შექმნისათვის.

გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირება თანდათანობით უფრო აქტიურად ხდება სექტორულ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგია, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიზანს ქალ მენარმეთა განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სტრატეგია განსაზღვრავს საკმაოდ დეტალურ და ურთიერთდაკავშირებულ ამოცანებს, რომელიც ცნობიერების ამაღლე-

ბის ღონისძიებებთან ერთად, მოიცავს ქალთა უნარების (მათ შორის ციფრული უნარების) გაძლიერების, სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებში ქალ მენარმეთა მონაწილეობის წახალისებისა და უშუალოდ, ჩართული სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობების გაძლიერებას გენდერული მიდგომების განვითარებისა და წახალისებისთვის.¹⁰

ევროკავშირის მე-9 რეკომენდაცია: გენდერული თანასწორობის გაძლიერება, ბრძოლა ქალთა წინააღმდეგ მიმართულ ძალადობასთან

გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მისაღებად საქართველოსთვის ევროკომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციის (მე-9 რეკომენდაცია – გენდერული თანასწორობის გაძლიერება, ბრძოლა ქალთა წინააღმდეგ მიმართულ ძალადობასთან) შესრულებისთვის. ევროკომისიის მე-9 რეკომენდაციის შესრულება და მონიტორინგი ის გარდამტეხი მომენტია, რომლის აღნიშვნის გარეშეც წარმოუდგენელია საქართველოს უახლესი ისტორიის განხილვა. ევროკომისიის 2022 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად, საქართველოს 12 პრიორიტეტის შესრულება დაევალა. გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო და საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი განისაზღვრა საქართველოს მიმართ გაცემული რეკომენდაციებიდან, კონკრეტულად, მე-9 რეკომენდაციის (გენდერული თანასწორობის გაძლიერება, ბრძოლა ქალთა წინააღმდეგ მიმართულ ძალადობასთან) აღსრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოებად.

რეკომენდაციის შესასრულებლად 2022-2023 წლების განმავლობაში არაერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა საერთაშორისო თუ ადგილობრივი პარტნიორების მონაწილეობით, რომლის შედეგად საქართველოს პარლამენტში არაერთი საკანონმდებლო ცვლილების ინიცირება მოხდა და მოგვიანებით დამტკიცდა რეგლამენტით დადგენილი წესების შესაბამისად.

2023 წლის ივნისში ოლივერ ვარპეიმ, ევროკომისარმა სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში, გაასაჯაროვა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებისთვის წარდგენილი ზეპირი მოხსენება, რომელშიც საქართველოს მიერ 12 რეკომენდაციის შესრულებას აფასებდა; მისი განცხადებით, საქართველომ სრულად შეასრულა სამი რეკომენდაცია, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ მე-9 რეკომენდაციაა (გენდერული თანასწორობის შესახებ).

მიუხედავად მე-9 რეკომენდაციის შესრულებული სტატუსისა, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოსა და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის საქმიანობის ფარგლებში კვლავ აქტიურად გრძელდება მუშაობა ქვეყანაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით.

მიმოხილული საკითხები წარმოადგენს პუბლიკაციის მოკლე შეჯამებას, რომელიც მოიცავს ინფორმაციას გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიმართულებით საქართველოს ძირითადი მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ. დეტალური ინფორმაცია ჩაშლილია ანგარიშში, ქვემოთ წარმოდგენილ შესაბამის თავებში.

¹⁰ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგია, 2021-2025წწ, იხ. ბმული: https://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/sme_strategy/sme_development_strategy_2021_2025_.pdf, ნანახია: 23/11/2023.

მეთოდოლოგია

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს 2012 წლიდან 2023 წლის მეორე კვარტლის ჩათვლით პერიოდში გენდერული თანასწორობის კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობისა და ქვეყანაში აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანი მიღწევებისა და არსებული გამოწვევების შეჯამებას.

ანგარიშის მიზანია ქალთა გაძლიერების მიმართულებით ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესისა და არსებული გამოწვევების შეჯამება, სახელმწიფოს მიდგომებისა და იმ სტანდარტების გამოკვეთა, რომლებსაც საქართველო ვერდნობა გენდერული თანასწორობის მიღწევის გზაზე.

ანგარიშში მიმოხილულია ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებმაც საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დონეზე გავლენა მოახდინეს გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების მიმართულებით ხელშეწყობი გარემოს ფორმირებაზე. ამასთანავე, განხილულია ის გამოწვევები რაც კვლავ აქტუალურია თანაბარი შესაძლებლობებისა და ინკლუზიური გარემოს უზრუნველსაყოფად.

დოკუმენტში გაანალიზებულია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმები აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლების დონეზე, ადგილობრივი თვითმმართველობისა და დამოუკიდებელი ორგანიზაციების როლი, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში მიღებული შეფასებები და რეკომენდაციები გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

ანგარიში დაფუძნებულია როგორც სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზზე, ასევე – აღწერილობით, ანალიტიკურ მეთოდებზე. დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია ეყრდნობა მეორადი წყაროების, მათ შორის, დაკავშირებული კანონმდებლობის, ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზს.

ინფორმაციის შეგროვება მოხდა სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. ანგარიშის მომზადებისას, ღია წყაროებზე არსებული ინფორმაციის ანალიზთან ერთად, განხორციელდა კონსულტაციები სხვადასხვა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებთან. ჯამში, ჩატარდა 14 ინტერვიუ ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მიმართულებით მომუშავე პირებთან და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის – სახელმწიფო უწყებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ამასთანავე, გამოთხოვილ იქნა საჯარო ინფორმაცია საჯარო დაწესებულებებიდან, როგორც აღმასრულებელი, ასევე სასამართლო ხელისუფლების დონეზე.

ანგარიშზე მუშაობა მიმდინარეობდა 2023 წლის ივლისი-ნოემბრის ჩათვლით. ანგარიში წარმოადგენს საინფორმაციო-ანალიტიკურ დოკუმენტს, რომელიც მიმოხილავს და აჯამებს 2012-2022 წლებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებულ ძირითად საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ცვლილებებს.

საკითხის კომპლექსურობისა და დოკუმენტის მიზნებიდან გამომდინარე, ანგარიში შეზღუდულია წარმოადგინოს გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხილული საკითხების სიღრმისეული ანალიზი და გამოავლინოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები იმ ფაქტორებს შორის, რომლებმაც გასული ათწლეულის განმავლობაში გავლენა მოახდინეს არსებითი თანასწორობის პრინციპების დამკვიდრებაზე. ამასთანავე, გენდერულად დისაგრეგირებული მონაცემების ნაკლებობა ან ზოგ შემთხვევაში არარსებობა, წარმოადგენდა დამატებით შეზღუდვას ანგარიშში განხილული საკითხების სიღრმისეული ანალიზისა და შეფასების განსახორციელებლად.

თავი I. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმები

სახელმწიფოში დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისთვის უმნიშვნელოვანესია იმ ინსტიტუციური მექანიზმების როლი, რომლებიც გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების დონეზე (როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე) არის შექმნილი.

საქართველოში საკანონმდებლო დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე კი ერთიანი პოლიტიკის განხორციელებას უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისი კომისია, ხოლო პოლიტიკის განხორციელების პროცესში კოორდინაციას – საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი.

გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების, კონკრეტულად კი ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას აღმასრულებელ დონეზე ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი. გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, არსებულის დახვეწას, გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე საპროკურორო ზედამხედველობასა და გენდერული საკითხების მინისტრის კაბინეტის უზრუნველყოფს – საქართველოს პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი.

გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის მიმართულებით, აღსანიშნავია დამოუკიდებელი ორგანოების როლი (სახალხო დამცველის აპარატი, ცესკოს გენდერული თანასწორობის საბჭო, სასამართლო ხელისუფლება), რომლებიც საკანონმდებლო და აღმასრულებელ დონეზე არსებული მექანიზმების ეფექტიან იმპლემენტაციას უწყობენ ხელს.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, ისევე, როგორც ყველა სხვა მიმართულების პოლიტიკის განსაზღვრა და იმპლემენტაცია, საჭიროებს შესაბამისი ბერკეტების არსებობას როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე. სწორედ ამიტომ, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დეცენტრალიზაციისთვის მნიშვნელოვანია იმ ორგანოების, დაწესებულებებისა თუ პირების როლიც (მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოები, „ქალთა ოთახები“, და სხვ.), რომლებიც ადგილობრივ დონეზე ახორციელებენ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარებას.

გენდერული თანასწორობის დაცვის ინსტიტუციური მექანიზმების მნიშვნელობიდან გამომდინარე, პუბლიკაციის პირველი თავი ეთმობა იმ ორგანოების, დაწესებულებებისა და პირების უფლება-მოვალეობების, მანდატის, როლის განხილვას, რომლებიც საკანონმდებლო, აღმასრულებელ, დამოუკიდებელი ორგანოების დონეზე არიან ჩართულნი (ცენტრალურ/ადგილობრივ დონეზე) გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში.

საკანონმდებლო დონე

საკანონმდებლო დონეზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიმართულებით მომუშავე ორგანოს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილი გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო არსებული ფორმით 2010 წლიდან უზრუნველყოფს გენდერული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას, გენდერული

თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და იმ სახელმწიფო მექანიზმების დახვეწას, რომლებიც ხელს უწყობს გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრას.

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო

საქართველოს პარლამენტი გენდერული თანასწორობის საკითხებზე კონსოლიდირებულად მუშაობის თითქმის 20-წლიან გამოცდილებას ითვისებს. ჯერ კიდევ 2004 წელს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტთან არსებული გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო (შემდგომში საბჭო) შეიქმნა, რომელიც, შესაბამისი სფეროს საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარებასთან ერთად იცვლებოდა და ვითარდებოდა.

მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც 2010 წელს საქართველოს პარლამენტმა „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი მიიღო, ცვლილებები შევიდა პარლამენტის რეგლამენტშიც და, შედეგად, გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო მუდმივმოქმედ ორგანოდ ჩამოყალიბდა. დღესდღეობით, საბჭო გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე უმაღლესი სახელმწიფო ორგანოა, რომელიც საქმიანობას მრავალმხრივი მიმართულებით ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ გასული ათწლეულის განმავლობაში გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მუდმივად ვითარდებოდა. მუდმივმოქმედ ორგანოდ ჩამოყალიბების შემდგომ ეტაპობრივად განხორციელდა საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერების ღონისძიებები. კერძოდ, საბჭოს ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით დაემატა სამდივნო და მუდმივი საშტატო ერთეული, გაფართოვდა მისი მანდატი და ფუნქციები, რასაც თან მოჰყვა საბჭოს პოლიტიკური წონისა და დატვირთულობის ზრდა.

თუმცა, საბჭოს გაძლიერება და იმ ფორმით დამკვიდრება, რომელიც დღეს არსებობს, არც მარტივი და არც ხანმოკლე პროცესი არ ყოფილა, და აღნიშნულ პროცესში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერა.

ნინო წილოსანი

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე

„მოხარული ვარ, რომ საბჭო ეტაპობრივად მუდმივად ვითარდებოდა და ძლიერდებოდა. მისი ინსტიტუციონალიზაცია ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკის და საერთაშორისო პარტნიორების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო, რასაც ერთობლივი მუშაობით ვაღწევდით. საბჭო ერთ-ერთი საუკეთესო მოდელის მიხედვით არის შექმნილი, რაც საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს და გვაძლევს საშუალებას, რომ კონცენტრირებულად არსებობდეს ერთი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც სისტემატურად იმუშავებს გენდერული თანასწორობის და მეინსტრუქციის საკითხებზე. დღეს საბჭო ნამდვილად წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტორს გენდერული თანასწორობის მიღწევის საქმეში“.

გენდერული თანასწორობის საბჭოს გააჩნია მკაფიო მანდატი, რაც განსაზღვრულია საბჭოს დებულებით.¹¹ საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით, საბჭოს დებულებითა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სხვა აქტებით.

საბჭოს დებულების თანახმად¹², იგი შექმნილია „გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად“ და ხელს უწყობს საქართველოს პარლამენტის მიერ გენდერული თანასწორობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას. თუმცა, აღნიშნული ორგანოს

¹¹ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დებულება, ბოლო განახლება 18/06/2019, იხ. ბმული: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Gender/genderuli-debuleba.pdf>, ნანახია: 23/11/2023.

¹² საქართველოს პარლამენტი. 2019. გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დებულება. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Gender/genderuli-debuleba.pdf> [ბოლოს ნანახია: 30.07.2023].

საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ თანასწორობის სფეროს დღის წესრიგის ჩამოყალიბებით – საბჭო, უზრუნველყოფს როგორც გენდერულ ექსპერტიზას, საკანონმდებლო ბაზის შექმნასა და განვითარებას, ასევე ქალთა მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელებას.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოთა საქმიანობის კონტროლი, რასაც საბჭო, ძირითადად, თემატური მოკვლევებისა და სხდომებზე უწყებათა ანგარიშების მოსმენის საშუალებით ახორციელებს. აღნიშნული მექანიზმით საბჭო უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოფს რეკომენდაციების გაცემასა და შემდგომ აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს.

საბჭო ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე და რეგლამენტის შესაბამისად, წელიწადში ერთხელ საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს¹³ ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ.

გენდერული თანასწორობის საბჭოს განვითარების პროცესი მუდამ დინამიკურია და დღემდე გრძელდება. ამ კუთხით მნიშვნელოვანია მიმდინარე წლებში საბჭოს საქმიანობისთვის ცალკე ბიუჯეტის გამოყოფა, რითაც საბჭო, როგორც ინსტიტუცია განვითარებისა და დამოუკიდებლობის ახალ ეტაპზე აიყვანა. საბჭო თავის საქმიანობაში აქტიურად იყენებს ისეთ საპარლამენტო ინსტრუმენტებს, როგორებიცაა: თემატური მოკვლევები, ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი, სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის ფორმირება და სხვა.

„დღეს კი, როდესაც ამ ინტერვიუს ვწერთ, საბჭოს პუბლიკაციას ეყრება საფუძველი, რომელიც ბოლო დეკადის გენდერული თანასწორობის, ქალების გაძლიერების მემკვიდრე იქნება და ინსტიტუციურ მესხიერებას შემოინახავს“, – აღნიშნავს ნინო წილოსანი, რომელიც წინამდებარე პუბლიკაციის შექმნის მთავარი ინიციატორია.

საბჭო, საქმიანობის კოორდინაციისა და სისტემატიზაციის მიზნით, შეიმუშავებს სამოქმედო გეგმებს¹⁴ და საკომუნიკაციო სტრატეგიებს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში საბჭოს ინიციატივით, შემუშავდა 2 შიდა მოხმარებისათვის განსაზღვრული საკომუნიკაციო სტრატეგია და 6 სამოქმედო გეგმა.¹⁵

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, კონსულტაციებისა და სამუშაო შეხვედრების საშუალებით, საბჭო უზრუნველყოფს სამოქალაქო სექტორისა და დონორი ორგანიზაციების ჩართულობას, რომელთა რეკომენდაციების საფუძველზეც განისაზღვრება პრიორიტეტული სკიოხები მომდევნო წლისათვის და იგეგმება შესაბამისი აქტივობები. საბჭოს სამოქმედო გეგმებში იკვეთება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა:

1. სახელმწიფოს გენდერული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
2. გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება;
3. საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სახელმწიფო მექანიზმების დახვეწა;
4. ცნობიერების ამაღლება გენდერულ თანასწორობაზე;
5. სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი.

ამასთანავე, გამომდინარე იქიდან, რომ 2023-2024 წლებში დაგეგმილი აქტივობების მნიშვნელოვანი ნაწილი წინსწრებით შესრულდა¹⁶ და საქმიანობის პროცესში საბჭოსთვის საინტერესო სხვა საკითხებიც გამოიკვეთა, 2023 წლის თებერვალში მოხდა სამოქმედო გეგმის გადახედვა და შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

¹³ საბჭოს წლიური ანგარიშები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე <https://parliament.ge/parliament/councils/51090/documents>.
¹⁴ საქართველოს პარლამენტი. გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, სამოქმედო გეგმები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://parliament.ge/parliament/councils/51090/documents> [ბოლოს ნანახია: 30.07.2023].
¹⁵ საანგარიშო პერიოდში საბჭოს სამოქმედო გეგმები შემუშავდა შემდეგი წლებისათვის: 2013-2014, 2015, 2016, 2018-2020, 2021, 2022-2024.
¹⁶ სამოქმედო გეგმის 5 ამოცანაში გაერთიანებულია 45 საქმიანობა, რომელთაგან 2023 წლის მესამე კვარტლისთვის: შესრულებულია – 21 საქმიანობა
 ნაწილობრივ შესრულებულია (მიმდინარე) – 10 საქმიანობა
 შესასრულებელია – 14 საქმიანობა

გარდა ზემოაღნიშნულისა, საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება. ამ მიზნით საბჭო თანამშრომლობს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების გენდერული თანასწორობის საბჭოებთან, საქართველოს მუნიციპალიტეტებში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან და მერიებში გენდერული თანასწორობის საკითხების უზრუნველსაყოფად დანიშნულ მრჩეველებთან. კომუნიკაციის ეფექტიანად წარმართვისთვის კი საბჭო ქმნის საკომუნიკაციო სტრატეგიას და იყენებს არაერთ სოციალურ პლატფორმას, ყოველთვიურ საინფორმაციო ბიულეტენებსა და საგანმანათლებლო ვებგვერდს¹⁷, რომელიც ერთგვარ ელექტრონულ ბიბლიოთეკას წარმოადგენს და გენდერული თანასწორობის საკითხებით დაინტერესებული პირებისთვის მრავალმხრივი ინფორმაციის შეთავაზებას უზრუნველყოფს.

საბჭოს საქმიანობისა და ფუნქციის გაფართოებასთან ერთად, იზრდება საკადრო რესურსებისა და საბჭოს დამატებითი საპარლამენტო ინსტრუმენტებით აღჭურვის საჭიროებაც. აღნიშნული, საბჭოს მრავალფეროვანი საქმიანობის სრულყოფილად აღსრულების პროცესში ერთ-ერთ გამონკვევას წარმოადგენს.

ნინო წილოსანი

„სამდივნო ამჟამად 2 თანამშრომლისგან შედგება, რაც ვერ დააკმაყოფილებს საბჭოს საქმიანობის მუდმივად ზრდად მოთხოვნას საკითხებისა და პრობლემების შესწავლასა და იდენტიფიცირებაზე. ამიტომ ადამიანური რესურსებით გაძლიერება რჩება გამონკვევად. ასევე, საბჭოს ახალი, დამატებითი საპარლამენტო ინსტრუმენტებით აღჭურვა ნამდვილად არ იქნებოდა ურიგო“.

გენდერულ საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური ინსტიტუციები და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილი გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო სისტემური კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, ქმნიან მუნიციპალურ გენდერული თანასწორობის საბჭოებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მუნიციპალურ დონეზე არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოებისგან განსხვავებით, რომლის შემადგენლობაში საკრებულოს წევრებთან ერთად ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც შედიან, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი მხოლოდ პარლამენტის წევრი შეიძლება იყოს; ხოლო საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე საპარლამენტო ფრაქციებთან წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე. ამიტომ საბჭოს შემადგენლობა ცვალებადია და პერიოდულად იცვლება, თუმცა უკანასკნელ წლებში გენდერული თანასწორობის საკითხის აქტუალობის ზრდასთან ერთად, გაიზარდა საბჭოს წევრების შემადგენლობაც – ანგარიშის შექმნის პერიოდისთვის¹⁸ საბჭო ყველაზე მრავალრიცხოვანია მისი არსებობის განმავლობაში¹⁹ და მოიცავს პარლამენტის ყველა ფრაქციისა და პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენლებს, აგრეთვე პარლამენტის წევრ უფრაქციო დეპუტატებს, სულ 26 წევრს, თავმჯდომარის ჩათვლით. სწორედ, აღნიშნულ მრავალფეროვნებას ასახელებს ნინო წილოსანი, როგორც საბჭოს ერთ-ერთ ძლიერ მხარეს;

„საბჭოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ მიღწევად ჩავთვლი მულტიპარტიულ რეჟიმში თანამშრომლობას, ერთობლივი ძალისხმევით ინიცირებულ და კენჭისყრებზე მხარდაჭერილ პროექტებს. საბჭო ისეთივე პოლიტიკური პროპორციისაა, როგორიც თავად პარლამენტი და მასში თითოეულ პოლიტიკურ ჯგუფს თავისი წარმომადგენელი ჰყავს“.

¹⁷ საქართველოს პარლამენტი. 2022. გენდერული თანასწორობის ელექტრონული ბიბლიოთეკა. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://genderequality.ge/> [ბოლოს ნანახია: 30.07.2023].

¹⁸ იგულისხმება 2023 წლის აგვისტო.

¹⁹ 2023 წლის საგაზაფხულო სესიის ბოლოს საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრა 26 დეპუტატით.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კომპონენტი საბჭოს, ფაქტობრივად, თანამშრომლობისთვის უნიკალურ პლატფორმად აქცევს, ამავდროულად, გამონწვევების წყაროცაა, რომელსაც საბჭოს თავმჯდომარე მაინც პოზიტიურ ჭრილში აფასებს:

„პოლიტიკური დაძაბულობის კომპონენტი საბჭოს მუდმივ გამონწვევად რჩებოდა და რჩება. საბჭო პორი-მონტალურად ფორმირებული სტრუქტურაა, ამიტომ ეს პოლიტიკურად მოტივირებული განსხვავებული ინტერესები საბჭოსთვის მუდმივ გამონწვევას წარმოადგენდა. აქვე მინდა დავძინო, რომ საბჭოს თითოეული წევრის ძალისხმევით, ამ ბარიერს ყოველ ჯერზე ვლახავთ და იმედი მაქვს, რომ ეს კომპონენტი არასდროს არ იქნება არსებითად ხელის შემშლელი საბჭოს საქმიანობაში“.

ადგილობრივ დონეზე კოორდინაცია და თანამშრომლობის გაძლიერება გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. ამ მხრივ, განსაზღვრულია ისეთი მნიშვნელოვანი საქმიანობები, როგორცაა: გენდერული თანასწორობის მუნიციპალურ საბჭოებთან კოორდინაცია, რათა მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოების გაძლიერება და გენდერული თანასწორობის სფეროში სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესახებ ცნობიერების ამაღლება მუნიციპალიტეტების დონეზე.

აღმასრულებელი დონე

ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების, დამტკიცების და განხორციელების მიზნით, აღმასრულებელ დონეზე შექმნილია ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.²⁰

უწყებათაშორისი საბჭოს მუშაობაში ჩართულები არიან როგორც სახელმწიფო უწყებები, ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები. აღსანიშნავია, რომ 2020 წლამდე ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭოს ხმის უფლების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციების წევრთა რაოდენობა შეადგენდა 6-ს, ხოლო საბჭოს რეფორმის შედეგად, აღნიშნული მაჩვენებელი გაორმაგდა.

გარდა ამისა, საბჭოსთან შექმნილია საკონსულტაციო ჯგუფი, რომელსაც შეუძლია წარადგინოს წინადადებები და რეკომენდაციები საბჭოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით. ამ ჯგუფის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტისთვის მიმართვის საფუძველზე. ამჟამად, საკონსულტაციო ჯგუფის წევრი 80-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციაა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში 2019 წლამდე მოქმედებდა პრემიერ-მინისტრის თანაშემწის თანამდებობა ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში. 2019 წელს აღნიშნული თანამდებობა ფუნქციურად გაძლიერდა – თანაშემწის სტატუსი მრჩევლის თანამდებობით შეიცვალა.

ამასთანავე, აღმასრულებელ დონეზე, 2008 წლის დეკემბრიდან 2017 წლის ივნისამდე მოქმედებდა ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი უწყებათაშორისო საბჭო, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მისი თავიდან აცილების, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ძალადობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის მიმართულებით შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის განსაზღვრული ფუნქციების ეფექტიანად განხორციელება, ხელშეწყობა და მათი საქმიანობის კოორდინაცია.

²⁰ ადამიანის უფლებათა საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის N551 დადგენილებით, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3465313> [ბოლოს ნახისა 31.08.2023].

თუმცა, მთავრობის გადაწყვეტილებით, 2017 წლის 12 ივნისს შეიქმნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია. დღესდღეობით, უწყებათაშორისი კომისია წარმოადგენს ეროვნული დონის ინსტიტუციას, რომელიც უზრუნველყოფს მთავრობის სისტემურ და კოორდინირებულ მუშაობას გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

ამასთანავე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დანაშაულის პრევენციისა და დროული რეაგირების მიზნით 2018 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროში (შსს) შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც შიდა და გარე კონტროლის მექანიზმის გამოყენებით უზრუნველყოფს დროულ რეაგირებასა და ეფექტიან გამოძიებას ისეთი დანაშაულის შემთხვევებზე, როგორცაა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, ტრეფიკინგი, დისკრიმინაციის ნიშნით და არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი დანაშაული, ასევე სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. ამასთანავე, დეპარტამენტი, კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს წინადადებას პრევენციული ღონისძიებების შესახებ, რომელთაც წარუდგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს.²¹

გენდერული თანასწორობის და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის პროცესში მნიშვნელოვანია საქართველოს პროკურატურის როლი. ადამიანის უფლებათა დაცვისა გაძლიერებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში აღებული ვალდებულებების ეფექტურად შესრულების მიზნით, 2022 წელს საქართველოს პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო გაძლიერდა და დეპარტამენტად გარდაიქმნა. აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტის შექმნისას გათვალისწინებული იქნა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციები.²²

დღესდღეობით, ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა მონიტორინგი, რომელსაც იგი ახორციელებს შესაბამის სამთავრობო უწყებებთან, ასევე, სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. ამასთანავე, მნიშვნელოვანია დეპარტამენტის როლი საქართველოს პროკურატურაში გენდერული მენისტრინგის საკითხების ეფექტურად აღსრულების პროცესში. კერძოდ, დეპარტამენტის ფუნქციებში ასევე შედის საქართველოს პროკურატურაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე ორიენტირებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება და აღსრულება; სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის ეფექტიანი აღსრულება.²³

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისი კომისია

გენდერული თანასწორობის მისაღწევად, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, აღმასრულებელ დონეზე ერთიანი პოლიტიკის შექმნის, განხორციელების და მონიტორინგისთვის, 2017 წლამდე ეროვნულ დონეზე მოქმედებდა ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭო. აღნიშნული საბჭო 2017 წლის ივნისიდან ჩაანაცვლა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისმა კომისიამ (შემდგომში – უწყებათაშორისი კომისია), რომელსაც, სხვა ამოცანებთან ერთად, დაევალა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავება, ეროვნული სამოქმედო გეგმების განხორციელებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი უწყებების კოორდინაცია და მონიტორინგი.

²¹ ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, იხ. ბმული: <https://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/adamianis-ufleбата-datsvis-departamenti>, ნანახია: 23/11/2023.

²² საქართველოს პროკურატურა, „საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი შეიქმნა“, 19/03/2022, იხ. ბმული: <https://pog.gov.ge/news/saqarTvelos-generalur-prokuraturashi-adamianis-ufleбаTa-da-cvis-departamenti-sheiqmna>, ნანახია: 23/11/2023.

²³ იქვე.

გარდა ამისა, უწყებათაშორისი კომისია ასრულებს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (შემდგომში – სტამბოლის კონვენცია) სტამბოლის 2011 წლის 11 მაისის ევროპის საბჭოს კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული მაკორდინირებელი ორგანოს როლს. იგი პასუხისმგებელია პოლიტიკის განვითარების კოორდინაციაზე, სამართლებრივი ჩარჩოს განვითარების ჩათვლით, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისკენ მიმართული საქმიანობებისა და პროგრამების დაგეგმვაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე. კომისია აღმასრულებელ ხელისუფლებაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ეროვნულ მექანიზმს წამოადგენს.²⁴

უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარეობს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა საკითხებში, თანათავმჯდომარე კი საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილეა. უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობაში შედიან მინისტრის მოადგილეები, სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

2019 წელს კომისიის მანდატი გაფართოვდა და ამჟამად მოიცავს გენდერული თანასწორობის საკითხების ფართო სპექტრს, მათ შორის – ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობას, ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას, სექსუალურ შევიწროებას, ცალკეული მონაცემების შეგროვებას, გენდერულ მენსტრიმინგს, ბავშვთა ადრეულ/იძულებით ქორწინებას და სხვა. ასევე მონიტორინგს უწევს ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გავრცელებული უშიშროების საბჭოს რეზოლუციების (UNSCR 1325 (2000) და სხვ.) შესრულებას.

კომისია პასუხისმგებელია გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმის და ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გავრცელებული უშიშროების საბჭოს რეზოლუციების (WPS) საფუძველზე ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე, მიღებაზე, განხორციელებაზე და მონიტორინგზე.

აღნიშნულ საკითხებზე მუშაობის გარდა, კომისია მხარს უჭერს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და ქალთა გაძლიერების სფეროში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ეფექტიან ფუნქციონირებასა და კოორდინაციას.

კომისიაში სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობენ სახალხო დამცველის აპარატის, იურიდიული დახმარების სამსახურის, საზოგადოებრივი მაუწყებლის, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, პრეზიდენტისა და უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ კომისიის მუშაობაში უზრუნველყოფილია საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი მონაწილეობა. უწყებათაშორისი კომისია უფლებამოსილია შექმნას საკონსულტაციო ჯგუფი, ასევე – თემატური სამუშაო ჯგუფები და მონივიოს დამოუკიდებელი ექსპერტები. საკონსულტაციო ჯგუფი შეიძლება შეიქმნას უწყებათაშორისი კომისიისთან, რომლის წევრები შეიძლება იყვნენ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი – 2014-2022 წლები

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის დადგენის შემდგომ, მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო მსხვერპლის იდენტიფიცირება, რათა მას შესაძლებლობა მისცემოდა, ესარგებლა სახელმწიფო სერვისებით.

ამ მიზნით, 2014 წელს უწყებათაშორისი საბჭოსთან შეიქმნა მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი, რომელიც შედგებოდა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი 12 წევრისგან. ამ ჯგუფის წევრი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, იურისტი, ექიმი, ფსიქიატრი და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტი. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის საქმიანობაში, დამატებით, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას იღებდა სახალხო დამცველი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი. აღნიშნული ჯგუფის სამდივნოს ფუნქციას ასრულებდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნო.

თუმცა, მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი 2022 წლის დეკემბერში გაუქმდა, მას შემდეგ, რაც განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები და ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის გადაიღაბა სახელმწიფო სერვისებით სარგებლობისთვის მანამდე არსებული ბარიერები.

²⁴ პეკინის დეკლარაციის იმპლემენტაციის მიმოხილვა – საქართველო. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.unwomen.org/sites/default/files/Headquarters/Attachments/Sections/CSW/64/National-reviews/Georgia.pdf>, Georgia, National-level Review of the Implementation of the BPfA Beijing +25, ბოლოს ნანახია [31.07.2023].

2023 წლის ივლისს, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის სხდომის ფარგლებში, შეიქმნა ორი თემატური სამუშაო ჯგუფი:

- ▶ **საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესრულების ხელშეწყობის სამუშაო ჯგუფი;**
- ▶ **ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის სამუშაო ჯგუფი.**

სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან ერთად, ჩართულნი არიან საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1 მარტისა, უწყებათაშორისი კომისია ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშს დასრულებული აქტივობების, გამონვევებისა და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის/პრევენციის შესახებ შესრულებულ აქტივობებთან და სამუშაოებთან დაკავშირებით. წლიური ანგარიში, ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშთან ერთად, განსახილველად წარედგინება ადამიანის უფლებათა საბჭოს და, არაუგვიანეს 31 მარტისა – საქართველოს პარლამენტს. კომისიის ანგარიში საჯაროა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი

ადამიანის უფლებათა სფეროში, მთავრობის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში, აღმასრულებელი ხელისუფლების კოორდინაციას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი, რომელმაც 2023 წლის ივნისიდან ჩაანაცვლა ადამიანის უფლებათა სამდივნო.

აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტი აგრეთვე მუშაობს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის მიმართულებით.

ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი უზრუნველყოფს ეროვნული სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგსა და ანგარიშის მოსამზადებელ სამუშაოებს.

დეპარტამენტი, უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შესრულების ხელშეწყობას, იმპლემენტაციის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართვას, საჭიროების შემთხვევაში, გეგმაში ცვლილებების შესახებ წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებას და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიისთვის წარედგინას.

მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნო

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში 2014 წელს შეიქმნა ადამიანის უფლებათა სამდივნო.²⁵ სახელმწიფო უწყებების კოორდინაციის გარდა, სამდივნო უზრუნველყოფდა სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური წრეებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობას ადამიანის უფლებათა პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების შემუშავების, დანერგვისა და მონიტორინგის პროცესში.

მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნო შესაბამის უწყებებთან, საკანონმდებლო და სასამართლო შტოებთან ერთად ახორციელებდა ეროვნული და საერთაშორისო ანგარიშების მომზადებას.

2023 წლის ივნისში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, შეიკვალა ადამიანის უფლებათა სამდივნოს სტრუქტურა, გაფართოვდა და გარდაიქმნა როგორც ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი, რომელსაც, გარდა ადამიანის უფლებათა სამდივნოსთვის განსაზღვრული ფუნქციებისა, საქმიანობის კიდევ უფრო ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ასევე დაემატა ანალიტიკური სამმართველო. სამმართველოში, კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, ახალი კადრები შეირჩა.

²⁵ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 5 დეკემბრის N459 ბრძანება, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს (სამსახურის) დებულების დამტკიცების თაობაზე.

უნყებათაშორისი კომისიის წინაშე ანგარიშგების მიზნით, დეპარტამენტი უზრუნველყოფს ეროვნული სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგს, რომლის მიზანია, რეგულარულად დამუშავდეს ინფორმაცია სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების თაობაზე. მონიტორინგის ანგარიში იწერება პასუხისმგებელი უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

ეროვნული სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებულ საკითხებზე არსებულ პროგრესთან დაკავშირებით გადამწყვეტილების მიმღებ პირთა და დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებისათვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, მზადდება ანგარიშები, რომლებიც ქვეყნდება ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე²⁶.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის პრიორიტეტულია ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა. მას შემდეგ, რაც 2017 წელს საქართველომ მოახდინა სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება, აღნიშნული კატეგორიის დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა პოლიტიკის დონეზე გახდა პრიორიტეტი. სამინისტრო არაერთ ღონისძიებას ახორციელებს, რაც, ერთი მხრივ, აღნიშნული კატეგორიის დანაშაულების პრევენციისთვის და, მეორე მხრივ, მათზე ეფექტიანი რეაგირებისთვისაა აუცილებელი.

მაკა ფერაძე

შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე (2018-2020)

„გამომდინარე იქიდან, რომ ქალთა მიმართ ძალადობა, ისევე როგორც ოჯახში ძალადობა, არ არის მარტო სამართლებრივი პრობლემა, ის საჭიროებს კიდევ უფრო მეტ ცოდნას, როგორც სამართლებრივ მექანიზმებზე, ასევე გარკვეულ მგრძობელობას პოლიციელების მხრიდან და აქტიურ თანამშრომლობას სხვა სახელმწიფო უწყებებთან.

2017 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ქალთა მიმართ, ისევე, როგორც ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა იმდენად მსხვილი, კომპლექსური და მგრძობიარე თემაა, მხოლოდ კომისია და სამდივნო საკმარისი არ იქნებოდა და, შესაბამისად, დაიწყო ფიქრი, შექმნილიყო სტრუქტურული ერთეული, რომელიც ლეგიტიმურად იქნებოდა ალტერნატიული, როგორც მონიტორინგის, ასევე დახმარების ფუნქციით. სწორედ ამან განაპირობა სრულიად ახალი სტრუქტურული ერთეულის – **ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის შექმნა 2018 წელს**“.

2016 წელს შეიქმნა კოორდინაციის განმახორციელებელი კოლეგიალური პლატფორმა – **შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტთაშორისი კომისია**, რომელსაც ხელმძღვანელობდა მინისტრის მოადგილე. კომისიის მუშაობას უზრუნველყოფდა სამდივნო, რომელიც წარმოადგენდა შუა რგოლს საერთაშორისო დონორებსა და სამინისტროს შორის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით. ყოველი თვის ბოლოს სამდივნოში გროვდებოდა ინფორმაცია შემაკავებელი ორდერების რაოდენობის თაობაზე და იმის თაობაზე, თუ რა პრობლემები იჩენდა თავს, ხორციელდებოდა პრობლემების იდენტიფიცირება და ანალიზი. საბოლოოდ, ყველა ეს საკითხი შემდგომ განიხილებოდა კომისიის შეხვედრაზე.

2018 წელს შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, რომლის მთავარი მისია იყო მონიტორინგის შედეგებზე რეაგირება და რეაგირების ხარისხის გაუმჯობესება. დეპარტამენტი მონიტორინგს ახორციელებს მიღებული შეტყობინებებისა და სისხლის სამართლის საქმეების ელექტრონულად შესწავლის გზით.

²⁶ გთხოვთ იხილოთ: <https://myrights.gov.ge/ka>.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის დეპარტამენტი შედგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისგან:

- **ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო**, რომელიც ახორციელებს მონიტორინგს სისხლის სამართლის საქმეებზე, საგამოძიებო მოქმედებების ოქმებზე, საპროცესო დოკუმენტებზე და რეკომენდაციების შესრულებაზე და მის კომპეტენციას განეკუთვნება ოჯახური დანაშაული, ქალთა მიმართ ძალადობა, დისკრიმინაციის ნიშნით და შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული, არასრულწლოვანის მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაული, ტრეფიკინგი.
- **გამოძიების ხარისხის ანალიზისა და შეფასების სამმართველო**, რომელიც მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, ახორციელებს ანალიზების, რეკომენდაციების და სახელმძღვანელოების მომზადებას. ასევე, გამოძიების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ატარებს კვლევებს, ახორციელებს საერთო ზედამხედველობას მონშისა და დაზარალებულის კოორდინატორების სამსახურზე.
- გარდა ამისა, დეპარტამენტის ფუნქციების ფარგლებში მოქმედებს **გამოძიების ხარისხის მონიტორინგის თბილისისა და რეგიონული სამმართველოები**, რომლებიც ახორციელებენ მონიტორინგს სისხლის სამართლის საქმეებზე, საგამოძიებო მოქმედებების ოქმებზე, საპროცესო დოკუმენტებზე და რეკომენდაციების შესრულებაზე. მათ კომპეტენციას განეკუთვნება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები,²⁷ ასევე სხვა დანაშაულები კრიმინოგენური მდგომარეობის ან/და სისხლის სამართლის პოლიტიკის პრიორიტეტების გათვალისწინებით.

სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის ორი მექანიზმი არსებობს:

- **შიდა კონტროლის მექანიზმი** გულისხმობს დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ყოველდღიურ რეჟიმში, გამოძიების ხარისხის მონიტორინგს, გამოძიების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით;
- **გარე კონტროლის მექანიზმი**, გულისხმობს კონკრეტული შემთხვევების, ინციდენტების, საქმეების შესახებ ინფორმაციის მიღებას არასამთავრობო თუ სხვა ორგანიზაციებისგან, როგორც წერილობით, ისე ზეპირსიტყვიერად. ასევე, შექმნილია ელექტრონული ფოსტა²⁸, რომელზეც არასამთავრობო თუ სხვა ორგანიზაციების/რიგითი მოქალაქეების, ასევე ზოგ შემთხვევაში უშუალოდ მსხვერპლთა მიერ იგზავნება შეტყობინებები იმ შემთხვევების შესახებ, რომლებიც, მათი აზრით, არის პრობლემური, დანაშაულის შემცველი. მომართვებთან დაკავშირებით ხორციელდება დაუყოვნებლივი რეაგირება. ელექტრონულ ფოსტაზე მომართვიანობა ხორციელდება ასევე მოქალაქეთა მიერ. გარდა ელექტრონული კომუნიკაციისა, ზემოაღნიშნული დეპარტამენტის თანამშრომლები აქტიურად ხვდებიან მოქალაქეებს და მათგან იღებენ ინფორმაციას კონკრეტული ფაქტის შესახებ.

2018 წლის 2 სექტემბერს შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის Facebook გვერდი, რომელიც, ერთი მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ქვეყანაში არსებული სამართლებრივი მექანიზმების შესახებ და, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს დეპარტამენტსა და მოქალაქეს შორის ეფექტიან კომუნიკაციას. აღნიშნულ გვერდზე აქტიურად ხორციელდება მოქალაქეთა მომართვიანობა, რა დროსაც, დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, გადამისამართება ხდება შესაბამის საგამოძიებო დანაყოფებში.²⁹

დეპარტამენტის ძალისხმევით, დღემდე აქტიურად მიმდინარეობს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისა და პრევენციის გაუმჯობესებისთვის სიახლეების დანერგვა. ამ ძალისხმევის ხელშეახლებ მათგან წარმოადგენს ელექტრონული მონიტორინგის დანერგვა (ე.წ. ელექტრონული სამაჟურები). მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ცვლილების თანახმად შემუშავდა ელექტრონული მონიტორინგის დაწესების რეგულაცია, პრაქტიკაში არსებობდა გამოწვევები აღნიშნული მეთოდის ფართოდ გამოყენებაზე. დეპარტამენტმა უზრუნველყო პრობლემის დროულად შესწავლა და შეიმუშავა სტრატეგია არსებული ხარვეზის

²⁷ სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 115-ე-118-ე, 120-ე, 126-ე, 150-ე-151¹ მუხლი.

²⁸ ელექტრონული ფოსტის მისამართია: adamianisuflebebi@mia.gov.ge.

²⁹ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 14 აგვისტოს წერილი N MIA 6 23 02358099.

აღმოსაფხვრელად. შეიცვალა რისკის შეფასების მეთოდოლოგია და ელექტრონული მონიტორინგის გამოყენების წესი. ჩატარდა ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები საზოგადოებისათვის, რამაც საგრძნობლად გაზარდა ელექტრონული მონიტორინგის გამოყენების რაოდენობის მაჩვენებლები.

მაკა ფერაძე

შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე (2018-2020)

„შინაგან საქმეთა სამინისტრომ საკმაოდ კარგად იმუშავა და არაერთი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიშებში აღინიშნებოდა ამ დეპარტამენტის წვლილი, რაც გამოხატული იყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში, ასევე ნდობის გაღვივებაში პოლიციის მიმართ!

შემიძლია თამამად ვთქვა, რომ დეპარტამენტის არსებობამ გაამართლა, რისი კარგი მაგალითიც ასევე არის ის, რომ ერთ წელიწადში დეპარტამენტის მანდატი გაფართოვდა.“

2019 წლიდან დეპარტამენტი, გარდა ხუთი პრიორიტეტული მიმართულებისა³⁰, უზრუნველყოფს დროულ რეაგირებას და მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობას კომპეტენციით გათვალისწინებულ ისეთ დანაშაულებზე, როგორებიცაა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.

დეპარტამენტი, კომპეტენციის ფარგლებში, ასევე უზრუნველყოფს დანაშაულების გამოძიების მეთოდოლოგიის შემუშავებასა და პრაქტიკაში დანერგვას, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით, შეიმუშავებს წინადადებებს და წარუდგენს სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, მოსამსახურეთა გადამზადების/კვალიფიკაციის ამაღლების წინადადებით მიმართავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას, ახორციელებს მონშისა და დაზარალებულის კოორდინატორთა საქმიანობის კოორდინაციას, სამინისტროს უფლებამოსილ ქვედანაყოფს მიმართავს წინადადებით საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების შესახებ, უზრუნველყოფს საქართველოს სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესწავლა-ანალიზს.³¹

საქართველოს პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი

გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება, გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება ორგანიზაციის პოლიტიკასა და საქმიანობაში საქართველოს პროკურატურისთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს პროკურატურის, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული ინსტიტუციურად დამოუკიდებელი, ძლიერი და მიუკერძოებელი უწყების რეფორმირების, მათ შორის გენდერული საკითხების ეფექტური მეინსტრიმინგის პროცესში.³²

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში განხორციელებული რეფორმის შედეგად, სამართალდამცავ ორგანოებში ადამიანის უფლებების გაძლიერების, ასევე საერთაშორისო სტანდარტების ეფექტიანად იმპლემენტაციის, საქართველოს პროკურატურის სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების ჯეროვნად შესრულების,

³⁰ ოჯახური დანაშაული, ქალთა მიმართ ძალადობა, დისკრიმინაციის ნიშნით და შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული; ტრეფიკინგი; არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაული.

³¹ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N11, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 4. 2019. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4472026?publication=0> [ბოლოს ნანახია 12.09.2023]

³² დეპარტამენტის დებულება საჯაროდ ხელმისაწვდომია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე, შემდეგ მისამართზე: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/5401545/0/ge/pdf>.

ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით პროკურორთა საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საპროკურორო საბჭოს რეკომენდაციითა და გენერალური პროკურორის 2022 წლის 4 მარტის N008 ბრძანებით, ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო³³ გაძლიერდა და დეპარტამენტად გარდაიქმნა.

ნათია მერებაშვილი

საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე (2020 წლიდან დღემდე)

„ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის შექმნას წინ უძღოდა საქართველოს პროკურატურაში განხორციელებული რეფორმა და საპროკურორო საბჭოს რეკომენდაციები, ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს გაძლიერებისა და დეპარტამენტად გარდაქმნის თაობაზე.

დეპარტამენტის ფორმირების პროცესში, ასევე გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციები. აღნიშნულ პროცესს წინ უძღოდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს მჭიდრო თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა დამცველ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.“

ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს შემდეგ აქტივობებს: სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობა, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების განხილვა, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების, ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის, ფემიციდის დანაშაულების, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების მიმართ განხორციელებული დანაშაულების, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ადამიანის უფლებათა დარღვევის სხვა დანაშაულებზე ეფექტიანი საპროკურორო ზედამხედველობა, სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგი, სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება, პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება, ტრენინგების ჩატარება, სასწავლო კურსების შემუშავება, ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით სამოქმედო გეგმებისა და სტრატეგიების შემუშავებისა და შესრულების შესახებ ანგარიშების მომზადება, კორესპონდენციის განხილვა და სხვ.

გარდა ამისა, დეპარტამენტის ფუნქციას წარმოადგენს საქართველოს პროკურატურაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე ორიენტირებული სტრატეგიის, სამოქმედო გეგმებისა და ღონისძიებების ეფექტიანად დაგეგმვა და განხორციელება, სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის ეფექტიანი აღსრულება.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ ფარგლებში და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, 2021 წელს საქართველოს პროკურატურაში თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი ჩატარდა, რომლის ფარგლებშიც ექსპერტებმა შეაფასეს, რამდენად პასუხობს საქართველოს პროკურატურის საქმიანობა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და გენდერული მინისტრისთვის შესახებ ქვეყნის მიერ საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე აღებულ ვალდებულებებს. ასევე, პროკურატურის პოლიტიკის გენდერული ანალიზის საფუძველზე, აღნიშნული პოლიტიკის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანი რეკომენდაციები შემუშავდა.

გენდერული აუდიტით განსაზღვრული რეკომენდაციის საფუძველზე, საქართველოს პროკურატურაში გენდერული თანასწორობის სტრატეგიის, სამოქმედო გეგმისა და ღონისძიებების ეფექტიანად დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, შეიქმნა გენდერულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფი.

³³ პროკურატურაში ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო 2012 წლიდან ფუნქციონირებდა.

ნათია მერებაშვილი

საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე (2020 წლიდან დღემდე)

„ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის საქმიანობაში, სხვა მნიშვნელოვან მიმართულებებთან ერთად, განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს პროკურატურის გენდერული ორგანიზაციული პოლიტიკის გაუმჯობესება. დეპარტამენტის მნიშვნელოვან მიმართულებას საქართველოს პროკურატურაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე ორიენტირებული სტრატეგიის, სამოქმედო გეგმისა და ღონისძიებების ეფექტიანად დაგეგმვა და განხორციელება, სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის ეფექტიანი აღსრულება წარმოადგენს. გენერალური პროკურორის ბრძანებით, დამტკიცდა პროკურატურის 2022-2027 წლების გენდერული თანასწორობის სტრატეგია და 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა.“

აღნიშნული პროცესი მოიცავდა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო უწყებებთან და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას. სტრატეგიის ხედვა გენდერულად მგრძობიარეა და მოიცავს დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოს ხელშეწყობას, ქალებისა და კაცების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას და გენდერულად მგრძობიარე მართლმსაჯულების განხორციელებას.“

საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების განვითარების სტრატეგიით პროკურატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციად საზოგადოების ნდობის ამაღლება წარმოადგენს, აღნიშნული მიმართულებით ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტს განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია. დეპარტამენტის პრიორიტეტულ მიმართულებას საზოგადოების წარმომადგენლებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება წარმოადგენს.

საზოგადოების პროაქტიული ინფორმირების მიზნით, საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდს დაემატა „ადამიანის უფლებების“ სპეციალური სექცია, სადაც თემატურად განთავსდა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მიერ მომზადებული ანგარიშები 2014 წლიდან დღემდე.

ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად, „ადამიანის უფლებების“ სპეციალურ ტაბში განთავსებული პრაქტიკული ღირებულების მქონე სტატისტიკური მონაცემები და ანალიზები ითარგმნა ინგლისურ ენაზე. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა მიეცა, ქართულ და ინგლისურ ენებზე გაეცნოს ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის, ფემიციდისა და შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების, არასათანადო მოპყრობის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და შშმ პირების მიმართ ჩადენილი ძალადობის სეგრეგირებულ სტატისტიკურ მონაცემებსა და არსებულ ტენდენციებს.

საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე, საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით, პროაქტიულად ქვეყნდება ინფორმაცია ადამიანის უფლებათა დაცვისა და ცალკეული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მხრიდან განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ელექტრონული ფოსტაა humanrights@pog.gov.ge, რომლის მეშვეობით, დეპარტამენტის წარმომადგენლებს უკავშირდებიან სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები; პროკურორები ყოველდღიურ რეჟიმში მონიტორინგს უწევენ ფოსტაზე შემოსულ კორესპონდენციას და ეკონტაქტებიან დაინტერესებულ პირებს.³⁴

საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილის, ნათია მერებაშვილის განცხადებით, ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მრავალმხრივი ფუნქციიდან გამომდინარე, ყოველდღიური საქმიანობის ეფექტიანად შესრულების, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში ადამიანის უფლებების მიმართულებით ინოვაციური მიდგომებისა და პროკურორების განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვის თვალსაზრისით, დაგეგმილია კვალიფიციური ადამიანური რესურსის მობილიზება.

³⁴ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 11 სექტემბრის წერილი N13/61691.

დამოუკიდებელი ინსტიტუტები

აღნიშნულ თავში მიმოხილულია დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვასა და აღსრულების პროცესში, როგორც სახელმწიფო ასევე ინსტიტუციურ დონეზე.

კერძოდ, აღნიშნულ თავში განხილულია საქართველოს სახალხო დამცველისა და საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ზედამხედველობას ახორციელებს სახალხო დამცველი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად წარმოადგენს დამოუკიდებელ ინსტიტუტს.³⁵ სახალხო დამცველი საკუთარი მანდატის ფარგლებში ზედამხედველობას უწევს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საჯარო დაწესებულებებსა და თანამდებობის პირებს. სახალხო დამცველი საკუთარი მანდატის ფარგლებში საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშებს, წინადადებებსა და რეკომენდაციებს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიზნით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტს 2018 წლიდან მინიჭებული აქვს A სტატუსი, რაც გაეროს პარიზის პრინციპებთან საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტის სრულ შესაბამისობას გულისხმობს.³⁶

გენდერული თანასწორობის კუთხით ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ზედამხედველობას სახალხო დამცველი ახორციელებს გენდერის დეპარტამენტის მეშვეობით, რომელიც 2013 წელს, ბავშვთა და ქალთა უფლებათა დაცვის ცენტრის ბაზაზე შეიქმნა.³⁷ ამასთანავე, სახალხო დამცველის აპარატი წარმოადგენს ერთ-ერთ მონიშნავ უწყებას, რომელიც ინსტიტუციურ დონეზე აქტიურად უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირებას საკუთარ საქმიანობაში.³⁸

დამოუკიდებელი უწყებების მიმოხილვისას, ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის როლი ინკლუზიური და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფაში. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ გარდა საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრული თანასწორობის პრინციპების აღსრულებისა, კომისია ასევე აქტიურად უწყობს ხელს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დანერგვას საარჩევნო ადმინისტრაციის დონეზე.

საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტი

სახალხო დამცველი (ომბუდსმენი) კონსტიტუციური ორგანოა, რომელიც ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას. სახალხო დამცველისთვის განცხადებით ან საჩივრით მიმართვა თითოეულ ინდივიდს შეუძლია, როდესაც ირღვევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მათი ან სხვისი უფლებები და თავისუფლებები. შესაბამისად, მსგავს ორგანოში გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვა და განვითარება უმნიშვნელოვანესია ქვეყანაში თანასწორობის პოლიტიკის დამკვიდრების ხელშეწყობის კუთხით.

სახალხო დამცველის აპარატის მნიშვნელოვან სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს გენდერის დეპარტამენტი, რომელიც 2013 წელს შეიქმნა. დეპარტამენტი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, შესაბამისი საერთაშორისო კონვენციებითა და ხელშეკრულებებით, საქართველოს ორგანული კანონით „საქარ-

³⁵ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 35, იხ. ბმული: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>, ნანახია: 23/11/2023.

³⁶ საქართველოს სახალხო დამცველის მანდატი, იხ. ბმული: <https://www.ombudsman.ge/geo/mandati>, ნანახია: 23/11/2023.

³⁷ საქართველოს სახალხო დამცველი, გენდერის დეპარტამენტი, იხ. ბმული: <https://ombudsman.ge/geo/departamentis-shesakheb>, ნანახია: 23/11/2023.

³⁸ საქართველოს სახალხო დამცველი, გენდერული მენისტრიმინგი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში, იხ. ბმული: <https://ombudsman.ge/geo/genderuli-meinstrimingi-sakhalkho-damtsvelis-apatshi>, ნანახია: 23/11/2023.

თველოს სახალხო დამცველის შესახებ“³⁹, „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დებულებით“ და გენდერული თანასწორობის სფეროში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

დეპარტამენტის შექმნის გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, არსებულ გამოწვევებზე ეფექტიანი რეაგირების მექანიზმის შექმნის მიზნით იქნა მიღებული, ხოლო, მეორე მხრივ, სახალხო დამცველის აპარატმა მიზნად დაისახა გენდერული თანასწორობის საკითხების მენისტრინგი.

ეკატერინე სხილაძე

საქართველოს სახალხო დამცველის ყოფილი მოადგილე (2016-2022 წწ.)

„გამომდინარე იქიდან, რომ სახალხო დამცველის აპარატში გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით ხორციელდებოდა პროექტი ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ამ პროექტის განხორციელებამ კიდევ უფრო გამოაჩინა ქვეყანაში არსებული გამოწვევები, გაიზარდა მიმართვიანობა სახალხო დამცველის აპარატისადმი და მიღებულ იქნა სტრატეგიული გადაწყვეტილება ცალკე შექმნილიყო გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი.“

გენდერის დეპარტამენტი ზედამხედველობს თანასწორობის კუთხით ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას; უზრუნველყოფს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით, ახორციელებს კვლევებს, შეისწავლის, გენდერული ნიშნით ჩადენილი უფლებადარღვევის ფაქტებს და ამზადებს შესაბამის დასკვნებს / რეკომენდაციებს / წინადადებებს.

დეპარტამენტის ფარგლებში შემუშავდა გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, მოხდა თანამშრომელთა გადამზადება, რაც, რესპონდენტის აზრით, ერთგვარი წარმატებული მაგალითი გახდა სხვა სახელმწიფო უწყებებისთვის: დეპარტამენტის შექმნამ არა მხოლოდ ინსტიტუციური მენსიერების შექმნას შეუწყო ხელი, არამედ, ზოგადად გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობას ქვეყანაში.

დეპარტამენტი აქტიურად უზრუნველყოფს გენდერულ მენისტრინგს სახალხო დამცველის აპარატში, შეიმუშავებს და სამ წელიწადში ერთხელ აახლებს გენდერული თანასწორობის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას. 2014 წელს დეპარტამენტმა დაამტკიცა პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი სექსუალური შევიწროების პრევენციისათვის, რომელიც 2017 წელს განახლდა.

სახალხო დამცველის ყოფილი მოადგილე აღნიშნავს, რომ დეპარტამენტის საქმიანობა შეზღუდული ადამიანური რესურსებით დაიწყო, თუმცა ამჟამად დეპარტამენტს სრული მხარდაჭერა აქვს. აღნიშნულს ეთანხმება, სოფიო რუსეციც, სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, თუმცა დეპარტამენტის გამოწვევებზე საუბრისას იგი ხაზს უსვამს ადამიანური რესურსების სიმცირეს. ამჟამად გენდერის დეპარტამენტში 3 თანამშრომელია, თუმცა სოფიო დადებითადაა განწყობილი და იმედოვნებს, რომ აღნიშნული საკითხიც მალე მოგვარდება.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდეგ, რაც 2014 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი⁴⁰, მისი აღსრულების მონიტორინგის ფუნქცია სახალხო დამცველს მიენიჭა. შესაბამისად, იმავე წელს ჩამოყალიბდა თანასწორობის დეპარტამენტი, რომელიც, უზრუნველყოფს რა დისკრიმინაციის ფაქტების შესწავლას, შეიმუშავებს საკანონმდებლო წინადადებებს, ახორციელებს ცნობიერების ამაღლების კამპანიებს, აღრიცხავს სტატისტიკურ მონაცემებს და გამოსცემს სპეციალურ ყოველწლიურ ანგარიშს.

სახალხო დამცველის მრავალმხრივი საქმიანობიდან აღსანიშნავია ფემიციდის მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში 2016 წელს შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ მექა-

³⁹ საქართველოს პარლამენტი. 2020. ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33034?publication=27> [ბოლოს ნანახია: 30.07.2023].

⁴⁰ საქართველოს პარლამენტი. 2014. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=3> [ბოლოს ნანახია: 30.07.2023].

ნიმის შექმნას წინ უძღოდა ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის, დუბრაჟკა სიმონოვიჩის 2015 წლის მიმართვა⁴¹, რომელშიც მან სახელმწიფოებს მოუწოდა, გაეძლიერებინათ ძალისხმევა ფემიციდის შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით და დაენერგათ შესაბამისი ზედამხედველობის სისტემა. შედეგად, ფემიციდის მონიტორინგის მექანიზმის ფარგლებში, შემუშავდა შესაბამისი მეთოდოლოგია, რომლის მეშვეობითაც სახალხო დამცველის აპარატი ყოველწლიურად უზრუნველყოფს ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობების, მკვლელობის მცდელობისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეების ანალიზს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს.

სახალხო დამცველი და განსაკუთრებით გენდერის დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს როგორც გენდერული პოლიტიკის განმსაზღვრელ და აღმსრულებელ სახელმწიფო უწყებებთან, აგრეთვე საერთაშორისო თუ ადგილობრივ ორგანიზაციებთან. შედეგად, წლების განმავლობაში სახალხო დამცველის გენდერის დეპარტამენტის მიერ მომზადებული წინადადებების/რეკომენდაციების გაზიარებით კანონმდებლობაში განხორციელდა არაერთი ცვლილება, მათ შორის ქალთა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამართლებრივი დაცვის მიმართულებით.

ეკატერინე სხილაძე გენდერის დეპარტამენტის არაერთ მიღწევაზე საუბრობს, არა მხოლოდ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მონიტორინგის მიმართულებით, არამედ რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხითაც:

„სახალხო დამცველის აპარატმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყანაში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების მონიტორინგის და არსებული პრაქტიკების გაუმჯობესებაში. აპარატის მიერ მომზადებული კვლევები და მონიტორინგის ანგარიშები არაერთი პოზიტიური ცვლილების საფუძველი გახდა. მაგალითად, ანტენატალური ვიზიტების რაოდენობა 4 – დან გაიზარდა 8 ვიზიტამდე, შემუშავდა სასწავლო კურსი ფსიქო-სოციალური საჭიროებების მქონე ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე და სხვა“.

გარდა ამისა, რესპონდენტის აზრით, სახალხო დამცველის უნიკალური მანდატი შესაძლებლობას იძლევა, შეფასდეს არსებული სერვისები მონიტორინგის გზით და მომზადდეს შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზეც, მაგალითად, სახელმწიფო თავშესაფრებში არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა. ასევე, სახალხო დამცველის წინადადების საფუძველზე 2014 წელს შეიცვალა ქორწინების რეგისტრაციის წესი და საქორწინო ასაკად განისაზღვრა 18 წელი ყოველგვარი გამოწვევების გარეშე, რაც ხელს უწყობს ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციას.

სახალხო დამცველი აქტიურად მუშაობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე როგორც საინფორმაციო შეხვედრების სახით, ასევე – ტრენინგებისა და სემინარების ჩატარებით. აპარატმა შეიმუშავა ელექტრონული კურსები⁴², რომლის გავლაც გარკვეულ სამთავრობო უწყებებში დასაქმებული პირებისთვის სავალდებულოა. კურსები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: გენდერული თანასწორობა, დისკრიმინაცია, სექსუალური შვიწროების აღმოფხვრა სამუშაო ადგილზე, ქალთა გაძლიერების პრინციპები და სხვა.

2015 წლიდან მოყოლებული, სახალხო დამცველი აქტიურად მიუთითებდა, ერთი მხრივ, მისი მანდატის გაძლიერების, მეორე მხრივ კი – რიგი მატერიალურ-სამართლებრივი ცვლილებების განხორციელების აუცილებლობაზე. მათ შორის, სახალხო დამცველმა, ანტიდისკრიმინაციული კანონის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით მიმართა მასში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ამის საპასუხოდ, 2019 წლის მაისში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა; კერძოდ:

⁴¹ გაერო. 2015. გაეროს სპეციალური მომხსენებლის მიმართვა ხელმისაწვდომია გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისის გვერდზე, შემდეგ ბმულზე: <https://www.ohchr.org/en/statements/2015/11/special-rapporteur-violence-against-women-its-causes-and-consequences-dubravka-0> [ბოლოს ნანახია: 31.07.2023].

⁴² ელექტრონული კურსები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://ombudsman.ge/geo/elektronuli-kursebi> [ბოლოს ნანახია: 31.07.2023].

- შევინროება და სექსუალური შევინროება განისაზღვრა დისკრიმინაციის ფორმებად;
- სახალხო დამცველის მანდატს დაემატა გაცემული რეკომენდაციების სასამართლოს გზით შესრულების შესაძლებლობა;
- 2020 წლიდან, გონივრულ მისადაგებაზე უარი განისაზღვრა, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის ფორმა.
- 2019 წლის მაისში, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონით, კერძო სამართლის პირები საჯარო სამართლის პირების მსგავს სამართლებრივ რეგულირებაში მოექცნენ. კერძოდ, განისაზღვრა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების ვალდებულება, სახალხო დამცველს სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის შესწავლისთვის საჭირო ინფორმაცია მიაწოდონ.
- სახალხო დამცველს მიენიჭა უფლებამოსილება, მისი რეკომენდაციის შესრულების მოთხოვნით, საჯარო უწყებების მსგავსად, კერძო სამართლის იურიდიული პირის ან პირთა გაერთიანების წინააღმდეგაც მიმართოს სასამართლოს.
- ასევე, დისკრიმინაციის საქმეებთან დაკავშირებით სასამართლოსთვის მიმართვის ვადა 3 თვიდან ერთ წლამდე გაიზარდა.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის (ცესკო) გენდერული თანასწორობის საბჭო

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია (შემდგომში ცესკო), როგორც სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი ორგანო, ვალდებულია პოლიტიკური ნების გამოხატვის თანასწორი შესაძლებლობა მისცეს როგორც მამაკაცებს, ისე – ქალებს და ყველა მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელს.

საარჩევნო ადმინისტრაცია აგრეთვე პასუხისმგებელია, შეამოწმოს გენდერულ კვოტებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმების განხორციელება. კონკრეტულად, შესაბამისი საერთო არჩევნებისას, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მოწმდება, თუ რამდენად შეესაბამება პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილი კანდიდატთა სიები გენდერული კვოტირების საკანონმდებლო მოთხოვნებს.

გენდერული სტატისტიკის მუდმივ წარმობასა და საგანმანათლებლო თუ სასწავლო პროგრამებში გენდერული კომპონენტის გათვალისწინებასთან ერთად, საარჩევნო ადმინისტრაცია წლების განმავლობაში ახორციელებს ქალთა ჩართულობის მხარდაჭერ მიზნობრივ სწავლებებს. კონკრეტულად, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობით ტარდება ტრენინგები პოტენციური ქალი კანდიდატებისთვის, მათი არჩევით ორგანოებში წარმომადგენლობის გაზრდის ხელშესაწყობად.⁴³

ბოლო პერიოდის განმავლობაში ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) აქტიურად მუშაობს ინსტიტუციური ხედვის და გენდერული პოლიტიკის შემდგომი განვითარების მიმართულებით, რომელსაც დაეფუძნება სათანადო სამომავლო სტრატეგია და კონკრეტული სამოქმედო გეგმა.

თუმცა გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობა თავიდანვე მარტივი არ ყოფილა:

თამარ ჟვანია

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე 2013-2021 წლებში

„გამოწვევას წარმოადგენდა საკითხის მნიშვნელობის გააზრება და არაერთგვაროვანი აღქმა. იქიდან გამომდინარე, რომ ცესკო მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებდა კომისიური წესით და არა ერთპიროვნულად, საკმაოდ რთული აღმოჩნდა კომისიის წევრების ჩართულობა ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც გენდერულ მიდგომებს დაამკვიდრებდა საარჩევნო ადმინისტრაციაში და ხელშემწყობი იქნებოდა გენდერული თანასწორობის განვითარების თვალსაზრისით.“

⁴³ ინტერვიუ თამარ ჟვანიასთან, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე 2013-2021 წლებში.

სწორედ საარჩევნო პროცესებში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, 2011 წელს ცესკომ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი კომისია დააარსა, რომელიც მოგვიანებით საბჭოდ გარდაიქმნა.

აღნიშნული საბჭო პასუხისმგებელია საარჩევნო ადმინისტრაციაში გენდერული პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებაზე. იგი დაკომპლექტებულია ცესკოს სტრუქტურული ერთეულების უფროსებისა და თანამშრომლებისგან, ცესკოს როგორც პროფესიული ნიშნით არჩეული წევრისგან, ასევე პოლიტიკური პარტიის მიერ დანიშნული წევრებისგან. საბჭოში ასევე შედის ცესკოს სწავლების ცენტრის დირექტორი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის (უსკო) თავმჯდომარე და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები; ჯამში საბჭო 12 წევრისგან⁴⁴ შედგება.

თამარ ჟვანია

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე 2013-2021 წლებში

„21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში გენდერული თანასწორობის საკითხები აქტუალურად განიხილებოდა საერთაშორისო დონეზე და ამ მხრივ არსებული შეუსაბამობები საკმაოდ ცხადად გამოიკვეთა ჩვენს ქვეყანაში. თავის მხრივ, საარჩევნო ადმინისტრაციამ გააცნობიერა, რომ გენდერული თანასწორობა მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო მოქალაქეთა პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით, საქართველოს დემოკრატიისა და გრძელვადიანი განვითარებისთვის. შესაბამისად, ჩვენ გადავდგით პირველი ნაბიჯები საარჩევნო პროცესებში გენდერული თანასწორობის დამკვიდრების მიმართულებით და ამ მიზნით, 2011 წელს ცესკომ დააარსა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი კომისია, რომელსაც მოგვიანებით დაერქვა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭო“.

წლების განმავლობაში, გარდა ქალი ხელმძღვანელებისა, საბჭოს ჰყავდა კაცი ხელმძღვანელებიც, რომელთა საქმიანობა, ქალბატონი თამარის შეფასებით, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე პროდუქტიული და ნაყოფიერი აღმოჩნდა: „ეს კი თავისთავად ხაზგასასმელი ფაქტია და მიუთითებს კაცების ჩართულობის მნიშვნელობაზე გენდერული თანასწორობის საკითხებში“.

საბჭომ, როგორც ახლადშექმნილმა ინსტიტუციამ, არაერთი გამოწვევა გადალახა:

„პირველ ეტაპზე მთავარი გამოწვევა იყო გენდერული საკითხების სიღრმისეული ცოდნის დეფიციტი, არსებული გამოწვევების გააზრების და საჭიროებების სწორად აღქმის უნარი, რომელსაც დაეფუძნებოდა კონკრეტული მექანიზმები თუ გენდერული მიდგომები, რასაც საარჩევნო ადმინისტრაცია გამოიყენებდა საქმიანობების განხორციელებისას“, – იხსენებს თამარ ჟვანია.

აღნიშნულ გამოწვევებთან გასამკლავებლად საარჩევნო ადმინისტრაციას მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს ისეთმა პარტნიორმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორებიცაა ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში (CoE) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES). ექსპერტულ მხარდაჭერასთან ერთად, მათ განახორციელეს სისტემური ტრენინგები და გადამზადება გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით. საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერითა და ცესკოს გენდერული თანასწორობის საბჭოს აქტიური მუშაობით შეძლო ცესკომ 2016 წელს შეექმნა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკა.

ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, ცესკო აღიარებს გენდერული თანასწორობის პრინციპებს და აცხადებს, რომ მის მიერ შექმნილი ყველა დოკუმენტი თუ განხორციელებული საქმიანობა შესაბამისობაში იქნება ამ პრინციპებთან და საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან. აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტი⁴⁵ 3 ამოცანისაგან შედგება:

⁴⁴ საბჭოს გენდერული შემადგენლობა შემდეგია: 9 ქალი და 3 კაცი.

⁴⁵ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია. 2022. გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტი. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://cesko.ge/ge/chven-shesakheb/saarchevno-administratsiis-genderuli-tanastorobis-politika> [ბოლოს ნანახია: 31.07.2023].

- საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება გენდერული უთანასწორობის პრევენციისა და საარჩევნო პროცესში ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობისთვის;
- ინსტიტუციური პრაქტიკისა და პოლიტიკის დანერგვა გენდერული თანასწორობის მიღწევისა და სამუშაო ადგილებზე ქალების გაძლიერებისთვის;
- პროგრამების შემუშავება და მათში დაინტერესებული მხარეების ჩართვა საარჩევნო პროცესში გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად და ქალთა გასაძლიერებლად.

აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად ცესკო არაერთი მიმართულებით საქმიანობს, როგორც ადმინისტრაციის შიგნით, ასევე მის გარეთ. კერძოდ, ადმინისტრაციაში უზრუნველყოფს თანამშრომლებისა და ადმინისტრაციის წევრების ცნობიერების ამაღლებას გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით, ითვალისწინებს გენდერული ბალანსის დაცვას თანამშრომელთა კარიერული განვითარების პროცესში, ნერგავს გენდერულად მგრძობიარე მიდგომებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში. მეორე მხრივ, საარჩევნო პროცესებში ქალთა მონაწილეობის ხელშესაწყობად, სისტემურად ახორციელებს ამომრჩეველთა საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიებს, თანამშრომლობს პოლიტიკურ პარტიებთან გენდერული თანასწორობის საკითხების შესახებ დისკუსიების ორგანიზების გზით, აწარმოებს კონსულტაციებს თემთან მომუშავე ადგილობრივ ორგანიზაციებთან და უზრუნველყოფს გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის შეგროვებას.

სწორედ, გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის შეგროვება იძლევა არჩევნების გენდერულ ჭრილში გაანალიზებისა და ქალთა პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის პროგრესის შეფასების საშუალებას. აღნიშნული მექანიზმის ცესკოში დანერგვის ინიციატივა ქალბატონ თამარ ჟვანიას ეკუთვნის.

თამარ ჟვანია

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე 2013-2021 წლებში

„2014 წელს, მე, როგორც ცესკოს თავმჯდომარე, მქონდა ინიციატივა საერთო არჩევნებზე დაგვემუშავებინა ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციისა და ამომრჩევლების გენდერული სტატისტიკა, მათ შორის – არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ჭრილში, რასაც დიდი დისკუსია და უთანხმოება მოჰყვა ცესკოს ცალკეული წევრის მხრიდან, რომელთაც აღნიშნული სტატისტიკა მიაჩნდათ უსარგებლოდ, ზედმეტ პროცედურულ ტვირთად და ვერ ხედავდნენ მის საჭიროებას. აღნიშნული ინიციატივის გატანას და დამკვიდრებას დასჭირდა რამდენიმე შიდა სამუშაო შეხვედრა კომისიის წევრებთან, სანამ სრული კონსენსუსი არ იქნა მიღწეული ამ საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, 2014 წლიდან ცესკომ მიიღო გადაწყვეტილება და დაიწყო გენდერული სტატისტიკის დამუშავება, მათ შორის – როგორც სიებში რეგისტრირებული ამომრჩევლების, ისე – არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლებისა“.

აღნიშნული პროცესი არც პროცედურულად ყოფილა მარტივი, რადგან ადმინისტრაცია არჩევნების დღეს ხელით ახორციელებდა ამომრჩეველთა სიებში მონაწილე ამომრჩევლების ვერიფიკაციას. ქალბატონი თამარის შეფასებით, აღნიშნული გადაწყვეტილება იმ დროისთვის პრეცედენტული იყო, ვინაიდან, მსოფლიოს დონეზე, მხოლოდ ის ერთეული საარჩევნო ადმინისტრაციები აწარმოებდნენ გენდერულ სტატისტიკას, რომლებიც არჩევნების დღეს, არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლების რეგისტრაცია/ვერიფიკაციისთვის იყენებდნენ ელექტრონულ ტექნოლოგიებს.

შესაბამისად, სწორედ 2014 წლიდან საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციამ გამორჩეულად აქტიურად დაიწყო გენდერულ საკითხებზე მუშაობა და ყველა ჩატარებული არჩევნებისთვის აწარმოებდა გენდერულ სტატისტიკას, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია აღმოჩნდა სხვადასხვა ჩართული მხარისთვის.

2014 წლის ამ ზემოაღნიშნული ინიციატივის კულმინაციად შეიძლება ჩაითვალოს მომენტი, როცა 2020 წელს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ბაზაზე გენდერული პორტალი⁴⁶ შეიქმნა. აღნიშნული მექანიზმი იძლევა არჩევნების შედეგების

⁴⁶ ცესკოს გენდერული პორტალი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://genderstatistics.cec.gov.ge/> [ბოლოს ნანახია: 31.07.2023].

შესაძლებლობას, სტატისტიკური მონაცემები წარმოდგენილია როგორც პროცენტულად, ასევე რიცხობრივად, პორტალი ორენოვანია (ქართული, ინგლისური) და მოიცავს 2014-2023 წლებიდან დღემდე არსებულ გენდერულ სტატისტიკას ამომრჩეველთა რაოდენობის, პარტიების, დამკვირვებლების, მედიის წარმომადგენლების და საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლების შესახებ (ცესკო, ოლქი).

ფაქტია, გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის ფარგლებში, საარჩევნო ადმინისტრაციამ წლების განმავლობაში საკმაოდ მნიშვნელოვანი საქმეები განახორციელა, თუმცა საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპები და უთანასწორობა კვლავ რჩება სერიოზულ გამოწვევად, მათ შორის, ქალთა წარმომადგენლობისა და აქტიური ჩართულობის თვალსაზრისით.

„ასევე, მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ სამომავლოდ მეტი ყურადღება დაუთმოს საარჩევნო პროცესში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის, ძალადობისა და შევიწროების ფაქტებს და არჩევნებში ჩართულ მხარეებთან ერთად იმუშაოს მათ პრევენციასა და აღმოფხვრაზე“, – აღნიშნავს ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე.

სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია, საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერულმა საბჭომ სამომავლოდ მეტად ითანამშრომლოს არჩევნებში ჩართული სხვადასხვა მხარეებისა თუ ინსტიტუციების გენდერულ საბჭოებთან, რათა ერთობლივი დისკუსიის ფარგლებში საჭიროებების იდენტიფიცირება მოხდეს და მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაიგეგმოს სამომავლო აქტივობები.

სასამართლო ხელისუფლება

სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებელ შტოს წარმოადგენს, რომელიც კანონით განსაზღვრული წესით უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. საერთო სასამართლოებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საქმეებზე ისეთი პრაქტიკის დანერგვაში, რომელიც ხელს შეუწყობს აღნიშნული დანაშაულების მაჩვენებლის შემცირებას.

სტამბოლის კონვენციის რატიფიკაციის კვალდაკვალ, 2017 წლიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება სწორედ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ არსებული საერთო სასამართლოების პრაქტიკის შესწავლა და მათი გაანალიზებაა საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში, მათ შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში – გაერო) ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციით (CEDAW), ევროპის საბჭოს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენციითა და სხვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კუთხით⁴⁷.

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებას, ასეთი შემთხვევების გამოვლენას და შესაბამის რეაგირებას, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფენ სასამართლო ორგანოები.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს აქვს უფლებამოსილება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, ძალადობის მსხვერპლის დაცვის მიზნით, გამოსცეს დამცავი ორდერი.

დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები.

⁴⁷ „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები (დამცავი ორდერები)“, საქართველოს უზენაესი სასამართლო, ანალიტიკური განყოფილება, კვლევისა და ანალიზის ცენტრი, თბილისი, 2023, გვ.6. ხელმისაწვდომია შემდეგ ბუღზე: <https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/ANALITIKURI/qalta mimart da ojaxshi dzaladoba-2023.pdf>, [ბოლოს ნანახია: 21.09.2023].

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირის (მოძალადის) მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების (სისხლისსამართლებრივი შექა-ნიშების) გამოყენება არ აფერხებს ძალადობის შედეგად დაზარალებული პირის (მსხვერპლის) დაცვის უზრუნ-ველსაყოფად დამცავი ორდერის ან შემაკავებელი ორდერის გამოცემას.

თუ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირის (მოძალადის) მიმართ სისხლისსა-მართლებრივი დევნა დაწყებულია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ან/და ოჯახური დანაშა-ულის ბრალდებით და გამოყენებულია არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება, უფლებამოსილი სასამართლო სის-ხლის სამართალწარმოების წესით განიხილავს და წყვეტს ძალადობის შედეგად დაზარალებული პირის (მსხვერ-პლის) დაცვის უზრუნველსაყოფად მოძალადის მიმართ შემზღუდავი ღონისძიებების გამოყენების საკითხს.⁴⁸

აღსანიშნავია, რომ დამცავი ორდერი უნდა ითვალისწინებდეს მოძალადის მიერ ძალადობრივი დამოკიდე-ბულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლას.

ხაზგასმელია, რომ ბოლო წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების კვალდაკ-ვალ, პროგრესულად ვითარდება სასამართლო პრაქტიკაც.

სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ დამცავი ორდერების უმრავლესობა გამოცემულია ქალებისა და ბავშვების დაცვის მიზნით, ამასთან, ძალადობა ძირითად შემთხვევაში ჩადენილია ოჯახში.

სასამართლოს მხრიდან ძალადობის სისტემატურობასა და განგრძობადობაზე ყურადღების გამახვილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამომავლო ძალადობის პრევენციისთვის და მსხვერპლის რეალურად დასა-ცავად, რადგან ერთი პირის მიერ ძალადობრივი აქტის განმეორება მომეტებულ რისკებთან არის დაკავშირებუ-ლი. ამასთან, გადანწყვეტილებათა ანალიზმა ცხადყო, რომ პრობლემას წარმოადგენს ვითარება, როდესაც მო-ძალადე ჩადენილი ქმედებისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის შემდეგ თავისუფლება სასჯელალ-სრულების დაწესებულებიდან და იგი მსხვერპლისთვის კვლავ წარმოადგენს საფრთხეს, რის გამოც დღის წეს-რიგში კვლავ დგება დამცავი ორდერის გამოცემის საჭიროება.

სასამართლოს მიერ ყველაზე ხშირად ფიქსირდება ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტები (განსაკუთრე-ბით საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო ის საქმეები, რომლებშიც სასამართლო, საერთაშორისო სტანდარ-ტების სიღრმისეული მიმოხილვის შედეგად, ფართოდ მსჯელობდა ისეთ საკითხებზე, როგორცაა მოძალადის მხრიდან მსხვერპლის პირადი სივრცის დარღვევა და, ასევე, არასასურველი კომუნიკაცია, რომელიც თავისი შინაარსით ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა). სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ფსიქოლოგიურ ძალადობას, საგრძნობლად დაბალი პროცენტით, მოსდევდა ფიზიკური და ეკონომიკური ძა-ლადობის ფაქტები.

ძალადობის ისეთი სახე, როგორცაა იძულება – მხოლოდ ერთ საქმეში იქნა დადასტურებული, რომელშიც სასამართლომ განმარტა, რომ სრულ-წლოვანი პირის მიმართ დაწესებული თვითნებური შეზღუდვები წარმოადგენს ფსიქოლოგიურ ძალა-დობას და იძულებას, თუნდაც აღნიშნული შეზღუდ-ვები დაწესებული ყოფილიყო განმცხადებლის სა-სიკეთოდ, რომელიც პირის სუბიექტურ შეფასებას ეფუძნებოდა და აღნიშნული შეზღუდვების არსებო-ბის საჭიროება შესაბამისი მტკიცებულებებით არ იყო დადასტურებული.

ისეთი ძალადობის ფორმები კი, როგორცაა არასრულწლოვანის კანონიერი ინტერესების უგულებელყოფა და სექსუალური ძალადობა, კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებული არ ყოფილა;

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არასრულწლოვანთა დასაცავად გამოცემულ დამცავ ორდე-რებს. ოჯახში ძალადობა მხოლოდ მოძალადის ან მსხვერპლის პრობლემა არ არის, იგი ნეგატიურად აისახება ოჯახის სხვა წევრებზე, რომლებიც შესაძლოა არ იყვნენ ძალადობის პირდაპირი ობიექტები, თუმცა იყვნენ ძალა-დობის შემსწრენი. ამ მხრივ, ყველაზე მონყვლადები ბავშვები არიან.

გადაწყვეტილებათა ანალიზის შედეგად, იდენტიფიცირებულ იქნა ისეთი პრობლემური საკითხები, როგო-რებიცაა:

⁴⁸ საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვი-სა და დახმარების შესახებ“, მუხლი 10. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=22> [ბოლოს ნანახია: 21.09.2023].

- მშობლების მხრიდან არასრულწლოვან შვილებზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ძალადობა ქორწინების იძულების მიზნით;
- ერთმანეთზე განაწყენებული, განქორწინებული მშობლების მხრიდან ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუთვალისწინებლობა და პირადი განწყობებისა თუ ბრაზის გამო, ბავშვის გადაბირების მცდელობა თავიანთ მხარეზე, რაც უარყოფითად აისახება ბავშვის ფსიქიკაზე და ხელს უშლის მის ნორმალურ აღზრდას და განვითარებას.

პრიორიტეტად რჩება მოსამართლეთა და სასამართლოს პერსონალის ცნობიერების ამაღლება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის, გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. 2022 წელს განახლდა სასწავლო მოდული აღნიშნულ თემაზე, რომელიც შეიქმნა ევროპის საბჭოსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით.

საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, სხვადასხვა სასწავლო მოდული და პროგრამა (მათ შორის, სამართლიანობის გაძლიერება გენდერული თანასწორობის გზით; დისკრიმინაციის აკრძალვა – შიდა კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები, დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების აღმოფხვრა, ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა) შემუშავებულია სასამართლო სისტემისთვის, რომლებიც თავმოყრილია იუსტიციის უმაღლესი სკოლის სასწავლო გეგმაში.

აღსანიშნავია საკონსტიტუციო სასამართლოს როლიც გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიმართულებით.⁴⁹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი სტანდარტი დაამკვიდრა გენდერული კვოტირების საქმით, სადაც საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ფორმალური თანასწორობის მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში, ქალის სასტარტო პირობები განათლების მიღებისა და საკუთარი ცხოვრების დანერგვის თვალსაზრისით განსხვავებულია. დასახელებული გარემოებები მჭიდრო კავშირშია საზოგადოებაში კვლავაც არსებული და გაბატონებული ქალის სოციალური როლის აღქმასთან, რომელიც ქალებსა და მამაკაცებს შორის სოციალური ფუნქციების ტრადიციულ, კონსერვატორულ გადანაწილებას გულისხმობს და მათ მიმართ საზოგადოებრივი დამოკიდებულებები არის განსხვავებული.

საკონსტიტუციო სასამართლო მოცემულ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ პარლამენტში ქალთა არჩევის ხელშემშლელი გარემოებების დამაბალანსებელი მექანიზმების შექმნამ, მათ შორის კვოტირების სისტემამ, შესაძლოა არა თუ არ შეამციროს, არამედ გააუმჯობესოს კიდევ პარლამენტის წევრების მიერ განხორციელებული საქმიანობის ხარისხი. ლოგიკურია დაშვება, რომ იმ პირობებში, როდესაც ქალებსა და მამაკაცებს პოლიტიკის განხორციელების ერთნაირი უნარები აქვთ, ხელოვნური ხელისშემშლელი გარემოებების არარსებობის პირობებში, ისინი მეტ-ნაკლებად თანაბრად იქნებოდნენ წარმოდგენილნი საქართველოს პარლამენტში.

„გენდერული კვოტირება არ უკავშირდება ქალების მიმართ დადგენილ რაიმე სამართლებრივ შეზღუდვებს, თუმცა რეალობა აშკარად მიუთითებს რიგ სფეროებში ქალების უნარების რეალიზებისთვის ბარიერების არსებობაზე. სწორედ ამ რეალობის გამო, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტმა სახელმწიფოს დაუდგინა ფაქტობრივი საჭიროებიდან მომდინარე, მამაკაცების და ქალების თანასწორობის მიღწევისკენ მიმართული დამატებითი გარანტიების შექმნის უფლებამოსილება. ამ მექანიზმით, კონსტიტუცია სცდება ვინ როდ სამართლის წინაშე თანასწორობის იდეას, ცნობს და აღიარებს საზოგადოების წევრების უნარების თანასწორად რეალიზების მიღწევის საჭიროებას და სახელმწიფოსაგან მოითხოვს სპეციალური ღონისძიებების გატარებას“.⁵⁰

⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი“, ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N3/3/1526, 25.09.2020 ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=10127> [12.09.2023].

⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი“, ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N3/3/1526, 25.09.2020 ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=10127> [ბოლოს ნანახია 12.09.2023].

ამა თუ იმ სფეროში ქალთა წარმომადგენლობის ხელოვნური შემცირებით, ფაქტობრივად საზოგადოება უარს ამბობს საუკეთესო კანდიდატები შეარჩიოს ქვეყნის მოსახლეობის ნახევრიდან, ქალებიდან, რაც თავისი არსით არა მხოლოდ უსამართლობა, არამედ ეფექტური მმართველობისა და წარმატების მიღწევის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაც არის. სახელმწიფო უნდა ისწრაფოდეს მისი მოსახლეობის რესურსისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებისკენ და იმ ხელოვნური ბარიერების წინააღმდეგ ბრძოლისკენ, რომლებიც მოსახლეობის ნახევარს არ აძლევს საკუთარი უნარების სხვების თანაბრად გამოვლენის შესაძლებლობას.

ადგილობრივ დონეზე არსებული გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმები

ეროვნულ დონეზე მოქმედი ინსტიტუტების გარდა, ავტონომიური რესპუბლიკისა და თვითმმართველი ადმინისტრაციული ერთეულების დონეზე შექმნილია ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობას ადგილობრივ დონეზე.

ავტონომიური რესპუბლიკების (აჭარის და ამჟამად ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების) საკანონმდებლო ორგანოს, უმაღლესი საბჭოს, დონეზე შექმნილია გენდერული თანასწორობის საბჭოები, რომელთა მანდატიც განსაზღვრულია უშუალოდ გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებითა და შესაბამისი, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით.

ავტონომიური რესპუბლიკების დონეზე მოქმედი გენდერული თანასწორობის საბჭოების მანდატი მოიცავს:⁵¹

- საკანონმდებლო დონეზე გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირებისა და უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას;
- გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებული საჭიროებებისა და გამოწვევების საპასუხოდ შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და განხორციელებას;
- ქალთა და მამაკაცთა თანაბარი უფლებების რეალიზაციისთვის შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას;
- გენდერული თანასწორობის დარღვევის ფაქტების შესწავლას, ანალიზსა და კომპეტენციის ფარგლებში შესაბამის რეაგირებას.

გენდერული მიმართულებით ერთიანი და კოორდინირებული პოლიტიკის განსაზღვრისა და განხორციელების მიზნით, ავტონომიური რესპუბლიკის დონეზე მოქმედი გენდერული თანასწორობის საბჭოების საქმიანობა უნდა განხორციელდეს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საბჭოსთან თანამშრომლობით. აღნიშნული მკაფიოდ არის განსაზღვრული შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს რეგლამენტსა და გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებებში.⁵²

გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში 2016 წელს შეტანილი ცვლილებებით განისაზღვრა მუნიციპალიტეტის საკრებულოების დონეზე გენდერული თანასწორობის საბჭოების ჩამოყალიბების ვალდებულება. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა განესაზღვრა გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.⁵³

თბილისი იყო პირველი ქალაქი, რომელმაც საკრებულოს დონეზე შექმნა გენდერული თანასწორობის საბჭო 2016 წელს, ხოლო შემდგომ წლებში ეტაპობრივად შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭოები დანარჩენ

⁵¹ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: (1) აჭარის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 2 მარტის #N19-II დადგენილება „ავტონომიური რესპუბლიკის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“, თავი 2, იხ. ბმული: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5113997?publication=0>, (2) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი, მუხლი 571, იხ. ბმული: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1682337?publication=27>, ნანახია: 23/11/2-23.

⁵² იქვე.

⁵³ წყარო: საქართველოს პარლამენტი, გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი, 2016 წლის 28 აპრილის რედაქცია, მუხლი 13, იხ. ბმული: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=4>, ნანახია: 23/11/2023.

მუნიციპალიტეტებში. დღესდღეობით, 64-ვე მუნიციპალიტეტში არის ჩამოყალიბებული გენდერული თანასწორობის საბჭოები, ხოლო მერიაში განსაზღვრულია შესაბამისი პასუხისმგებელი პირები, რომლებიც ადგილობრივ დონეზე უზრუნველყოფენ გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციას.⁵⁴

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გენდერული თანასწორობის საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე სისტემურ მუშაობას უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭო. გენდერული თანასწორობის საბჭო, კომპეტენციების ფარგლებში, ხელს უწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ გენდერული თანასწორობის საკითხებზე პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრასა და განხორციელებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მისიაა ინსტიტუციური გაძლიერების გზით, ხელი შეუწყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოების განვითარებას, რომლის თითოეულ წევრსაც ექნება თანაბარი შესაძლებლობა, ისარგებლოს საკუთარი უფლებებით და სახელმწიფოში არსებული სიკეთებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გენდერული თანასწორობის საბჭოს სტატუსი, ფუნქციები, უფლებამოსილება და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან ურთიერთობა განისაზღვრება რეგლამენტითა და გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით,⁵⁶ რომელსაც ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო. ამჟამად, გენდერული თანასწორობის საბჭო შედგება 8 წევრისგან – 6 მამაკაცი (75%) და 2 ქალი (25%).⁵⁷

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს პრიორიტეტებს წარმოადგენს: გენდერული თანასწორობის საკითხებზე უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერება და ინსტიტუციური მექანიზმების გაუმჯობესება, მონაცემებზე დაყრდნობილი პოლიტიკის წარმოების, თანამშრომლობის და ცნობიერების ამაღლების გზით გენდერული თანასწორობის გაძლიერების ხელშეწყობა, ქალთა ეკონომიკური, პოლიტიკური გაძლიერების, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა, და სხვ.

აღნიშნული პრიორიტეტები ასახულია საბჭოს მიერ შემუშავებულ გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმებში. უახლესი სამოქმედო გეგმა დამტკიცდა 2021 წლის ნოემბერში და მოიცავს 2021-2023 წლების

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გენდერული თანასწორობის საბჭოს ძირითადი ფუნქციების წარმოადგენს:⁵⁵

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება საკანონმდებლო დონეზე გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების შესახებ.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შემუშავება და უმაღლესი საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა.
- გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შემდგომი კოორდინაცია და მონიტორინგი.
- გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება.

⁵⁴ ინფორმაცია ამოღებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნედან, გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ მუნიციპალიტეტების მიერ დამტკიცებული დებულებების მიხედვით.

⁵⁵ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება, (2017), გამოქვეყნებულია: <http://sca.ge/res/docs/umag-sabch-dadgenileba-genderis-debulebaze.pdf>.

⁵⁶ დოკუმენტი გამოქვეყნებულია: <http://sca.ge/res/docs/umag-sabch-dadgenileba-genderis-debulebaze.pdf>.

⁵⁷ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა, იხ. ბმული: <http://www.sca.ge/geo/static/283/-genderuli-tanastsorobis-sabchos-tsevrebi>, ნანახია: 23/11/2023.

პერიოდს.⁵⁸ აღსანიშნავია, რომ სოციალური გარდატეხის მიღწევის მიზნით, გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების შესახებ საჯარო მოხელეთა ცოდნის გაღრმავება და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება გამჭოლ პრიორიტეტად გასდევს სამოქმედო გეგმას.⁵⁹

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ექვსივე მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს გენდერული თანასწორობის ადგილობრივი საბჭოები. მუნიციპალიტეტებში მდებარე საბჭოები ხელს უწყობენ ადგილობრივ დონეზე პრიორიტეტების განსაზღვრას გენდერული თანასწორობის განმტკიცებისთვის, ცენტრალურ და რეგიონულ პრიორიტეტებთან თანხვედრას და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გენდერული თანასწორობის საბჭო

გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს №10 დადგენილების საფუძველზე⁶⁰, 2020 წლის 16 ივნისს შეიქმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო. გენდერული თანასწორობის საბჭოს მანდატი და გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან ურთიერთობა განისაზღვრება რეგლამენტითა და გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

საბჭო საქმიანობას ახორციელებს დამტკიცებული დებულების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილ სახელისუფლებო სტრუქტურებში გენდერული თანასწორობის ცნობიერების ამაღლებისა და ქალთა მხარდაჭერის მიზნით გატარებული ღონისძიებების მხარდაჭერას, გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციებთან საქმიან თანამშრომლობას, მრავალშვილიან მშობლებთან ურთიერთობებს, გენდერული პრობლემების შემცველი განცხადებებისა და წინადადებების განხილვას, მათი არსებობის შემთხვევაში.

მუნიციპალიტეტებში მოქმედი გენდერული თანასწორობის საბჭოები

გენდერული თანასწორობის საკითხების კომპლექსურობიდან გამომდინარე ადგილობრივ ხელისუფლებას არსებითი როლი ენიჭება. შესაბამისად, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განვითარებასთან ერთად, ქვეყანაში ეტაპობრივად ხორციელდებოდა ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვა და განვითარება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნიდან დღემდე, მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრებულოებისა და მერიების უფლება-მოვალეობები. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ დეცენტრალიზაციის რეფორმის კუთხით პირველი მნიშვნელოვანი ძვრები 2013 წელს დაიწყო, როდესაც ხელისუფლებამ ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა პრიორიტეტად გამოაცხადა და შესაბამისი დოკუმენტი – „2013-2014 წლების საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ძირითადი პრინციპები⁶¹“ დაამტკიცა, რაც ევროპის საბჭოს მიერ დადებითად შეფასდა⁶².

⁵⁸ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 18 ნოემბრის დადგენილება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, იხ. ბმული: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5284538?publication=0>, ნანახია: 24/11/2023.

⁵⁹ იქვე.

⁶⁰ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №10 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის შესახებ“. იხ. ბმული: <https://www.matsne.gov.ge/document/view/4900520?publication=0> [ბოლო წვდომის თარიღი: 27/11/2023].

⁶¹ საქართველოს მთავრობა. 2013. განკარგულება ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2209502?publication=0>, [ბოლოს ნანახია: 02.08.2023].

⁶² საქართველოს მთავრობა. 2020. „დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025“. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://mrdi.gov.ge/uploads/publications/5e467a975a3be.pdf> [ბოლოს ნანახია: 24.11.2023].

თავდაპირველი დოკუმენტი არ მოიცავდა გრძელვადიან ხედვას, ხოლო პრაქტიკამ არაერთი გამონკვევა წარმოაჩინა, მათ შორის – საშუალოვადიანი დაგეგმვის აუცილებლობა, რის შედეგადაც 2017 წელს დაიწყო მუშაობა რეფორმის ცალკეული ნაწილების შესწორებაზე. აღსანიშნავია, რომ სწორედ დეცენტრალიზაციის სტრატეგიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპად გამოიყო თვითმმართველობისა და დეცენტრალიზაციის განხორციელების პროცესში ქალისა და კაცის თანასწორი მონაწილეობის უზრუნველყოფა.

აღნიშნულ პროცესებს დეტალურად იხსენებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ დამფუძნებელი ელენე რუსეცკაია, რომელიც გენდერული პოლიტიკის ლოკალიზაციის პროცესის დაწყების ერთ-ერთი თანაავტორი და აქტიური მხარდამჭერია:

„ვიფიქრეთ, რომ კანონების ეფექტიანად აღსრულებისთვის, საჭირო იყო ადგილზე ინსტიტუციების არსებობა, რათა ადგილობრივ დონეზე გვემუშავა, სადაც მაშინ მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობდნენ და კონკრეტულ ინიციატივებს ახორციელებდნენ. მაშინ ვიფიქრეთ, ხომ არ მოგვეხდინა გენდერზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ინიციატივა“.

სწორედ ამიტომ, პირველ ნაბიჯად განისაზღვრა შიდა ქართლში ქალთა პოლიტიკური ქსელის შექმნა, სადაც ორგანიზაციის აქტიური ლობირების შედეგად, აღნიშნულ ქსელში განევრდნენ აქტიური ქალები, რომლებიც შემდეგ, ადგილობრივ თვითმმართველობების წარმომადგენლობით ორგანოებშიც აირჩიეს. აღნიშნული ინიციატივის სისრულეში მოსაყვანად ინიციატორთა ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებთან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სამინისტროში გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელ პირთან, რომელსაც იმ პერიოდში წარმოადგენდა კახა ცეცხლაძე.⁶³

თავდაპირველად ინიციატივის ფარგლებში მოიაზრებოდა შიდა ქართლი, კერძოდ გორი, თუმცა სამინისტროს გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელ პირთან კონსულტაციების შემდგომ ინიციატივა გაფართოვდა და გადაწყდა, რომ თუ მექანიზმი კარგად იმუშავებდა მომხდარიყო სხვა რეგიონების დაფარვაც.⁶⁴

2014 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი ორგანული კანონი – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“,⁶⁵ რომელმაც გააერთიანა და ორგანული კანონის რანგში აიყვანა კოდექსის მიღებამდე მოქმედი ცალკეული კანონები. კოდექსში მკაფიოდ არის განსაზღვრული მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება/ვალდებულება, იმუშაოს ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ასევე – ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიმართულებით.

2016 წელს შესაბამისი ცვლილებები შევიდა „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის თანახმად, გენდერულ საკითხებზე სისტემური და გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად საკრებულოს დონეზე განისაზღვრა გენდერული თანასწორობის მუნიციპალურ საბჭოს შექმნის საჭიროება. ამავე ცვლილებების შესაბამისად, მუნიციპალიტეტში გენდერული საკითხების შესწავლისა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-კოორდინაციის მიზნით, მერიას დაევალა გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის განსაზღვრა.⁶⁶

„ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ დამფუძნებელი გამოკვეთს ახალი მექანიზმების დანერგვის პროცესში შესაბამისი მხარდაჭერისა და რესურსების მობილიზების მნიშვნელობას და იხსენებს, საბჭოების შექმნის სანყის ეტაპზე არსებულ სკეპტიციზმს, რომელიც გენდერული პოლიტიკის ლოკალიზაციის პროცესს ახლდა თან:

⁶³ ინტერვიუ ელენე რუსეცკაიასთან, „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ დამფუძნებელთან.

⁶⁴ იქვე.

⁶⁵ საქართველოს პარლამენტი. 2014. ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=68>, [ბოლოს ნანახია: 02.08.2023].

⁶⁶ საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, 2016 წლის 28 აპრილის რედაქცია, მუხლი 13, 1¹-1² პუნქტი, იხ. ბმული: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=10>, [ნანახია: 24/11/2023].

ელენე რუსეცკაია

არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ დამფუძნებელი

„არავის სჯეროდა, რომ ეს საქმე გამოვიდოდა. გენდერზე პასუხისმგებელი პირების ჩართულობით, 2018 წლიდან ტრენინგებს უკვე ვატარებდით, თუმცა დონორები არ დაინტერესდნენ. ერთ-ერთი, ვინც დაინტერესდა, იყო GIZ-ის პროგრამის გენდერის მრჩეველი, რუსუდან აბულაშვილი, რომელსაც ავუსხენით საკითხის მნიშვნელობა, დავარწმუნეთ, რომ ეს არის ექსკლუზიური თემა და მან ეს საკითხი დღის წესრიგში დააყენა. ასე გახდა GIZ პროცესის მთავარი მხარდაჭერი“.

შედეგად, საქართველოს 64-ვე მუნიციპალიტეტში შეიქმნა გენდერული თანასწორობის მუნიციპალური საბჭოების პირველი სამოქმედო გეგმები.⁶⁷ ორგანიზაციის მხარდაჭერით, ეტაპობრივად შემუშავდა გენდერული მეინსტრიმინგის სხვადასხვა ინსტრუმენტი, მათ შორის – საჭიროებების კვლევის ჩატარებისა და სტატისტიკის მოგროვების უზრუნველყოფისთვის. ამასთანავე, ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, რამდენიმე მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი სასწავლო ვიზიტით ეწვია გერმანიას და გაიღრმავა ცოდნა მმართველობის სხვადასხვა დონეზე შექმნილი გენდერული ინსტიტუციური მექანიზმების შესახებ.

აღნიშნულ პროცესს ეტაპობრივად შემოუერთდნენ სხვა დონორები და ორგანიზაციები, როგორებიცაა, მაგალითად: გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გაეროს განვითარების პროგრამა, ევროსაბჭო, ათეა (საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების ეროვნული ასოციაცია) და სხვა. როგორც ელენე აღნიშნავს, მართალია, დღეს, GIZ ამ მიმართულებით აღარ მუშაობს, თუმცა, მაგალითად, გაეროს ქალთა ორგანიზაცია გენდერული პოლიტიკის ლოკალიზაციის პროცესების ერთ-ერთი მთავარი მხარდაჭერი.

დღესდღეობით, გენდერული თანასწორობის მუნიციპალური გენდერული საბჭოს შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და გენდერული თანასწორობის მუნიციპალური საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საკრებულო, თუმცა, მიუხედავად ამისა, საბჭოების ფუნქცია-მოვალეობები ერთმანეთისგან არ განსხვავდება.

საბჭოები მათ საქმიანობას ორი ძირითადი დოკუმენტის მეშვეობით ახორციელებენ:

- 1. გენდერული თანასწორობის სტრატეგიები** – საშუალოვადიანი დაგეგმარების დოკუმენტები, რომლებიც მუნიციპალიტეტებისათვის პრიორიტეტულ მიმართულებებს განსაზღვრავენ;

მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საბჭოების დაფუძნების ინიციატივა

გენდერული თანასწორობის საბჭოების ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის „ქალთა საინფორმაციო ცენტრს“, რომელმაც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერით გადანაცვლა საერთაშორისო პრაქტიკის საფუძვლიანად შესწავლა და მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად სისტემური მიდგომის ჩამოყალიბებისთვის გამოსავლის ძიება.

ამ მოკვლევის შედეგად გაჩნდა საკანონმდებლო ინიციატივა მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის საბჭოების დაფუძნების მიზნით. შემდგომ ეტაპს კი საკანონმდებლო ინიციატივის ლობირება და ადვოკატირება წარმოადგენდა. აღნიშნულ პროცესში „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ დამფუძნებელი, ელენე რუსეცკაია, გამოკვეთს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს იმუამინდელი თავმჯდომარის, ქალბატონი მანანა კობახიძის როლს, რომელმაც აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა წარუდგინა პარლამენტს, ხოლო პარლამენტმა მხარი დაუჭირა საკანონმდებლო ცვლილებებს:

„მახსოვს, ოფისში ვიზეიმეთ ეს ამბავი, მოუთმენლად ველოდებოდით შედეგებს და პირდაპირ ერთ-ერთი თვალს ვადევნებდით. ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა, წლების განმავლობაში, რასაც შრომით და თავდაუზოგავი მუშაობით მივაღწიეთ. მაშინ სრულფასოვნად გავიზარეთ, რომ ამით ხელს ვუწყობდით გენდერული პოლიტიკის დეცენტრალიზაციას და დავარქვით ამ პროცესს ლოკალიზაცია. ასე დამკვიდრდა ტერმინი – გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ლოკალიზაცია.“ – იხსენებს ელენე რუსეცკაია.

⁶⁷ 59 მუნიციპალიტეტში GIZ-ის, ხოლო 5 მუნიციპალიტეტში UNDP-ის აქტიური მხარდაჭერით.

2. მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოების სამოქმედო გეგმები – მუნიციპალიტეტის კონკრეტული აქტივობებისა და უმოკლეს ვადაში შესასრულებელი ღონისძიებების ჩამონათვალი;

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ანალოგიურად, გენდერული თანასწორობის მუნიციპალური საბჭოები წელიწადში ერთხელ მათი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგენენ საქმიანობისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ ანგარიშს.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ დოკუმენტებს გენდერული პოლიტიკის ლოკალიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი გააჩნიათ, ხშირად მათი დროული შემუშავება არაერთ გამონწვევასთანაა დაკავშირებული. სწორედ აღნიშნული პრობლემის მოგვარებისა და ეფექტური კოორდინაციის მიზნით, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ 2022 წლიდან აქტიურად დაიწყო მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა. სიტუაციის მიმოხილვის მიზნით, ჩაატარა სამუშაო შეხვედრები 60 მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოებთან და დანერგა წელიწადში ორჯერ საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტთან საკოორდინაციო შეხვედრების პრაქტიკა. გარდა ამისა, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) პარტნიორობის ფარგლებში, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების ეროვნულმა ასოციაციამ (ათეა) 2021 წელს „მუნიციპალიტეტებისთვის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შედგენის ინსტრუქცია“ შეიმუშავა, რომელიც ერთიანი მიდგომებისა და სტანდარტების დანერგვას ისახავს მიზნად.

საბჭოების მიღწევებსა და გამომწვევებთან დაკავშირებით, ელენე რუსცკაია რამდენიმე ფაქტორს გამოკვეთს, კერძოდ:

- **მუნიციპალიტეტების საქმიანობის ნაწილში დაიხვენა გენდერული სტატისტიკა**, რომელიც ღირებული მექანიზმია იმისთვის, რომ გენდერული პოლიტიკა კვლევებზე იყოს დაფუძნებული.
- **მოსახლეობის საჭიროებათა კვლევის მეთოდის დანერგვამ საპილოტე მუნიციპალიტეტებში, ხელი შეუწყო კარგი პრაქტიკების გავრცობას** და გაიზარდა იმ მუნიციპალიტეტების რიცხვი, რომლებმაც არაერთი საკითხი, თავიანთი ინიციატივითა და სახსრებით, დღის წესრიგში დააყენეს.
- **ადგილობრივ დონეზე, შემუშავებულია გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტები** და რიგ შემთხვევებში სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის კონკრეტული ბიუჯეტია გამოყოფილი.
- ამასთანავე, არაერთ მუნიციპალიტეტში **შექმნილია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიები**, რომელთა მიზანია დროული რეაგირება და პრევენციულ ღონისძიებებში ჩართულობა. ასევე, მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მუნიციპალიტეტებში არსებული სერვისები.

მიუხედავად ამისა, რესპონდენტი გამოკვეთს მიღწევების შენარჩუნებისთვის აქტიურად მუშაობის მნიშვნელობას, რათა პოლიტიკის ლოკალიზაცია და, ზოგადად, გენდერული პოლიტიკა ერთ-ერთ პრიორიტეტად დარჩეს ქვეყანაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, არამხოლოდ პროგრესი, არამედ არსებულის შენარჩუნებაც წარმოუდგენელი იქნება.

მუნიციპალურ საბჭოებს ხელმძღვანელობს შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თუმცა პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსგან განსხვავებით, მის შემადგენლობაში **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლების გარდა, შედიან ბიზნესსექტორის, არასამთავრობო და ადგილობრივი სექტორის წარმომადგენლებიც.**

შესაბამისად, თანამშრომლობის ასეთი ღია პლატფორმა ერთი მხრივ, პროცესების ღიაობას და სამოქალაქო ჩართულობას უზრუნველყოფს, მეორე მხრივ, ეფექტიანი საქმიანობის შემაფერხებელ ფაქტორადაც შეიძლება წარმოჩინდეს; მაგალითად, ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო 147 წევრისგან შედგება, რაც, შესაძლებელია, გამოწვევას წარმოადგენდეს საბჭოს სრული შემადგენლობის მობილიზებისას.⁶⁸

⁶⁸ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი. 2022. „მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება“. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://ombudsman.ge/res/docs/2023041823365399348.pdf>, [ბოლოს ნანახია: 02.08.2023].

მუნიციპალიტეტის მერიებში გენდერული თანასწორობის საკითხებში პასუხისმგებელი პირები

გენდერული პოლიტიკის დეცენტრალიზაციის შედეგად, საქართველოს 64-ვე მუნიციპალიტეტში ადგილობრივ დონეზე გენდერული საკითხების შესწავლის, შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვისა და კოორდინაციის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, ინიშნება გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე (გენდერის მრჩეველი).

მუნიციპალური საბჭოების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც, სხვადასხვა მერიაში გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირების უფლება-მოვალეობებიც ერთმანეთისგან არ განსხვავდება. თუმცა, განსხვავდება მათი დატვირთულობის დონე, ვინაიდან რიგ შემთხვევებში გენდერის მრჩეველები აღნიშნულ მოვალეობას ითავსებენ მერიაში მათი ძირითადი საქმიანობის პარალელურად. შედეგად, ხშირად რჩება განცდა, რომ მსგავს შემთხვევებში გენდერული თანასწორობის საკითხები დამატებით „ტვირთად“ განიხილება. აქვე უნდა აღინიშნოს კარგი პრაქტიკაც – რამდენიმე მუნიციპალიტეტში შექმნილია გენდერული განყოფილება, სადაც დასაქმებული სპეციალისტები მხოლოდ გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობით არიან დაკავებული.

მიუხედავად არსებული განსხვავებული პრაქტიკისა, გენდერული თანასწორობის საკითხებში პასუხისმგებელი პირები ერთგვარი მაკავშირებელი ხილია ადგილობრივი ხელისუფლების შტოებს შორის, რადგან სწორედ აღნიშნული პირები თანამშრომლობენ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოებთან და ხშირ შემთხვევაში, საბჭოს მდივნის ფუნქციასაც ითავსებენ. მათ მოვალეობაში შედის, აგრეთვე, დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრა და პრევენცია.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ საქართველოში ერთ-ერთი პირველი ორგანიზაციაა, რომელიც მუნიციპალიტეტებში გენდერის მრჩეველების ინსტიტუტის გაჩენის დღიდან აქტიურად მუშაობს შესაბამისი საჯარო მოხელეების პროფესიულ ზრდასა და განვითარებაზე.

ორგანიზაციის დამფუძნებლის, ელენე რუსეცკაიასგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ჯერ კიდევ 2013 წელს შემუშავდა თანამდებობრივი ინსტრუქცია გენდერის მრჩეველებისთვის, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული პოზიცია მოცემული პერიოდისთვის ჯერ კიდევ არ იყო კანონით დარეგულირებული და მხოლოდ რეკომენდაციას ეფუძნებოდა.

„დავინწყეთ ტრენინგების ციკლი და სიამაყით ვიტყვი, რომ ამ ადამიანების ნაწილი დღესაც ამ სფეროშია და აქვთ პროცესების ისტორიული მეხსიერება. ნიადაგი იყო აბსოლუტურად მოუმზადებელი და არ არსებობდა გენდერის სპეციალისტების ადამიანური რესურსი, რომლებსაც ექნებოდათ აკადემიური ცოდნა ან რაიმე სახის გამოცდილება, ამიტომ დავინწყეთ ნულიდან და ეს იყო შეთავსებითი საქმიანობა მუნიციპალიტეტებში“.

ელენე რუსეცკაია

ქალთა საინფორმაციო ცენტრის დამფუძნებელი

„ქალთა ოთახების“ მუნიციპალური სერვისი

„ქალთა ოთახი“ წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შექმნილ სივრცეს, რომელიც კონკრეტულ საქმიანობებში ეხმარება ადგილობრივ მოსახლეობას და ერთგვარი საინფორმაციო-საკონსულტაციო რესურსია. აღნიშნული სერვისის საშუალებით ადგილობრივი ხელისუფლება საკუთარ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ქალებსა და გოგონებს, სთავაზობს თავისუფალ, ღია სივრცეს სოციალურ-ეკონომიკური აქტივობებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიური მონაწილეობისათვის.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიუხედავად სახელწოდებისა, სერვისით სარგებლობა თითოეულ მოქალაქეს შეუძლია, მათ შორის ქალებს, კაცებს, ახალგაზრდებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს და ა.შ.

ამასთანავე, როგორც წესი, „ქალთა ოთახი“ განთავსებულია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე, რათა მოსახლეობის თითოეულ წევრს დაბრკოლების გარეშე შეეძლოს სივრცით სარგებლობა და მხარდაჭერის მიღება.

ნინო წილოსანი

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე

„ე.წ. ქალთა ოთახების არსებობა კრიტიკული მნიშვნელობისაა, ვინაიდან ეს სივრცე შესაძლოა ერთადერთი ხელმისაწვდომი ადგილი იყოს ქალებისთვის (და არა მხოლოდ მათთვის) კონკრეტული სერვისის მისაღებად და საკუთარი უნარების განვითარებისთვის“.

მაშინ, როდესაც მუნიციპალურ დონეზე არსებობს როგორც საბჭოების, ასევე გენდერული მრჩეველების მექანიზმი, ხშირად ჩნდება კითხვა – რა როლი აქვთ „ქალთა ოთახებს“? აღნიშნული სერვისი მოსახლეობის მხარდაჭერის ერთ-ერთ ყველაზე პრაქტიკულ და ხელშესახებ მექანიზმს წარმოადგენს – თუკი გენდერული თანასწორობის საბჭოები უზრუნველყოფენ პოლიტიკის ჩამოყალიბებას, ხოლო მერია აღსრულებას, „ქალთა ოთახები“ შესაბამისი სერვისების გაცემით კონკრეტულად ინდივიდზე ორიენტირებულ მიდგომას უზრუნველყოფენ.

ადგილზე მისულ ბენეფიციარებს საშუალება აქვთ ისარგებლონ როგორც კომპიუტერთა და ინტერნეტით, რაც ხშირად მიუწვდომელია ცალკეული სოფლის მაცხოვრებელთათვის, აგრეთვე, ბიბლიოთეკით, საბავშვო კუთხით, საკონსულტაციო სერვისით და თავად სივრცით სხვადასხვა შეხვედრის მოსაწყობად. „ქალთა ოთახების“ მენეჯერები, რომლებიც უშუალოდ სერვისის მიწოდებას ახორციელებენ, აგრეთვე, უზრუნველყოფენ სოფლად სხვადასხვა საგანმანათლებლო და საინფორმაციო კამპანიის ჩატარებას, ვიზიტორებს ეხმარებიან ბიზნეს-გეგმების მომზადებაში, მათ შორის, ისეთი სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამების შესახებ ინფორმაციის გაზიარებასა თუ დასაქმებისათვის რეზიუმეებისა და სამოტივაციო წერილების მომზადებაში, როგორებიცაა „ანარმოე საქართველოში“ და „დანერგე მომავალი“.

აღსანიშნავია, რომ მერიებში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების მსგავსად, „ქალთა ოთახების“ მენეჯერების დასაქმების ფორმის

„ქალთა ოთახების“ შექმნის ისტორია

პირველი „ქალთა ოთახი“ 2012 წელს შეიქმნა, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებული „მერსი ქორფს საქართველოს“ მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის (ALCP) მხარდაჭერით და საწყის ეტაპზე ქვემო ქართლის სამი მუნიციპალიტეტი დაფარა (წალკა, დმანისი და თეთრიწყარო).

სერვისის ფუნქციონირება მერიასა და პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში დაიწყო. მემორანდუმისა და საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში მუნიციპალიტეტებმა საკუთარ თავზე აიღეს აღნიშნული სერვისის მერიის ორგანიზაციულ სტრუქტურაში ჩასმის ვალდებულება, ასევე პირველივე დღიდან თანამშრომლის ხელფასი და საოპერაციო ხარჯები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან იფარებოდა. დონორი ორგანიზაციის პასუხისმგებლობა კი ოთახების მოწყობა, დასაქმებული კადრების გადამზადება და მათი უნარების გაძლიერება იყო.

- **სერვისით მხარდაჭერის შედეგად, 5 წლის განმავლობაში აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში ქალების სოფლის კრებებში მონაწილეობა მკვეთრად გაიზარდა – 3-5%-დან 30-33%-მდე.⁶⁹**
- **დადებითი გამოხმაურების შედეგად, გაიზარდა სერვისით სარგებლობის არეალი და 2023 წლისთვის „ქალთა ოთახები“ საქართველოს 32 მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს.**
- აგრეთვე, შეიქმნა „ქალთა ოთახების გაერთიანება“,⁷⁰ რომელიც არასამეწარმეო, არაკომერციულ იურიდიულ პირს წარმოადგენს და „ქალთა ოთახების“ კოორდინირებულ მუშაობას უზრუნველყოფს.
- **„ქალთა ოთახის“ ქართული მოდელის მიხედვით 2018-2021 წლებში სომხეთის სამ მუნიციპალიტეტში (ალავერდი, თუშანიანი, ტაშირი) შეიქმნა საპილოტე „ქალთა ოთახები“.**

⁶⁹ ქალთა ოთახების გაერთიანება. 2017. „როგორ შევქმნათ მუნიციპალური „ქალთა ოთახი“ და გავაუმჯობესოთ ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესი“.

⁷⁰ დამატებითი ინფორმაცია „ქალთა ოთახების გაერთიანების“ და მათი საქმიანობის შესახებ ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: <https://www.womensroomsunion.ge/>.

განსხვავებული პრაქტიკაა დანერგილი – რიგ შემთხვევაში მენეჯერების ნაწილი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირია, ნაწილი კი – პროფესიული საჯარო მოხელე; ხშირად მერიაში გენდერზე პასუხისმგებელი პირი ითავსებს „ქალთა ოთახის“ მენეჯერის ფუნქციასაც, რაც არაერთ სირთულეს წარმოშობს და ამცირებს სერვისის ეფექტიანობას. ამასთანავე, გამონვევაა ისიც, რომ „ქალთა ოთახს“ არ აქვს სტატუსი მერიის სტრუქტურაში და არ რეგულირდება მერიის სამართლებრივი აქტით; ხოლო სერვისის სახელწოდება ხშირად კითხვის ნიშანს აჩენს სერვისით მოსარგებლეთა წრის შესახებ.

აღნიშნული გამონვევების დასაძლევად, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ინიციატივითა და მერსი ქორფს საქართველოს მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის (ALCP) მხარდაჭერით, 2022 წელს შემუშავდა „გენდერული თანასწორობისა და ქალთა მხარდაჭერის სივრცის“ (ასევე, ცნობილი, როგორც „ქალთა ოთახი“) ინსტიტუციური გაძლიერების სამოქმედო გეგმა და კონკრეტული რეკომენდაციები. დოკუმენტზე მუშაობა 1 წელი გაგრძელდა და პროცესში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

შედეგად, შეიქმნა კომპლექსური დოკუმენტი, რომელიც მოიცავს კონკრეტულ მაგალითებსა და რეკომენდაციებს „ქალთა ოთახების“ სერვისის შექმნის, სამართლებრივი საფუძვლების უზრუნველყოფის, საქმიანობის სფეროსა და მართვის, მენეჯერის სამუშაო აღწერილობის, პროგრამულ ბიუჯეტში თანხის განსაზღვრისა და ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიმართულებით. აღნიშნული დოკუმენტი საქართველოს 64-ვე მუნიციპალიტეტს გაეგზავნა რეკომენდაციის სახით.

თავი II. საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სისტემური განმტკიცების განუყოფელი ნაწილია ადამიანის უფლებების მონიტორინგის საერთაშორისო და რეგიონულ სტრუქტურებთან მჭიდრო თანამშრომლობა და სრული და დროული ანგარიშგება.

საქართველოს ხელისუფლებამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საერთაშორისო ანგარიშგების ვალდებულებების შესრულების მიმართულებით:

- ქვეყანამ წარადგინა არაერთი ანგარიში ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის მონიტორინგის საერთაშორისო თუ რეგიონულ მექანიზმებში;
- უმასპინძლა ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური პროცედურების ვიზიტებს;
- განახორციელა მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ნაციონალიზაცია და ერთ-ერთმა პირველმა ნარუდგინა ანგარიშები ამ მიზნების შესრულებაზე გაეროს გენერალურ ასამბლეას;
- გაითვალისწინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) და გაეროს კვამი იურიდიული სტრუქტურების (OP-CEDAW) გადაწყვეტილებები და საერთაშორისო ასპარეზზე მიღებული რეკომენდაციები.

საქართველომ ადამიანის უფლებათა რიგი ინსტრუმენტის რატიფიცირება მოახდინა, რაც ცხადყოფს სახელმწიფოს მზადყოფნას, გააძლიეროს ძალისხმევა ადამიანის უფლებების დაცვის და მამაკაცსა და ქალს შორის თანასწორობის დამკვიდრების მიმართულებით.

ეს ინსტრუმენტებია:

- შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია⁷¹;
- ბავშვის უფლებების კონვენციის „შეტყობინების პროცედურის შესახებ“ ფაკულტატიური ოქმი⁷²;
- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია)⁷³;
- შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატიური ოქმი⁷⁴.

თუმცა, **კვლავ რჩება დღის წესრიგში ისეთი საერთაშორისო ინსტრუმენტების რატიფიცირება, როგორებიცაა:**

- „შრომითი მიგრანტების და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ“ საერთაშორისო კონვენცია⁷⁵;

⁷¹ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება # 14/25, *შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია* (დამტკიცებულია 2014 წლის 12 აპრილს). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289?publication=0> (10.08.2023).

⁷² საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება # 2012-28-02, *ბავშვის უფლებების კონვენციის „შეტყობინების პროცედურის შესახებ“ დამატებითი ოქმი* (დამტკიცებულია 2016 წლის 19 დეკემბერს). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3580102?publication=0> (10.08.2023).

⁷³ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება CETS #210, *ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია* (დამტკიცებულია 2017 წლის 17 სექტემბერს). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0> (12.08.2023).

⁷⁴ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება # 14/25-01, *შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატიური ოქმი* (დამტკიცებულია 2021 წლის 21 მაისს). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5173211?publication=0> (10.08.2023).

⁷⁵ UN, International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of their Families – GA resolution 45/158 (New York, General Assembly, 1990). <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-convention-protection-rights-all-migrant-workers> (25.07.2023).

- „იძულებით გაუჩინარებისგან ყველა პირის დაცვის შესახებ“ კონვენცია⁷⁶;
- „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის ფაკულტატიური პროტოკოლი⁷⁷.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის შეფასებით, 2012 წლიდან საქართველოს გენდერული სხვაობის რეიტინგი ოცდაათი ერთეულით გაუმჯობესდა.⁷⁸

ქალთა უფლებების უზრუნველყოფის მიმართულებით საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის ადგილისა და მიღწევების განხილვისთვის მნიშვნელოვანია იმ პროცესების, გამოწვევების, შედეგებისა და მოლოდინების აღნიშვნა, რომლებიც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან, პლატფორმასთან, სტრუქტურასთან თანამშრომლობას და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების რატიფიცირებას ახლდა თან.

საქართველოს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისთან (OHCHR) თანამშრომლობა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისში (OHCHR) არსებობს ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ორი ტიპის მექანიზმი: ხელშეკრულებებზე დაფუძნებული ორგანოები და ქარტიაზე დაფუძნებული ორგანოები.

ადამიანის უფლებათა ხელშეკრულების ათი ორგანო მონიტორინგს უწევს ადამიანის უფლებათა ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულებას. ქარტიაზე დაფუძნებული ორგანოები მოიცავს ადამიანის უფლებათა საბჭოს, სპეციალურ პროცედურებს, უნივერსალურ პერიოდულ მიმოხილვას და დამოუკიდებელ გამოძიებებს.

ქალთა უფლებების მონიტორინგის თვალსაზრისით, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია **ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენცია (CEDAW)**⁷⁹, რომელიც ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს, აღკვეთონ ქალთა მიმართ დისკრიმინაცია და უზრუნველყონ ქალებისა და კაცებისათვის თანასწორი უფლება, ისარგებლონ ყველა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებით.

ხაზგასასმელია, რომ ქალთა უფლებების საერთაშორისო ნორმების დამკვიდრების მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტთან (CEDAW) ანგარიშგება და კომიტეტის რეკომენდაციების შესრულება.

⁷⁶ UN, International Convention for the Protection of all Persons from Enforced Disappearance – GA resolution 47/133 (New York, General Assembly, 2010). <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-convention-protection-all-persons-enforced> (25.07.2023).

⁷⁷ UN, Optional protocol to the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights – A/RES/63/117 (New York, General Assembly, 2008). <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/optional-protocol-international-covenant-economic-social-and> (26.07.2023)

⁷⁸ Countryeconomy.com, Georgia – Global Gender Gap Index. <https://countryeconomy.com/demography/global-gender-gap-index/georgia> (10.08.2023).

⁷⁹ UN, Convention on Elimination of All Forms of Discrimination against Women (New York: United Nations General Assembly, 1979). <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/convention-elimination-all-forms-discrimination-against-women> (10.08.2023).

CEDAW კომიტეტის შეფასება საქართველოს მიერ წარდგენილ ანგარიშებზე

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, საქართველომ, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტში⁸⁰ (შემდგომში კომიტეტი) ორი პერიოდული (ერთი – 2014 წელს და მეორე – 2023 წელს) და ერთი შუალედური ანგარიში (2016 წელს) წარადგინა.⁸¹

2014 წლის ანგარიშის შეფასება

2014 წელს საქართველოს მიერ წარდგენილ ანგარიშში კომიტეტის მხრიდან დადებითი შეფასება მოჰყვა საქართველოს მიერ საკანონმდებლო დონეზე განხორციელებულ ცვლილებებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ქალთა უფლებების დაცვის პრინციპების დამკვიდრებას. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია გენდერული თანასწორობის შესახებ კანონისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მიღება.⁸²

ამასთანავე, დადებითად იქნა შეფასებული გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება. ამ მხრივ, კომიტეტის მიერ დადებითად შეფასებულ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საკონსულტაციო ორგანოდან მუდმივმოქმედ საბჭოდ გარდაქმნა, რაც საკანონმდებლო დონეზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ძლიერი ეროვნული მექანიზმის ჩამოყალიბების საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს.⁸³

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, კომიტეტის მხრიდან დადებითად შეფასდა ეროვნული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების მიღება, რომლებიც, სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე ხელს უწყობდნენ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას.⁸⁴

ცხრილი 1. საქართველოს მიერ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებები, რომელთაც დაიმსახურეს CEDAW კომიტეტის პოზიტიური შეფასება, 2014 წლის ანგარიში⁸⁵

საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება	
2010 წ.	გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის მიღება
2012 წ.	სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებები, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა ოჯახური ძალადობა და ოჯახური ძალადობის კატეგორიები
2013 წ.	სამუშაო ადგილზე ქალთა უფლებების დაცვის გაძლიერების მიზნით შრომის კოდექსში მიღებული ცვლილებები
2014 წ.	დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მიღება

⁸⁰ OHCHR, *Reporting Status for Georgia*, (UN Treaty Body Database, CEDAW). https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/TreatyBodyExternal/countries.aspx?CountryCode=GEO&Lang=EN, [29.07.2023]

⁸¹ United Nations Human Rights Treaty Bodies, (UN Treaty Body Database, CEDAW), https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/TreatyBodyExternal/countries.aspx?CountryCode=GEO&Lang=EN, [24/11/2023]

⁸² OHCHR, *Concluding observations on the combined fourth and fifth periodic reports of Georgia – CEDAW/GEO/CO/4-5* (Geneva, CEDAW, 2014), https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW%2F2FC%2FGEO%2FCO%2F4-5&Lang=en, [29.07.2023].

⁸³ OHCHR, *Concluding observations on the combined fourth and fifth periodic reports of Georgia – CEDAW/GEO/CO/4-5* (Geneva, CEDAW, 2014), https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW%2F2FC%2FGEO%2FCO%2F4-5&Lang=en, [29.07.2023].

⁸⁴ იქვე.

⁸⁵ იქვე.

2014 წ.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ კანონის მიღება, რომელიც ითვალისწინებს იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვას და მათ რეინტეგრაციას
სახელმწიფო პოლიტიკური ჩარჩოსა და ეროვნულ დონეზე მოქმედი ინსტიტუციური მექანიზმების გაუმჯობესება	
2012 წ.	პარლამენტის გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭოს მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოდ ჩამოყალიბება
2014-2020 წწ.	ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სტრატეგიის მიღება, რომელიც მიზნად ისახავს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ხელშეწყობას
2014-2016 წწ.	გენდერული თანასწორობის ეროვნული სამოქმედო გეგმის მიღება
2014-2020 წწ.	ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღება
2013-2015 წწ.	ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სამოქმედო გეგმის მიღება
2012-2015 წწ.	ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების 1325 (2000), 1820 (2008), 1888 (2009), 1889 (2009) და 1960 (2010) განხორციელების სამოქმედო გეგმის მიღება

მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, კომიტეტის შეფასების ფარგლებში განისაზღვრა რეკომენდაციები სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის მექანიზმების გაუმჯობესებასა და საკანონმდებლო დონეზე მოქმედი სამართლებრივი გარანტიების ეფექტურად დანერგვასთან დაკავშირებით.

კერძოდ, კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციები ეხებოდა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განსახორციელებელ ღონისძიებებს, მათ შორის მოსამართლეთა, პროკურორთა და ადვოკატთა გადამზადების საჭიროებას, რათა უზრუნველყოფილიყო ქალთა მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის ფაქტების დროული გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება.

ამასთანავე, ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში განსაზღვრული სამართლებრივი გარანტიების ეფექტური აღსრულების მიზნით, კომიტეტის რეკომენდაციებში ხაზგასმული იყო ეროვნულ დონეზე არსებული ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღნიშნული იყო სახალხო დამცველის ინსტიტუტისა და პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება.

ამასთანავე, კომიტეტის მხრიდან იყო მოწოდებული კონკრეტული რეკომენდაციები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევების, სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მსხვერპლთათვის დროული დახმარებისა და მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავებასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ კომიტეტის რეკომენდაციები მოიცავდა გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და ანტიდისკრიმინაციული ზომების გაძლიერებას სახელმწიფო პოლიტიკის საკმაოდ ფართო სპექტრში, მათ შორის განათლების, ჯანდაცვის, პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობის, ტრეფიკინგის პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვის მიმართულებით.

სწორედ აღნიშნული რეკომენდაციები დაედო საფუძვლად 2014-2023 წლებში განხორციელებულ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ცვლილებებს, რის შედეგადაც 2023 წელს საქართველოს მიერ CEDAW კომიტეტში წარდგენილმა ანგარიშმა პოზიტიური შეფასება დაიმსახურა.

აღსანიშნავია, რომ კომიტეტის რეკომენდაციებში განსაკუთრებით იყო ხაზგასმული გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შესაბამისი ადამიანური და ფინანსური რესურსებით აღჭურვის საჭიროება, რაც 2014-2023 წლების პერიოდში ეტაპობრივად იქნა გათვალისწინებული. კერძოდ, მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოდ ფორმირების შემდგომ გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის მხარდასაჭერად გამოიყო სამდივნო და ამასთანავე, განესაზღვრა დამოუკიდებელი ბიუჯეტი.

2023 წლის ანგარიშის შეფასება

CEDAW კომიტეტის რეკომენდაციები ეტაპობრივად იქნა გათვალისწინებული, რაც გამოხატული იქნა როგორც საკანონმდებლო დონეზე მყარი სამართლებრივი ბერკეტების ჩამოყალიბებაში, ასევე ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერებაში.

განხორციელებული ცვლილებები შეეხო CEDAW კომიტეტის 2014 წლის რეკომენდაციებში აღნიშნულ თითქმის ყველა სფეროს, რის შედეგადაც საბოლოო ჯამში 2023 წელს საქართველოს მიერ წარდგენილმა ანგარიშმა პოზიტიური შეფასება დაიმსახურა.

ანტიდისკრიმინაციული და გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო ჩარჩოს გაძლიერების მიმართულებით პოზიტიურად შეფასდა 2016-2022 წლებში განხორციელებული შემდეგი ღონისძიებები:⁸⁶

- | | |
|-------------|--|
| 2016 | <ul style="list-style-type: none"> ✓ გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების ჩამოყალიბება მუნიციპალიტეტებში: ცვლილებები გენდერული თანასწორობის კანონსა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომლის თანახმადაც იქმნება გენდერული თანასწორობის მრჩევლის პოზიციები, როგორც მუდმივი ინსტიტუციური მექანიზმი მუნიციპალიტეტებში. ✓ ფემიციდის მონიტორინგის მიზნით („Femicide Watch“) სახალხო დამცველის აპარატის მანდატის გაფართოება, რაც პოზიტიურად იქნა შეფასებული როგორც ქალთა მიმართ ძალადობისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიღებული ზომა. |
| 2017 | <ul style="list-style-type: none"> ✓ კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტში თანასწორობის უფლების შესახებ ცვლილება, რომელიც ამკვიდრებს არსებით თანასწორობას: „სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად“. ✓ გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისი კომისიის შექმნა, როგორც ეროვნულ დონეზე მოქმედი ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც კოორდინაციას უწევს აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე გენდერული შეინსტრუქციისა და გენდერული თანასწორობის საკითხების სახელმწიფო პოლიტიკაში ინტეგრაციას. ✓ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის თანახმადაც განხორციელდა იძულებითი ქორწინების, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრების, თვალთვალის და იძულებითი სტერილიზაციის კრიმინალიზაცია. |
| 2019 | <ul style="list-style-type: none"> ✓ საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა თანახმადაც სამუშაო ადგილზე და საზოგადოებრივ/საჯარო ადგილებში შევიწროება, განსაკუთრებით – სექსუალური შევიწროება – განისაზღვრა, როგორც დისკრიმინაციის ფორმა. ✓ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის შექმნა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და შემთხვევებზე დროული რეაგირების ეფექტური ინსტიტუციური მექანიზმის დანერგვა. |

⁸⁶ UN, *Concluding observations on the sixth periodic reports of Georgia – CEDAW/GEO/CO/6* (Geneva, CEDAW, 2014), https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW%2FCO%2FGEO%2FCO%2F6&Lang=en (24.07.2023).

- 2022**
 - ✓ **მთავრობის 2022 წლის 9 ნოემბრის №523 დადგენილება**, რომელიც ადგენს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ან/და **ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის გასაცემი კომპენსაციის განსაზღვრისა და გაცემის წესს**, რომელიც ბენეფიციარებს შეუძლიათ მიიღონ სახელმწიფო ბრუნვის სააგენტოსგან.
 - ✓ **„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებები**, რომლის თანახმადაც ძალაში შედის კანონპროექტების **გენდერული ზემოქმედების შეფასება (GIA)**.
- 2023**
 - ✓ საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმადაც 2023 წლის 1 ივლისიდან **„ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის მსხვერპლს“** შეეძლება სახელმწიფოს მიერ **დაფინანსებულ მხარდაჭერის სერვისებზე მსხვერპლის დადასტურებული სტატუსის გარეშე წვდომა**.

აღსანიშნავია, რომ გარდა საკანონმდებლო ცვლილებებისა, კომიტეტის მიერ პოზიტიურად იქნა შეფასებული ადამიანებით ტრეფიკინგის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით საქართველოს მიერ განეული ძალისხმევა: პროსტიტუციის ხელშემწყობი კრიმინალიზაცია, ტრეფიკინგის მსხვერპლებისთვის მრავალენოვანი იურიდიული, ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარების სერვისების უზრუნველყოფა და ამ მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, სახელმწიფო ბრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს თავშესაფრებასა და კრიზისულ ცენტრებში მომსახურების რესტრუქტურირება.

ამასთანავე, კომიტეტის მხრიდან დადებითი შეფასება დაიმსახურა 2022 წელს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების საინფორმაციო კამპანიის „არა ფემიციდს“ დაწყებამ.

კომიტეტის მიერ პოზიტიურად შეფასდა საქართველოს მიერ საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტების რატიფიცირება და 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელება. კომიტეტი ხაზს უსვამს მე-5 მიზნის – „გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგოს შესაძლებლობების გაუმჯობესება“ მნიშვნელობას და თანასწორობისა და არადისკრიმინაციული პრინციპების მენისტრიმინგს დაწარჩენი 16 მიზნის განხორციელებისას.

ჯენოვევა ტიმევა

*CEDAW კომიტეტის წევრი და ვიცესპიკერი აღმოსავლეთ ევროპის ჯგუფიდან
2023 წელს საქართველოს განხილვისას საქართველოს რაპორტერი*

„ჩემგეც და მთელ კომიტეტზეც შთაბეჭდილება მოახდინა იმ დიდმა პროგრესმა, რაც ქვეყანაში ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიმართულებით კანონმდებლობის და პოლიტიკის განვითარებას ეხება. იმპლემენტაცია უფრო პრობლემურია, მაგრამ ეს ასეა მრავალი ქვეყნისთვის და არა მხოლოდ საქართველოსთვის. თუმცა, წინა ანგარიშის წარდგენის შემდგომ, რომელიც 2014 წელს შედგა და 2023 წელს შორის, ბევრი პოზიტიური ცვლილება მოხდა საქართველოში. ზოგადად ეს შეეხო ადამიანის უფლებების განვითარებას, მათ შორის ქალთა უფლებებსა და გენდერულ თანასწორობას. აღსანიშნავია მნიშვნელოვანი რატიფიკაციები, მაგალითად როგორც არის სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება და ის საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ამის შედეგად განხორციელდა. აღსანიშნავია ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღება. მაგალითისთვის შემიძლია დავასახელო გენდერული ძალადობის მსხვერპლთა კომპენსაციის სისტემა. ჩვენ მოვითხოვთ და კარგია, რომ უკვე აღსრულდა „მსხვერპლის სტატუსის“ მოთხოვნის გაუქმება გენდერული ძალადობის მსხვერპლისთვის კომპენსაციის გაცემისას. ასევე, საკანონმდებლო ცვლილებები, როგორცაა იძულებით ქორწინების, ადევნების კრიმინალიზაცია“.⁸⁷

⁸⁷ ავტორის ინტერვიუ საქართველოს რაპორტიორთან, ჯენოვევა ტიმევასთან (ჩანერილი პლატფორმა “Zoom“-ის მეშვეობით 2023 წლის 16 აგვისტოს).

ინსტიტუციური და პოლიტიკის ჩარჩოს გაუმჯობესების ჭრილში კომიტეტის მხრიდან დადებითი შეფასება მოჰყვა საქართველოს მიერ 2017-2022 წლებში ეროვნული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და დამტკიცებას, რომელიც მიმართული იყო სახელმწიფო პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებით თანასწორობის პრინციპების დანერგვასა და გენდერული მენისტრიმინგის საკითხების ეფექტიან განხორციელებაზე. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ ეროვნული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების ჩამონათვალი, რომლებიც CEDAW კომიტეტის მიერ დადებითად იქნა შეფასებული.

ცხრილი 2. CEDAW კომიტეტის მიერ დადებითად შეფასებული ეროვნული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები⁸⁸

2017 წ.	დედათა და ჩვილ ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცება
2021-2023 წწ.	დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცება
2022 წ.	გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის დამტკიცება
2022 წ.	ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის დამტკიცება
2022 წ.	ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გავრცელებული უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების მეოთხე ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცება
2022 წ.	საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ შემუშავებული გენდერული თანასწორობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცება, რომელიც მიზნად ისახავს გენდერულად პასუხისმგებელი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებას
2021 წ.	საგარეო საქმეთა სამინისტროს 2022-2025 წლების გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცება
2022-2030 წწ.	განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის დამტკიცება, რომელიც ორიენტირებულია გენდერულ თანასწორობაზე
2021-2030 წწ.	სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცება და სამოქმედო გეგმები, რომლებიც მოიცავს ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის მენისტრიმინგს
2022 წ.	ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის მიღება

2023 წლის კომიტეტის რეკომენდაციებში კვლავ არის ხაზგასმული საზოგადოების ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების საჭიროება, რათა გაიზარდოს ქალების, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების ინფორმირებულობის დონე კონვენციისა და ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში მათი უფლებების დასაცავად არსებული სამართლებრივი გარანტიების შესახებ. ამ მხრივ, კომიტეტის რეკომენდაციებში ცალკე არის ხაზგასმული ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქალების და გოგოების უფლებების დაცვის გასაუმჯობესებლად საჭირო ღონისძიებების გატარება.⁸⁹

⁸⁸ UN, *Concluding observations on the sixth periodic reports of Georgia – CEDAW/GEO/CO/6* (Geneva, CEDAW, 2014), https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW%2FC%2FGEO%2FCO%2F6&Lang=en, (24.07.2023).

⁸⁹ UN, *Concluding observations on the sixth periodic reports of Georgia – CEDAW/GEO/CO/6* (Geneva, CEDAW, 2014), https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW%2FC%2FGEO%2FCO%2F6&Lang=en, (24.07.2023).

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად საკანონმდებლო და ინსტიტუციური დონეზე არსებული პროგრესისა კვლავ აქტუალური რჩება აღნიშნული სამართლებრივი გარანტიების პრაქტიკაში აქტიურად გამოყენების საჭიროება. დღესდღეობით, კვლავ გამონწვევად რჩება გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევების დროული შეტყობინება, რაც აღნიშნული იქნა კომიტეტის რეკომენდაციებშიც.

კერძოდ, კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს უზრუნველყოს გენდერული ნიშნით ძალადობის დროული გამოვლენის მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარება, მათ შორის იმ მიზეზების აღმოფხვრა, რის გამოც არ ხდება სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღნიშნული იყო მსხვერპლთა მხარდაჭერის სახელმწიფო სერვისებისა და უფასო იურიდიული დახმარების სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, მოსამართლეთა, პროკურორთა და ადვოკატთა გადამზადებისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელების საჭიროება.⁹⁰

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის ინიციატორი, ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლე, ყოფილი იუსტიციის მინისტრი (2020) და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის თანათავმჯდომარე, გონა ლორთქიფანიძე მჭიდროდ აკავშირებს CEDAW კონვენციის იმპლემენტაციას ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის ამუშავებასთან:

გონა ლორთქიფანიძე

ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლე, ყოფილი იუსტიციის მინისტრი (2020) და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის თანათავმჯდომარე

„ქალთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტად მიმაჩნია ანტი-დისკრიმინაციული კანონის უფრო ეფექტურად გამოყენება და განსაკუთრებით მასში გათვალისწინებული „მრავალმხრივი დისკრიმინაციის“ დანაწესის ამოქმედება. ეს მნიშვნელოვანია CEDAW კონვენციის იმპლემენტაციის კონტექსტში. რატომ ვახსენებ მრავალმხრივ დისკრიმინაციას, იმიტომ რომ ყველაზე მეტად იცავს ქალებს. როდესაც ამ კანონპროექტის შემუშავებელი ჯგუფის ხელმძღვანელი ვიყავი იუსტიციის სამინისტროში, „მრავალმხრივი დისკრიმინაციის“ განმარტება ჩემი ინიციატივით გაჩნდა კანონპროექტში ისეთი მონყვლადი ჯგუფების დაცვის მიზნით, როგორცაა ქალები.

ამდენად, გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებებისათვის მნიშვნელოვანია, თუ რამდენად ხდება ამ კანონის გამოყენება, იმპლემენტაცია, მათ შორის სახალხო დამცველის და ნებისმიერი სხვა უწყების მიერ. ამ საკითხს მუდმივი ყურადღება სჭირდება“.

ინსტიტუციური გაძლიერების მხრივ კომიტეტის მიერ კვლავ ხაზგასმულია სახალხო დამცველის ოფისის შესაძლებლობების გაძლიერების მნიშვნელობა. ამასთანავე, საკანონმდებლო დონეზე გენდერული ზეგავლენის შეფასების (GIA) ინსტრუმენტის აქტიური გამოყენება გენდერულად მგრძობიარე სახელმწიფო პოლიტიკისა შემუშავებისა და განხორციელების პროცესში.⁹¹

დეტალური რეკომენდაციებია წარმოდგენილია გაერთიანებული რეკომენდაციების თავში.

⁹⁰ იქვე.

⁹¹ იქვე.

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის დამატებითი ოქმის (OP-CEDAW) კომუნიკაციის პროცედურა

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის დამატებითი ოქმის (OP-CEDAW) კომუნიკაციის პროცედურის ფარგლებში, 2012 წლიდან დღემდე, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ განხილული იყო ორი კომუნიკაცია საქართველოს წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მიერ ქალთა უფლებების დარღვევის ამ ორივე საქმეზე CEDAW კომიტეტმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილებები:⁹²

- **საქმე No24/2009 „X და Y საქართველოს წინააღმდეგ“**, 2015 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება⁹³. აღნიშნულ საქმეზე სააღსრულებო წარმოება დასრულებულია^{94 95}.
- **საქმე No140/2019, „პ.პ., ი.პ. და იუ.პ. საქართველოს წინააღმდეგ (ხანუმ ჰეირანოვას საქმე)“**-ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ გადაწყვეტილება⁹⁶ მიიღეს 2021 წლის 25 ოქტომბერს დამატებითი ოქმის მე-7-ე მუხლის საფუძველზე. საქმის „პ.პ., ი.პ. და იუ.პ. საქართველოს წინააღმდეგ“ აღსრულების მდგომარეობა არ არის დასრულებული⁹⁷.

საქმე No24/2009 „X და Y საქართველოს წინააღმდეგ“

2015 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება No24/2009 პირველი საერთაშორისო გადაწყვეტილებაა საქართველოში ოჯახში ძალადობის შესახებ. იგი შეეხებოდა დედა-შვილის წინააღმდეგ ხანგრძლივი და სასტიკი ძალადობის საქმეს და მნიშვნელოვან ხარვეზებს ავლენს სახელმწიფოს რეაგირებაში. გადაწყვეტილება საქართველოს არა მხოლოდ მსხვერპლთა კომპენსაციისკენ მოუწოდებს, არამედ ფართომასშტაბიანი რეფორმების დანერგვისკენ და ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან საბრძოლველად ნულოვანი შემწყნარებლობის პოლიტიკის წარმოებისკენ.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, საქმის – „X და Y საქართველოს წინააღმდეგ“ 6-მა მომჩივანმა კომპენსაციის მიღების მოთხოვნით 2016 წლის 12 აგვისტოს მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომლის 2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით, მოსარჩევეებს კომპენსაციის სახით განესაზღვრათ 20 000-20 000 ლარი, რაც ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2018 წლის 30 აპრილს.⁹⁸

⁹² საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის, 7 სექტემბრის, წერილი #10095.

⁹³ CEDAW, *Communication NO. 24/2009 – CEDAW/C/61/D/24/2009 adopted 13 July, 2015* (Geneva, CEDAW, 2015). <https://juris.ohchr.org/casedetails/2051/en-US> (23.08.2023).

⁹⁴ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო 2019 წლის, 25 მარტი, ანგარიში #4607, გვ. 4-20. <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/16877> (23.08.2023).

⁹⁵ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2019 წლის ანგარიში – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, თბილისი, 2020), გვ. 4-5. <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/26130> (23.08.2023).

⁹⁶ CEDAW, *Communication NO. 140/2019 – CEDAW/C/80/D/140/2019 adopted 25 October, 2021* (Geneva, CEDAW, 2021).

⁹⁷ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2022 წლის ანგარიში – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ (თბილისი, 2023), გვ. 12-26. <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/38763> (23.08.2023).

⁹⁸ იქვე.

საქმე No140/2019 – ხანუმ ჯეირანოვას საქმე

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა დაადგინა, რომ ხანუმ ჯეირანოვა გახდა ეთნიკურ კუთვნილება-სთან და პოლიციისა და სასამართლო სისტემის სტერეოტიპულ დამოკიდებულებებთან დაკავშირებული ჯვარედინი დისკრიმინაციის მსხვერპლი.

კომიტეტის დასკვნით, საქართველომ ვერ უზრუნველყო ეფექტური დაცვა და არ მიიღო ყველა შესაბამისი ზომა ჯეირანოვას მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად. მათივე შეფასებით, საქართველომ დაარღვია ვალდებულება, გამოიძიოს და დასაჯოს მსხვერპლზე თავდასხმისა და მის გარდაცვალებაზე პასუხისმგებელი პირები.

გარდა საქმის გამოძიების, კომპენსაციის გადახდის და ბოლიშის მოხდისა, კომიტეტმა მოსთხოვა საქართველოს, გააძლიეროს ზომები ქალთა სიცოცხლის უფლებისა და მათი წამებისგან თავისუფლების უზრუნველსაყოფად. ყურადღება გაამახვილოს იზოლირებულ, დახურულ თემებზე, სადაც ღირსების დაცვაზე დაფუძნებული ნორმები მოქმედებს.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ ხანუმ ჯეირანოვას საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების აუცილებლობაზე საუბრობს საქართველოს მიმომხილველი (რაპორტერი), ქალბატონი ჯენოვევა ტიმევაჯ:

ხანუმ ჯეირანოვას საქმე

კომუნიკაცია No140/2019-ის თანახმად 2014 წლის 16 სექტემბერს საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოში 30 წლის **ხანუმ ჯეირანოვა ქმრის ნათესავებმა ღალატში დაადანაშაულეს**. ისინი ხანუმ ჯეირანოვასთან სახლში მივიდნენ, როდესაც ის მართო იყო მცირეწლოვან შვილებთან ერთად. გამოიყვანეს გარეთ, ფეხშიშველი სოფელში ჩამოატარეს, თან სცემდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. ხანუმ ჯეირანოვამ რამდენჯერმე დაკარგა გონება.

შემთხვევას ჰყავდა თვითმხილველები, სოფლის მცხოვრებლები, რომლებიც თვალს ადევნებდნენ, რაც ხდებოდა, მაგრამ არ ჩარეულან. ასეთ მდგომარეობაში მიიყვანეს ქმრის ნათესავებმა ხანუმ ჯეირანოვა მშობლების სახლში.

იმ ღამეს სოფლის გამგებელი და პოლიციის თანამშრომლები მსხვერპლის მშობლების სახლში გამოიძახეს, სადაც მათ დახვდათ ატირებული ქალი, რომელიც შველას ითხოვდა, რადგან ოჯახის წევრები თავის მონამვლას აიძულებდნენ. **სამართალდამცავებს არც ნათესავები დაუკავებიათ და არც ქალი გადაუყვანიათ საავადმყოფოში**.

სოფლის გამგებელმა ქალი ოჯახს გაარიდა, მაგრამ დილით დედას დაუბრუნა. მეორე დღეს ჯეირანოვას დედამ იგი გარდაცვლილი იპოვა ბაღის ფარდულში, თოკზე ჩამოკიდებული. თვითმხილველების თანახმად, ქალის ტანსაცმელი სისხლით იყო გაჟღენთილი და ის „სიკვდილამდე იყო ნაცემი“. ოჯახმა ექსპერტიზაზე უარი განაცხადა, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა არ ჩატარებია არც პოლიციას. გამოძიება დაიწყო, მაგრამ საქმე მალევე დაიხურა.

პროკურატურის ინფორმაციით, მსხვერპლმა თვითმკვლელობა ჩაიდინა, მათი თქმით, საკუთარი „სამარცხვინო“ და „უკადრისი“ საქციელის გამო.

ქალზე ძალადობის თემას თუ დაუბრუნდებით, სისტემის ნაკლოვანებები ნათლად ვლინდება ჩვენთან განხილულ ჯეირანოვას შემთხვევაში. აუცილებელია, რომ სახელმწიფომ აღასრულოს ჩვენი გადანყვებილება №C/80/D/140/2019.

„ის იყო ეგრეთ წოდებულ „ღირსებასთან“ დაკავშირებული ძალადობის მსხვერპლი. ეს ქეისი სამაგალითოა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ სხვა ქვეყნებისთვისაც და კარგად აჩვენებს სისტემის უუნარობას ადეკვატურად უპასუხოს ოჯახში ძალადობას. თანაც ეს შემთხვევა ააშკარავებს კულტურულ, ტრადიციულ კონტექსტს, რომელიც ქალის წინააღმდეგ ილაშქრებს.

ეგრეთ წოდებულ „ღირსებასთან“ დაკავშირებულ ძალადობაში ჩართულია ყველა: ჯეირანოვას ოჯახი, მისი გარემოცვა, თავად ის პირი, ვისაც ხვდებოდა, მთელი რეპრესიული კულტურა. თანაც ეს ხდება ღრმა პროვინციაში, ეთნიკური უმცირესობის თემში, მას არა აქვს გადარჩენის შანსი. არ არის ნათელი იყო ეს თვითმკვლელობა თუ მკვლელობა, რამდენადაც ვიცი გამოძიება მიმდინარეობდა.

დიალოგისას ჩვენ შევასხენეთ მთავრობას, რომ უნდა აღასრულოს ჩვენი გადაწყვეტილება. აუცილებელია ჯერიანოვას ბავშვებმა მიიღონ კომპენსაცია. ჩვენ ყურადღებით ველოდებით საქართველოს შემდგომი ანგარიშის წარდგენას პეტიციების განყოფილებაში. ჩვენ გვესმის, რომ არსებობს გარკვეული წინააღმდეგობები კანონში, მაგრამ ეს გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა აღსრულდეს და როგორც ჯერიანოვას, ასევე მსგავს შემთხვევებშიც, უნდა გაიცეს კომპენსაცია.

დამატებითი ოქმი არის საერთაშორისო სამართლის ინსტრუმენტი და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ვალდებულება. საქართველო ჯერ კიდევ ძიებაშია საკანონმდებლო ინსტრუმენტის, რომ გასცეს კომპენსაცია. მაგრამ ქვეყანას რატიფიცირებული აქვს დამატებითი ოქმი და ამიტომ ვალდებულია, იძოვოს კომპენსაციის გაცემის საშუალება.

ამ შემთხვევის გამოძიების ნაკლოვანება აშკარაა და კომიტეტი დაელოდება სახელმწიფოსგან ქმედებას. ვნახოთ, თუ როგორ გაართმევს ამ შემთხვევას თავს სახელმწიფო. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან კავშირშია ყველა იმ რეკომენდაციასთან, რაც ჩვენ გავცით, ეხება ეს მავნე პრაქტიკას თუ „ღირსების“ სახელით ჩადენილ დანაშაულებს და მჭიდრო კავშირშია სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული საკანონმდებლო ცვლილებების იმპლემენტაციასთან“ (ტიშევა 2023).

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის დანარჩენი რეკომენდაციები იხილეთ გაერთიანებული რეკომენდაციების თავში.

ადამიანის უფლებების სხვა კომიტეტებთან საქართველოს ანგარიშვალდებულების განხორციელება

საქართველომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტებს არაერთი ანგარიში წარუდგინა ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ:

- რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს 2016⁹⁹ წელს წარუდგინა მეექვსე – მერვე, ხოლო 2022¹⁰⁰ წელს მეცხრე – მეათე პერიოდული ანგარიში;
- ბავშვთა უფლებათა კომიტეტს 2017¹⁰¹ წელს წარუდგინა მეოთხე, ხოლო 2023¹⁰² წელს – მეხუთე – მეექვსე პერიოდული ანგარიში, რომლის განხილვაც ჯერ არ დასრულებულა;
- ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტს 2023¹⁰³ წელს – მესამე პერიოდული ანგარიში, რომლის განხილვაც ჯერ არ დასრულებულა;

⁹⁹ UN, Concluding observations on the combined sixth and eighth periodic reports of Georgia – CERD/C/GEO/CO/6-8 (Geneva, CERD 2016). https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolNo=CERD%2FC%2FGEO%2FCO%2F6-8&Lang=en (29.07.2023).

¹⁰⁰ UN, Concluding observations on the combined ninth and tenth periodic reports of Georgia – CERD/C/GEO/CO/9-10 (Geneva, CERD 2022). https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolNo=CERD%2FC%2FGEO%2FCO%2F9-10&Lang=en (29.07.2023).

¹⁰¹ UN, Concluding observations on the fourth periodic report of Georgia – CRC/C/GEO/CO/4 (Geneva, CRC, 2017), https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolNo=CRC%2FC%2FGEO%2FCO%2F4&Lang=en (29.07.2023).

¹⁰² UN, Combined fifth and sixth reports submitted by Georgia under article 44 of the Convention, due in 2023 – CRC/C/GEO/5-6 (Geneva, CRC, 2023). https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolNo=CRC%2FC%2FGEO%2F5-6&Lang=en (29.07.2023).

¹⁰³ UN, Third periodic report submitted by Georgia under articles 16 and 17 of the Covenant, due in 2007 – E/C.12/GEO/3 (Geneva, CESCR, 2023), https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolNo=E%2FC.12%2FGEO%2F3&Lang=en (29.07.2023).

- შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტს კი 2023¹⁰⁴ წელს წარუდგინა საქართველოს თავდაპირველი ანგარიში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქვეყანამ განხილვების შედეგად პოზიტიური შეფასება მიიღო. თუმცა აღსანიშნავია ადამიანის უფლებების დაცვაზე მიმართული მნიშვნელოვანი რეკომენდაციებიც, რომლებიც რიგ შემთხვევაში ეხება ქალთა უფლებების დაცვას.¹⁰⁵

უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (UPR)¹⁰⁶

უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (UPR) არის ადამიანის უფლებათა საბჭოს უნიკალური მექანიზმი, რომელიც მოუწოდებს გაეროს წევრ ქვეყნებს, წარუდგინონ ერთმანეთს ანგარიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ყოველ 4-5 წელიწადში ერთხელ და მათგან მიიღონ რეკომენდაციები ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესების და გამონწვევების დაძლევის მიმართულებით.

საქართველოს მესამე განხილვის ციკლი ადამიანის უფლებათა საბჭოს 47-ე სხდომაზე 2021 წლის 26 იანვარს შედგა¹⁰⁷. ქვეყანამ მიიღო 285 რეკომენდაცია, რომელთაგან მხარი დაუჭირა უნივერსალური პერიოდული განხილვის შედეგად მიღებულ 257 რეკომენდაციას (ზრდა 34,6%-ით მე-2 ციკლთან შედარებით).

საქართველოს მიერ მხარდაჭერილი რეკომენდაციები ეხება:

- განხორციელების სამართლებრივ და ზოგად ჩარჩოს;
- საყოველთაო და ჯვარედინ საკითხებს;
- სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს;
- ქალთა უფლებებსა და სხვა მონყვლადი ჯგუფებისა და პირების უფლებებს.

რაც შეეხება მდგრადი განვითარების მიზნებს, რეკომენდაციები 5 ძირითად მიზანს შეეხო:

- საქართველოს მიმართ რეკომენდაციების 38% შეეხო მდგრადი განვითარების მე-16 მიზანს: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე;
- მე-10 მიზანს: „უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის“ შეეხო რეკომენდაციების 21%;
- მე-5 მიზანს: „გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგოს შესაძლებლობების გაუმჯობესება“ შეეხო რეკომენდაციების 15%;
- მე-4 მიზანს: „ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის“ შეეხო რეკომენდაციების 7%;
- მე-8 მიზანს: „სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის“ შეეხო რეკომენდაციების 6%.

¹⁰⁴ UN, Concluding observations on the initial report of Georgia – CRPD/C/GEO/CO/1 (Geneva, CRPD, 2023), https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolNo=CRPD%2FC%2FGEO%2FCO%2F1&Lang=en (29.07.2023).

¹⁰⁵ იხილეთ გაერთიანებული რეკომენდაციების თავი (თავი II და დანართი 2).

¹⁰⁶ UN, Universal Periodic Review – Resolution 60/251 (New York, General Assembly, 2006). <https://www.ohchr.org/en/hr-bodies/upr/upr-home> (15.08.2023).

¹⁰⁷ OHCHR, Universal Periodic Review of Georgia (Geneva, Human Rights Council, 2021). <https://www.ohchr.org/en/hr-bodies/upr/ge-index> (15.08.2023).

ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური პროცედურების ვიზიტები საქართველოში

საქართველოს მთავრობის მოწვევით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ქვეყანაში განხორციელდა ადამიანის უფლებათა საბჭოს შვიდი სპეციალური პროცედურების ვიზიტი:

- | | |
|-------------|--|
| 2013 | ✓ 2013 წლის 10-დან 14 ივნისამდე საქართველოში ვიზიტზე იმყოფებოდა გაეროს სპეციალური მომხსენებელი იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა საკითხებში ჩალოკა ბეიანი. ¹⁰⁸ |
| 2015 | ✓ 2015 წლის 12-დან 19 მარტამდე საქართველოს ეწვია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებელი ხუან ე. მენდესი. ¹⁰⁹ |
| 2016 | <ul style="list-style-type: none"> ✓ 2016 წლის 15-19 თებერვალს საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი დუბრაჟკა სიმონოვიჩი;¹¹⁰ ✓ 2016 წლის 11-დან 18 აპრილამდე საქართველოს ეწვია სპეციალური მომხსენებელი ბავშვების გაყიდვის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის საკითხებში მო დე ბოერ-ბუკიკიო;¹¹¹ ✓ 2016 წლის 24-დან 29 სექტემბრის ჩათვლით საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა გაეროს სპეციალური მომხსენებელი იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებების საკითხებში ჩალოკა ბეიანი.¹¹² |
| 2018 | <ul style="list-style-type: none"> ✓ 2018 წლის 12-დან 22 მარტამდე საქართველოში იმყოფებოდა ხანდაზმული პირების მიერ ადამიანის ყველა უფლებით სარგებლობის საკითხებში დამოუკიდებელი ექსპერტი როზა კონფელდ-მატე;¹¹³ ✓ 2018 წლის 25 სექტემბრიდან 5 ოქტომბრის ჩათვლით საქართველოში იმყოფებოდა გაეროს ექსპერტი გენდერული ძალადობისა და სექსუალური დისკრიმინაციისაგან დაცვის საკითხებში ვიქტორ მადრიგალ-ბორლოზი.¹¹⁴ |

¹⁰⁸ UN. Report of the Special Rapporteur on the human rights of internally displaced persons – A/HRC/26/33/Add.1 (Geneva, Human Rights Council, 2014), <https://spinternet.ohchr.org/Download.aspx?SymbolNo=A%2fHRC%2f26%2f33%2fAdd.1&Lang=en> (16.07.2023).

¹⁰⁹ UN, Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment on his mission to Georgia – A/HRC/31/57/Add.3 (Geneva, Human Rights Council, 2015), <https://spinternet.ohchr.org/Download.aspx?SymbolNo=A%2fHRC%2f31%2f57%2fAdd.3&Lang=en> (16.07.2023).

¹¹⁰ UN, Report of the Special Rapporteur on violence against women, its causes and consequences on her mission to Georgia – A/HRC/32/42/Add.3 (Geneva, Human Rights Council, 2016), <https://spinternet.ohchr.org/Download.aspx?SymbolNo=A%2fHRC%2f32%2f42%2fAdd.3&Lang=en> (16.07.2023).

¹¹¹ UN, Report of the Special Rapporteur on the sale of children, child prostitution and child pornography on her visit to Georgia – A/HRC/34/55/Add.1 (Geneva, Human Rights Council, 2016), <https://spinternet.ohchr.org/Download.aspx?SymbolNo=A%2fHRC%2f34%2f55%2fAdd.1&Lang=en> (16.07.2023).

¹¹² UN, Report of the Special Rapporteur on the human rights of internally displaced persons on his follow-up mission to Georgia – A/HRC/35/27/Add.2 (Geneva, Human Rights Council, 2016), <https://spinternet.ohchr.org/Download.aspx?SymbolNo=A%2fHRC%2f35%2f27%2fAdd.2&Lang=en> (16.07.2023).

¹¹³ UN, Report of the Independent Expert on the enjoyment of all human rights by older persons on her mission to Georgia – A/HRC/39/50/Add.1 (Geneva, Human Rights Council, 2018), <https://spinternet.ohchr.org/Download.aspx?SymbolNo=A%2fHRC%2f39%2f50%2fAdd.1&Lang=en> (16.07.2023).

¹¹⁴ UN, Report of Independent Expert on protection against violence and discrimination based on sexual orientation and gender identity on his visit to Georgia – A/HRC/41/45/Add.1 (Geneva, Human Rights Council, 2019), <https://spinternet.ohchr.org/Download.aspx?SymbolNo=A%2fHRC%2f41%2f45%2fAdd.1&Lang=en> (29.07.2023).

აღსანიშნავია, რომ ამ ვიზიტებიდან ორი – დუბრაკა სიმონოვიჩის და ვიქტორ მადრიგალ-ბორლოზის, უშუალოდ ქალთა უფლებებს და გენდერულ თანასწორობას ეძღვნებოდა. თუმცა, სხვა ვიზიტების შემთხვევაშიც, რიგი რეკომენდაციები მიეძღვნა ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის განმტკიცებას¹¹⁵.

გაეროს მდგრადი განვითარების დღის წესრიგი (SDG's)

2015 წელს მსოფლიო ლიდერებმა ერთხმად მიიღეს მდგრადი განვითარების გლობალური დღის წესრიგი და გამოკვეთეს 2030 წლამდე შესასრულებელი 17 მიზანი და 169 ამოცანა¹¹⁶, რომლებიც ათასწლეულის განვითარების მიზნების გაგრძელებას წარმოადგენს (MDG's)¹¹⁷. 2017 წელს კი საერთაშორისო დონეზე დასრულდა მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორთა შემუშავება¹¹⁸, თუმცა ინდიკატორთა ბაზა ყოველწლიურ განახლებას ექვემდებარება. დღევანდელი მოცემულობით, გამოიყენება 231 გლობალური ინდიკატორი.

მდგრადი განვითარების მიზნების მე-5 მიზანია გენდერული თანასწორობის მიღწევა და ქალების და გოგოების გაძლიერება. გენდერული თანასწორობა და ქალების და გოგოების გაძლიერება, ასევე მნიშვნელოვან ბმაშია დანარჩენი მიზნების მიღწევასთან.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა მდგრადი განვითარების მიზნების (SDG's) საქართველოსთვის მისადაგების მიმართულებით:

- ქვეყანა იყო პირველი 22 ქვეყანას შორის, რომელმაც 2016 წელს საერთაშორისო დონეზე წარმოადგინა ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის ანგარიში (VNR)¹¹⁹.
- 2017 წელს საქართველომ მე-17 მდგრადი განვითარების მიზანი ეროვნულ პრიორიტეტად გამოაცხადა და ჩამოაყალიბა მდგრადი განვითარების მიზნების მაკორდინირებელი და საზედამხებველო ორგანო – ეროვნული საბჭო, რომლის ფარგლებში მუშაობს ოთხი ჯგუფი: სოციალური ჩართულობა, ეკონომიკური განვითარება, მდგრადი ენერგორესურსები და გარემოს დაცვა და დემოკრატიული მმართველობა.
- 2019 წელს საქართველომ ეროვნული დღის წესრიგის შემუშავება საბოლოოდ დაასრულა¹²⁰, რის შემდგომაც მსოფლიო თანამეგობრობას წარუდგინა მეორე ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვა (VNR) 2020 წელს¹²¹.
- საქართველომ განახორციელა 231 SDG ინდიკატორიდან 199 ინდიკატორის ნაციონალიზაცია, რომელთაგან 32 უკავშირდება ქალებს ან მოითხოვს სქესის ნიშნით მონაცემთა ჩაშლას¹²². 32-დან სრულყოფილი სტატისტიკა ხელმისაწვდომია 24 ინდიკატორისთვის, რაც 75% შეადგენს (იხ. დანართი 1 და დანართი 1ა)¹²³.

¹¹⁵ იხილეთ გაერთიანებული რეკომენდაციების თავი და დანართი 2.

¹¹⁶ UN, Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development – A/RES/70/1 (New York, General Assembly, 2015), <https://sustainabledevelopment.un.org/post2015/transformingourworld/publication> (10.08.2023).

¹¹⁷ UN, Millennium Development Goals and Beyond 2015 (New York, DESA, 2016). <https://www.un.org/millenniumgoals/> (10.08.2023).

¹¹⁸ UN, Work of the Statistical Commission pertaining to the 2030 Agenda for Sustainable Development – A/RES/71/313 (New York, General Assembly, 2017), https://ggim.un.org/documents/a_res_71_313.pdf (10.08.2023).

¹¹⁹ UN, Synthesis of Voluntary National Reviews (New York, High Level Political Forum, 2016), https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/127761701030E_2016_VNR_Synthesis_Report_ver3.pdf (10.07.2023).

¹²⁰ საქართველოს მთავრობის განკარგულება #2328, მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის თაობაზე (დამტკიცებულია 2019 წლის 12 ნოემბერს), <https://matsne.gov.ge/document/view/4732470?publication=0> (10.07.2023).

¹²¹ UN, Voluntary National Review (New York, High Level Political Forum, 2020), <https://sustainabledevelopment.un.org/memberstates/georgia> (10.08.2023).

¹²² საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გენდერული სტატისტიკის სტრატეგია 2021-2023 (თბილისი, 2020), https://www.geostat.ge/media/41397/Gender_Strategy-Geostat.pdf (05.08.2023).

¹²³ იქვე.

დიაგრამა 1. მდგრადი განვითარების მიზნები (SDG)

მიზანი 1	მიზანი 2	მიზანი 3	მიზანი 4	მიზანი 5
სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა	შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა	ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის	ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის	გენდერული თანასწორობის მიღწევა და ქალების და გოგოების გაძლიერება.
მიზანი 6	მიზანი 7	მიზანი 8	მიზანი 9	
წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა	ხელმისაწვდომი, სიმშრე, სტაბილური და თანამედროვე ენერჯის საყოველთაო ხელმისაწვდომობა	სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის	მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა	
მიზანი 10	მიზანი 11	მიზანი 12	მიზანი 13	
უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის	ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება	მდგრადი მოხმარება და წარმოება	კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება;	
მიზანი 14	მიზანი 15	მიზანი 16	მიზანი 17	
ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისთვის	ხმელეთის ეკოსისტემის დაცვა, აღდგენა და ხელშეწყობა, ტყის მდგრადი მართვა, გაუდაბნობის წინააღმდეგ ბრძოლა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების დანაკარგების შეჩერება	მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა	პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.	

გაეროს ქალთა სტატუსის კომიტეტთან (CSW) თანამშრომლობა

საქართველო რეგულარულად მონაწილეობს გაეროს ქალთა სტატუსის კომისიის (CSW) სესიებში (საქართველო CSW-ის წევრი იყო 2011-2015 წლების ვადით). 2014 წელს საქართველო ასევე იყო CSW-ს 58-ე სესიის ბიუროს ვიცე-თავმჯდომარე.

საქართველომ თავისი ბოლო ანგარიში პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის + 25 ყოვლისმომცველი შესრულების თაობაზე 2020 წელს წარადგინა (ელექტრონულად / დისტანციურად) ქალთა

2023 წლის 6-17 მარტს, გაერო-ს ქალთა სტატუსის კომისიის (CSW) 67-ე სესიის ფარგლებში, ნიუ-იორკში საქართველოს თანაორგანიზებით გაიმართა ორი პარალელური ღონისძიება:

- 7 მარტს – საქართველოს, ბელგიის, ზამბიის და UNFPA-ს მიერ ორგანიზებული პარალელური ღონისძიება – “Innovation and Technology for Acceleration”: Ending Gender-based Violence and all Forms of Harmful Practices Against Women and Girls“;
- 7 მარტს – საქართველოსა და UN Women-ის თანაორგანიზებითა და სომხეთისა და ნორვეგიის მისიების თანასპონსორობით, პარალელური ღონისძიება (ვირტუალურ ფორმატში) – „Joint Effort for Empowering Women in Technology“.

სტატუსის კომისიის 64-ე სხდომაზე, სადაც დეტალურად აღწერა მოცემულ პერიოდში ქალთა გაძლიერებისათვის გატარებული ზომები თორმეტივე კრიტიკულად მნიშვნელოვან სფეროში¹²⁴.

პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა (BPfA)

პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა მიიღეს ქალთა საქმეების IV მსოფლიო კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა 1995 წლის სექტემბერში პეკინში¹²⁵. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 189 ქვეყნის დელეგაციამ, მათ შორის საქართველოს წარმომადგენლობამაც.

პეკინის სამოქმედო პლატფორმა ავალდებულებს ხელმძღვანელებს სახელმწიფოებს ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ წარუდგინონ საერთაშორისო საზოგადოებას ანგარიში ქალთა გაძლიერების მიზნით გატარებულ ზომებზე 12 ძირითადი მიმართულებით:

- ქალთა გაძლიერების ინსტიტუციური მექანიზმები;
- ქალები და სიღარიბე;
- ქალთა განათლება და სწავლება;
- ქალები და ჯანმრთელობა;
- ქალთა მიმართ ძალადობა;
- ქალები და შეიარაღებული კონფლიქტი/ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება;
- ქალები და ეკონომიკა;
- ქალები ხელისუფლებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- ქალები და მედია;
- ქალები სოფლის მეურნეობასა და გარემოს დაცვაში;
- გოგონების უფლებები.
- მე-12 მიმართულება 11-ვე მიმართულებას მოიცავს და განისაზღვრება, როგორც ქალთა უფლებები¹²⁶.

CEDAW კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს სრულად გამოიყენოს პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა, რათა შეაფასოს ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებითი თანასწორობის მიღწევები კონვენციით გათვალისწინებული უფლებების რეალიზების კუთხით. ასევე, აღიაროს ქალები, როგორც მდგრადი განვითარების მამოძრავებელი ძალა და განახორციელოს შესაბამისი პოლიტიკა/სტრატეგიები ამ მიზნით (CEDAW, *Concluding observations on the sixth periodic reports of Georgia*).

ადამიანის უფლებების რეგიონალურ სტრუქტურებთან თანამშრომლობა

ქვეყანაში ქალთა უფლებების უზრუნველყოფის მიმართულებით საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობს ადამიანის უფლებების რეგიონალურ სტრუქტურებთან.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) იმპლემენტაციაზე მუშაობა. აღნიშნული კონვენცია წარმოადგენს ყველაზე ყოვლისმომცველ საერთაშორისო ხელშეკრულებას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. იგი წარმოდგენილი იყო ხელმოწერისთვის 2011 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 2014 წლის აგვისტოში¹²⁷.

¹²⁴ Georgia, *National-level Review of the Implementation of the Beijing Declaration and Platform for Action Beijing +25* (New York, CSW64, 2020), <https://www.unwomen.org/sites/default/files/Headquarters/Attachments/Sections/CSW/64/National-reviews/Georgia.pdf> (10.08.2023).

¹²⁵ UN, *Beijing Declaration and Platform for Action* (Beijing: Fourth World Conference on Women, 1995).

¹²⁶ იქვე.

¹²⁷ Council of Europe, *Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence (CETS no. 210)* (Istanbul, 11 May, 2011), <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=signatures-by-treaty&treaty=210> (13.10.2023).

საქართველომ სტამბოლის კონვენციას ხელი მოაწერა 2014 წელს და იყო 23-ე ქვეყანა, რომელმაც 2017 წელს კონვენციის რატიფიცირება მოახდინა.¹²⁸

საქართველომ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ქვეყანაში გატარებულ ზომებზე საბაზისო ანგარიში წარადგინა სტამბოლის კონვენციის განხორციელების მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფში – GREVIO-ს კომიტეტში 2020 წელს¹²⁹. კომიტეტმა ანგარიშის შეფასება საბოლოოდ დაასრულა და რეკომენდაციები გამოსცა 2022 წლის 6 დეკემბერს¹³⁰.

პოზიტიურად შეფასდა:

- ▶ ბოლო წლებში განუვლი ძალისხმევა პოლიტიკისა და კანონმდებლობის გაუმჯობესების კუთხით, კერძოდ, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის, სტამბოლის კონვენციის დეფინიციებთან შესაბამისობაში მოყვანა, რამაც უზრუნველყო გენდერული პერსპექტივის განმტკიცება კანონმდებლობაში;
- ▶ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის სხვადასხვა ფორმის ეროვნული სამოქმედო გეგმები და სტრატეგიები;
- ▶ სისხლის სამართლის სისტემაში სტატისტიკური მონაცემების შეგროვების გაუმჯობესება, კერძოდ, სამართალდამცავი ორგანოებისა და პროკურატურის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობისა და სისხლის სამართლის საქმის მართვის ახალი ელექტრონული სისტემის დანერგვა, სისხლის სამართლის ჯაჭვში დესეგრეგირებული მონაცემების შეგროვება, როგორც ამას მოითხოვს სტამბოლის კონვენციასთან ჰარმონიზაცია;
- ▶ 2018 წლიდან ქალთა გენდერის ნიშნით ჩადენილი მკვლევარობების რაოდენობის აღრიცხვა და გამოყენებული მეთოდოლოგიის ჰარმონიზაციის მიმართულებით გატარებული ზომები;
- ▶ 2017 წელს ეროვნული საკოორდინაციო ორგანოს, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისი კომისიის შექმნა, როგორც ამას მოითხოვს სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლი;
- ▶ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ეროვნული საკომუნიკაციო სტრატეგიის შესაბამისი ცნობიერების ამაღლების ზომები: ცნობიერების ამაღლების დეტალური აქტივობები და ქალებზე ძალადობის სხვადასხვა ფორმის შესახებ ცნობიერების ამაღლების ძალისხმევაში განათლების სექტორის ჩართვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები;
- ▶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა: ახალი სისხლის სამართლის დანაშაულების განსაზღვრა, როგორცაა თვალთვალი, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება და იძულებით ქორწინება; ფსიქოლოგიური ძალადობის ოჯახში ძალადობის დანაშაულად განსაზღვრა; მსხვერპლთა სამართლებრივი ხელმისაწვდომი დახმარების უზრუნველყოფა;
- ▶ ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა კომპენსაციის სახელმწიფო სქემის შემოღება, რომელიც ძალაში შევიდა 2023 წლიდან;
- ▶ პოლიციისა და პროკურატურის პროცედურების სტანდარტიზაცია ოჯახური და სექსუალური ძალადობის საქმეებთან მიმართებით;
- ▶ ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, როგორც დევნის ფორმის, კანონით აღიარება, რამაც შესაძლებელია, განაპირობოს ლტოლვილის სტატუსის მინიჭება.

GREVIO-ს რეკომენდაციები იხილეთ გაერთიანებული საერთაშორისო რეკომენდაციების თავში და დანართ 2-ში.

¹²⁸ იქვე.

¹²⁹ Council of Europe, Report submitted by Georgia pursuant to Article 68, paragraph 10 of the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence (Baseline Report) (GREVIO, 11 December, 2020), <https://rm.coe.int/georgia-state-report/1680a0a4e6> (13.08.2023).

¹³⁰ Council of Europe, Recommendation on the implementation of the Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence by Georgia (GREVIO, 12 December, 2022), <https://rm.coe.int/ic-cp-inf-2022-14-cop-recommendation-georgia-eng/1680a952e8> (13.10.2023).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECHR)

2012 წლიდან დღემდე საქართველოს მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) მიერ ქალთა უფლებების დარღვევის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სამ საქმეზე:

- საჩივარი #33056/17, „თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ“, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2021 წლის 8 ივლისს.¹³¹
- საჩივარი #73975/16, „A და B საქართველოს წინააღმდეგ“, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2022 წლის 10 თებერვალს, ხოლო საბოლოო გახდა 10.05.2022.¹³²
- საჩივარი #38650/18, „გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო 2023 წლის 15 ივნისს. გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 15.09.2023-ში.¹³³

საჩივარი #33056/17, „თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ“

საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს წინაშე 2017 წლის 13 აპრილს შევიდა. მომჩივანი, თ.თ., ასაჩივრებდა ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მარცხს, დაეცვათ მისი ქალიშვილი ოჯახში ძალადობისგან და განეხორციელებინათ ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი გამოძიება იმ გარემოებებთან მიმართებით, რამაც განაპირობა მისი სიკვდილი. მომჩივანმა განაცხადა, რომ პოლიციისთვის ცნობილი იყო მისი ქალიშვილის სიცოცხლის მიმართ არსებული რისკები, თუმცა ვერ უზრუნველყო საჭირო პრევენციული ღონისძიებების გატარება. კერძოდ, მისი და მისი ქალიშვილის მიერ ლ.მ-ს ძალადობრივ ქმედებებთან დაკავშირებით წარდგენილ არაერთ საჩივარზე პასუხი შეუსაბამო და დისკრიმინაციული იყო. შესაბამისად, საქართველომ დაარღვია თავისი არსებითი პოზიტიური ვალდებულებები კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) შესაბამისად მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთობლიობაში. სტრასბურგის სასამართლომ მომჩივანს მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით 35 000 ევრო მიაკუთვნა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების – „თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ“ – აღსრულების მდგომარეობა დასრულებულია¹³⁴. „თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ“ სტრასბურგის სასამართლოს მიერ მომჩივნისთვის მინიჭებული სამართლიანი დაკმაყოფილების თანხა (35 000 ევრო) მთავრობამ გადაიხადა დადგენილ ვადაში, კერძოდ, 2021 წლის 10 ნოემბერს.

საჩივარი #73975/16, „A და B საქართველოს წინააღმდეგ“

სტრასბურგის სასამართლოს წინაშე, მომჩივნები არიან C-ს დედა და ვაჟიშვილი. C მოკლულ იქნა საკუთარი პარტნიორი D-ს მიერ, რომელიც იმ დროისთვის იყო პოლიციის თანამშრომელი.

C-მ და მისმა ოჯახმა წევრებმა რამდენჯერმე განაცხადეს ოჯახური ძალადობის მრავალრიცხოვანი ინციდენტების შესახებ, რომლებიც განხორციელდა D-ის მიერ. პირველი მომჩივანი, რომელიც მოქმედებდა მისი და მეორე მომჩივნის სახელით, დავობდა, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ დაიცვა C ოჯახში ძალადობისგან და არ ჩაატარა ეფექტური სისხლისსამართლებრივი გამოძიება მის სიკვდილში ხელშემწყობ გარემოებებთან დაკავშირებით.

¹³¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქმე „თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ“, საჩივარი #33056/17 (სტრასბურგი, მეხუთე სექცია, 2021 წლის 8 ივლისი), იხ. ბმული: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5273734?publication=0> (23.08.2023).

¹³² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქმე „A და B საქართველოს წინააღმდეგ“, საჩივარი #73975/16 (სტრასბურგი, მეხუთე სექცია, 2022 წლის 10 თებერვალი), იხ. ბმული: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5443641?publication=0> (23.08.2023).

¹³³ European Court of Human Rights, *CASE OF GAIDUKEVICH v. GEORGIA, Application no.38650/18* (Strasbourg, ECHR, 2023), იხ. ბმული: [https://hudoc.echr.coe.int/#%22itemid%22:\[%22001-225228%22\]](https://hudoc.echr.coe.int/#%22itemid%22:[%22001-225228%22]) (23.08.2023).

¹³⁴ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2022 წლის ანგარიში – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (თბილისი, 2023). გვ. 69-83. <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/38706> (23.08.2023).

სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ წინამდებარე საქმე შეიძლება განიხილებოდეს, როგორც კიდევ ერთი ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლია სამართალდამცავი ორგანოების ზოგად და დისკრიმინაციულ პასიურობას ოჯახში ძალადობის შესახებ, შექმნას კლიმატი, რომელიც ხელს შეუწყობს მსხვერპლთა მიმართ ჩადენილი ძალადობის შემდგომ გავრცელებას მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქალები არიან. სხვადასხვა დამცავი ზომების უგულებელყოფით, რომლებიც პირდაპირ ხელმისაწვდომი იყო, ხელისუფლებამ არ აღკვეთა გენდერული ძალადობა მომჩივანთა ახლობლების მიმართ, რისი კულმინაციაც იყო სიკვდილი. მათ ამ წარუმატებლობას დაემატა პასიურობა და შემგუებლობა სავარაუდო დამნაშავესთან დაკავშირებით, რომელიც მოგვიანებით გაასამართლეს მსხვერპლის მკვლელობის ბრალდებით. შესაბამისად, საქართველომ დაარღვია თავისი არსებითი პოზიტიური ვალდებულებები კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) შესაბამისად მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთობლიობაში. სტრასბურგის სასამართლომ მომჩივნებს მიანიჭა 35.000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების – „A და B საქართველოს წინააღმდეგ“ – აღსრულების მდგომარეობა დასრულებულია¹³⁵. „A და B საქართველოს წინააღმდეგ“ სტრასბურგის სასამართლოს მიერ მომჩივნებისათვის მინიჭებული სამართლიანი დაკმაყოფილების თანხა (35 000 ევრო) მთავრობამ გადაიხადა დადგენილ ვადაში, კერძოდ, 2022 წლის 24 ივნისს.

საჩივარი #38650/18, „გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ“

სტრასბურგის სასამართლოში მომჩივანი ასაჩივრებს ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მარცხს, დაეცვათ მისი ქალიშვილი ოჯახში ძალადობისგან და განეხორციელებინათ ეფექტიანი სისხლის სამართლებრივი გამოძიება იმ გარემოებებთან მიმართებით, რამაც განაპირობა მისი სიკვდილი.

მომჩივანმა განაცხადა, რომ პოლიციისთვის ცნობილი იყო მისი ქალიშვილის A.L. სიცოცხლის მიმართ არსებული რისკები, რადგან მან ოთხი წლის განმავლობაში, სულ მცირე, 16-ჯერ მიმართა პოლიციას დაცვის მოთხოვნით, თუმცა პოლიციამ ვერ უზრუნველყო საჭირო პრევენციული ღონისძიებების გატარება.

მომჩივანის ქალიშვილი, A.L., დაიბადა 1993 წლის 23 ივლისს. 2012 წელს მან დაიწყო შეხვედრა G.K.-სთან და მალე დაიწყო ერთად ცხოვრება. 2013 წლის იანვარში მათ შვილი შეეძინათ. საქმის მასალების მიხედვით, წყვილი ხშირად ჩხუბობდა, რადგან G.K. დამოკიდებული იყო აზარტულ თამაშებზე და ჭარბი ალკოჰოლის მოხმარებაზე, ასევე, მისი ფინანსური პრობლემებისა და ძალადობრივი ქცევის გამო. 2016 წელს მათ შეწყვიტეს ერთად ცხოვრება და A.L. და მისი შვილი A.L.-ის ნათლიასთან გადავიდნენ საცხოვრებლად. ამავდროულად, საქმის მასალების მიხედვით, იგი რეგულარულ კონტაქტში იყო G.K.-სთან და უფლებას აძლევდა, ენახა საერთო შვილი საკუთარ სახლში.

2017 წლის 19 თებერვალს განმცხადებლის ქალიშვილი G.K.-ს ბინის აბაზანაში ჩამომხრჩვალ იპოვეს. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ მათი შვილიც ბინაში იმყოფებოდა დედის გარდაცვალების დროს. სტრასბურგის სასამართლომ ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის მატერიალურ-სამართლებრივი და პროცედურული ნაწილები კონვენციის მე-14 მუხლთან ერთობლიობაში, და რომ საქართველომ უნდა გადაუხადოს მომჩივანს, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში, 20,000 ევრო არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად პლუს 12,600 ევრო ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო 2023 წლის 15 ივნისს. გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 15.09.2023-ში.¹³⁶

საქმის „გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ“ აღსრულების ღონისძიებები დაიწყო ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის სამი თვის შემდგომ.

¹³⁵ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2022 წლის ანგარიში – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (თბილისი, 2023). გვ. 69-83. <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/38706> (23.08.2023)

¹³⁶ European Court of Human Rights, CASE OF GAIDUKEVICH v. GEORGIA, Application no.38650/18 (Strasbourg, ECHR, 2023). <https://hudoc.echr.coe.int/#/%7B%22itemid%22:%5B%22001-225228%22%5D%7D> (23.08.2023).

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისთან (OSCE/ODIHR) თანამშრომლობა

გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების თემებზე პროექტის „CHANGE“ (Capitalizing on the Human Dimension Mandate to Advance Gender Equality) ფარგლებში, საქართველო, 2022 წლიდან თანამშრომლობს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისთან (OSCE/ODIHR). პროექტის ფარგლებში ჩატარდა არაერთი ღონისძიება (მრგვალი მაგიდები, სემინარები, კონფერენციები, ტრენინგები თუ სამუშაო შეხვედრები), რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს შესაბამისი სამთავრობო უწყებების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და პარლამენტის წარმომადგენლები.

ამასთანავე, 2022 წელს, საქართველო გახდა პირველი ქვეყანა ეუთოს რეგიონში, სადაც, პროექტ CHANGE-ის ფარგლებში, მოხდა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმძღვანელოს წარდგენა. ამ მიზნით, 2022 წლის 12 დეკემბერს, საქართველოს გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭომ უმასპინძლა ეუთოს დელეგაციას საქართველოს პარლამენტში და მონაწილეობა მიიღო სახელმძღვანელოს პრეზენტაციასა და შემდგომ სამუშაო შეხვედრებში.

2022 წლის 17 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის ინიციატივით, ეუთოსა და გაეროს მხარდაჭერით, საქართველოში ჩატარდა „თბილისის ქალთა საერთაშორისო კონფერენცია“;

2023 წლის 1 ივლისს გაიმართა „თბილისის ქალთა მეორე საერთაშორისო კონფერენცია“¹³⁷.

საერთაშორისო რეკომენდაციები

გაერთიანებული რეკომენდაციების თავი, ერთის მხრივ, ეყრდნობა ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ 2023 წლის საქართველოს განხილვის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებს, რადგან: 1. ეს რეკომენდაციები ყველაზე ახალია; 2. ქვეყნების განხილვისას CEDAW კომიტეტის წინაშე თავს იყრის ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც საერთაშორისო თუ რეგიონალურმა ინსტრუმენტმა გასცა ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით და კომიტეტი ითვალისწინებს მანდატის შესაბამისად. დამატებულია რეკომენდაციები, რომლებიც საქართველომ მიიღო სტამბოლის კონვენციის განხორციელების მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფში – GREVIO-ს კომიტეტში 2020 წელს წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე.

ამასთანავე, თავში წარმოდგენილია საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციები/ხედვა, კერძოდ:

- CEDAW კომიტეტის წევრის, საქართველოს მიმომხილველის (რაპორტერი) ჯენოვვა ტიშევას რეკომენდაციები;
- ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლის, ყოფილი იუსტიციის მინისტრისა (2020) და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის თანათავმჯდომარის, გოჩა ლორთქიფანიძის რეკომენდაციები.

CEDAW კომიტეტის 2023 წლის რეკომენდაციების შესრულება

საქართველომ, CEDAW კომიტეტში ბოლო ანგარიში 2023 წელს წარადგინა, ხოლო ამავე წლის მარტის თვეში კომიტეტის შეფასებასთან ერთად ქვეყანამ მიიღო რეკომენდაციები ქვეყანაში გენდერული თანასწორობის გაძლიერების მიზნით საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დონეზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ, 2023 წლის ანგარიშის შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების ნაწილი უკვე შეასრულა. კერძოდ:

- ✓ დამტკიცდა ადამიანის უფლებათა დაცვის მეორე ეროვნული სტრატეგია (2022–2030 წლების¹³⁸);

¹³⁷ საქართველოს საგარეო სამინისტრო, წერილი #01/31246

¹³⁸ საქართველოს პარლამენტის დადგენილება #2663-XIმს-Xმპ, „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის მეორე ეროვნული სტრატეგია“ დამტკიცების შესახებ, მე-4 სესია, მე-10 მოწვევის პარლამენტი, 2020-2024 (დამტკიცებულია 2023 წლის 3 მარტს), იხ, ბმული: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5757268?publication=0> (25.07.2023).

- ✓ დამტკიცდა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია¹³⁹.
- ✓ ჩამოყალიბდა წინამდებარე დასკვნითი რეკომენდაციების განხორციელების ყოვლისმომცველი მექანიზმი და ამ მექანიზმში ჩაერთო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ ქალთა უფლებებსა და გენდერულ თანასწორობას, ჩართულობას, კოორდინაციას, კონსულტაციას, რომელიც განიხილება ანგარიშგების და შემდგომი რეკომენდაციების შესრულების მართვის ეროვნულ მექანიზმად ამ ოთხი ძირითადი შესაძლებლობის გათვალისწინებით.

CEDAW კომიტეტისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში მიღებული დანარჩენი რეკომენდაციები წარმოდგენილია თემატური მიმართულებების მიხედვით.

CEDAW კონვენციის, მისი დამატებითი ოქმის და კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციების ხილვადობის გაზრდა

კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს ცნობიერების ამაღლების მიზნით:

- ▶ გააძლიეროს თავისი ძალისხმევა კონვენციის, ფაკულტატური ოქმის და კომიტეტის დასკვნითი შენიშვნებისა და ზოგადი რეკომენდაციების ფართოდ გავრცელებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით;
- ▶ გაზარდოს ქალების ინფორმირებულობა კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და ამ უფლებების დარღვევის შემთხვევაში მათთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი საშუალებების შესახებ;
- ▶ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს რომ ინფორმაცია კონვენციის, ფაკულტატური ოქმის და კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციების შესახებ ხელმისაწვდომი იყოს ყველა ქალისთვის, მათ შორის ქალებისთვის, ვინც მიეკუთვნება დაუცველ და მარგინალიზებულ ჯგუფებს.
- ▶ სხვადასხვა შესაბამისი საერთაშორისო ფორუმის მეშვეობით, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა უზრუნველყოს ქალებისა და გოგოების მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კონვენციით განსაზღვრული უფლებებით სარგებლობა.

ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო ბაზის და პრაქტიკის დახვეწა

CEDAW კომიტეტის რეკომენდაციების თანახმად, საქართველომ უნდა **განაახლოს გენდერული თანასწორობის შესახებ 2010 წელს მიღებული კანონი და შესაბამისობაში მოიყვანოს ბოლო საკონსტიტუციო ცვლილებებთან.**

ჯენოვევა ტიშევა

„პოზიტიური ცვლილება გაგრძელების აუცილებლობას წარმოშობს. მაგალითად, ის, რომ ქალსა და მამაკაცს შორის არსებითი თანასწორობის მიღწევა დამკვიდრდა საქართველოს კონსტიტუციაში, წარმოშობს გენდერული თანასწორობის კანონში ცვლილებების აუცილებლობას, რომელიც უფრო ადრეულ ეტაპზე იყო მიღებული.“

რეკომენდაციების თანახმად, სახელმწიფომ საკანონმდებლო დონეზე უნდა უზრუნველყოს სამართლებრივი ბერკეტების შემუშავება დისკრიმინაციული პრაქტიკისა და გენდერული ნიშნით ძალადობის აღკვეთის მიზნით.

¹³⁹ საქართველოს პარლამენტის დადგენილება #2662-XIმს-XXმპ, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ, მე-4 სესია, მე-10 მოწვევის პარლამენტი, 2020-2024 (დამტკიცებულია 2023 წლის 23 მარტს), იხ. ბმული: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5755428?publication=0> (25.07.2023).

აღნიშნული კუთხით, CEDAW კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს, **განაახლოს და არსებითად შეცვალოს კანონმდებლობა, რომელიც ახდენს ქალთა დისკრიმინაციას**. კერძოდ:

- შეცვალოს სამოქალაქო კოდექსი, შეიმუშაოს კრიტერიუმები ისე, რომ **მარტოხელა მშობლის სტატუსი ვრცელდებოდეს ყველა დედაზე**, რომელიც ბავშვს მარტო ზრდის, და უზრუნველყოს მათი წვდომა სოციალურ და სხვა დამხმარე სერვისებზე.
- **გაუპატიურების დეფინიცია დააფუძნოს თავისუფალი თანხმობის არარსებობას**; აღსანიშნავია, რომ ანალოგიური რეკომენდაცია აქვს GREVIO-ს, რომლის თანახმადაც, *სახელმწიფომ უნდა შეცვალოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე და 139-ე მუხლები, რომლებიც ეხება გაუპატიურებას და სექსუალურ ძალადობას, რათა შესატყვისობაში მოიყვანოს სტამბოლის კონვენციის 36-ე მუხლით განსაზღვრულ თავისუფლად გაცემული თანხმობის არქონის ცნებასთან*.

ჯენოვევა ტიშევა

„სახელმწიფო ყურადღებით უნდა მოეკიდოს პრევენციას. ასევე – ფემიციდის შემთხვევებს. მნიშვნელოვანია შეიცვალოს გაუპატიურების განმარტება და თანხმობის ნაკლებობაზე დაფუძნებული განმარტება იქნეს მიღებული. ეს აუცილებელია, რათა ეროვნული კანონმდებლობა შესატყვისობაში მოვიდეს საერთაშორისო ნორმებთან.“

- **განსაზღვროს ე.წ. „ღირსების“ სახელით ჩადენილი დანაშაულებები;**
- **განსაზღვროს ეკონომიკური ძალადობა;**
- **მიიღოს „ქალწულობის ტესტირების“ ამკრძალავი კანონმდებლობა**, ნაახალისოს ანგარიშგება, ადეკვატურად დასაჯოს დამნაშავეები და საზიანო პრაქტიკის მიმდევრები და მავნე პრაქტიკის ძირეული მიზეზების გამოსავლენად სისტემატურად შეაგროვოს მონაცემები და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაცია.

ქალთა წინსვლის ეროვნული მექანიზმი და გენდერული მენისტრიმინგი

CEDAW კომიტეტის შეფასებაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ეროვნულ დონეზე არსებული მექანიზმების გაძლიერება გენდერული მენისტრიმინგის საკითხების სახელმწიფო პოლიტიკაში ეფექტური ინტეგრირებისა და შემდგომი აღსრულების უზრუნველსაყოფად.

ჯენოვევა ტიშევა

„ინსტიტუციურ ეროვნულ მექანიზმს აკლია ტექნიკური შესაძლებლობები, ფინანსური მხარდაჭერა და განვითარება ადგილობრივ დონეზე. სწორედ აქ უფრო ჩანს სისუსტე – გენდერული ბიუჯეტირების, მენისტრიმინგის და გენდერული ზეგავლენის შეფასების ნაკლებობა. აუცილებელია, რომ ის დიდი პროგრესი, რაც მიღწეულია საკანონმდებლო დონეზე და პოლიტიკაში, დააკავშიროთ ამ ინსტრუმენტებთან, ასევე, გააძლიეროთ ადგილობრივი ინსტიტუციური მექანიზმები. კომიტეტისთვის მნიშვნელოვანია, რომ სისტემა უფრო თანაბრად ფუნქციონირებდეს და უფლებებმა რეალურად იმუშაოს ყველასთვის“.

აღნიშნული მიმართულებით კომიტეტის კონკრეტული რეკომენდაციებია:

- ქალთა წინსვლის ეროვნული მექანიზმის გაძლიერება და ინტეგრირება ადგილობრივი მმართველობის მექანიზმებში რათა შესაძლებელი გახდეს გენდერული თანასწორობისა და გენდერული მენისტრიმინგის ეფექტური კოორდინაცია და მონიტორინგი ხელისუფლების ყველა დონეზე;
- ჩართული ინსტიტუტების მანდატისა და პასუხისმგებლობების მკაფიო განსაზღვრა და ადეკვატური ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსით უზრუნველყოფა;

- გენდერული ზემოქმედების შეფასების (GIA) ინსტრუმენტის გამოყენება პარლამენტში წარდგენილ კანონ-პროექტზე;
- გენდერული ზემოქმედების შეფასების მოთხოვნის გავრცელება მთელ პოლიტიკაზე, რათა უზრუნველყოს გენდერული ზემოქმედების შეფასების განხორციელება ხელისუფლების ყველა დონეზე;
- სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში, გენდერულად მგრძობიარე ბიუჯეტების პრაქტიკის დანერგვა და სისტემატური განხორციელება, მათ შორის – ყველა ჩართული საჯარო მოხელისთვის, შესაბამისი ტრენინგებისა და შესაძლებლობების განვითარების გზით.

ამასთანავე, კომიტეტი, თავის რეკომენდაციებში, კიდევ ერთხელ აღნიშნავს სახალხო დამცველის ინსტიტუტის მანდატის დამოუკიდებლობის გაზრდის საჭიროებასა და მისი აპარატისთვის ადეკვატური ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსების გამოყოფას (პარიზის პრინციპები).

ინსტიტუციური მექანიზმის გაძლიერების აუცილებლობაზე საუბრობს GREVIO-ც და მოითხოვს რომ გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორის კომისიას, როგორც ეროვნულ საკოორდინაციო ორგანოს, თავისი როლის ეფექტურად შესრულებისთვის გამოეყოს საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსი. კომიტეტი ასევე ხაზს უსვამს პოლიტიკის დამოუკიდებელი მონიტორინგის დანერგვის საჭიროებას.

გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენცია და ქალთა წვდომა სამართალზე

CEDAW კომიტეტის შეფასებაში მკაფიო აქცენტი კეთდება გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და ძალადობის შემთხვევების პრევენციის, დროული გამოვლენისა და რეაგირების საჭიროებაზე. თუმცა, გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევებზე სამართალდამცავი ორგანოებისადმი არასაკმარისი მიმართვიანობა კვლავ გამონვევად რჩება.

კომიტეტი თავის რეკომენდაციებში აღნიშნავს გენდერული ძალადობის შემთხვევების არასაკმარისი მიმართვიანობის ძირეული მიზეზების გამოვლენისა და მათი აღმოფხვრის აუცილებლობას. თუმცა, აღნიშნული პროცესი საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას. ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია უშუალოდ საზოგადოების, მათ შორის მონყვლადი ჯგუფების ინფორმირებულობისა და ცნობიერების დონის ამაღლება, მეორეს მხრივ, უშუალოდ სამართალდამცავ უწყებებში საკითხისადმი მგრძობიარეობის გაზრდა. ამასთანავე, მიმართვიანობისა და ძალადობის ან დისკრიმინაციის შემთხვევების დროული იდენტიფიცირების მიზნით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მსგავსი კომპლექსურის მიდგომის საჭიროება არის გამოკვეთილი CEDAW კომიტეტის რეკომენდაციებშიც, რომლის თანახმადაც:

- ▶ **სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის ეფექტური დაცვა და ხელმისაწვდომი სერვისები**, უზრუნველყოს ადეკვატური და ხელმისაწვდომი თავშესაფრები, სამედიცინო მკურნალობა, ფსიქოსოციალური კონსულტაცია და ეკონომიკური მხარდაჭერა მსხვერპლთათვის, განსაკუთრებით – სოფლად მცხოვრები ქალებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისთვის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისთვის, იძულებით გადაადგილებული ქალებისა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რაიონებში მცხოვრები ქალებისთვის, ლტოლვილი, თავშესაფრის მაძიებელი, მიგრანტი და მოქალაქეობის არმქონე ქალებისთვის.
- ▶ **უზრუნველყოს რეფერალურ მექანიზმებზე, ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიკაციაზე, დაცვაზე, მხარდაჭერასა და რეაბილიტაციაზე ეროვნული კანონმდებლობის სწრაფი მიღება**, განსაკუთრებული აქცენტით ქალებზე, რომლებიც მრავალმხრივ დისკრიმინაციას განიცდიან.
- ▶ **უზრუნველყოს მოსამართლეების, პროკურორების, პოლიციელებისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების გენდერულად მგრძობიარე და ბავშვზე ორიენტირებული გამოძიების და დაკითხვის უნარების გაძლიერება**, განსაკუთრებით ადამიანებით ვაჭრობასთან, ქალებისა და გოგოების ტრეფიკინგთან დაკავშირებით.

- ▶ **ნაახალისოს ოჯახში ძალადობის შესახებ შეტყობინება და უზრუნველყოს, რომ მსხვერპლ ქალებს ჰქონდეთ ეფექტური წვდომა დაცვის ორდერებზე**, მათ შორის – საგანგებო შემთხვევებზე ორდერებზე, და რომ ხელისუფლებამ გამოიძიოს ასეთი შეტყობინებები და ეფექტურად აღასრულოს დაცვის ორდერები და ასეთი ზომების შეუსრულებლობისთვის დაანესოს ადეკვატური სასჯელი.
- ▶ **ჩაატაროს ცნობიერების ამაღლების კამპანიები სასამართლოს გენდერული მიკერძოების აღმოსაფხვრელად** და გენდერული ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და გოგონების სტიგმატიზაციისგან დასაცავად.

ჯენოვევა ტიშევა

„თქვენ ბევრი პრობლემა გაქვთ იძულებით გადაადგილებულ ქალებთან, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალებთან დაკავშირებით. მათზეც უნდა გავრცელდეს იურიდიული დახმარება და ყველა სერვისი, რომელიც სახელმწიფოს აქვს ქალებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ პროფესიონალები ყველგან იყვნენ მომზადებული სათანადოდ“.

- ▶ **უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ძალადობა გამოვლილი ქალებისთვის უფასო იურიდიული დახმარების განწევა და, ასევე, მისი გავრცელება სხვა ქალებზე, რომლებიც განიცდიან ინტერსექციურ დისკრიმინაციას**, კერძოდ: ხანდაზმული ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები, იძულებით გადაადგილებული ქალები და ქალები, რომლებიც ცხოვრობენ კონფლიქტით დაზარალებულ ტერიტორიებზე, ლტოლვილები, თავშესაფრის მაძიებლები, მიგრანტი და მოქალაქეობის არმქონე ქალები.
- ▶ **ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, განსაკუთრებით – ფემიციდის პრევენციისთვის, პრიორიტეტულად გააძლიეროს ძალისხმევა**, მათ შორის, სავალდებულო გახადოს დამნაშავეთათვის ქცევის შეცვლის სასწავლო პროგრამები და მოსამართლეთა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისთვის რისკის შეფასების შესაძლებლობების გაძლიერება.

ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისას GREVIO სახელმწიფოსგან მოითხოვს:

- სტამბოლის კონვენციის დებულებების განხორციელებას ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, რათა ქალებმა, რომელთა მიმართ განხორციელდა ან ემუქრებათ ინტერსექციური დისკრიმინაცია, მიიღონ ადეკვატური ინფორმაცია მათი უფლებებისა და ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ;
- სოფლად მცხოვრები ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების, ეთნიკური უმცირესობების და სხვა უმცირესობების წარმომადგენელი ქალების სათანადო დაცვას და მხარდაჭერაზე წვდომას, რომელიც ეფუძნება ამ ქალების თვითმყოფად ხედვას და მათ წარმომადგენელ უფლებადამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსზე დაყრდნობით ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებში დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით უზრუნველყოს ადეკვატური სასჯელის შეფარდება;
- სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისას უზრუნველყოს სწრაფი გამოვლენა და რეაგირება ნებისმიერ/ყველა კანონით განპირობებულ და პროცედურულ ფაქტზე, რომელიც გაუპატიურების დადასტურების ძალიან მაღალ ზღვარს ამკვიდრებს სასამართლოში;
- უზრუნველყოს გამოძიებისა და სასამართლო პროცესების დროს მსხვერპლის ხელახალი ტრავმატიზაციის თავიდან აცილების პრინციპის გათვალისწინება.

GREVIO-ს რეკომენდაციებში ხაზგასმულია თანამშრომლობისა და კოორდინირებული პოლიტიკის აუცილებლობა ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, გენდერული ნიშნით დანაშაულის პრევენციისა და შემთხვევებზე დროული რეაგირების უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს გააძლიეროს საშუალოდ ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებები და ორგანიზაციები და უზრუნველყოს მათი აღჭურვა შესაბამისი ფინანსური, ადამიანური და ტექნიკური რესურსებით.

ამასთანავე, GREVIO ხაზს უსვამს ძალადობის პრევენციის ღონისძიებათა გენდერული ასპექტის სისტემატური შეფასების დანერგვის აუცილებლობას, რადგან მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკაში განხორციელებული პოლიტიკა ეფუძნებოდეს ძალადობის გენდერულ გაგებას.

გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის მიზნით სამართალდამცავ უწყებათა შესაძლებლობების გაძლიერება

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ CEDAW კონვენცია, კომიტეტის იურისპრუდენცია და ზოგადი რეკომენდაციები გახდეს ყველა სახელმწიფო მოხელის, მოსამართლის, პროკურორის, პოლიციის ოფიცრის, სამართალდამცავი ორგანოების სხვა წარმომადგენლის და ადვოკატის სისტემატური შესაძლებლობების განვითარების განუყოფელი ნაწილი, რათა მათ უშუალოდ გამოიყენონ კონვენციის დებულებები და მოახდინონ ეროვნული სამართლებრივი ნორმების შესატყვისი ინტერპრეტაცია.

ჯენოვევა ტიმევა

„ჩვენ ძალიან ბევრი ვისაუბრეთ CEDAW კონვენციის პოპულარიზაციის აუცილებლობის შესახებ თქვენს მთავრობასთან. მნიშვნელოვანია, რომ კონვენცია ბოლომდე იყოს გაგებული და პროფესიონალებს შესწავდეთ მისი პრაქტიკული გამოყენების უნარი. დიალოგის დროს გამოვლინდა, რომ CEDAW ნაკლებად ფიგურირებს საგანმანათლებლო კურსებში პროფესიონალებისთვის, უფრო სტამბოლის კონვენციაზე მიმართული ყურადღება, რაც კარგია, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს CEDAW-ის ხარჯზე. ძალიან მნიშვნელოვანია დამატებით ოქმზე, გენერალურ რეკომენდაციებზე და კომიტეტის განხილვებზე მეტი განათლება.“

ამ მიმართულებით, CEDAW კომიტეტი მიიჩნევს, რომ **აუცილებელია მოსამართლეების, პროკურორების, პოლიციელებისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერება** რათა შეძლონ ადეკვატურად განსაზღვრონ გენდერული მოტივი, როგორც დანაშაულის დამამძიმებელი გარემოება და ქალების და გოგოების მიმართ გენდერული ძალადობის შემთხვევაში, დანაშაულის სიმძიმესთან შესატყვისი სასჯელის დანსება.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი რეკომენდაცია აქვს GREVIOს, რომელიც აღნიშნავს სამართალდამცავ ორგანოებში მომუშავე თანამდებობის პირთა გადამზადების საჭიროებას, რათა გაიზარდოს მათი მგრძობელობა გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების მიმართ და აღმოიფხვრას ის სტერეოტიპული განწყობები, რწმენა და პრაქტიკა რაც ხელს უშლის პოლიციის მიერ გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე დროულ რეაგირებას.

ასევე მნიშვნელოვანია „სტამბოლის კონვენციაზე“ სისტემური მუშაობა. კერძოდ, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ თანხმობის არქონის ცნება ეფექტურად გამოიყენებოდეს სამართალდამცავი ორგანოების, პროკურორებისა და სასამართლო ხელისუფლების მიერ, მათ შორის ამ საკითხზე შესაბამისი ტრენინგების უზრუნველყოფით.

ბატონი გოჩა ლორთქიფანიძე უწყებების სისტემატური შესაძლებლობების განვითარებას ფართოდ განსაზღვრავს და გამოკვეთს ინსტიტუტებში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის და გენდერული მენსტრიმინგის დანერგვის მნიშვნელობას:

„ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა არის მეთოდოლოგია, რომელიც უკავშირებს ერთმანეთს განვითარებას და ადამიანის უფლებებს და გადის მისი ნორმატიული გაგების მიღმა. ამ თვალსაზრისით ეჭვგაქვას ეს მიდგომა გენდერულ მენსტრიმინგს და მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობისათვის. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა და გენდერული მენსტრიმინგი უნდა გახდეს უწყებების ინსტიტუციური კულტურის ნაწილი. პროგრამული და სტრატეგიული დოკუმენტები, პოლიტიკის ფორმირება და შეფასების მეთოდოლოგია ამ მიდგომას უნდა ეფუძნებოდეს. ეს ჩამონათვალი ბუნებრივად მოიცავს გენდერულად მგრძობიარე ბიუჯეტირების კომპონენტს“.

ქალებით ვაჭრობა და პროსტიტუციის ექსპლუატაცია

გლობალური მიგრაციის კონტექსტში ქალების და გოგოების ტრეფიკინგის შესახებ CEDAW-ის რეკომენდაციები საქართველოსთვის შემდეგია:

- **სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით გოგოების ტრეფიკინგის პრევენციისთვის შეიმუშაოს მიზანმიმართული ზომები და შექმნას სპეციალიზებული გენდერულად და ბავშვთა მიმართ მგრძობიარე მხარდაჭერის სერვისები**, მათ შორის – ტრეფიკინგის მსხვერპლი გოგოებისთვის თავშესაფრები, განსაკუთრებით, სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გოგოებისთვის.
- **გააძლიეროს ქალებისა და გოგოების (განსაკუთრებით იმ ქალებისა და გოგოების, რომლებიც მიეკუთვნებიან ყველაზე დაუცველ ჯგუფებს) ტრეფიკინგის და პროსტიტუციის ექსპლუატაციის თავიდან აცილების ძირითადი ღონისძიებები, მოახდინოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიების სისტემატიზაცია.**
- **გააძლიეროს ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალებისა და გოგოების ადრეული იდენტიფიკაცია და დაკავშირება შესაბამის სამსახურებთან**, მათ შორის – საქართველოს საზღვარზე ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა იდენტიფიკაციის 2017 წლის სახელმძღვანელოს შესაბამისად და, საჭიროების შემთხვევაში, განაახლოს აღნიშნული სახელმძღვანელო.
- სერვისების უფრო ეფექტური მიწოდების უზრუნველსაყოფად, განიხილოს ტრეფიკინგის მსხვერპლთა მხარდაჭერის სხვადასხვა დახმარების ხაზის გაერთიანება დახმარების ერთ ხაზში.
- **გაზარდოს ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის ფინანსური დახმარება** და გაავრცელოს ეს დახმარება დაცვისა და რეინტეგრაციისთვის აუცილებელი დროის მთელ პერიოდზე.
- **საერთაშორისო სურგაციასთან დაკავშირებული ქალების ტრეფიკინგის პოტენციური რისკების შესახებ შეაგროვოს ინფორმაცია** და მონაცემები და მიაწოდოს კომიტეტს ეს ინფორმაცია თავის მომდევნო პერიოდულ ანგარიშში.
- **პროსტიტუციაში მყოფი ქალების შესახებ შეაგროვოს ინფორმაცია და მონაცემები, განიხილოს პროსტიტუციაში მყოფი ქალებისა და გოგოების ექსპლუატაციის ძირეული მიზეზები.**
- **განიხილოს პროსტიტუციის მოთხოვნის რეგულირების დანერგვა, შეიმუშაოს პროსტიტუციის დატოვების პროგრამები** და ქალებისთვის, რომელთაც სურთ პროსტიტუციის დატოვება, უზრუნველყოს შემოსავლის მიღების ალტერნატიული შესაძლებლობები და მიაწოდოს კომიტეტს ინფორმაცია გატარებულ ზომებზე მომდევნო პერიოდულ ანგარიშში.

დროებითი სპეციალური ზომები

CEDAW კომიტეტი საქართველოს უწევს რეკომენდაციას მიიღოს ან ხელახლა დანერგოს დროებითი სპეციალური ზომები, როგორებიცაა საკანონმდებლო კვრეტები და მიზნობრივი პოლიტიკური კამპანიის დაფინანსება, და ჩამოაყალიბოს დროში განსაზღვრული მიზნები, როგორც აუცილებელი სტრატეგია, რათა დააჩქაროს ქალთა და მამაკაცთა არსებითი თანასწორობის მიღწევა ყველა სფეროში, რომელსაც მოიცავს კონვენცია, განსაკუთრებით იქ, სადაც ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი ან იმყოფებიან არახელსაყრელ მდგომარეობაში, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, განსაკუთრებით გადანყვეტილების მიღების დონეზე და განსაკუთრებული ყურადღებით – ქალთა დაუცველ ჯგუფებზე.

დროებითი სპეციალური ზომების განხორციელების მონიტორინგისთვის და ქალებისა და მამაკაცების არსებითი თანასწორობის მიღწევაზე მათი გავლენის შესაფასებლად ჩამოაყალიბოს მექანიზმი და შეუსრულებლობისთვის დაანწესოს ადეკვატური სანქციები.

გონა ლორთქიფანიძე

„ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე CEDAW-ის იმპლემენტაციის თვალსაზრისით კვოტა პანაცეად არ მიმაჩნია, მაგრამ იგი შეიძლება იყოს სანყისი ნაბიჯი, განსაკუთრებით CEDAW-ის კონტექსტში. კვოტა გამიზნულად, მოფიქრებულად, დროითი მონაკვეთის განსაზღვრით, გადანყვეტილების მიღების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს საშუალებებს და რომელიც ითვალისწინებს დროის შემოსაზღვრულ პერიოდს, დასაშვებია.

უფრო მნიშვნელოვანია, რომ ქალებს ჰქონდეთ პოზიცია, რომლიდანაც შეუძლიათ უფრო პროპორციულად და არსებითად ზეგავლენის მოხდენა გენდერული თანასწორობის საკითხებზე და საერთოდ საკუთარი ცხოვრების შესახებ გადანყვეტილებების მიღებაზე. ამ მხრივ კი ეკონომიკური გაძლიერება არის საფუძველთა საფუძველი განსაკუთრებით ქალებისთვის. ეს მნიშვნელოვანია, რადგან თუ არ შედგა ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, პოლიტიკურ ინსტიტუტებში მათ გაძლიერებას გარკვეულწილად ეკარგება მნიშვნელობა“.

პოლიტიკური მონაწილეობა

ადამიანის უფლებათა კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს გააძლიეროს ძალისხმევა ქალთა სრული და თანაბარი მონაწილეობის მისაღწევად პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ შორის აღმასრულებელ, სასამართლო და საკანონმდებლო ორგანოებში ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, განსაკუთრებით გადანყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე.

CEDAW-ის რეკომენდაციები ამ მიმართულებით შემდეგია:

- ▶ **დანერგოს ქალების პრეფერენციული დაქირავება და, საჭიროების შემთხვევაში, დაანესოს დროებითი სპეციალური ზომები, როგორცაა კვოტები და გენდერული პარიტეტის სისტემა**, ხელისუფლების ყველა დონეზე, სასამართლო სისტემაში, აკადემიურ სფეროში, საგარეო სამსახურში და საერთაშორისო ორგანიზაციებში მივლინებისას, განსაკუთრებით – გადანყვეტილების მიღების დონეზე, რომელიც ასევე უნდა მოიცავდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების ხელშეწყობის და მხარდაჭერის პოლიტიკას.
- ▶ **გააძლიეროს პოლიტიკაში ქალების მიმართ დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა**, მათ შორის – პოლიტიკოსთა ცნობიერების ამაღლების და საგანმანათლებლო კამპანიების და-ნერგვის გზით სკოლებში, მედიასა და ფართო საზოგადოებაში, რათა ქალებმა შეძლონ სრული, თანაბარი, თავისუფალი და დემოკრატიული მონაწილეობის მიღება პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მამაკაცებთან თანაბარ საფუძველზე, რაც კონვენციის ეფექტიანი განხორციელების მოთხოვნაა.

ჯენოვევა ტიშევა

„კიდევ ერთი დიდი მიღწევაა, რომ ქალებისთვის პოლიტიკაში კვოტები დაწესდა. მაგრამ აქვე გაჩნდა მოთხოვნა ქალთა გასაძლიერებლად უფრო მეტი დროებითი წამახალისებელი ზომების გამოყენებისა და პარტიულ დაფინანსებასთან დაკავშირების. ასევე, პარიტეტის მიმართულებით მოძრაობის აუცილებლობა. კომიტეტის ეს რეკომენდაციები უნდა განხორციელდეს ახლავე და არა ანგარიშის წარდგენამდე ბოლო წუთში. აუცილებელია, რომ ქალები პოლიტიკაში მხარდაჭერილი იყვნენ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიებით და საგანმანათლებლო ინტერვენციებით სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში“ (ტიშევა 2023).

შპმ პირთა უფლებების კომიტეტის თანახმად სახელმწიფომ უნდა ჩართოს შებენიანი შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების უფლებები შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კანონსა და გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში და მათ შესაბამის სტრატეგიებში, პოლიტიკასა და პროგრამებში, რათა ყველა დონეზე უზრუნველყოს შპმ ქალებისა და გოგონების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, ეკონომიკური და სოციალური სარგებელი, ქალები სიღარიბეში

CEDAW კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს საქართველოს:

- ▶ **სწრაფად მიიღოს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია და განახორციელოს** იგი, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ და მარგინალიზებულ ჯგუფებს, როგორცაა სოფლად მცხოვრები და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები, შებენიანი შესაძლებლობის მქონე ქალები, იძულებით გადაადგილებული ქალები და ქალები, რომლებიც ცხოვრობენ კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში, ასევე ლტოლვილები, თავშესაფრის მაძიებლები, მიგრანტები და მოქალაქეობის არმქონე ქალები;
- ▶ **ჩამოაყალიბოს ქალებისთვის ყოვლისმომცველი გენდერულად პასუხისმგებელი და სათანადოდ დაფინანსებული სოციალური დაცვის სქემები**, განსაკუთრებით გაჭირვებული და მარგინალიზებული ქალების ჯგუფებისთვის, როგორცაა მარტოხელა დედები, ხანდაზმული ქალები, ქვრივები, სოფლის ქალები, უმუშევარი ქალები, ქალები, რომლებიც არა ანაზღაურებად ბრუნვაში არიან დაკავებულნი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები, იძულებით გადაადგილებული ქალები და ქალები, რომლებიც ცხოვრობენ კონფლიქტით დაზარალებულ რაიონებში და ლტოლვილები, თავშესაფრის მაძიებელი, მიგრანტი და მოქალაქეობის არმქონე ქალები, მათ შორის, სოციალურ შეღავათებზე ციფრული წვდომის მეშვეობით.

ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება

CEDAW კომიტეტის No30 (2013) ზოგადი რეკომენდაციის „კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტის და პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში ქალების შესახებ“ შესაბამისად, კომიტეტი რეკომენდაციას უწევს საქართველოს, ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს ქალთა ქმედითი მონაწილეობა უშიშროების საბჭოს რეზოლუციის 1325 (2000) მეოთხე ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებაში და გაითვალისწინოს უშიშროების საბჭოს „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოების“ სრული დღის წესრიგი, რომელიც ასახულია საბჭოს რეზოლუციებში 1325 (2000), 1820 (2008), 1888 (2009), 1889 (2009), 1960 (2010), 2106 (2013), 2122 (2013), 2122 (2013), 2015), 2467 (2019) და 2493 (2019 წ.).

განათლება

CEDAW კომიტეტის No36 (2017) ზოგადი რეკომენდაციის „გოგონებისა და ქალების განათლების უფლების შესახებ“ შესაბამისად:

- ▶ **განათლებაში სოციალური ნორმების და გენდერული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად განახორციელოს ცნობიერების ამაღლების და საგანმანათლებლო კამპანიები**, და მიიღოს ზომები, მათ შორის – დროებითი სპეციალური ზომები, რათა ქალები და გოგონები ნაახალისოს, აირჩიონ განათლების არატრადიციული სფეროები და კარიერული გზები, როგორცაა მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია, მათემატიკა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის – განათლების არაპირდაპირი ხარჯების დაფარვის მიზნით, კარიერული კონსულტაციების, სტიპენდიებისა და სუბსიდიების მეშვეობით და უზრუნველყოს სწავლისა და დასაქმების ყველა სფეროს ხელმისაწვდომობა ქალებისა და გოგონებისთვის.

- ▶ ამასთანავე, შშმ პირთა კომიტეტი მიუთითებს შშმ ქალებისა და გოგოების სკოლაში ჩარიცხვის, სწავლისა და სკოლის დამთავრების მაჩვენებლის გაზრდის ხელშეწყობის აუცილებლობაზე, აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას სოფლად მცხოვრები შშმ ქალებისა და გოგოების შემთხვევაში.
- ▶ **სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ განახორციელოს ასაკის შესაბამისი სავალდებულო ინფორმაციისა და ინკლუზიური განათლების ინტეგრირება სასკოლო სასწავლო გეგმებში**, მათ შორის – ინფორმაცია სექსუალური ქცევის, კონტრაცეფციის თანამედროვე ფორმების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენციისა და არაუსაფრთხო აბორტის რისკების შესახებ, განათლების სისტემაში ინტეგრირებით.

ჯენოვევა ტიშევა

„ხაზგასასმელია წინსვლა განათლების სისტემაში, მაგრამ კვლავ პრობლემურია სავალდებულო, ასაკის შესაბამისი სექსუალური განათლება. ასევე ყურადღებაა მისაქცევი მონყვლადი ჯგუფების წარმომადგენელი ქალების განათლებაზე“.

სკოლაში, სექსუალური განათლებისა და ცნობიერების ამაღლების შესახებ რეკომენდაციები აქვს გაეროს ექსპერტს, ვიქტორ მადრიგალ-ბორლოზს, რომელიც გენდერული ძალადობისა და დისკრიმინაციის ძირეული მიზეზების აღმოსაფხვრელად საგანმანათლებლო დაწესებულების დონეზე ცნობიერების ამაღლებისა და ბუღინგის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების დანერგვის აუცილებლობაზე მიუთითებს.

დასაქმება

დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობების მიმართულებით CEDAW კომიტეტის რეკომენდაციები ძირითადად მოიცავს სახელმწიფოს მხრიდან ზომების მიღებას:

- ▶ **ქალებში უმუშევრობის მაჩვენებლის შესამცირებლად**, მათ შორის შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობას. რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში მნიშვნელოვანია სპეციფიკური აქცენტი გაკეთდეს მონყვლადი ჯგუფების წარმომადგენელი ქალების, მათ შორის იძულებით გადაადგილებული პირების, მიგრანტების, შშმ პირებისა და სხვა მონყვლადი ჯგუფების უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირებაზე;
- ▶ **პროფესიების პორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციის აღმოსაფხვრელად ანაზღაურებაში გენდერული განსხვავების შესამცირებლად**, რაც კვლავ რჩება გამონყვლად და ამ მხრივ კომიტეტი საქართველოს მოუწოდებს **განახორციელოს თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის დანერგვა კერძო და საჯარო სექტორში**. ამისთვის, კომიტეტის რეკომენდაციაა პირველ რიგში განხორციელდეს ხელფასების შესწავლა, განსაკუთრებით იმ სექტორებში, სადაც მეტწილად ქალები არიან წარმოდგენილნი და იქნას შესაბამისი ზომები მიღებული ხელფასებში გენდერული ნიშნით არსებული სხვაობის შესამცირებლად. აღნიშნული ზომები მოიცავს როგორც ცვლილებებს შრომის კოდექსსა და საჯარო სამსახურის შესახებ კანონში, ასევე, გენდერულად ნეიტრალური ანალიტიკური სამუშაოების კლასიფიკაციისა და შეფასების მეთოდების დანერგვას. ამასთანავე, კომიტეტის რეკომენდაციაა გადაიხედოს და განახლდეს 1999 წელს დადგენილი მინიმალური ხელფასის ზღვარი.

ჯენოვევა ტიშევა

„მნიშვნელოვანია თანასწორი ანაზღაურების მიღწევა თანაბარი ღირებულების შრომისთვის. კვლავ პრობლემურია არაფორმალურ სექტორში დასაქმებული ქალების მდგომარეობა. სტერეოტიპები კვლავ დიდ გავლენას ახდენენ დასაქმების სფეროზე. აღსანიშნავია მათი გავლენა საოჯახო შრომის განაწილებაზეც. აუცილებელია, რომ მშობლის შვებულება ვრცელდებოდეს მამაზეც“.

- ▶ **სოციალური გარანტიებისა და სოციალური დაცვის მექანიზმებზე თანაბარი წვდომის უზრუნველსაყოფად**, კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს ჩაატაროს კვლევა არაფორმალურ ეკონომიკაში ქალების მონაწილეობის შესაფასებლად, მათ შორის სოციალური უზრუნველყოფის და საპენსიო სქემების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით და ამ კვლევის შედეგების საფუძველზე, გენდერული პერსპექტივიდან განიხილოს დასაქმების მოქმედი კანონმდებლობა და პოლიტიკა, ყველა ქალის სოციალური დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, მათ შორის არაფორმალურ ეკონომიკაში დასაქმებულ და დაბალი შემოსავლის მქონე და/ან თვითდასაქმებული ქალების ჩათვლით;
- ▶ **ქალებსა და მამაკაცებს შორის საოჯახო და ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობების თანაბარი განაწილების ხელშესაწყობად** – ამ მხრივ კომიტეტი საჭირო ღონისძიებებს შორის აღნიშნავს ისეთ ზომებს, როგორცაა ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებების ადეკვატური რაოდენობის უზრუნველყოფა, მშობლების შვებულების ღირებულებასა და გამოყენებაზე ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელება;

გარდა ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციებისა, კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს მოახდინოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) შემდეგი კონვენციების რატიფიცირება: 1981 წლის საოჯახო პასუხისმგებლობის მქონე დასაქმებულის შესახებ (No. 156), დედობის დაცვის კონვენცია (No. 183), 189-ე კონვენცია ოჯახში დასაქმებულების შესახებ, 2019 წლის ძალადობისა და შევიწროების შესახებ კონვენცია (No. 190).

ჯანმრთელობა

CEDAW კომიტეტის რეკომენდაციები ძირითადად მიმართულია ქალთა ჯანმრთელობის, მათ შორის რეპროდუქციული ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად საჭირო ზომების მიღებაზე, მათ შორის ჯანდაცვის სერვისების თანაბარ ხელმისაწვდომობაზე ქალებისა და გოგოებისთვის, განსაკუთრებით მონყვლადი, მარგინალიზებული ჯგუფების წარმომადგენლებისთვის.

ჯენოვევა ტიშევა

„ქალთა ჯანმრთელობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია თანამედროვე კონტრაცეფციისა და უსაფრთხო აბორტის ხელმისაწვდომობის საკითხი და ზოგადად ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია ასევე ყურადღების მიქცევა წამალდაზოვიანების გენდერულ ასპექტზე და ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა სოფლად მცხოვრები ქალებისთვის. ყველა ამ საკითხზე ძალიან კარგი დიალოგი გვქონდა თქვენს მთავრობასთან. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ყველა ეს პრობლემა შესაძლოა სწრაფად მოწესრიგდეს. ძალიან სწრაფადაც კი. ხშირად უმოქმედობის გამართლებას ცდილობენ სანააღმდეგო საზოგადოებრივი აზრით. მაგრამ ეს არგუმენტი არ არის ჩვენთვის მისაღები. მთავრობებმა უნდა აიღონ პასუხისმგებლობა ცვლილებაზე საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების მიმართულებით“.

CEDAW კომიტეტის რეკომენდაციები ამ მხრივ ძირითადად მოიცავს:

- ▶ **ჯანდაცვის სერვისებზე გამოყოფილი ბიუჯეტის ზრდას**, რათა უზრუნველყოს ყველა ქალისა და გოგოსთვის ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სერვისები, მათ შორის – დაკავშირებული აივ ინფექციის წინასწარ პროფილაქტიკასთან, განსაკუთრებით – ქალებისთვის, რომლებიც დაუცველ და მარგინალიზებულ ჯგუფებს განეკუთვნებიან.
- ▶ **თანამედროვე კონტრაცეპტივებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას** – განსაკუთრებით მათთვის, ვინც მიეკუთვნება დაუცველ და მარგინალიზებულ ჯგუფებს და აგრეთვე სოფლად მცხოვრები ქალებისთვის.
- ▶ **უსაფრთხო აბორტისა და აბორტის სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას** – მათ შორის – ცნობიერების ამაღლების კამპანიებისა და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების შესაძლებლობების

გაძლიერების გზით, მონაცემების შეგროვება და დამუშავება საქართველოში უკანონო აბორტების გავრცელებაზე და მის მიზეზებზე. მიღებული ინფორმაცია უნდა იქნას ასახული მომდევნო პერიოდულ ანგარიშში.

- ▶ **დედათა სიკვდილიანობის მიზეზების აღმოსაფხვრელად ზომების მიღებას**, მათ შორის სამედიცინო მოვლის ხელმისაწვდომობისა და მშობიარობის კვალიფიციური მიძღვების რაოდენობის ზრდით.

გარდა ზემოთ აღნიშნული ზომებისა, შშმ უფლებების კომიტეტი თავის რეკომენდაციებში მოუწოდებს საქართველოს, შშმ ქალთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან კონსულტაციის საფუძველზე შეიმუშაოს სტრატეგია, რათა ხელი შეუწყოს შშმ ქალებისა და გოგოების წინსვლას ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვისა და ცნობიერების ამაღლების პროგრამების მიწოდებით.

ქორწინება

ბავშვთა ადრეული ქორწინების საზიანო პრაქტიკა გენდერული უთანასწორობის საფუძველს წარმოადგენს და ხშირად სხვა დანაშაულების მიზეზიც ხდება. გასული ათწლეულის მანძილზე საქართველომ მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა არასრულწლოვანთა ქორწინების შემთხვევების აღსაკვეთად. მიუხედავად ამ ცვლილებებისა, კვლავ არის არასრულწლოვანთა ქორწინების (ზოგ შემთხვევაში იძულებითი ქორწინების) შემთხვევები, განსაკუთრებით სასოფლო დასახლებებში. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა კრძალავს არასრულწლოვანთა ქორწინებას, სამწუხაროდ აღნიშნული ფაქტების შეტყობინება შესაბამისი ორგანოებისთვის იშვიათად, ზოგ შემთხვევაში კი დაგვიანებით ხდება, რაც აფერხებს დროულ რეაგირებას.

ჯენოვევა ტიშევა

„კიდევ ერთი მტკივნეული პრობლემაა ადრეული ქორწინება, განსაკუთრებით – სოფლად. აუცილებელია, რომ საქართველოში ისევე დასკადი იყოს ადრეული ქორწინება, როგორც იძულებითი ქორწინებაა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება მოახდინა, ეს იყო ნამდვილი მიღწევა, მაგრამ კვლავ აქტუალურია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების დეინსტიტუციონალიზაციის საკითხი, მათი დედობის უფლების პატივისცემა და უფლება, იცხოვრონ შვილებთან. ეს გათვალისწინებული უნდა იყოს 2023 წლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების სამოქმედო გეგმაში. ჩვენ სულ მეტ და მეტ ყურადღებას ვაქცევთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების უფლებების დაცვას და ძალადობისგან მათ დაცვას, მათი დედობის უფლების პატივისცემას და მათი შვილების უფლებებს“.

აღნიშნულ გამოწვევებზე საპასუხოდ, CEDAW კომიტეტი, თავის რეკომენდაციებში საქართველოს მოუწოდებს:

- ▶ **აკვეთოს არასრულწლოვანთა ქორწინების მავნე პრაქტიკა, განსაკუთრებით – სოფლად, მათ შორის, ძირეული მიზეზების აღმოფხვრით**, მიმართვიანობის წახალისებით, მსგავსი შემთხვევების გამოვლენის მექანიზმების ჩამოყალიბებით, გოგოების იძულებითი ქორწინების სისხლის სამართლის დანაშაულად ცნობით და ყველა ქორწინების სამოქალაქო რეგისტრაციის მოთხოვნით; განახორციელოს საკანონმდებლო რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავს ქალებისა და გოგოების უფლებების დაცვას არარეგისტრირებულ ქორწინებებში და დე ფაქტო კავშირებში და ასეთი კავშირების შედეგად გაჩენილი ბავშვების უფლებების დაცვას.
- ▶ **მკაცრად აღასრულოს სქესის მიხედვით შერჩევითი აბორტების აკრძალვა** და შექმნას სერვისები, მათ შორის – დახმარების ხაზები ქალებისთვის, რომელთაც აიძულებენ აბორტის / შერჩევითი აბორტის გაკეთებას.
- ▶ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და დეინსტიტუციონალიზაციის 2023–2030 წლების სტრატეგიისა და 2023–2025 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, **უზრუნველყოს**

შშმ დედების წვდომა დამხმარე სერვისებზე, რათა შშმ დედებმა და მათმა შვილებმა ისარგებლონ ოჯახური ცხოვრებისა და კონფიდენციალურობის უფლებით.

CEDAW კომიტეტის პრიორიტეტული საკითხები

ბემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციების გათვალისწინება და ეფექტური დანერგვა მნიშვნელოვანი იქნება მომდევნო ათწლეულში ქვეყანაში თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული გარემოს ჩამოყალიბებისა და ყველა ჯგუფისთვის თანაბარი განვითარების შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, რაც გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ძირითად პრინციპსა და საფუძველს წარმოადგენს.

გონა ლორთქიფანიძე

„ისევე როგორც დემოკრატია არ არის ერთჯერადი მიღწევის აქტი, ასევე გენდერული თანასწორობა. საჭიროა მუდმივი პოლიტიკური ძალისხმევა და ქმედება“.

საქართველოს მიმომხილველი ჯენოვევა ტიშევა გამოყოფს კომიტეტისთვის იმ პრიორიტეტულ საკითხებს, რომელზეც საქართველომ უნდა წარადგინოს მომდევნო ანგარიში:

- ▶ ცვლილებები გენდერული თანასწორობის კანონში, რომელიც ფოკუსირებული იქნება არსებითი თანასწორობის მიღწევაზე, რაც გულისხმობს ინტერსექციური დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე მიმართული პოლიტიკის გატარებას;
- ▶ ინსტიტუციური სტრუქტურის გაძლიერება ფინანსურად, ტექნიკურად, და ლოკალურად;
- ▶ „გაუპატიურების“ ცნების ცვლილება და განსაზღვრა შესაბამის კანონმდებლობაში;
- ▶ ნაადრევი და იძულებითი ქორწინების საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრა.

ტიშევა მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხების პრიორიტეტად გამოყოფა და სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ ამ საკითხებზე მუშაობა მნიშვნელოვანია, რათა კანონით განსაზღვროს „ღირსების“ მოტივით ჩადენილი დანაშაულები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

ჯენოვევა ტიშევა

„სახელმწიფოსთვის და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ეს პრიორიტეტები მნიშვნელოვანი უნდა იყოს და რომ განისაზღვროს კანონით „ღირსების“ მოტივით ჩადენილი დანაშაულებები. აქ ისევ დაუბრუნდება ჯვირანოვას შემთხვევას და ჩვენი რეკომენდაციის იმპლემენტაციის აუცილებლობას, კომპენსაციის აუცილებლობას, რაც ხელისუფლებას გაუმართივეს მსგავსი კანონმდებლობის მიღებას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს კი მის ადვოკატირებას.“

CEDAW კომიტეტში საქართველომ მომდევნო ანგარიში ორ წელიწადში უნდა წარადგინოს. კომიტეტის რეკომენდაციები ფარავს გენდერული თანასწორობის საკითხების საკმაოდ ფართო სპექტრს და საჭიროებს ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე მოქმედი ინსტიტუტების კოორდინირებულ მუშაობას.

თავი III. გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

გასული ათწლეულის განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დონეზე გენდერული თანასწორობის ქმედითი მექანიზმების დასაწესებლად. მნიშვნელოვნად დახვეწა ანტიდისკრიმინაციული საკანონმდებლო ჩარჩო და შეიტანა მნიშვნელოვანი ცვლილებები გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების სამართლებრივი ბერკეტების დასაწესებლად. აღნიშნული ცვლილებები შესაბამისობაში მოდიოდა იმ საერთაშორისო რეკომენდაციებთან, რომლებიც საქართველომ მიიღო სხვადასხვა საერთაშორისო თანამშრომლობის პლატფორმის ფარგლებში.

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში უნდა აღინიშნოს 2014 წელს საქართველოს მიერ „სტამბოლის კონვენციის“ ხელმოწერა, რომელმაც საფუძველი დაუდო ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით ფუნდამენტურ რეფორმებს.

საერთაშორისო რეკომენდაციების შესრულების ფარგლებში უნდა აღინიშნოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე გენდერული თანასწორობის ეროვნული მექანიზმის გაძლიერება, რაც მოიცავდა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მანდატისა და შესაძლებლობების გაძლიერებას, ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის საბჭოების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ამასთანავე აღსანიშნავია, აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის შექმნა და 2019 წელს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე პრემიერ მინისტრის თანაშემწის თანამდებობის მრჩევლის სტატუსით შეცვლა, რამაც აღნიშნული პოზიციის ფუნქციურ გაძლიერებას შეუწყო ხელი.

საკანონმდებლო დონეზე განხორციელებული ცვლილებების მიმართულებით, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს 2017 წელს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები, რომლის საფუძველზეც კონსტიტუციის დონეზე მოხდა არსებითი თანასწორობის უფლების განსაზღვრა. აღნიშნული ცვლილება პოზიტიურად იქნა შეფასებული 2023 წელს CEDAW კომიტეტის მიერ.

ასევე, უნდა აღინიშნოს ცვლილებები გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთათვის სახელმწიფო მხარდაჭერის სერვისებზე წვდომის გასაუმჯობესებლად. ამ მხრივ მნიშვნელოვანია 2022 წელს განხორციელებული ცვლილება ძალადობის მსხვერპლთათვის კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესთან დაკავშირებით, და 2023 წლის ცვლილება თავშესაფრით სარგებლობისთვის „მსხვერპლის სტატუსის“ წინაპირობის გაუქმების თაობაზე.

ამასთანავე, საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით, სახელმწიფომ 2023 წელს გააუქმა თავშესაფრით სარგებლობისთვის ე.წ. „მსხვერპლის სტატუსის“ არსებობის წინაპირობა, რითაც მნიშვნელოვნად შეამცირა თავშესაფრის სერვისებით სარგებლობასთან დაკავშირებული ბიუროკრატიული ბარიერები.

გენდერული თანასწორობის პრინციპები ასახული იქნა სხვადასხვა სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში, ეროვნულ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია 2022 წელს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციისა და 2023 წელს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციის დამტკიცება.

უნდა აღინიშნოს, რომ გასული ათწლეულის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები შეეხო ყველა იმ ასპექტს, სადაც მწვავედ იდგა გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირებისა და გაძლიერების საკითხი. მათ შორის გადაიდგა ნაბიჯები ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებითა და შრომით ურთიერთობებში თანაბარი ღირებულების სამუშაოზე თანაბარი ანაზღაურების პრინციპის დამკვიდრებისთვის. თუმცა, საკითხის კომპლექსურობიდან და გამოწვევების სიმწვავიდან გამომდინარე, ცხადია, რომ კვლავ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადასადგმელი თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული გარემოს განვითარების ხელშესაწყობად.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში აქტიურად დაიწყო გენდერულ ბიუჯეტირებაზე მუშაობა და ამასთანავე, GIA-ს ინსტრუმენტის გამოყენება საკანონმდებლო წინადადებებისა და სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზისთვის. თუმცა, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი აღნიშნული ინსტრუმენტების პრაქტიკაში სისტემატური გამოყენების უზრუნველსაყოფად.

საქართველო, მკაფიოდ გამოხატავს მის ნებას რომ განაგრძოს გენდერული უზრუნველყოფის მიმართულებით პოლიტიკის განხორციელება, რაც გამოიხატება საკანონმდებლო ბაზის დახვეწასა და მის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზებაში, ასევე თანასწორობის მექანიზმების გაძლიერებაში, რათა უზრუნველყოფილი იქნას სახელმწიფო პოლიტიკის აღსრულების ეფექტური კოორდინაცია ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე პასუხისმგებელ უწყებებს შორის.

ნიშანდობლივია, რომ გენდერული პოლიტიკის განსაზღვრა და ეფექტიანი აღსრულება წარმოადგენს იმ კოორდინირებული მუშაობის შედეგს, რომელიც სახელმწიფოსა და საზოგადოების აქტიური ჩართულობით მიიღწევა. შესაბამისად, მოცემულ თავში განხილულია ის ძირითადი მიმართულებები, საკანონმდებლო ცვლილებები, დანერგილი მექანიზმები, განხორციელებული აქტივობები და ღონისძიებები, რომლებმაც საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში უზრუნველყვეს გენდერული პოლიტიკის განსაზღვრა და მისი აღსრულების ხელშეწყობა.

თანასწორობის პოლიტიკის დამკვიდრება და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, რაც განპირობებული იყო მულტისექტორული მიდგომით და მიზანმიმართული, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავებული პოლიტიკის განხორციელებით.

ერთიანი ხედვა და სისტემური მიდგომა არსებობდა სტამბოლის კონვენციის რატიფიკაციის გზაზე, რამაც რადიკალურად შეცვალა ქალების უფლებრივი, სოციალური და ეკონომიკური ყოფა.

თეა წულუკიანი

საქართველოს იუსტიციის მინისტრი 2012-2020 წწ.

„სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება პირველ რიგში იმით იყო განპირობებული, რომ საქართველო 2012 წლის ოქტომბრიდან იმყოფებოდა გზაგასაყარზე. ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის ფონზე. შესაბამისად, იმ დროინდელი მთავრობის მიზანი იყო ადამიანის უფლებების დაცვა აყვანა შეძლებისდაგვარად მაღალ ხარისხში და ეს გაეკეთებინა მალე. პირველი სფერო, რომელსაც „როგორც ხარს რომ ჩაჭიდებ რქებში, რათა მოერიო“ – ეს იყო პატიმრების უფლებები, სასამართლო რეფორმა და ა.შ მაგრამ მალევე, ხელისუფლებაში მოსვლიდან ერთი წლის თავზე, ჩვენ აქტიურად დავიწყეთ სხვა მონაცვლადი ჯგუფების უფლებებზე ზრუნვა.“

2014 წლის ივნისში, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მინდობილობის საფუძველზე, იუსტიციის მინისტრს, კონკრეტულ შემთხვევაში – თეა წულუკიანს, მიენიჭა უფლებამოსილება, რომ ხელი მოეწერა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციისათვის.

კონვენცია ნათელს ჰფენს იმას, რომ ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა ვეღარ ჩაითვლება ადამიანების პირად საქმედ და რომ სახელმწიფოები ვალდებული არიან, ყოვლისმომცველი და ინტეგრირებული პოლიტიკის გზით იზრუნონ ძალადობის პრევენციაზე, დაიცვან მსხვერპლები და დასაჯონ კანონდამრღვევები. კონვენციის მიღებით მთავრობები ვალდებული ხდებიან, შეცვალონ შიდა კანონმდებლობა, შემოიღონ პრაქტიკული ზომები და გამოყონ რესურსები ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობისადმი ნულოვანი ტო-

ლერანტობის პოლიტიკის გასატარებლად. ასეთი ძალადობის პრევენცია და აღკვეთა აღარაა მხოლოდ კეთილი ნების საკითხი, ის სამართლებრივად სავალდებულო მოვალეობაა. ეს დაეხმარება ძალადობის მსხვერპლებს არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

სამართლებრივი ვალდებულებების გარდა, კონვენცია მნიშვნელოვან პოლიტიკურ სიგნალს აძლევს ფართო საზოგადოებას, რომ ქალებზე ძალადობა და ოჯახში ძალადობა მიუღებელია. კონვენციის მიზანია, სააშკარა-ოზე გამოიტანოს იმ ქალებისა და გოგოების მდგომარეობა, რომლებზეც ძალადობენ, აამაღლოს საზოგადოების ცნობიერება და შეცვალოს მენტალიტეტი გრძელვადიან პერსპექტივაში.¹⁴⁰

თეა წულუკიანი

საქართველოს იუსტიციის მინისტრი 2012-2020 წწ.

„2014 წლის 19 ივნისს, ჩვენი მხრიდან იუსტიციის მინისტრმა და ევროპის საბჭოს მხრიდან გენერალურმა მდივანმა, ბატონმა თორბიორნ იაგლანდმა, სტრასბურგში, მის კაბინეტში, საზეიმოდ ხელი მოვანერეთ ამ კონვენციას.

ჩვენ ამით ვთქვით, რომ ეს არის ის, რისაც ჩვენ გვწამს, გვჯერა, რომ საქართველო, ამას, როგორც ნაბიჯს დგამს, რაც ბევრმა სხვა ქვეყანამ, იმ დროს ვერც კი გადადგა.“

სტამბოლის კონვენციის ხელმოწერიდან რატიფიკაციამდე პერიოდი გულისხმობდა მასშტაბური ცვლილებების განხორციელებას როგორც საკანონმდებლო აქტებში, ასევე – თავად სახელმწიფო უწყებების საქმიანობაში.

სტამბოლის კონვენცია წევრ სახელმწიფოებს სხვადასხვა ღონისძიების გატარებას ავალდებულებს. მათ შორისაა: ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის ეფექტიანი ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერება; ქალების დაცვა ძალადობის ყველა ფორმისგან, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენცია და აღკვეთა.

ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობაზე მრავალმხრივი რეაგირების მიზნით, კონვენცია მოქმედებისაკენ მოუწოდებს სამთავრობო უწყებებს, ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს, ქვეყანაში მოქმედ ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს.

სტამბოლის კონვენციის ხელმოწერის შემდგომ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში შეიქმნა უწყებათა-შორისი ჯგუფი, რომელმაც დაიწყო ზრუნვა რატიფიკირებაზე, რამაც წაიღო რამდენიმე წელიწადი. ათეულობით კანონი და, რაც მთავარია, კანონქვემდებარე აქტები შეიცვალა და ჩამოყალიბდა ადმინისტრაციული პრაქტიკა, რომელიც მიმართული იყო იქითკენ, რომ ქალის უფლებები როგორც ოჯახში, ისე ოჯახს მიღმა, ყოფილიყო მაქსიმალურად დაცული. ცვლილებების კვალდაკვალ, აქცენტი კეთდებოდა არა მხოლოდ რეპრესიაზე, არამედ პრევენციაზე.

თეა წულუკიანი

საქართველოს იუსტიციის მინისტრი 2012-2020 წწ.

„რატიფიკირება არ გულისხმობდა მხოლოდ რატიფიკირებას, ეს გულისხმობდა რეფორმას. არიან ქვეყნები, რომლებიც რატიფიკირებას ახდენენ და მერე იწყებენ კანონების შეცვლას. ჩვენ გავაკეთეთ ეს ერთდროულად და ეს არის ქართული მაგალითის კიდევ ერთი თავისებურება, რომ რატიფიკირების დოკუმენტს თან ერთოდა კანონში ცვლილებების მთელი ტომები. ქართული მიდგომით, რეფორმა და რატიფიკირება ერთდროულად მოხდა.

¹⁴⁰ ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ (სტამბოლის კონვენცია): კითხვები და პასუხები, გვ. 4. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://rm.coe.int/istanbul-convention-questions-and-answers-georgian/1680983cd5>.

როდესაც ეს მოხდა, ჩვენ, რა თქმა უნდა, მივიღეთ, ერთი მხრივ, კმაყოფილი ჯგუფი, რომელიც ამბობდა, რომ ახლა ვიგრძენი დაცულად თავი და, მეორე მხრივ, უკმაყოფილო ჯგუფი, რომელიც ამბობდა, რომ „აქამდე არ სვამდნენ ამისთვის ციხეში და ახლა რატომ სვამენ? ცოლ-ქმარი თუ რაღაცაზე შეკამათდება, ვინ ეკითხება სახელმწიფოს!

პირველი შედეგი, რაც მე ყველაზე ძალიან მახარებდა, იყო ის, რომ ქალმა ხმა ამოიღო.“

ფუნდამენტური რეფორმის ეფექტურად განხორციელებას წინ უძღვის ყველა იმ სახელმწიფო უწყების ინფორმირება, რომელიც უშუალოდ იქნება ჩართული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებაში. თეა ნულუკიანის ინფორმაციით, ისეთი ფუნდამენტური რეფორმის განხორციელებისას, როგორც იყო სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება, უზრუნველყოფილი იყო ყველა პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყების ჩართულობა. კანონის წერაში ჩართული იყო ყველა ის უწყება, რომლებიც შემდგომ პასუხისმგებელი იყვნენ კანონის გამოყენებისა და აღსრულების პროცესზე, მათ შორის პოლიცია, პროკურატურა და სასამართლო.

ამასთანავე, პროცესში მონაწილეობდნენ ქალების და გოგოების უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, რამდენადაც სწორედ მათ, როგორც სამოქალაქო სექტორს, ჰქონდათ უმნიშვნელოვანესი როლი რეფორმების ეფექტური იმპლემენტაციისა და საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ პროცესში ჩართული იყო გაეროს ქალთა ორგანიზაცია.

თეა ნულუკიანი

„ჩვენ 8 წლის განმავლობაში იუსტიციის სამინისტროში გავატარეთ ათეულობით ფუნდამენტური რეფორმა, თუ არ ჩავთვლით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს, კანონი არ დარჩა საქართველოში, რომელიც არ გარდაიქმნა. ჩვენ ყველაფერი ფუნდამენტურად შევცვალეთ და დავუახლოვეთ ევროკავშირის სტანდარტს. თითქმის ყველა რეფორმაზე არასამთავრობო ორგანიზაციებიდან იყო წინააღმდეგობა რომელიმე მუხლთან მიმართებით, ან უკმაყოფილება, ან განსხვავებული აზრი ან ჯანსაღ აზრთა ჭიდილი. ორი რეფორმა იყო: სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, სადაც ვერ ვიტყვი, რომ სრული ჰარმონია იყო, რადგან ეს არ არის არასამთავრობო ორგანიზაციის ფუნქცია, მაგრამ ძალიან მაღალი ხარისხის ურთიერთგაგება ნამდვილად იყო.“

პროცესში აქტიურად იყო ჩართული ევროპის საბჭო, რადგან სწორედ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საკუთარი წამყვანი როლის გაცნობიერებით, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის აღკვეთის და პრევენციის მიზნით, სწორედ ევროპის საბჭომ მიიღო აღნიშნული კონვენცია (სტამბოლის კონვენცია).

თეა ნულუკიანი

„ევროპის საბჭოს უხაროდა ჩვენი გადანყვეტილება რატიფიკაციის პროცესთან დაკავშირებით, რადგან მათივე სხვა და ევროკავშირის წევრი ქვეყნები არ იყვნენ კონვენციის ხელმოწერის პირობებში.“

მე მახსენდება გაბრიელა ბატალინის დიდი მხარდაჭერა, რომელიც მაშინ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილე იყო. ის ჩამობრძანდა საქართველოში მაშინ, როდესაც მე ახალი დანიშნული ვიყავი მინისტრად და მან მითხრა, რომ საქართველოს სტამბოლის კონვენცია არ აქვს ხელმოწერილი. მე კი ვუთხარი, რომ ეს მთავრობა ადამიანის უფლებებს და მათ შორის – ამ საკითხსაც მიხედავს. შემდეგ მან დაინახა, რომ პროცესი ნამდვილად ჩაერთო და ის ყოველთვის უჭერდა მხარს ამ პროცესს“.

საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების გარდა, სტამბოლის კონვენციის რატიფიკაციის პროცესში ჩართული იყო საქართველოს სახალხო დამცველი.

ქალების და გოგოების უფლებების დაცვისა და ამ მხრივ არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების პროცესში, ქალბატონი თეა წულუკიანი აღნიშნავს სახალხო დამცველის როლს ისეთი პრობლემის გამოვლენაში როგორცაა ქალის გენიტალური ორგანოების დასახიჩრება. აღსანიშნავია, რომ მაშინ ამ პრობლემაზე არავინ საუბრობდა და სწორედ სახალხო დამცველის ოფისის აქტიური ჩართულობითა და მხარდაჭერით მოხდა საკითხის ადვოკატირება, რის შედეგადაც რეფორმის ფარგლები შესაბამისი ცვლილებები შევიდა კანონმდებლობაში და ქალთა წინადაცვეთა განისაზღვრა როგორც სისხლის სამართლებრივი დანაშაული და გახდა დასჯადი.

თეა წულუკიანი

„ერთადერთი, რაც მე მახსენდება ჩემი 8-წლიანი საქმიანობის ფარგლებში, როდესაც ომბუდსმენის აპარატიდან მივიღე მე სარგებელი – ეს იყო, როდესაც ჩვენ მათ მიგვიყვანეს იმ პრობლემაზე, რაზეც არავინ არ ლაპარაკობდა და რაც ჩვენ შევძელით, რომ ამ რეფორმაში შეგვეტანა. ეს იყო ქალის გენიტალური ორგანოების დასახიჩრება.“

თურმე ასეთი დაფარული ტრადიცია სადღაც არსებობდა, სახელმწიფომ ამის შესახებ ბევრი არაფერი იცოდა, მათ შორის – არც სამართალდამცვემა ორგანოებმა და აქამდე ჩვენ მიგვიყვანა ომბუდსმენის აპარატმა. შედეგად ჩვენ შევძელით, რომ ეს მოგვექცია იმ რეფორმაში და ეს ქმედება ჩვენ სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადად ვაქციეთ.“

სტამბოლის კონვენციის ხელმოწერიდან რატიფიკაციამდე პერიოდი საკმაოდ კომპლექსური იყო, რაც, ცხადია, თავის მხრივ, გარკვეულ გამოწვევებთან იყო დაკავშირებული; როგორც ქალბატონი თეა წულუკიანი იხსენებს, ამ პროცესში თავს იჩენდა ბარიერები საზოგადოების გარკვეული ჯგუფისგან. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოყოფს გოგოების ადრეული ქორწინების პრევენციის ზომების მიღებასთან დაკავშირებულ წინააღმდეგობებს, რაც კულტურული და ტრადიციული აღქმებითა და სტერეოტიპებით იყო გამოწვეული. თუმცა, ნათელია ის ფაქტი, რომ კონვენციის ხელმოწერითა და რატიფიცირებით, მნიშვნელოვანი საფუძველი ჩაეყარა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთისთვის საჭირო საკანონმდებლო ჩარჩოსა და ეროვნული მექანიზმების განვითარებას.

თეა წულუკიანი

„ჩვენ ვუყურებდით ოჯახში ძალადობის აურაცხელ ფაქტებს, ვუყურებდით ქალების სიცოცხლის ხელყოფის გაზრდილ სტატისტიკას, პირველ რიგში – ოჯახში, მაშინ რამდენიმე ძალიან ტრაგიკული შემთხვევაც მოხდა, რომელიც უკავშირდებოდა სახელმწიფოს ხელში ბერკეტის არასაკმარისობას და ვგრძნობდით, რომ სახელმწიფო, ამ შემთხვევაში – პოლიცია, უნდა გაძლიერებულიყო და ამ მაგალითებზე დაყრდნობით და რეალობაზე დაყრდნობით ვაკებდით ყველაფერს.“

საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აქტიურად მუშაობდა და სხვადასხვა კამპანიაზე. როგორც ქალბატონი თეა წულუკიანი აღნიშნავს, სამინისტროს პიარ დეპარტამენტი, სრული შემადგენლობით, სტამბოლის კონვენციის რატიფიკაციამდე მთელი ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა ცნობიერების ამაღლების კამპანიაზე, ეს იყო ვიდეორგოლები თავისი დევიზებით; სისტემატურად ხდებოდა რეგიონებში ჩასვლა და კანონპროექტის საზოგადოებისთვის გაცნობა. ქალბატონი თეა წულუკიანი იხსენებს, რომ ის თავად დადიოდა რეგიონებში, ადგილობრივ ქალთა ორგანიზაციებს ხვდებოდა და უხსნიდა, თუ რა შეიცვლებოდა მათ ცხოვრებაში.

შედეგად, ისინი, ვისაც უნდა გამოეყენებინა ეს კანონი, მზად დახვდნენ ამ პროცესს და ისინი, ვისაც თავი უნდა დაეცვა ამ კანონით, ისინიც მზად დახვდნენ. შედეგი აჩვენებს, რომ ეს იყო ძალიან საინტერესო, კომპლექსური, მაგრამ კარგად მომზადებული პროცესი.

სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები: ეროვნული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობას წლების განმავლობაში თანამშრომლობის დამკვიდრებული პრაქტიკა აქვს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და დამოუკიდებელ ექსპერტებთან. ეს კი განსაკუთრებით კარგად ვლინდება პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების პროცესში, როდესაც საქართველოს მთავრობა ყოველთვის უზიარებს საკუთარ ხედვებს მათ, მიმართავს რეკომენდაციებისა და მოსაზრებებისთვის, რაც შემდგომ უკვე პოლიტიკის დოკუმენტებში ისახება.

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2014-2020 წწ) და სამოქმედო გეგმა

საქართველოს პარლამენტმა 2014 წელს, პირველი ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია დაამტკიცა¹⁴¹, რომელიც მოიცავდა 2014-2020 წლებს. აღნიშნული სტრატეგია, სხვა ძირითად მიმართულებებთან ერთად ფარავდა ისეთ საკითხებს, როგორცაა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, ქალთა უფლებების დაცვა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა.

მითითებული მიზნის მისაღწევად სტრატეგია ითვალისწინებდა შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით – პოლიტიკურ საქმიანობაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- გენდერული თანასწორობის დარღვევის ნებისმიერ ფაქტზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება;
- ქალთა ოჯახში ძალადობისაგან დაცვისა და დახმარების მექანიზმებისა და სამართლებრივი ბაზის საერთაშორისო სტანდარტებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საჯარო სექტორში დასაქმებულ პირთა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
- ძალადობის მსხვერპლთათვის სამართლებრივი დაცვის, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის და თავშესაფრის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.¹⁴²

სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელების მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ მზადდებოდა შესაბამისი სამოქმედო გეგმები და აღნიშნული გეგმების შესრულების ანგარიშები.

2014-2015 წწ.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2014-2015) და სამოქმედო გეგმის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭო.¹⁴³

აღნიშნული სამოქმედო გეგმა მოიცავდა 23 თემატურ თავს, რომელიც ჯამში შედგებოდა 386 აქტივობისგან. ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015) შესრულების ანგარიშის თანახმად,

¹⁴¹ საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ, N2315-III, 2014. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2348314?publication=0> [ბოლოს ნანახია 04.08.2023].

¹⁴² ადამის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://myrights.gov.ge/ka/documents/documents/strategy/> [ბოლოს ნანახია: 04.08.2023].

¹⁴³ საქართველოს მთავრობის დადგენილება საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) დამტკიცებისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ, N445, 2014. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://myrights.gov.ge/uploads/files/docs/2063HRAP_2014-2015.pdf [ბოლოს ნანახია: 04.08.2023].

სამოქმედო გეგმის 226 აქტივობა (59%) შესრულდა სრულად, 120 აქტივობა (31%) ნაწილობრივ, ხოლო შესრულებული დარჩა 40 აქტივობა (10%).¹⁴⁴

2016-2017 წწ. 2016 წელს, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2016-2017).¹⁴⁵

აღნიშნული სამოქმედო გეგმა მოიცავდა 25 თემატურ თავს. აქედან, 23 თემატური თავი, თავის მხრივ, მოიცავდა 473 აქტივობას. სამთავრობო ანგარიშის თანახმად, 2017 წლისთვის, სამოქმედო გეგმის 245 აქტივობა (52%) შესრულდა სრულად, 131 აქტივობა (28%) უმეტესად, 57 აქტივობა (12%) ნაწილობრივ, ხოლო შესრულებული დარჩა 40 აქტივობა (8%).¹⁴⁶

2018-2020 წწ. 2018 წელს, საქართველომ მთავრობამ დაამტკიცა ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2018-2020).¹⁴⁷

2018-2020 წლების გეგმაში აღმოიფხვრა წინა გეგმის ზოგიერთი ხარვეზი და პრაქტიკულად ყველა ამოცანასთან მიმართებით მითითებული იყო საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანოების ის რეკომენდაციები და წინადადებები, რომელთა გათვალისწინებითაც მოხდა გეგმით დასახული ამოცანებისა და აქტივობების განხორციელება.¹⁴⁸

ასევე დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმაში ინდიკატორები განსაზღვრული იყო არა მხოლოდ კონკრეტულ აქტივობებთან მიმართებით, არამედ გეგმის ამოცანებთან ბმაში, რაც, ბევრად უკეთ უზრუნველყოფდა შესრულებული სამუშაოს შეფასებას.

გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 22 მარტს მრავალპარტიულ ფორმატში მოხდა ინიცირება და იმავე წლის 22 დეკემბერს დამტკიცდა საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ¹⁴⁹. დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფოს ერთიან ხედვას გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისთვის სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ სფეროში, როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო ურთიერთობებში.

აღნიშნულ კონცეფციაზე მუშაობა მრავალპარტიულ ფორმატში ჯერ კიდევ 2019 წელს დაიწყო გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით – პროცესის გამჭვირვალობის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი

¹⁴⁴ ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015) შესრულების ანგარიში, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf> [ბოლოს ნანახია 05.08.2023].

¹⁴⁵ საქართველოს მთავრობის დადგენილება. საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ, N338, 2016. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://myrights.gov.ge/uploads/files/docs/9003HRAP_2016-2017.pdf [ბოლოს ნანახია: 06.08.2023].

¹⁴⁶ საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) შესრულების ანგარიში, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://myrights.gov.ge/uploads/files/docs/6971Report2016-2017.pdf> [ბოლოს ნანახია: 06.08.2023].

¹⁴⁷ საქართველოს მთავრობის დადგენილება ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2018-2020), დამტკიცების შესახებ, N182, 2018, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4153833?publication=1> [ბოლოს ნანახია 07.08.2023].

¹⁴⁸ GDI და IDSD-ის შეფასება ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2018-2020)-ის შესახებ, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://www.hrm.org.ge/ge?ap=83> [ბოლოს ნანახია 07.08.2023].

¹⁴⁹ საქართველოს პარლამენტი. 2022. „გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია“ ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://parliament.ge/legislation/23812> [ბოლოს ნანახია: 02.08.2023].

და მომზადებული დოკუმენტი უკუკავშირისთვის გაზიარდა როგორც საერთაშორისო პარტნიორებთან, აგრეთვე დონორ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ხოლო კონსულტაციების ეტაპზე ჩართულნი იყვნენ შესაბამისი სექტორული საპარლამენტო კომიტეტები და სამინისტროები.

კონცეფციის ამოსავალი წერტილია გენდერული უთანასწორობის ძირეული და სისტემური მიზეზებისა და შედეგების აღმოფხვრა. ამ მიზნით, კონცეფცია ემყარება ქვეყანაში მოქმედ ძირითად სამართლებრივ აქტებს: საქართველოს კონსტიტუციას, ეროვნულ კანონმდებლობას გენდერული თანასწორობის, ადამიანის უფლებებისა და ძალადობის აღმოფხვრის შესახებ და ასევე ითვალისწინებს საერთაშორისო ჩარჩო-დოკუმენტებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დოკუმენტი გენდერული თანასწორობის მიღწევას მრავალკომპონენტური ნაბიჯებითა და სექტორული თანამშრომლობით ისახავს და პრიორიტეტულ სფეროებად მიიჩნევს ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა: ქალების მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სფეროებში; ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და შრომითი უფლებების დაცვა; გენდერული ძალადობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დაძლევა; ბავშვთა ქორწინებისა და საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრა და სხვა.

გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის აღსრულებისთვის ცალსახად საჭიროა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის უზრუნველყოფა ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე.

ადამიანის უფლებათა დაცვის რიგით მეორე ეროვნული სტრატეგია

საქართველოს მთავრობის მიერ მუდმივად ხორციელდება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელება. სწორედ ამ მიზნით, 2022 წლის 5 სექტემბერს, საქართველოს მთავრობამ მოიწონა, ხოლო 2023 წლის 23 მარტს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა **ადამიანის უფლებათა დაცვის რიგით მეორე ეროვნული სტრატეგია, რომელიც მოიცავს 2022-2030 წლებს**.¹⁵⁰ აღნიშნული დოკუმენტი გამომდინარეობს პირველი ეროვნული სტრატეგიიდან (2014-2020 წწ.), წარმოადგენს მის ლოგიკურ გაგრძელებას. მისი მიზანია საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სისტემური გარანტიების შემდგომი განმტკიცება.

დოკუმენტი შემუშავდა შესაბამისი სახელმწიფო დანესებულებათა მიერ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის კოორდინირებით. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და დამოუკიდებელი ექსპერტები აქტიურად მონაწილეობდნენ დოკუმენტის შემუშავების პროცესში. ამ პროცესში ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

დოკუმენტი ასახავს საქართველოს ეროვნულ საჭიროებებსა და არსებულ გამოწვევებს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით და მას საფუძვლად უდევს საქართველოს კონსტიტუცია. სტრატეგია ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო, მათ შორის ევროპული სამართლებრივი დოკუმენტებიდან გამომდინარე ვალდებულებებს (როგორც ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების შემდგომი გაუმჯობესების მიმართულების განმსაზღვრელი შესაძლებლობების ერთობლიობა) და თანხვედრაშია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან.¹⁵¹

დოკუმენტი ქმნის ერთიან ჩარჩოს ქვეყანაში ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ეროვნული სისტემისა და ინსტიტუციური დემოკრატიის გასაძლიერებლად. ადამიანის უფლებათა სტრატეგია ემსახურება საზოგადოების წინაშე კონსტიტუციითა და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებას სახელმწიფოს მიერ, ისევე, როგორც ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების განუხრელ დაცვას.

აღნიშნულ სტრატეგიაში ცალკე თავი ეთმობა გენდერულ თანასწორობას, ქალთა უფლებებს და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას.

როგორც სტრატეგიაშია აღნიშნული, გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების დაცვისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებმა ბოლო წლების განმავლობაში დადებითი განვითარება პოვა

¹⁵⁰ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2022-2030), ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: myrights.gov.ge/uploads/files/docs/390ადამიანისუფლებათადაცვისეროვნულისტრატეგია.pdf [ბოლოს ნანახია: 10.08.2023].

¹⁵¹ იქვე, გვ. 3.

საკანონმდებლო ბაზის განმტკიცებით, რეაგირების მექანიზმების გაძლიერებითა და დაცვის/რეაბილიტაციის სერვისების განვითარებით.

მთელი ქვეყნის მასშტაბით ხელშესახები ცვლილებების განსახორციელებლად, სტრატეგია უზრუნველყოფს ეფექტიანი ღონისძიებების გატარებას როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე, ასევე, გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი მექანიზმების გაძლიერებას.

დამატებით, სტრატეგია ხელს უწყობს ქალთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაძლიერებას და მათ აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი მიზანია გენდერული თანასწორობის პრინციპის გაძლიერება ცხოვრების ყველა სფეროში, სამართლებრივი გარანტიების შექმნის საფუძველზე თანასწორობის უზრუნველყოფა და ამავე პრინციპის ფაქტობრივი რეალიზაციის ხელშემწყობა, თანაბარი შესაძლებლობებისა და ფაქტობრივი თანასწორობისთვის სისტემური და ინსტიტუციური მექანიზმების გაუმჯობესება და ქალებისა და გოგონების გაძლიერება.¹⁵²

აღამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის პრიორიტეტების და მიზნების აღსრულებისთვის, ამჟამად, აქტიური მუშაობა მიმდინარეობს **აღამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე**.

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა და ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმები

საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის პრაქტიკაში რეალიზების ხელშემწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ 2008 წლიდან რეგულარულად ხორციელდება „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა“ ეროვნული სამოქმედო გეგმების მიღება და განხორციელება.¹⁵³

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 25 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ორი ცალკე მდგომი სამოქმედო გეგმა:

- ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა;
- ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა.

სამუშაო პროცესში ჩართულები იყვნენ როგორც **დარგობრივი სამინისტროები და მუნიციპალიტეტები, ისე ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სახალხო დამცველის აპარატი, ექსპერტები და სხვა დაინტერესებული პირები.**

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა მოქმედების 3 სფეროს აერთიანებს¹⁵⁴:

- **მოქმედების სფერო I: „ქალთა მონაწილეობა მშვიდობისა და უსაფრთხოების გაძლიერების პროცესებში“** – მიზანია ქალთა, ასევე, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და ახალგაზრდების გაზრდილი წარმომადგენლობისა და ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიმღებთა დონეზე მშვიდობისა და უსაფრთხოების პროცესებში;

¹⁵² იქვე, გვ. 27.

¹⁵³ 2007-2008 წწ.; 2009-2010 წწ.; 2011-2012 წწ.; 2013-2015 წწ.; 2016-2017 წწ.; 2018-2020 წწ.

¹⁵⁴ ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://myrights.gov.ge/uploads/files/docs/5148ოჯახშიძალადობისწინააღმდეგსამოქმედოგეგმა_24.ოქტ.2022+.pdf [ბოლოს ნანახია: 10.08.2023].

- **მოქმედების სფერო II: „ძალადობის აღმოფხვრა, პრევენცია“** – მიზანია კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ (მათ შორის დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრებ) ქალებსა და გოგონებზე ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის – სექსუალური ძალადობის, გენდერული ნიშნით ძალადობისა და "ადამიანის უსაფრთხოებასთან" დაკავშირებული სხვა რისკების პრევენცია.
- **მოქმედების სფერო III: „ქალთა გაძლიერება და დაცვა“** – მიზანია კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიებზე და მის მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და გოგონების უსაფრთხოების, საჯარო სერვისებზე წვდომის, ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა და ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა ოთხ სფეროს აერთიანებს:¹⁵⁵ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენცია, ძალადობის მსხვერპლთა დაცვას და მხარდაჭერას, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთას, ინტეგრირებულ პოლიტიკას და მონაცემების შეგროვებას.

ხაზგასასმელია, რომ ორივე ცალკე მდგომი სამოქმედო გეგმა პირველად დამტკიცდა საკუთარი ბიუჯეტით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და დამტკიცებას.

აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით, 2023 წლის 25 ივლისს, მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიის სხდომა, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ორი თემატური სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ:

- საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესრულების ხელშეწყობი სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს საქართველოს მიერ გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW) და ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის (GREVIO) მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე.
- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის სამუშაო ჯგუფი.

სწორედ, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის სამუშაო ჯგუფი მუშაობს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის სამოქმედო გეგმაზე, რომელშიც განერილი იქნება მისაღწევი ამოცანები და განსაზღვრული აქტივობები კონკრეტული ვადებისა და პასუხისმგებელი უწყებების მითითებით.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის კომპენსაციის გაცემის წესი

2022 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი.¹⁵⁶ შედეგად,

¹⁵⁵ ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://myrights.gov.ge/uploads/files/docs/67761325სამოქმედოგეგმა24.ოქტ.2022.pdf> [ბოლოს ნანახია 11.08.2023].

¹⁵⁶ საქართველოს მთავრობის დადგენილება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე, N523, 2022 ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5611339?publication=0> [ბოლოს ნანახია 11.08.2023].

ძალადობის მსხვერპლი/გადარჩენილი უფლებამოსილია, მიიღოს კომპენსაცია სახელმწიფოსგან. **აღსანიშნავია, რომ 2017 წელს, სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებისას, საქართველომ მხოლოდ ერთი დათქმა გააკეთა, სადაც ნათქვამია, რომ კომპენსაციის წესი ცალკე უნდა იქნეს მიღებული და ეს პირობა უკვე შესრულებულია.**

შედეგად, ძალადობის მსხვერპლი/გადარჩენილი უფლებამოსილია, მიიღოს კომპენსაცია სახელმწიფოსგან იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლის ჯანმრთელობაზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოძალადის მიერ არ არის ანაზღაურებული. კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შესაბამისად. კომპენსაციის გაცემაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფო ბრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრა

ოჯახში ძალადობის პრევენცია, ძალადობის გამოვლენა და აღკვეთა, ძალადობის მსხვერპლთა დაცვა, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის საკვანძო ნაწილს და ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

2017 წელს საქართველომ განახორციელა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის“ (შემდგომში – სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირება და მიიღო ზომები ქვეყნის შიდა კანონმდებლობის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ბოლო წლებში ჩატარებული არაერთი კვლევისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სპეციალური ანგარიშების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის კანონმდებლობის, პოლიტიკის და პრაქტიკის მიმართულებით.

საკანონმდებლო ცვლილებები

2021 წლიდან გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) თანამშრომლობით აქტიურად დაიწყო მუშაობა ძალადობის მსხვერპლი ქალების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით. შედეგად, 2022 წლის 23 თებერვალს მოხდა ინიცირება, ხოლო იმავე წლის 22 დეკემბერს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღკვეთის მარეგულირებელ კანონმდებლობაში¹⁵⁷.

საკანონმდებლო ინიციატივის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის გაძლიერება და სახელმწიფო სერვისებით, მათ შორის, სახელმწიფო თავშესაფრით სარგებლობისთვის არსებული გამონწვევის/ბარიერის დაძლევა. ცვლილებამ აგრეთვე უზრუნველყო სტამბოლის კონვენციის რატიფიკაციასთან¹⁵⁸ დაკავშირებით, სახელმწიფოს მიერ გამოხატული ნების თანახმად, საქართველოს კანონმდებლობის კონვენციის დებულებებთან შესაბამისობა.

შედეგად, ცვლილებები შევიდა შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

- „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში“;
- „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში“;

¹⁵⁷ საქართველოს პარლამენტი. 2022. საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://parliament.ge/legislation/23672> [ბოლოს ნანახია: 05.08.2023].

¹⁵⁸ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. 2017. „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია“ ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0> [ბოლოს ნანახია: 05.08.2023].

- „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში;
- „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“;
- „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში.

აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის განხილვა წარიმართა დაჩქარებული წესით. პარლამენტმა ინიციატივა განიხილა და მესამე მოსმენით, მრავალპარტიული მხარდაჭერით მიიღო¹⁵⁹. ცვლილებები ძალაში 2023 წლის 1 ივლისიდან შევიდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებები

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, ბოლო წლების განმავლობაში, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით, ხელშესახები ნაბიჯები გადაიდგა.

- | | |
|-------------|--|
| 2018 | <ul style="list-style-type: none"> ✓ 2018 წელს შემუშავდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის განმეორების რისკის შეფასების და მონიტორინგის მექანიზმი; ✓ შემაკავებელი და დამცავი ორდერებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის პირველივე შემთხვევაზე დაწესდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა; ✓ ოჯახში ძალადობის (სსკ-ის 126 პრიმა) პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის თავისუფლების აღკვეთის ვადა გაიზარდა 2 წლამდე; ✓ სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეულ მუხლებში, დამამძიმებელი გარემოების სახით, განისაზღვრა დანაშაულის ჩადენა გენდერული ნიშნით; ✓ გამკაცრდა სასჯელი ოჯახური დანაშაულის განმეორებით ჩადენისათვის; გამკაცრდა პოლიტიკა ოჯახში მოძალადე სამართალდამცავების მიმართ. |
| 2019 | <ul style="list-style-type: none"> ✓ 2019 წელს დაინერგა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტია დაზარალებულისთვის/მსხვერპლისთვის გამოძიების პროცესში მონაწილეობის გამართივება. |
| 2020 | <ul style="list-style-type: none"> ✓ 2020 წელს, შემაკავებელი ორდერის გამოცემასთან ერთად, დაინერგა მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების შესაძლებლობა, თუ სახეზეა ძალადობის განმეორების რეალური საფრთხე; ✓ 2020 წელს დამზადდა და ტექსტური შეტყობინებების სახით საქართველოს მოსახლეობას დაეგზავნა ელექტრონული ბმული, რომლის მეშვეობითაც, მომხმარებელს საშუალება აქვს, გადმოწეროს 112-ის აპლიკაცია და საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლოს ჩუმი განგაშის ღილაკით შეტყობინების გაგზავნის და ოპერატორთან არავერბალური კომუნიკაციის დამყარების მიზნით; ✓ 2020 წლის 17 მარტს მიიღეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის ძირითადი დებულებები ამოქმედდა 2020 წლის 1-ელ მაისს. მითითებული კანონის საფუძველზე, გამოიცა კანონქვემდებარე აქტები (მათ შორის – შსს მინისტრის N9 ბრძანება), რომლებითაც სამინისტროს დაეკისრა ვალდებულება, რომ მსგავსი კატეგორიის დამნაშავეების მიმართ განხორციელდეს მონიტორინგის ღონისძიებები. ამ მიზნით, ტერიტორიულ ორგანოთა დირექტორის ბრძანებებით, გამოყვეს ე.წ. შემთხვევის მმართველები; |

¹⁵⁹ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი. 2022. კომიტეტის საქმიანობის ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/319213> [ბოლოს ნანახია: 05.08.2023].

- ✓ 2020-2021 წლებში, დამზადდა არაერთი ვიდეორგოლი, რომლებიც სოციალური მედით გავრცელდა და უმთავრეს გზავნილს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ შსს-ს მკაცრი პოლიტიკის შენარჩუნებაზე ხაზგასმა, ასევე, პოლიციისთვის მიმართვის ალტერნატიული მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენდა.
- 2021**
- ✓ 2021 წელს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის თანახმადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოძიებულს მიენიჭა უფლებამოსილება, საქმის სასამართლოში წარმართვამდე, სისხლის სამართლის საქმეში საკუთარი გადაწყვეტილებით ჩართოს კოორდინატორი. მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორები პრიორიტეტულად ერთვებიან ისეთ საქმეებში, როგორებიცაა ქალთა მიმართ და ოჯახი ძალადობა, ასევე – არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დროისთვის მომუშავე ყველა კოორდინატორი გადამზადებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე.
- 2022**
- ✓ შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2022 წელს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, არასამთავრობო ორგანიზაციის – „Global Rights for Women“ ექსპერტთა აქტიური ჩართულობით, გადაამუშავა რისკის შეფასების ინსტრუმენტი. შეფასების შედეგების მიხედვით, განახლებული ინსტრუმენტი 2023 წლის პირველი მაისიდან ამოქმედდა, შედეგად, რისკების შეფასება და ელექტრონული ზედამხედველობა მეტად ეფექტიანი მექანიზმი გახდა ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ გამოსაყენებლად;
 - ✓ სამართალდამცავებისთვის შემუშავდა 10-ზე მეტი რეკომენდაცია ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემური ასპექტების შესახებ.
 - ✓ ასევე, დიდი ყურადღება ეთმობა პროფესიონალთა ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებას. გენდერულად მგრძობიარე და მსხვერპლზე ორიენტირებული სამართალწარმოების წარმართვის უზრუნველსაყოფად, საქმიანობის მაღალი ხარისხით განხორციელების მიზნით, ბოლო წლების განმავლობაში არაერთი ტრენინგი ჩატარდა, რომელთა ფარგლებშიც გადამზადდა ათასობით პოლიციელი. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ სამინისტრო მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და დანაშაულის პრევენციის მიზნით.

საქართველოს პროკურატურა

მნიშვნელოვანია საქართველოს პროკურატურის წვლილი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით. აღნიშნული ზომები მოიცავს როგორც თანამშრომელთა შესაძლებლობებისა და უნარების გაძლიერებას, ასევე მონიტორინგის მექანიზმების დახვეწას.

ნათია მერებაშვილი

საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე (2020 წლიდან დღემდე)

„ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურისა და ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ბოლო წლების პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. დეპარტამენტი ყოველწლიურად სწავლობს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და ფემიციდის სისხლის სამართლის საქმეებს. მონიტორინგის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გენდერული დისკრიმინაციის მოტივის იდენტიფიცირებას“.

საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიის მე-5 თავი ეთმობოდა ადამიანის უფლებების დაცვას, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდას.

საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიით, პროკურატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციად კვლავ ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, ოჯახური დანაშაულის, სქესობრივი დანაშაულისა და შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა განისაზღვრა.

საქართველოს პროკურატურაში 2016 წელს შემუშავდა სახელმძღვანელო მითითება შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების (მათ შორის – სქესის და გენდერული დისკრიმინაციის ნიშნებით) პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებით.

საქართველოს გენერალური პროკურატურა, 2016 წლიდან აწარმოებს გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების აღრიცხვას.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის განსაკუთრებული ძალისხმევა, დეპარტამენტად ფორმირების შემდეგ მიმართული იყო გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების (ფემიციდის) დანაშაულების მონიტორინგზე.¹⁶⁰

ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის აქტიური ძალისხმევით, სისხლის სამართლის საქმეებში გენდერული დისკრიმინაციის მოტივის იდენტიფიცირების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2022 წელს დაფიქსირდა და გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1069 პირის მიმართ. აღნიშნული მაჩვენებლით, 2021 წლის სტატისტიკური მონაცემი 46%-ით არის გაზრდილი და, თავის მხრივ, 128.9%-ით აღემატება 2016-2020 წლების სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ჯამურ მაჩვენებელს.¹⁶¹

ასევე, აღსანიშნავია პროკურორების მიერ დაზარალებულად ცნობის დადგენილებებში გენდერისა და ინტერსექციული დისკრიმინაციის მოტივების იდენტიფიცირების გაზრდილი მაჩვენებელი, რომელიც 44.6 %-ით აღემატებოდა 2021 წლის სტატისტიკურ მონაცემს.

ნათია მერებაშვილი

საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე (2020 წლიდან დღემდე)

„ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის საქმეებზე ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პრაქტიკის ჩამოყალიბებას და საერთაშორისო პრინციპების იმპლემენტაციას. 2022 წელს პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისთვის შემუშავდა სახელმძღვანელო მითითებები – „გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობის შესახებ“ და „ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის საქმეებზე საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადანყვეტილებათა ეფექტიანი აღსრულების შესახებ“,

2022 წელს პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისთვის შემუშავდა სახელმძღვანელო მითითებები „გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობის შესახებ“ და „ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის საქმეებზე საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადანყვეტილებათა ეფექტიანი აღსრულების შესახებ.“

2022 წელს ევროპის საბჭოს მხარდაჭერითა და ექსპერტული ჩართულობით, დისკრიმინაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე პროკურორებისთვის შეიქმნა სახელმძღვანელო – „შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების პრინციპები საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით“. სახელმძღვანელოში მიმოხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებები დისკრიმინაციის სხვადასხვა ნიშნით წარმოებულ საქმეებზე.

¹⁶⁰ ინტერვიუ საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე – ნათია მერებაშვილთან.

¹⁶¹ საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი. გენდერული დისკრიმინაციის მოტივი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებში, 2022. ხელმისაწვდომია: <https://pog.gov.ge/uploads/a97a2799-genderuli-diskriminacii-motivi-2022.pdf> [წვდომის ბოლო თარიღი: 15/08/2023].

სისტემატურად მიმდინარეობს საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით. 2014 წლიდან 2023 წლის 15 აგვისტომდე პერიოდში საქართველოს პროკურატურის 1167-მა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა 83 სასწავლო ღონისძიებაში (ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, კონფერენციები, ვებინარები და სხვადასხვა ქვეყანაში სასწავლო ვიზიტები), რომლებიც უშუალოდ ეხებოდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებს ან სასწავლო აქტივობის ფარგლებში, სხვა თემებთან ერთად, განხილული იყო გენდერული ძალადობის საკითხებიც.

აღნიშნულ საკითხზე სასწავლო ღონისძიებებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე სპეციალიზაციის კურსს. საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანების შესაბამისად, 2018 წლის 1 მაისიდან ამ მიმართულების სისხლის სამართლის საქმეებზე საქართველოს პროკურატურის ორგანოებში გამოძიებას, საპროცესო ხელმძღვანელობასა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას მხოლოდ სპეციალიზებული პროკურორები და პროკურატურის გამომძიებლები ახორციელებენ. 2023 წლის 15 აგვისტოს მონაცემებით, უწყებაში ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით 240 თანამშრომელია სპეციალიზებული (მათ შორის – 35 მენეჯერი, 171 პროკურორი და 24 პროკურატურის გამომძიებელი და 10 მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორი).

სახელმწიფო სერვისები

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარების და რეაბილიტაციის მიზნით, სახელმწიფოს მიერ ხორციელდება შესაბამისი სერვისების შეთავაზება. აღნიშნული სერვისები მოიცავს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა განთავსებას თავშესაფრებში/კრიზისულ ცენტრებში, მათთვის იურიდიული, სამედიცინო, ფსიქო-სოციალური დახმარების აღმოჩენას, რეაბილიტაციის უზრუნველყოფას.

ძალადობის მსხვერპლთა ნაწილი რთულად აღწევს თავს ძალადობას, აღნიშნული ნაბიჯის გადადგმის შემდეგ კი აუცილებელია მსხვერპლისთვის იმ პირველადი დახმარების აღმოჩენა, რომელიც მის რეაბილიტაციას შეუწყობს ხელს. ძალადობის მსხვერპლი ხშირ შემთხვევაში ფიზიკურ, ეკონომიკურ თუ ძალადობის სხვა ფორმასთან ერთად, განიცდის ფსიქოლოგიურ ძალადობასაც, რაც აუცილებელს ხდის მსხვერპლისთვის ფსიქოლოგიური დახმარების განევას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მსხვერპლთა ნაწილს აქვს მწირი ინფორმაცია თავისი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ, შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათთვის უფასო იურიდიული დახმარების განევა, რისი შესაძლებლობაც (მათ შორის ფინანსური) მსხვერპლს შესაძლოა თავად არ ჰქონდეს. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ნაწილს ასევე არ გააჩნია ის სივრცე, ან არ ჰყავს ისეთი ადამიანი გვერდით, რომელიც ძალადობისგან თავის დაღწევის შემთხვევაში უზრუნველყოფს მას თუნდაც დროებითი საცხოვრებელი ადგილით.

სწორედ ამიტომ, თავშესაფრით და კრიზისული ცენტრით მსხვერპლთა უზრუნველყოფა წარმოადგენს იმ საყრდენს, რომელმაც შესაძლოა ძალადობის

სახელმწიფო თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები 2006 წლიდან ვითარდებოდა, 2012 წლისთვის მოქმედებდა 3 თავშესაფარი, ბათუმში, თბილისსა და გორში, 2014-2023 წლებში ეტაპობრივად გაიზარდა თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების რაოდენობა:

- 2014 წელს გაიხსნა ქუთაისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი).
- 2016 წელს გაიხსნა თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრი.
- 2016 წელს ასევე გაიხსნა სიღნაღის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი).
- 2017 წელს გაიხსნა ქუთაისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრი.
- 2018 წელს გაიხსნა გორის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრი.
- 2018 წელს გაიხსნა ოზურგეთის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრი.
- 2019 წელს გაიხსნა მარნეულის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრი.
- 2023 წელს გაიხსნა თელავსა და ზუგდიდში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრები.

მსხვერპლს გადაადგმევინოს მოძალადისგან განცალკევების ნაბიჯი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ უზრუნველყოს იმ ძირითად სერვისებზე ხელმისაწვდომობა, რომლებიც ძალადობის მსხვერპლთა დახმარებას, რეაბილიტაციას შეუწყობს ხელს.

საქართველოს მთავრობა, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, აქტიურად მუშაობს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის დაძლევაზე/შემცირებაზე და ძალადობის მსხვერპლთა დახმარებისა თუ მხარდაჭერის მომსახურების განვითარებაზე. დღეის მდგომარეობით, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ფარგლებში მოქმედებს 5 თავშესაფარი და 7 კრიზისული ცენტრი და ფუნქციონირებს საკონსულტაციო უფასო ცხელი ხაზი.

მიუხედავად იმისა, რომ გასული ათწლეულის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ უზრუნველყო მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების განვითარება, არსებული სერვისები არ არის საკმარისი და სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მსხვერპლთა საჭიროებების სრულად დაფარვას. აღნიშნული გამოწვევები და საპასუხო ზომების განხორციელების საჭიროება მკაფიოდ არის ხაზგასმული საერთაშორისო რეკომენდაციებშიც. დღესდღეობით, სახელმწიფო სერვისების მიმართულებით არსებულ გამოწვევებს შორის უნდა აღინიშნოს:

- **თავშესაფარში განთავსებულ ბენეფიციართა ეკონომიკური გაძლიერება** – თავშესაფარში განთავსებულ პირთა უმრავლესობა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბენეფიციართა ეკონომიკური გაძლიერება მათი დასაქმების მხარდაჭერის მიმართულებით.
- საყურადღებო ფაქტორს წარმოადგენს **სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის სპეციალიზებული მომსახურების ნაკლებობა**.¹⁶²
- **სერვისების თანაბარი ხელმისაწვდომობა** –საგულისხმოა, რომ გამოწვევად რჩება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისა (თავშესაფარებში) და სოფლად მცხოვრები ადამიანებისთვის (კრიზისულ ცენტრებში) სპეციფიკაზე მორგებული სერვისის მიწოდება.¹⁶³ ასევე, სერვისის მიწოდება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანებისთვის.¹⁶⁴

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სერვისები

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (შემდგომში სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო) ერთ-ერთი მიზანია ძალადობის მსხვერპლების/სავარაუდო მსხვერპლების დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია. სააგენტო უზრუნველყოფს ადამიანით ვაჭრობის, ოჯახური ან/და ქალთა მიმართ ძალადობის ან/და სექსუალური ძალადობის მსხვერპლებისთვის და მათზე დამოკიდებული პირებისთვის შესაბამისი მომსახურების მიწოდებას.

დღესდღეობით სააგენტოს ბაზაზე ფუნქციონირებს 5 თავშესაფარი (თბილისში, გორში, ქუთაისში, სიღნაღსა და ბათუმში) და 7 კრიზისული ცენტრი (თბილისში, გორში, ქუთაისში, მარნეულში, ოზურგეთში, თელავსა და ზუგდიდში).

სსიპ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო თავშესაფარებსა და კრიზისულ ცენტრებში ბენეფიციარებს უზრუნველყოფს შემდეგი მომსახურებით:

- ფსიქო-სოციალური დახმარება/რეაბილიტაცია;
- სამედიცინო მომსახურების მიღება/ორგანიზება;

¹⁶² საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ეროვნული კვლევა საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, 2017, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.geostat.ge/media/26061/National-VAW-Study-Report-ENG.pdf> [ბოლოს ნანახია: 15.08.2023].

¹⁶³ საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (2020). ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>.

¹⁶⁴ იქვე გვ. 77.

- იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფა (წარმომადგენლობის განევა სამართალდამცავ უწყებასა და სამართლოში);
- საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნის მომსახურება;
- ოჯახსა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- თავშესაფარში საცხოვრებელი უზრუნველყოფა კრიზისულ ცენტრებში სავარაუდო მსხვერპლებისთვის და მათზე დამოკიდებული პირებისთვის: კვებით, ჰიგიენის საშუალებებით და სხვ. უზრუნველყოფა.

საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა, რომელსაც სააგენტო ახორციელებს, მოიცავს სოციალური დახმარების სერვისებთან დაკავშირებით მონაცემთა შესწავლას და ინფორმაციის მიწოდებას თავშესაფრების ბენეფიციარებისთვის; განათლების მიღების საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას; სხვადასხვა უწყებებთან/ექსპერტებთან დაკავშირებას, რეფერირებასა და კოორდინაციას რეზიდენტებისათვის საჭირო მომსახურებების შესაბამისად; დასაქმებაში ხელშეწყობას.

სააგენტოს მიერ განეული ფსიქოლოგიური დახმარება მოიცავს ფსიქოლოგთან კონსულტაციას და რეაბილიტაციას; კრიზისულ ინტერვენციას, ემოციურ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას; ჯგუფურ რეაბილიტაციას; მათი სამომავლო პერსპექტივის განსაზღვრაში დახმარებას.

სააგენტო ასევე უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებას, რაც გულისხმობს პირველად გამოკვლევას, ჯანმრთელობის მდგომარეობის იდენტიფიკაციას და საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების განევის ორგანიზებას თავშესაფრის ბენეფიციარებისთვის; გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას; თავშესაფრის ბენეფიციარების საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

სააგენტო სამართლებრივ დახმარებას უწევს ბენეფიციარებს, რაც მოიცავს ინდივიდუალურ სამართლებრივ დახმარებას და საგამოძიებო დაწესებულებებსა და სასამართლოში წარმომადგენლობას.

გარდა ამისა, 24-საათიანი თავშესაფარი ბენეფიციარებისთვის და მათზე დამოკიდებული პირებისთვის უზრუნველყოფს: უსაფრთხო საცხოვრებელ გარემოს; კვებას და ტანსაცმელს; ოჯახსა და საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამებში მონაწილეობას; არასრულწლოვანთა მხარდაჭერას, მიიღონ ფორმალური და არაფორმალური განათლება; ყველა სხვა აქტივობას, რომელიც ხელს უწყობს ბენეფიციარების სრულ განვითარებას; ბენეფიციარების პერსონალური მონაცემები და თავშესაფრის კოორდინატები კონფიდენციალურია. აგრეთვე კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ღონისძიებებს.

24-საათიან საცხოვრისში (თავშესაფრებში) მომსახურება ასევე მორგებულია არასრულწლოვანებზე, მათი საჭიროებების გათვალისწინებით.

ბოლო ათი წლის განმავლობაში ქალი მსხვერპლების სტატისტიკა, რომელთაც ისარგებლეს თავშესაფრის მომსახურებით:¹⁶⁵

- ბათუმის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) – 165 ქალი;
 - თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) – 304 ქალი;
 - გორის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) – 339 ქალი;
 - ქუთაისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) – 240 ქალი;
 - სიღნაღის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) – 222 ქალი.
- დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ თავშესაფრებში ასევე მომსახურება გაენიათ მსხვერპლებზე დამოკიდებულ პირებს.

კრიზისული ცენტრი

კრიზისული ცენტრი არის მხარდაჭერის მომსახურებების მიწოდებელი დაწესებულება, რომელიც მსხვერპლს ძალადობრივი გარემოსგან თავის დაღწევასა და ძალების აღდგენაში ეხმარება. აღნიშნული მიზნით, კრიზისუ-

¹⁶⁵ სახელმწიფო ბრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ 2023 წლის 15 სექტემბერს გამოგზავნილი ინფორმაცია.

ლი ცენტრი უზრუნველყოფს მსხვერპლთა ფსიქო-სოციალურ დახმარებას/რეაბილიტაციას. კრიზისული ცენტრი შესაძლებელია უზრუნველყოფდეს აგრეთვე მხარდაჭერის სხვა მომსახურებების (მათ შორის – დროებითი (სადღელამისო) საცხოვრებელი მომსახურების მხოლოდ ქ. თბილისში, კრიზისულ ცენტრში) მიწოდებას, თუ ეს გათვალისწინებულია კრიზისული ცენტრის წესდებით.

მსხვერპლისთვის კრიზისული ცენტრის მომსახურების მიწოდება არ არის დამოკიდებული მის მზადყოფნაზე, ითანამშრომლოს სამართალდამცავ/პროკურატურის ან/და სასამართლო ორგანოებთან ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა წინააღმდეგ.

კრიზისული ცენტრის მომსახურების მიწოდებელი განსაზღვრავს შესაბამის კრიტერიუმებს ან/და სპეციალურ ინსტრუმენტს (მაგალითად, რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტი), რომელთა (რომლის) საფუძველზეც, მსხვერპლის მიერ კრიზისული ცენტრის მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში, როდესაც მსხვერპლი არ თანამშრომლობს სამართალდამცავ/პროკურატურის ან/და სასამართლო ორგანოებთან¹⁶⁶, იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრიზისული ცენტრის მომსახურების მიწოდების ან ამ მომსახურების მიწოდებაზე უარის თქმის შესახებ. კრიზისული ცენტრის მომსახურების მიწოდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.

არასრულწლოვან მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისები

ნებისმიერი ფორმის ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლი შესაძლოა განთავსდეს სახელმწიფო ზრუნვის ფორმაში, კერძოდ, მინდობით აღზრდაში ან მცირე საოჯახო ტიპის სახლში.

2022 წელს თბილისში ამოქმედდა არასრულწლოვანის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრი, რომელიც მიახლოებულია „ბარნაპუსის მოდელთან“ და შეესაბამება ევროპულ სტანდარტს.

ამჟამად აღნიშნულ ცენტრში სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს მომსახურება მიეწოდებათ ხუთი სახელმწიფო უწყების, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, საქართველოს პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, იურიდიული დახმარების სამსახურისა და ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მონაწილეობით. აღნიშნული გულისხმობს ერთ სივრცეში როგორც სარეაბილიტაციო სერვისის მიწოდებას, ასევე საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უზრუნველყოფას. ბავშვებს ადგილზევე უტარდებათ ექსპერტიზა და შესაბამისი სამედიცინო შემოწმება. აღნიშნული ცენტრი ახდენს ხელახალი ტრავმის პრევენციას, ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის სტაბილიზაციას, ფსიქოლოგიურ და სოციალურ რეაბილიტაციასა და შემთხვევის მონიტორინგს.

ცხელი ხაზი და შემთხვევებზე რეაგირების სხვა მექანიზმები

2017 წლიდან, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ფარგლებში ფუნქციონირებს ძალადობის საკითხებზე საკონსულტაციო ცხელი ხაზი (116 006) და ბავშვთა უფლებების ცხელი ხაზი (111). ორივე ცხელ ხაზზე კონსულტაცია ხელმისაწვდომია 9 ენაზე (ქართული, ინგლისური, უკრაინული, რუსული, აზერბაიჯანული, თურქული, სომხური, არაბული და სპარსული ენები). აღნიშნული სერვისი არის უფასო და ანონიმური.

ასევე, აღსანიშნავია, რომ სსიპ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში დამტკიცდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე განხორციელებული ძალადობისას სოციალური მუშაკის რეაგირების სამუშაო ინსტრუმენტი“. აღნიშნული ინსტრუმენტი ორიენტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებზე, რაც მოიცავს ძალადობის იდენტიფიცირებას და შემთხვევის მართვას.

¹⁶⁶ ე.ი. მსხვერპლის დაცვის უზრუნველსაყოფად არ მოქმედებს შემაკავებელი ორდერი ან დამცავი ორდერი ან ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით არ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებები.

იქიდან გამომდინარე, რომ ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირება სააგენტოსთვის წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტული მიმართულებას, სააგენტოში 2021 წლის აგვისტოს თვიდან ფუნქციონირებს გადაუდებელ შემთხვევებზე 24 საათიანი რეაგირების მექანიზმი, რაც სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში, 24 საათის განმავლობაში, უქმე და დასვენების დღეების ჩათვლით, გადაუდებელ, სწრაფ და ეფექტიან რეაგირებას გულისხმობს. აღნიშნული მექანიზმის მიზანია მიუსაფარ ბავშვთა სოციალური საფრთხეებისგან და ძალადობის მსხვერპლი ბავშვების განმეორებითი ძალადობისგან დაცვის უზრუნველყოფა 24 საათის განმავლობაში.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებები Covid19-ის პანდემიის პერიოდში

კორონავირუსით გამონვეულმა პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ადამიანების უმრავლესობის ცხოვრებასა და სამუშაოზე. მთელ მსოფლიოში არსებულმა კრიზისმა ცხადყო, რომ განსაკუთრებით უარყოფითად იმოქმედა ქალების სამუშაო და საარსებო წყაროზე, რის შედეგადაც კოვიდპანდემიის პირობებში ქალები მეტად დაუცველები აღმოჩნდნენ.

მიუხედავად მსოფლიოში COVID-19 პანდემიით გამონვეული კრიზისისა, საქართველოს მთავრობა აგრძელებდა გენდერული თანასწორობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ნულოვანი ტოლერანტობისთვის მკაცრი პოლიტიკის გატარებას და აღსრულებას. დარგობრივ სამინისტროებთან, საერთაშორისო და ეროვნულ პარტნიორებთან ერთად, უწყებათაშორისი კომისია პროაქტიულად ახორციელებდა COVID-19-ის კრიზისის დროს ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის საკომუნიკაციო სტრატეგიის აღსრულებას (2018-2020).

მთელი კრიზისის განმავლობაში სახელმწიფო მუდმივად ახორციელებდა უფასო მომსახურებას:

- **სახელმწიფო ზრუნვის სააგენტომ კრიზისის დაწყებისთანავე მოახდინა ათი თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრის მომსახურების მოდელის რესტრუქტურირება.** ვირუსის შესაძლო გავრცელების აცილების მიზნით, ახალი მოდელები უზრუნველყოფდნენ ახალმოსულთა დროებით ცალკე განთავსებას.
- **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ შემუშავდა სპეციალური კითხვარი, ბენეფიციართა თავშესაფარში მისაღებად.** გარდა ამისა, მომსახურების ზოგიერთი ნაწილი დისტანციურად ხორციელდებოდა.
- **კრიზისის განმავლობაში სასწრაფო დახმარებისა და კონსულტაციის ცხელი ხაზები შეუჩერებლად აგრძელებდნენ მუშაობას.** ცხელი ხაზი და საკონსულტაციო მომსახურება განეული იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის – 112, ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა სახელმწიფო ზრუნვისა და დახმარების სააგენტოს ცხელი ხაზის – 116 006, სახალხო დამცველის ცხელი ხაზის – 1481-ის მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა სახელმწიფო ზრუნვისა და დახმარების სააგენტოს ცხელი ხაზი – 116 006 მოქალაქეებს უწევდა და უწევს იურიდიულ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ კონსულტაციას 8 ენაზე.

Covid-19-ის პანდემიის შერბილებისა და გავრცელების შესამცირებლად დაწესებულ შეზღუდვებთან ერთად, გატარდა მთელი რიგი ზომები ქალებისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი გარანტიების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, უპირველეს ყოვლისა – პოლიციაში.

იზოლაციამ და კარანტინმა, რომლებიც გამოიყენებოდა კორონავირუსით შესაძლო დაინფიცირების შემთხვევაში, გავლენა მოახდინა საგამოძიებო/საპროცესო ღონისძიებების ჩატარებაზე. მიუხედავად პანდემიით გამონვეული შეზღუდვებისა, პოლიციამ სწრაფად დააწესა შესაბამისი ზომები ძალადობის სავარაუდო ფაქტების მოსაგვარებლად, მათ შორის – დისტანციური ინტერვიუების ჩატარებით.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოსახლეობის ინფორმირებას პოლიციასთან დაკავშირების შესაბამისი გზების შესახებ 112-ზე დარეკვით ან ალტერნატიულად, 112-ის აპლიკაციით, ინტეგრირებული „ჩუმი სიგნა-

ლიზაციის“ ღილაკით. ყველა შესაბამისი ინფორმაცია მონოდებული იყო სოციალური მედიის, ასევე sms ტექსტური შეტყობინებების საშუალებით ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

პანდემიის დროს მოსახლეობა პერიოდულად ეცნობოდა სოციალური მედიითა და ტელევიზიით მკაცრ სახელმწიფო პოლიტიკას, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ინსტრუმენტების, ასევე პოლიციაში ასეთი შემთხვევების გადაცემის გზების შესახებ.

პანდემიის მიუხედავად, ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, განსაკუთრებით სექსუალური ძალადობის საკითხი, საქართველოს პროკურატურის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა. საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, დაზარალებულის სტატუსის მინიჭება და სისხლის-სამართლებრივი დევნის დაწყება, პროკურორებმა დაყოვნების გარეშე განახორციელეს.

საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის ბრძანებით, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთანავე, საქართველოს პროკურატურა და სასამართლო სისტემა განხილვის დისტანციურ/ონლაინ რეჟიმზე გადაერთო.

ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციის პროგრამების ხელმისაწვდომობა

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის გამეორების პრევენციისთვის მნიშვნელოვანია მოძალადე პირებისთვის ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციის სპეციალური პროგრამების მიწოდება.

ამ მიზნით, ჯერ კიდევ 2015 წელს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერითა და სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (შემდეგში – პრობაციის სააგენტო) ჩართულობით, შემუშავდა და დაინერგა პროგრამა – „**ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსი**“. აღნიშნული კურსი იუსტიციის სამინისტროს პრობაციის სააგენტოს სისტემის ფარგლებში ხორციელდება 2016 წლიდან.

გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების (ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი; საია), პრობაციისა და პენიტენციური სამსახურის ფსიქოლოგების აქტიური ჩართულობით, სასწავლო კურსი 2018 წელს გადაიხედა, დაიხვენა და დაინერგა პრობაციის სააგენტოს სისტემის ფარგლებში, საქართველოს ყველა ცენტრალურ რეგიონში. ასევე, 2019 წელს პილოტირება გაიარა ორ პენიტენციურ დაწესებულებაში.¹⁶⁷

სასწავლო კურსის ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში დასაწესებლად **2021 წელს ფასილიტატორად** გადამზადდა პენიტენციური სისტემის 26 ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი.

2022 წელს დაიწყო პროგრამის დანერგვა 8 პენიტენციურ დაწესებულებაში.¹⁶⁸

2018 წელს პროგრამაში 125-მა პრობაციონერმა მიიღო მონაწილეობა და 2019 წელს 151-მა პრობაციონერმა და 10-მა მსჯავრდებულმა; 2020-2021 წლებში კი – 157-მა პრობაციონერმა. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში ჩართულ პირთა რიცხვი გაიზარდოს.

პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში შემუშავებულია „ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსი“-ის შუალედური შეფასების ინსტრუმენტები, რაც პროგრამის დას-

ძალადობაზე დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამა

სასწავლო პროგრამა ეფუძნება გენდერული ნიშნით მოძალადეების რეაბილიტაციისთვის ინტერვენციის ესპანურ პროგრამას (PRIA და PRIA MA).

მისი მიზანია სხვადასხვა ტიპის ძალადობრივი ქცევის შემცირება/აღკვეთა, სექსისტური და დისკრიმინაციული ქცევის მოდიფიკაცია და რეციდივის პრევენცია.

ამასთანავე, პროგრამა ძალადობრივი ისტორიის მქონე მოძალადეებს ეხმარება ძალადობის გენდერული ასპექტების გააზრებაში, კონფლიქტის გადაჭრის ახალი უნარების დაუფლებაში, თანასწორობისა და პარტნიორულ ურთიერთობებში პატივისცემის საფუძველზე, ქცევითი ნორმების განვითარებაში.

¹⁶⁷ № 16 და № 17 დაწესებულება.

¹⁶⁸ № 2, № 6, № 8, № 10, № 12, № 15, № 16 და № 17.

რულების შემდეგ მონიტორინგზე მყოფი ბენეფიციარის შეფასებას გულისხმობს – თუ რამდენად შეინარჩუნა პროგრამის შედეგად მიღებული ცოდნა და პრაქტიკული უნარები.

შემაკავებელი ორდერი და რისკების შეფასების ინსტრუმენტი

შემაკავებელი ორდერი წარმოადგენს დროებითი ღონისძიების სახეს, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დაცვას და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვას. 2018 წლის 13 ივლისს, შინაგან საქმეთა მინისტრის N81 ბრძანებით¹⁶⁹ დამტკიცდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის რისკების შეფასების ინსტრუმენტი და შემაკავებელი ორდერის მონიტორინგის მექანიზმი. რისკების შეფასების ინსტრუმენტის მიზანს წარმოადგენს მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვა და განმეორებითი ძალადობის პრევენცია.¹⁷⁰

აღნიშნული წარმოადგენს სტრუქტურირებულ კითხვარს, რომელიც საშუალებას იძლევა იდენტიფიცირდეს ძალადობის ფაქტი და მასში მონაწილე პირების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია. მითითებული ინსტრუმენტის დახმარებით, მსხვერპლის მიერ გაცემული პასუხების მეშვეობით ხდება განმეორებითი ძალადობის ჩადენის რისკის დონის დადგენა, რის საფუძველზეც განისაზღვრება მოძალადის მიმართ შემაკავებელი ორდერის გამოცემის, მათ შორის ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენების აუცილებლობა

2023 წლის პირველი მაისიდან, შემაკავებელი ორდერი და რისკების შეფასების ინსტრუმენტი განახლებული ფორმით ამოქმედდა. ზემოხსენებული ცვლილებების მიზანი ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლება და მოძალადეზე ზედამხედველობის კიდევ უფრო ქმედითი მექანიზმის შექმნაა.

განახლებული სტრუქტურირებული კითხვარი პოლიციის უფლებამოსილ თანამშრომელს საშუალებას მისცემს, მიიღოს ეფექტიანი ზომები მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად. ასევე, განახლებული ინსტრუმენტით, შეიცვალა ელექტრონული ზედამხედველობის დანესების სტანდარტი, რაც მეტ მსხვერპლს მისცემს საშუალებას, გამოიყენოს ძალადობის პრევენციის ეფექტიანი მექანიზმი.

საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, რომელიც 2017 წელს დამტკიცდა, ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი მექანიზმის ეფექტიანად გამოყენებისა და აღნიშნული დანაშაულის პრევენციის მიზნით, შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები განისაზღვრა:

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა;
- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ფაქტების გამოვლენის მექანიზმების გაუმჯობესება;
- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება;
- სისხლის სამართლის საქმეებზე ეფექტიანი გამოძიების წარმოება;
- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ფაქტების შემცირება;
- პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- სხვა სტრუქტურებთან ურთიერთობის გაღრმავება და პრევენციულ ღონისძიებებში საზოგადოების ჩართვა.

პროკურატურა აქტიურად მუშაობდა სტრატეგიით დასახული მიზნების მისაღწევად. 2020 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს გენერალური პროკურატურის **2021-2025 წლების სტრატეგიაზე**, რომელიც დამტკიცდა და ახალი სტრატეგიის ფარგლებში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა კვლავ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა.

¹⁶⁹ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №81, 2018 წლის 13 ივლისი. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4262664?publication=5>.

¹⁷⁰ „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის რისკების შეფასების ინსტრუმენტი და შემაკავებელი ორდერის მონიტორინგის მექანიზმი ამოქმედდა“. შინაგან საქმეთა სამინისტრო. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://police.ge/ge/qalta-mimart-da-odjakhshi-dzaladobis-riskebis-shefasebis-instrumenti-da-shemakavebeli-orderis-monitoringis-meqanizmi-amqmedda/11956>.

სექსუალური შევიწროების მექანიზმის დანერგვა

სექსუალური შევიწროება სექსუალური ძალადობის ფორმაა, რომელსაც შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) გენდერზე დაფუძნებული ძალადობისა და შევიწროების ცნების ქვეშ აერთიანებს.¹⁷¹ სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის ფორმას წარმოადგენს, რომლის სუბიექტსაც, შესაძლოა წარმოადგენდეს კაციც, მაგრამ შევიწროების მსხვერპლები, შევიწროების არსისა და ბუნების გათვალისწინებით, ძირითადად ქალები არიან.

საქართველოში სექსუალური შევიწროების საკანონმდებლო დონეზე რეგულირება 2019 წლიდან დაიწყო, როდესაც რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებთან და ევროპულ სტანდარტებთან ქართული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. 2020 წლიდან კი, საჯარო დაწესებულებებმა აქტიურად დაიწყეს მუშაობა სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მისი აღმოფხვრის მექანიზმების შემუშავებაზე.¹⁷² ზემოაღნიშნული პოზიტიური ცვლილებები განაპირობა ერთი მხრივ, სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებამ, ხოლო მეორე მხრივ, სექსუალური შევიწროების მსხვერპლთა მზობამ ესაუბრა შევიწროების ფაქტებზე. აღნიშნულმა ცვლილებებმა, თავის მხრივ, ხელი შეუწვეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებით, საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთა ქვეყნისთვის პრიორიტეტია. მას შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის კონვენციასთან პარამონიზაციის მიზნით, არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა. მიუხედავად ამისა, სექსუალური შევიწროების მექანიზმის დანერგვა და ცნობიერების ამაღლება კვლავ გამომწვევად რჩება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის 2017 წლის კვლევის¹⁷³ მიხედვით, საქართველოში ხუთი ქალიდან ერთს ცხოვრებაში ერთხელ მაინც განუცდია სექსუალური შევიწროება. ქალების 70% სექსუალური შევიწროების მსხვერპლი საჯარო სივრცეში გამხდარა, 10% კი სამუშაო ადგილზე. თუმცა, სავარაუდოდ, ეს რიცხვი 2017 წლისათვის გაცილებით მაღალი იყო, რადგან კვლევა ჯერ კიდევ მაშინ ჩატარდა, სანამ ამ საკითხზე საჯარო დისკუსია გაიხსნებოდა, შესაბამისად, დაბალი იყო საზოგადოების ცნობიერებაც.

2017

2017 წლიდან მსოფლიოში #MeToo კამპანია დაიწყო, რომელმაც საქართველოც მოიცვა: ქალებმა დაიწყეს პირადი ისტორიების გაზიარება და ღიად საუბარი საჯარო სივრცეში თუ დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროების შესახებ.

ამავე წელს პარლამენტში შევიდა ორგანიზაცია „ქალთა მოძრაობის“ ინიციატივით მომზადებული პეტიცია სექსუალური შევიწროების აკრძალვის მოთხოვნით – აქტივისტები სექსუალური შევიწროების საკანონმდებლო რეგულირების აუცილებლობაზე საუბრობდნენ.

სექსუალური შევიწროების კანონმდებლობით რეგულირების შესახებ პარლამენტს სახალხო დამცველიც მიმართავდა და სტამბოლის კონვენციით აღებული ვალდებულების შესრულებისკენ მოუწოდებდა¹⁷⁴, მთავარ არ-

¹⁷¹ შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), C190 – ძალადობისა და შევიწროების კონვენცია, 2019 (No. 190), მუხლი 1 (1.ბ), ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C190.

¹⁷² გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN), კვლევის ანგარიში – სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე საქართველოს საჯარო სამსახურში (საქართველო: UN WOMEN, 2021), 14. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://csb.gov.ge/media/3234/97897897.pdf>.

¹⁷³ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2017. ანგარიში „ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში“. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field Office Georgia/Attachments/Publications/2018/National study on violence against women 2017.pdf](https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2018/National%20study%20on%20violence%20against%20women%202017.pdf) [ბოლოს ნანახია: 18.09.2023].

¹⁷⁴ ონლაინ გამოცემა „პუბლიკა“. 2017. სტატია „სექსუალური შევიწროება – კანონის მიღებამდე და მას შემდეგ“. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://publika.ge/article/seqsualuri-sheviwroeba-kanonis-mighebamde-da-mas-shemdeg/> [ბოლოს ნანახია: 18.09.2023].

გუმენტს კი წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროება უფლებადარღვევის ყველაზე გავრცელებული და, ამავდროულად, დაფარული პრობლემაა, რომლის შეტყობინების მაჩვენებელი, ზოგადად, მსოფლიოში ძალიან დაბალია.

2018

2018 წელს გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი გლობალური კამპანიის მთავარი აქცენტი სექსუალური შევიწროება იყო, რომელსაც საქართველოში მაღალი დონის შეხვედრა მიეძღვნა. სწორედ, ამ შეხვედრაზე პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა დიმიტრი ცქიტიშვილმა განაცხადა, რომ კანონპროექტზე აქტიურად მუშაობდნენ, რადგან სექსუალური შევიწროება სერიოზული პრობლემა იყო, რომლის წინააღმდეგ საბრძოლველად არ არსებობდა არანაირი სამართლებრივი მექანიზმი, რომლითაც ქალებს დაიცავდნენ. სწორედ ამიტომ, საჭირო იყო ასეთი მექანიზმის გაჩენა.

2019

პარლამენტმა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც სექსუალური შევიწროება რეგულირდება, 2019 წლის 3 მაისს დაამტკიცა. ცვლილებებს მხარი 102-მა დეპუტატმა დაუჭირა და შედეგად, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“¹⁷⁵ საქართველოს კანონში სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად განსაზღვრა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ კანონის მიღებიდან სამ თვეში სტატისტიკაც გამოაქვეყნა. სამი თვის მონაცემებით¹⁷⁶, პოლიციამ სექსუალური შევიწროების 11 ფაქტი გამოავლინა.

კანონში განხორციელებული ამ ძირეული ცვლილებების შემდგომ, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) თანამშრომლობით საქართველოს საჯარო დაწესებულებებში აქტიურად დაიწყო მუშაობა სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების შიდა მექანიზმების დანერგვის მიმართულებით.

2020-2022

2020-2021 წლებში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში, საგარეო საქმეთა სამინისტროში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროში, სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში, სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, საქართველოს პროკურატურასა და სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში დაინერგა სექსუალური შევიწროების გამოვლენისა და პრევენციის შიდაუნეებრივი მექანიზმები.¹⁷⁷

აღნიშნული მექანიზმები მორგებულია თითოეული უწყების სპეციფიკასა და სტრუქტურას. აღსანიშნავია, რომ ამგვარი მექანიზმის არსებობა სახელმწიფო უწყებებში გენდერული მინისტრიმინგის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია და იგი სექსუალური შევიწროების, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმასთან მიმართებით, საქართველოს კანონმდებლობის ეფექტიანად აღსრულებას უწყობს ხელს.

¹⁷⁵ საქართველოს პარლამენტი. 2019. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=3> [ბოლოს ნანახია: 05.08.2023].

¹⁷⁶ იგულისხმება 2019 წლის ივნისი-აგვისტოს პერიოდი.

¹⁷⁷ საქართველოს სახალხო დამცველი & გაეროს ქალთა ორგანიზაცია. 2021. ანგარიში „გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება საქართველოში“. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://ombudsman.ge/res/docs/2022022817262614843.pdf> [ბოლოს ნანახია: 05.08.2023].

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ინიციატივითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ტექნიკური მხარდაჭერით, საქსუალური შევიწროების შიდა მექანიზმი 2022 წელს ასევე დაინერგა საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში¹⁷⁸.

საქსუალური შევიწროების პრევენციის მექანიზმები საჯარო უწყებებში

საჯარო სამსახურში მრავალფეროვანი და ინკლუზიური სამუშაო ძალის არსებობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საჯარო სამსახურის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, მოქალაქეთა ნდობის ამაღლებას საჯარო სამსახურის მიმართ და, შესაბამისად, მის რეპუტაციას. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების გაძლიერება გენდერული მენსტრინგის ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენების, საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობისა და ყველა ჯგუფის წარმომადგენლებისთვის დასაქმების შესაძლებლობის მიზნით, სსიპ საჯარო სამსახურის ბიურომ წამოიწყო და მხარი დაუჭირა რამდენიმე მნიშვნელოვანი ინიციატივას.

საჯარო სამსახურში საქსუალური შევიწროების საკითხი რეგულირდება „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის No 200 დადგენილებით. ამასთან, სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურომ 2020 წლის 31 დეკემბერს No 575/ს ბრძანებით დაამტკიცა საქსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი.¹⁷⁹

2022 წელს ბიურომ, გაეროს ქალთა მხარდაჭერით, შეიმუშავა, საჯარო სამსახურის ბიუროს გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცდა ბიუროს უფროსის ბრძანებით და საჯაროდ გამოქვეყნდა ბიუროს ვებგვერდზე. გენდერული თანასწორობის სტრატეგია მიზნად ისახავს, ჩამოაყალიბოს გენდერულად მგრძობიარე საჯარო სამსახურის სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს ქალთა სრულ და ეფექტურ მონაწილეობას და ლიდერობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ასევე უზრუნველყოფს ქვეყანაში გენდერულად ნეიტრალური და დისკრიმინაციისგან თავისუფალი საჯარო სამსახურის განვითარებას.

პროკურატურა

საქართველოს პროკურატურამ ქმედითი ნაბიჯები გადადგა საქსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით. გაეროს ქალთა პროექტის ფარგლებში, 2021 წელს საქართველოს პროკურატურაში გენდერული აუდიტი განხორციელდა. საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, 2021 წლის 3 დეკემბერს დამტკიცდა საქსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი. საქსუალურ შევიწროებაზე რეაგირების მექანიზმის ეფექტიანად დანერგვის მიზნით, საქართველოს პროკურატურაში შეიქმნა მხარდამჭერი ჯგუფი.

საქართველოს პროკურატურა ერთ-ერთი პირველი სამართალდამცავი ორგანოა, რომელმაც საქსუალური შევიწროების მექანიზმი შემოიღო. ამ დროისთვის საქართველოს პროკურატურის 552-მა თანამშრომელმა გაიარა გადამზადების კურსი.

საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტში საქსუალური შევიწროების შესახებ პოლიტიკის შემუშავება აქტიურად 2022 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო.

¹⁷⁸ საქართველოს პარლამენტი. 2021. გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ანგარიში საქართველოში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Gender/angarishi/genderuli-cliuri-angarishi-2021.pdf> [ბოლოს ნანახია: 05.08.2023].

¹⁷⁹ საჯარო სამსახურის ბიუროს 2023 წლის 11 აგვისტოს წერილი, Nგ7164.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2022 წლის 25 ნოემბრის ბრძანებით, ცვლილებები შევიდა საქართველოს პარლამენტის აპარატის შინაგანანგეში¹⁸⁰, კერძოდ, დაემატა 84-ე მუხლი – „დისკრიმინაციის აკრძალვა“. აღნიშნული მუხლის თანახმად, შრომით ურთიერთობებში აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან ნოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიხედვით. ხოლო შესაძლო დისკრიმინაციის ფაქტს განიხილავს აპარატში დისციპლინური წარმოებების განსახორციელებლად შექმნილი დისციპლინური წარმოების დამოუკიდებელი კომისია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის¹⁸¹ X თავით დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ცვლილებებისა, საქართველოს პარლამენტში 2022 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა დისკრიმინაციის აკრძალვისა და პრევენციის დამოუკიდებელი შიდაუნეებრივი მექანიზმის დანერგვაზე. USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის (ROLP) ტექნიკური მხარდაჭერით, ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ექსპერტთან ერთად შეიმუშავა შიდა რეგულირების დოკუმენტი, რომელიც ასევე მოიცავს სექსუალური შევიწროების მექანიზმს. აღნიშნული მექანიზმის წარმატებულად დანერგვის მიზნით, სამომავლო ეტაპად დაგეგმილია პარლამენტის თანამშრომლების გადამზადება და ცნობიერების ამაღლების კამპანია, რათა მექანიზმის შესახებ ინფორმაცია პარლამენტის ყველა თანამშრომლისთვის გახდეს ხელმისაწვდომი.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება გენდერული თანასწორობის მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი, რომლის გარეშეც გენდერული თანასწორობის მიღწევა შეუძლებელია. ამასთანავე, ეს ერთგვარ წინაპირობას წარმოადგენს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესამცილებლად, რადგან დამოუკიდებელი ეკონომიკური მდგომარეობა და საკუთარი შემოსავალი ქალს საშუალებას აძლევს, განერიდოს მოძალადეს და თავი დააღწიოს ძალადობის მარწმუნებს. მეორე მხრივ, ეკონომიკურად რეალიზებულ ქალს უჩნდება სოციალურ აქტიურად ჩართვისა და გადამწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდასაც.

სწორედ ამიტომ, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საერთაშორისო დღის წესრიგის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ასახულია გაეროს მდგრადი განვითარების (SDG)¹⁸² მიზნებში და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და განვითარების პარტნიორების მუდმივი დაკვირვების ქვეშაა.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, საქართველოში შრომის ბაზრიდან ქალთა გამორიცხვისა და დაბალი ეკონომიკური საქმიანობის შედეგად, ყოველწლიურად ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 11% იკარგება¹⁸³. შესაბამისად, ქალთა ეკონომიკური გაძლიერებიდან სარგებელს მიიღებენ არა მხოლოდ ქალები, არამედ – მამაკაცებიც და მთლიანად – საზოგადოება.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელოვანი კომპონენტია ქალების თავისუფალი წვდომა სხვადასხვა ეკონომიკურ რესურსზე, რადგან აღნიშნულს არა მხოლოდ ეკონომიკური დამოუკიდებლობა, არამედ, ხშირ

¹⁸⁰ საქართველოს პარლამენტი. 2008. საქართველოს პარლამენტის აპარატის შინაგანანგეის ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/aparati/shinaganawesi_kodipicirebuli_28_11_2022.pdf [ბოლოს ნანახია: 05.08.2023].

¹⁸¹ საქართველოს პარლამენტი. 2022. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098?publication=46> [ბოლოს ნანახია: 05.08.2023].

¹⁸² დამატებითი ინფორმაცია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://sdg.gov.ge/main> [ბოლოს ნანახია: 05.08.2023].

¹⁸³ World Bank. 2021. Country Gender Assessment – Georgia.

შემთხვევაში, უსაფრთხო და ძალადობისგან დაცვილ გარემოში ცხოვრების გარანტიაც მოაქვს, რაც, თავისთავად, შეამცირებს ძალადობის მსხვერპლ ქალთა რაოდენობასაც. ქალთა დასაქმება და ფინანსური დამოუკიდებლობა გავლენას ახდენს არა მხოლოდ ოჯახში მათ როლსა და საოჯახო საქმიანობის გადანაწილებაზე, არამედ მნიშვნელოვანი წვლილიც შეაქვს ქვეყნის ეკონომიკური დოვლათის შექმნაში, სიღარიბის დაძლევასა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

ამ მიმართულებით, საქართველოს მთავრობის მიერ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. 2014 წლიდან დაიწყო სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის პროგრამები, როგორებიცაა სსიპ „ანარმოე საქართველოში“ სააგენტოს მიერ განხორციელებული პროგრამები, სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამები, ასევე, ინოვაციურ ბიზნესებზე მიმართული პროგრამები, რომლებიც ხორციელდება საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ¹⁸⁴. ამასთანავე, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და 2012 წლიდან იგი მუდმივად გათვალისწინებულია საბჭოს სამოქმედო გეგმებსა თუ სხვა პოლიტიკის დოკუმენტებში.

2019 წელს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიერ ჩატარებული თემატური მოკვლევის¹⁸⁵ საფუძველზე, დაინერგა უშუალოდ ქალი ბენეფიციარების საჭიროებებზე მორგებული ახალი, ცალკე მდგომი პროგრამა. მოკვლევის ერთ-ერთი რეკომენდაციის მიხედვით, შესაბამის უწყებებს უნდა შეემუშავებინათ საპილოტე, მცირემასშტაბიანი პროგრამა მხოლოდ ქალებისათვის, რაც უკვე 2022 წელს შესრულდა.

გარდა ამისა, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, 2021 წელს დაიწყო მუშაობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პირველი სახელმწიფო კონცეფციის¹⁸⁶ შემუშავებაზე. პროცესი დაახლოებით 1 წლის განმავლობაში გრძელდებოდა და მასში ჩართული იყვნენ როგორც სახელმწიფო უწყებების, ისე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, ნინო წილოსანი, იხსენებს, რომ როდესაც საბჭოს პრიორიტეტებზე დაიწყო მსჯელობა, პირველი, რაც სამუშაო ჯგუფს „თავში ამოუტივტივდა“, სწორედ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება იყო, ამისთვის კი არაერთი ობიექტური მიზეზი არსებობს:

საპილოტე პროგრამა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის

პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო, საქართველოს გაეროს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) კოორდინაციით.

პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს საპილოტე მუნიციპალიტეტებში, ეკონომიკურად არააქტიური ქალების საზოგადოების სრულყოფილიან წევრებად ინტეგრაციას, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქალების სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართვის სტიმულირების გზით.

პროგრამა ახალი სასათბურე მეურნეობების მოსაწყობად პოტენციური ქალი ბენეფიციარების ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას ითვალისწინებს. 2022 წლიდან ქალთა საქმიანობის ხელშეწყობის და სასათბურე მეურნეობების განვითარების მიზნით, 38 ბენეფიციართან გაფორმდა 38 ხელშეკრულება, ინვესტიციის თანხამ შეადგინა 921.2 ათასი ლარი, ხოლო სააგენტოს თანადაფინანსებამ – 828.6 ათასი ლარი.

¹⁸⁴ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. 2022. თემატური მოკვლევა ქალებისა და გოგონებისთვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესახებ. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://parliament.ge/supervision/thematic-inquiry> [ბოლოს ნანახია: 05.08.2023].

¹⁸⁵ საქართველოს პარლამენტი. 2019. თემატური მოკვლევა „სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ“.

¹⁸⁶ საქართველოს პარლამენტი. 2023. „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია“. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5755428?publication=0> [ბოლოს ნანახია: 05.08.2023].

ნინო ნილოსანი

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე

„ეს დაკავშირებულია როგორც ქალების, ასევე ბავშვების და ახალგაზრდა თაობის კეთილდღეობასთან, რადგან ქალები მათი შემოსავლის დიდ ნაწილს, როგორც წესი, ოჯახებს და შვილებს ახმარენ. ქალების ეკონომიკური გაძლიერება, აგრეთვე, აპრიორია იმისთვის, რომ მოძალადის მარწუხებში მცხოვრებმა ქალმა უფრო მარტივად დააღწიოს თავი ძალადობრივ გარემოს.. და რა თქმა უნდა, ქალთა პოლიტიკური გაძლიერებაც პირდაპირაა დამოკიდებული ქალთა ეკონომიკურ მდგრადობასთან, რადგან თუ ქალს ყოფითი საბაზისო პრობლემების მოგვარება უნევს, რთულია მას მოვთხოვოთ და მოვუწოდოთ პოლიტიკაში მოსვლისკენ“.

აღნიშნული კონცეფცია პარლამენტში 2023 წლის მარტში ინტერპარტიულ ფორმატში დამტკიცდა. მითითებული დოკუმენტი პირველია რეგიონში, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს ერთიან ხედვას კონკრეტულად ქალთა ეკონომიკური გაძლიერების და უკეთესი შრომითი პირობების შესაქმნელად; იგი მიზნად ისახავს საქართველოში არსებული სპეციფიკური გენდერული თანასწორობის გამოწვევების გათვალისწინებით, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ჩარჩოს ჩამოყალიბებას; დოკუმენტი, ასევე, ითვალისწინებს საქართველოში გენდერული თანასწორობის სფეროში არსებულ გამოწვევებს და გვთავაზობს საპასუხო ინტერვენციებს როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ დონეზე, რომლებიც ხელს შეუწყობს არსებული უთანასწორობის შემცირებას.

„როდესაც მიზნად დავისახეთ ქალთა ეკონომიკურ გაძლიერება, რა თქმა უნდა ვიფიქრეთ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ყველაზე გრძელვადიანი შედეგების მომტანი. გადავწყვიტეთ, რომ პირველი პრეცედენტი ქვეყანაში და არა მხოლოდ ქვეყანაში იქნებოდა მსგავსი კონცეფციის შემუშავება“, – აღნიშნავს ქალბატონი ნინო ნილოსანი.

დოკუმენტის შექმნის პროცესს წინ უძღოდა ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების მთავარ აქტორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების ჩატარება¹⁸⁷ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით ძირითადი გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით და სამაგიდო კვლევის შემუშავება, რომელმაც, მეორად წყაროებზე დაყრდნობით, ქალთა ეკონომიკური განვითარების შვიდი მამოძრავებლისა და მდგრადი განვითარების მიზნების ირგვლივ, შეკრიბა ძირითადი ეკონომიკური მახასიათებლები გენდერული თანასწორობის ჭრილში:

„დოკუმენტზე არაერთმა ექსპერტმა იმუშავა, საბჭოში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი; სისტემატური თანამშრომლობის და ამრთა ურთიერთგაცვლის რეჟიმში ვაყალიბებდით ამ კონცეფციას, რომელიც იყო და არის მულტიპარტიული პროდუქტი, რაც ამ საკითხს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და მე მიხარია, რომ ჩვენ ეს შევძელით“.

თუმცა, საბჭოს თავმჯდომარე აღიარებს, რომ პროცესს არ ჩაუვლია გამოწვევების გარეშე:

„სიმართლე ვთქვა, ბევრი სკეპტიკურად უყურებდა ამ პროცესს. ბევრი „ვიჭიდავით“ იმაზე, თუ რა დაგვეტოვებინა, რა – არა, რა იყო რეალისტური და რა – არა.. თუმცა, მიხარია, რომ ძირეული მნიშვნელოვანი საკითხები დიდწილად მაინც დარჩა კონცეფციაში. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ მყარი ფუნდამენტური ბაზისი, რომელზეც მომავალში არაერთი საინტერესო იდეა და ინიციატივა შეიძლება დაშენდეს“.

¹⁸⁷ კონცეფციაზე მუშაობის ფარგლებში ჩატარდა არაერთი ინტერვიუ შესაბამის უწყებებთან, მათ შორის: ეკონომიკის, ჯანდაცვის, სოფლის განვითარების სამინისტროები, სახალხო დამცველის ოფისი, ზრუნვის სააგენტო, პრემიერ მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში, დონორი ორგანიზაციები UNDP, UN WOMEN, USAID და სხვა.

დოკუმენტი დაკავშირებულია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ახალი დღის წესრიგით (2021-2027) განსაზღვრულ პრიორიტეტებთან, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის პოლიტიკური ასოცირება და ეკონომიკური ინტეგრაცია. კონცეფცია ეხმიანება ევროკავშირის თორმეტპუნქტიანი რეკომენდაციის¹⁸⁸ მე-9 პუნქტის შესრულებას; შესაბამისად, სახელმწიფო ქალთა ეკონომიკური გაძლიერებით, ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას და ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლას.

აღნიშნული კონცეფციის აღსრულებაზე პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა, რომელიც უზრუნველყოფს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციის რეკომენდაციების ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებასა და შესაბამის აღსრულებას.

„თითოეული დარგობრივი მიმართულებით გაჩნდება კონკრეტული ხედვა, სამოქმედო გეგმები, გადასადგმელი ნაბიჯები, ამოცანები. ამ ყველაფრის ირგვლივ გაერთიანდებიან კონკრეტული ადამიანები; პარლამენტის მხრიდან მუდმივად განხორციელდება მონიტორინგი, რათა ბოლომდე შესრულდეს ის პრინციპები, რომლებზეც ყველა ვთანხმდებით და ეროვნული თუ საერთაშორისო პრიორიტეტია. საბოლოოდ კი, თავისთავად, შედეგი თითოეულ ქალში გადატანილი წარმატება იქნება“, – აღნიშნავს ნინო წილოსანი.

ქალ მენარმეთა მხარდაჭერა

მენარმეობის ხელშეწყობი პოლიტიკის ფარგლებში, მენარმე ქალების მხარდაჭერა და მათი ეკონომიკური გაძლიერება (WEP) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. სწორედ ამიტომ, სახელმწიფო პროგრამების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სამენარმეო საქმიანობაში მათი მონაწილეობის ხელშეწყობა განისაზღვრა.

„საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის“ 7 პრიორიტეტულ მიმართულებას შორის, შემუშავდა ახალი პრიორიტეტული მიმართულება – „ქალთა მენარმეობა“. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნულ საკითხებს 2016-2020 წლების სტრატეგიაც მოიცავდა და გარკვეულ აქტივობებსაც ითვალისწინებდა, თუმცა საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, რეკომენდებული იქნა ახალ სტრატეგიაში ქალთა მენარმეობის ხელშეწყობის ცალკე ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრა, შესაბამისი მიზნებით და ამოცანებით.

აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულების (სტრატეგიის მე-6 პრიორიტეტული მიმართულება) მიზანია, ქალთა მენარმეობის ხელშეწყობის მიზნით, გაგრძელდეს და კიდევ უფრო გაძლიერდეს ქალთა მენარმეობის მხარდაჭერი ინსტრუმენტები, რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება ქალთა მენარმეობის განვითარების ხელშეწყობის გზით ქალების ეკონომიკური პოტენციალის ათვისება. „საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების 2021 – 2025 წწ სტრატეგიის“ ფარგლებში, ქალთა მენარმეობის განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტული მიმართულების ამოცანებად განისაზღვრა:

- ქალ მენარმეთა საჭიროებების და სამენარმეო საქმიანობაში ჩართვის ბარიერების იდენტიფიცირება;
- ქალთა ეკონომიკური უფლებებისა და შესაძლებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- გენდერული ნიშნით სტატისტიკის გაუმჯობესება სახელმწიფო პროგრამებში;
- სახელმწიფო პროგრამებში ქალთა მონაწილეობის წახალისება;
- ქალებში ციფრული უნარ-ჩვევების გაძლიერება;
- სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობების გაზრდა გენდერული მიდგომების განვითარებისთვის.

¹⁸⁸ იგულისხმება 2022 წლის 23 ივნისს ევროკომისიის მიერ საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით გაცემული 12 რეკომენდაცია.

გენდერული მენისტრიმინგი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გენდერული თანასწორობის შესახებ პოლიტიკა განსაზღვრულია სამინისტროს თანამშრომლის სახელმძღვანელოში. 2021 წელს სამინისტროში შემუშავდა და დამტკიცდა სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი, რომელიც თანამშრომლის სახელმძღვანელოს ნაწილია.

დამატებით, გენდერული მიმართულებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ უწყებებში ხორციელდება როგორც გენდერული აუდიტი, ისე შიდა სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება (ანარმოე, GITA). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ შეიმუშავა სექსუალური შევიწროების პრევენციის დოკუმენტი, რომლის მიზანია სააგენტოში სექსუალური შევიწროებისგან თავისუფალი გარემოს შექმნა.

დამატებით აღსანიშნავია, რომ 2021 წელს UNDP-ის მხარდაჭერით, სამინისტრომ დაიწყო პროექტის – „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინსტიტუციური გაძლიერება საჯარო პოლიტიკის მიმართულებით“ განხორციელება, რომელშიც გათვალისწინებული იყო გენდერული მენისტრიმინგისა და გენდერული თანასწორობის საკითხებიც.

პროექტის ფარგლებში, 2022 წლის მარტში სამინისტროს თანამშრომლებისთვის, გაიმართა ტრენინგების ციკლი საჯარო პოლიტიკის ანალიზის, დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების საკითხებზე. ტრენინგის ერთ-ერთი მოდული დაეთმო გენდერული მენისტრიმინგისა და პოლიტიკის დოკუმენტებში/პროგრამებში/პროექტებში მისი გათვალისწინების საკითხებს.

სახელმწიფო პროგრამები

ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის, რაც გენდერული უთანასწორობის განმაპირობებელ არაერთ ძირეულ პრობლემას ებრძვის, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს აქტიური ჩართულობით ისეთი წამახალისებელი პროექტების, პროგრამებისა თუ ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ქალებს გაუჩინებს მოტივაციას ჩართონ ეკონომიკური დოვლათის შექმნაში. დამკვიდრებული გენდერული როლებისა და სტერეოტიპების შედეგად, 2022 წლის მონაცემებით საქართველოში სამუშაო ძალის სტატუსის მიხედვით, დასაქმებულ კაცთა რაოდენობა კვლავ აღემატება დასაქმებულ ქალთა რაოდენობას.¹⁸⁹ სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის შემუშავებული პროექტები თუ პროგრამები ითვალისწინებდეს კვლავ ქალებისთვის, რათა დაცული იყოს ქალთა და კაცთა წარმომადგენლობა დასაქმების სფეროში, რაც გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „ანარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის მიკრო და მცირე მენარმეობის ნაწილის მიზანია მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებისთვის, თანამედროვე სამენარმეო კულტურის დამკვიდრებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის, ბიზნესის წამოწყებისათვის ან/და არსებულის კიდევ უფრო გაძლიერებისთვის აუცილებელი ფინანსური მხარდაჭერა და ტექნიკური დახმარება.

ფინანსური მხარდაჭერა ითვალისწინებს პოტენციური ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი გრანტის გამოყოფას მაქსიმუმ 30 000 ლარის ოდენობით. პროექტის ფარგლებში მიღებული დაფინანსების არანაკლებ 90% უნდა იქნეს გამოყენებული კაპიტალური დანახარჯების, ხოლო არაუმეტეს 10%-სა საბრუნავი საშუალებების შესაძენად. **2020 წლიდან, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ქალებს ენიჭებათ პრიორიტეტი და ბიზნეს იდეების შეფასების ეტაპზე იღებენ დამატებით ქულას.** აღსანიშნავია, რომ 2022-2023 წლებში, ქალი ბენეფიციარების წილი 50 %-ს აჭარბებს.

¹⁸⁹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ქალი და კაცი საქართველოში – სტატისტიკური პუბლიკაცია (ქ. თბილისი, 2023). გვ. 66. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.geostat.ge/ka/single-archive/3398>.

2023 წლიდან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ პროგრამის ფარგლებში, მოქმედებს მექანიზმი პროგრამაში ქალთა მონაწილეობის წახალისებლად. საგრანტო განაცხადის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმია სტარტაპებში ქალთა წილობრივი მონაწილეობა, კერძოდ, საგრანტო კომისიის მიერ, გადაწყვეტილების მიღების დროს, სარეიტინგო სიის შედგენისას, იმ „სტარტაპებს“, რომელთა დამფუძნებლებიც არიან ქალები (50%-ზე მეტი წილის მფლობელები) მიენიჭებათ დამატებით 2 ქულა. აღნიშნული წესი მიზნად ისახავს, ქალების სამეწარმეო საქმიანობაში ჩართვის წახალისებას. 2023 წლის განმავლობაში, 40 რეგიონული სტარტაპ იდეა მიიღებს სააგენტოსგან დაფინანსებას.

2019 წლიდან სააგენტო ატარებს ინოვაციურ ბანაკებს, რომელიც წარმოადგენს ღონისძიებების ერთობლიობას, რა დროსაც, ბანაკის მონაწილეები (სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები) ერთვებიან ინტენსიურ სწავლებაში და ტექნოლოგიებთან, ინოვაციურ მეწარმეობასთან, STEAM დისციპლინებთან, საინჟინრო ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ პრაქტიკულ აქტივობებში. ბანაკები ხორციელდება როგორც ეროვნულ, ასევე კონკრეტული რეგიონების დონეზე.

2022 წელს, მიზნობრივად გოგოებისთვის განხორციელდა ტექნოლოგიური ბანაკი სკოლის მოსწავლე გოგოებისთვის. ტექნოლოგიებში ქალთა როლის გაძლიერებისთვის, პროექტში ჩაერთო 50 სკოლის მოსწავლე გოგო, რომლებმაც 1 კვირიანი ინტენსიური გადამზადება გაიარეს. პროექტი დასრულდა დემო დღით, სადაც 5-მა გუნდმა წარადგინა ინოვაციური სტარტაპ იდეები.

დამატებით, სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ მიერ 2020-2023 წწ.¹⁹⁰ ქალთა დასაქმებისა და მათი შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით ტექნოპარკების ბაზაზე განხორციელდა რიგი ღონისძიებები, მათ შორის, ტრენინგები:

- „დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესი“ (16 ქალი ბენეფიციარი);
- ტესტერის 4 ტრენინგი (37 ქალი ბენეფიციარი);
- „Front-End Development ქალებისთვის“ (20 ქალი ბენეფიციარი);
- „ქალთა მეწარმეობის მხარდაჭერის პროექტი – ციფრული მარკეტინგი“ (14 ქალი ბენეფიციარი);
- „ქალთა მეწარმეობის მხარდაჭერის პროექტი – ბიზნეს გეგმის შედგენა“ (14 ქალი ბენეფიციარი);
- ტრენინგი „3D მოდელირება“ (10 ქალი ბენეფიციარი);
- პროექტი „გახდი შენი თავის ბოსი“ (20 ქალი ბენეფიციარი);
- ტრენინგ კურსი „ქალები ტექნოლოგიებში“ (12 ქალი ბენეფიციარი);
- პროექტი „Ms. Tech – UI/UX დიზაინი გოგოებისთვის“ (15 ქალი ბენეფიციარი);
- პროგრამა „ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობა – კრეატივი, როგორ შევქმნათ ინოვაციური პროდუქტი“ (15 ქალი ბენეფიციარი);
- „CorelDraw ტრენინგი“ (5 ქალი ბენეფიციარი);
- „Wix Development-ის კურსი გოგოებისთვის“ (15 ქალი ბენეფიციარი);
- „ტრენინგი ქალ მეწარმეებთან“ (19 ქალი ბენეფიციარი);
- „ელექტრონული კომერციის კურსი“ (28 ქალი ბენეფიციარი);
- პროექტი – „TechGirls Georgia“ (10 ქალი ბენეფიციარი);
- „კლიმატ ინოვაციური იდეათონი“ (15 ქალი ბენეფიციარი);
- სამეწარმეო ტრენინგები – „დედები ციფრული მომავლისთვის“ (15 ქალი ბენეფიციარი).

ჯამურად, 2020-2023 წწ. განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში, სააგენტოს ბენეფიციარ ქალთა რაოდენობამ შეადგინა 280.

ასევე, აღსანიშნია, რომ საზღვაო ინდუსტრია მოითხოვს ქალების მეტ ჩართულობას, განსაკუთრებით წამყვან პოზიციებზე. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“ აქტიურად არის ჩართული საზღვაო ინდუსტრიაში ქალთა გაძლიერების მიმართულებით. სააგენტო თანამშრომლობს საქართველოში დაარსებულ არასამთავრობო ორგანიზაციას-

¹⁹⁰ შენიშვნა: მოცემული აქტივობების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ მხოლოდ ქალები.

თან „ქალთა საერთაშორისო სანაოსნო და სავაჭრო ასოციაცია – საქართველო“ (WISTA Georgia), რომელიც წარმოადგენს „ქალთა საერთაშორისო სანაოსნო და სავაჭრო ასოციაციის“ (WISTA) ფილიალს საქართველოში.

2018 წლის 13 სექტემბერს GIMF 2018-ის ფარგლებში გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ და WISTA Georgia-მ საზღვაო ინდუსტრიაში ქალთა განათლებისა და დასაქმების მხარდაჭერის მიზნით ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლის უმთავრესს მიზანს წარმოადგენს საზღვაო სფეროში საქმიანობის განმხორციელებელი ქალბატონების ეკონომიკური და სოციალური გაძლიერება, ინტეგრაცია და მხარდაჭერა.

WISTA წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს საზღვაო სფეროში დასაქმებულ ქალებს და ხელს უწყობს საზღვაო ინდუსტრიაში და ზოგადად სფეროში ქალთან ინტეგრაციას და გაძლიერებას.

საგრანტო პროგრამებში ქალების ჩართვის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით რეგიონებში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“ და სსიპ „ანარმოე საქართველოში“ წარმომადგენლები ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს, სადაც პოტენციურ განმცხადებლებს მიეწოდებათ ინფორმაცია საგრანტო პროგრამების მიზნების, სააპლიკაციო განაცხადის შევსების ინსტრუქციების, შერჩევის კრიტერიუმებისა და სხვა რელევანტური საკითხების შესახებ.

2023 წელს, მიკრო და მცირე მენარმეობის პროგრამის ფარგლებში, დამზადდა საინფორმაციო ბუკლეტები ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე. გარდა ამისა, მომზადდა განაცხადის შევსების დეტალური ვიდეო ინსტრუქციები, რომლებიც განთავსებულია განმცხადებლების პირად კაბინეტში სამ ენაზე (ქართული, სომხური და აზერბაიჯანული), რაც განსაკუთრებით დაეხმარება ქალ მენარმეებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქალების ჩართულობის კუთხით, მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს ორივე სააგენტოს კონკრეტულ საგრანტო პროგრამებში ქალებისთვის დამატებით (+2) ქულის მინიჭებაც.

ასევე, 2020 წელს, საქართველოს მთავრობის ინიციატივით შეიქმნა „სახელმწიფო – შენი პარტნიორი“ პლატფორმა, რომელიც თავს უყრის ბიზნესის ხელშეწყობაზე ორიენტირებულ 20-ზე მეტ სახელმწიფო პროგრამას. პროექტის მთავარი მიზანია, მაქსიმალურად გაამარტივოს და გაზარდოს წვდომა სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებაზე მათთვის, ვისაც ბიზნესის დაწყება, ან არსებულის გაფართოება სურს.

სასურველ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, მომხმარებელს შეუძლია მიმართოს საქართველოს 100-ზე მეტ დასახლებულ პუნქტში განთავსებულ 24 იუსტიციის სახლსა და 81 საზოგადოებრივ ცენტრს, ხოლო რიგ პროგრამებზე დამოუკიდებლად შეავსოს განაცხადი შესაბამისი სახელმწიფო სააგენტოს ვებგვერდზე.

„სახელმწიფო – შენი პარტნიორი“-ის ელექტრონულ პლატფორმაზე განთავსებულია დეტალური ინფორმაცია პროგრამებში ჩართვის პირობების, კრიტერიუმების, ბენეფიტებისა და გასავლელი ეტაპების შესახებ. დღეისათვის, ბიზნეს პროგრამების ერთიან პლატფორმაზე წარმოდგენილია სააგენტოების „ანარმოე საქართველოში“, „ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა“ და „სოფლის განვითარების სააგენტოს“ პროგრამები. შესაბამისად, სახელმწიფოს მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობა აქვთ მიკრო და საშუალო ზომის საწარმოებს, ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიებს, ტურიზმის სფეროში მოქმედ სუბიექტებს, ფერმერებს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს და სხვებს.

დამატებით, აღსანიშნავია სააგენტოს „ანარმოე საქართველოში“ საკონსულტაციო ცენტრების გახსნაც, რომლებიც მიზნად ისახავს მიკრო, მცირე და საშუალო მენარმეების ინფორმაციით უზრუნველყოფას, მათთვის საკონსულტაციო მომსახურების მიწოდებას და ტრენინგებისა და სემინარების შეთავაზებას. ცენტრში მენარმე შეძლებს გაიაროს ინდივიდუალური კონსულტაცია ცენტრის თანამშრომელთან და სრულყოფილი ინფორმაცია მიიღოს ქვეყანაში მიმდინარე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამების შესახებ. 2023 წლის ივნისის თვეში სატესტო რეჟიმში გაიხსნა პირველი საკონსულტაციო ცენტრი ზუგდიდში, სადაც წლის ბოლომდე სხვადასხვა მომსახურება იქნება ხელმისაწვდომი სხვადასხვა დაინტერესებული პირისთვის. მათ შორის – დაგეგმილია კონკრეტული ინიციატივების განხორციელება ქალი მენარმეების მხარდასაჭერად.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტო“, გარე კომუნიკაციის ფარგლებში, პერიოდულად ეწევა საავიაციო სექტორში ქალთა თანასწორუფლებიანი ჩართულობის და შესაძლებლობების რეალიზაციის თემის პოპულარიზაციას და ამ მიზ-

ნით, პერიოდულად ახდენს ცნობიერების ასამაღლებელი ინფორმაციის გავრცელებას ქალ ავიასპეციალისტებზე („ქალები ავიაში“), ასევე, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი შემეცნებითი მასალის გაზიარებას და სხვა.

ქალების ეკონომიკური გაძლიერების ერთ-ერთი აპრობირებული მეთოდია მათი ისეთ მაღალანაზღაურებად სექტორებში დასაქმება, როგორც, მაგალითად, ინოვაციები და ტექნოლოგიები და, როგორც წესი, მასკულიზებული წარმომადგენლობით ხასიათდება. სწორედ ამ მიზნით, 2021 წლის ივნისი-ივლისის პერიოდში პარიზში გამართულ თანასწორობის თაობის ფორუმს¹⁹¹ საქართველოც შეუერთდა. აღნიშნული ღონისძიება გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) და საფრანგეთის მთავრობის მხარდაჭერით გაიმართა და მის მიზანს წარმოადგენდა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან კონკრეტული ვალდებულებების გაჟღერება გენდერული თანასწორობის პროგრესის მისაღწევად, რის ფარგლებშიც საქართველო 2 კოალიციის წევრი გახდა და აიღო ვალდებულებები პროგრესის მისაღწევად შემდეგი მიმართულებებით:

- გენდერული ნიშნით ძალადობა;
- ტექნოლოგიები და ინოვაციები გენდერული თანასწორობისთვის.

აღნიშნული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების, კოორდინირებული მონიტორინგისა და პროგრესის პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ 2021 წელს შექმნა საკოორდინაციო მექანიზმი – მონიტორინგის ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან საქართველოს მთავრობის, გაეროს ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. მონიტორინგის ჯგუფს ხელმძღვანელობენ საბჭოს თავმჯდომარე, ნინო წილოსანი და პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით, ნიკო თათულაშვილი. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის ჯგუფი იკრიბება წელიწადში ორჯერ, რათა ზედამხედველობა გაუწიოს „თანასწორობის თაობის“ ფარგლებში საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

2022 წლის განმავლობაში აღნიშნულმა ჯგუფმა შეიმუშავა ფორუმზე აღებული ვალდებულებების განხორციელების მონიტორინგის მექანიზმი (კერძოდ, აღებული ვალდებულებების ბმა გენდერული თანასწორობის არსებულ პოლიტიკასთან და გეგმებთან) და სამოქმედო გეგმა, რომელიც თავს უყრის აღებული ვალდებულებების შესრულების ღონისძიებებს. 2022 წლის ბოლოს, 12 დეკემბერს, ერთგვარი შეჯამების მიზნით, საბჭომ პარლამენტის სასახლეში ჩაატარა მაღალი დონის კონფერენცია, რომელიც ტექნოლოგიებსა და ინოვაციებს მიეძღვნა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ტრილში – ღონისძიების მონაწილეებმა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროს ეკოსისტემაზე, განათლების, დასაქმების და სამენარშეო შესაძლებლობებზე იმსჯელეს. 2023 წლის თებერვალში კი მოხდა სამოქმედო გეგმის გადახედვა შესაბამისი უწყებებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით, რის შედეგადაც დასახელებული დოკუმენტი აღსრულების მიზნით გაუზიარეს ყველა შესაბამის რელევანტურ უწყებას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს აგრეთვე გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს კვლევითი საქმიანობაც, რაც საბჭოს მიერ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ეკონომიკური გაძლიერების პოლიტიკის შემუშავებასა და აღნიშნული პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგს უწყობს ხელს. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით საბჭომ არაერთ თემატურ მოკვლევებზე იმუშავა, რომლებიც დეტალურად მომდევნო თავებში იქნება განხილული, მათ შორის:

- სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობა¹⁹² – ჩატარდა 2019 წელს, ხოლო გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი განხორციელდა 2022 წელს.
- პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის¹⁹³ – ჩატარდა 2019 წელს, ხოლო გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი განხორციელდა 2022 წელს.

¹⁹¹ დამატებითი ინფორმაცია თანასწორობის თაობის ფორუმის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: <https://forum.generationequality.org/home> [ბოლოს ნანახია: 05.08.2023].

¹⁹² საქართველოს პარლამენტი. 2019. თემატური მოკვლევის ანგარიში. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Gender/angarishi/angarishi_tematuri-2022.pdf [ბოლოს ნანახია: 05.08.2023].

¹⁹³ საქართველოს პარლამენტი. 2019. თემატური მოკვლევის ანგარიში. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Gender/angarishi/angarishi_tematuri-2022.pdf [ბოლოს ნანახია: 05.08.2023].

- ქალთა უფლებები არაფორმალურ ეკონომიკაში და COVID-19-ის გავლენა¹⁹⁴ – ჩატარდა 2021 წელს.
- თემატური მოკვლევა ქალებისა და გოგოებისთვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესახებ¹⁹⁵ – ჩატარდა 2022 წელს.
- თემატური მოკვლევა ქალებისა და გოგოებისათვის ინფრასტრუქტურის (გზა, ტრანსპორტი, ინტერნეტი, წყალი) ხელმისაწვდომობის შესახებ¹⁹⁶ – ჩატარდა 2022 წელს.

თითოეული მოკვლევის დასასრულს შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები ადრესატებისა და შესრულების ვადის მითითებით, რაც იძლევა სიღრმისეული მონიტორინგის, საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელების საშუალებას.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება რეგიონულ დონეზე

რეგიონულ დონეზე ქალთა ეკონომიკური გაძლიერება მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც უშუალოდ გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრაში, ასევე სასოფლო დასახლებებში მოსახლეობის შემცირებისა და დაბერებასთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევაშიც.

გასული ათწლეულის მანძილზე სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა კლებადობის ტენდენციით ხასიათდებოდა და 2023 წლის მონაცემებით სასოფლო დასახლებებში მოსახლეობის რიცხოვნობა 2012 წელთან შედარებით 8%-ით არის შემცირებული.¹⁹⁷

როგორც წესი, რეგიონებში მცხოვრები ქალები და გოგოები უფრო მეტად განიცდიან გენდერულ უთანასწორობას, რაც განპირობებულია ადგილობრივი კულტურით, აღქმებითა და სტერეოტიპებით, ამასთანავე ეკონომიკური და სოციალური სერვისების შედარებით დაბალი ხელმისაწვდომობით. აღნიშნული კიდევ უფრო ზრდის ქალების და გოგოების სიღარიბისა და ეკონომიკური უთანასწორობის რისკებს.

რეგიონების მიხედვით, ქალები და გოგოები, რომლებიც მცხეთა-მთიანეთში ცხოვრობენ, მეტად არიან მიდრეკილნი სიღარიბისკენ, სამცხე-ჯავახეთში და თბილისში მცხოვრებ ქალებსა და კაცებთან შედარებით, რომლებიც ყველაზე ნაკლები რისკით ხასიათდებიან სიღარიბესთან მიმართებით.

სოფლად მცხოვრები ქალების და გოგოების გაძლიერება და სოციალურ-ეკონომიკურ სერვისებზე წვდომის გაუმჯობესების საჭიროება აღნიშნულია საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოსთვის მომზადებულ რეკომენდაციებშიც.

აღსანიშნავია, რომ გასულ წლებში ეტაპობრივად მოხდა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებ ქალების და გოგოების სიღარიბის შემცირების საკითხების ინტეგრირება სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში.

საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის, 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის, 2020 წლის ამოცანის ინდიკატორები ითვალისწინებდა გენდერულ პერსპექტივას, თუმცა არსებითად ზოგად პრიორიტეტულ სფეროებში, მაგალითად, გეგმა მიზნად ისახავდა ცნობიერების ამაღლებას ინოვაციების და მენარმეობის მიმართულებით, თანამშრომლობის წახალისებას უნარ-ჩვევების განვითარებისა და დასაქმების

¹⁹⁴ საქართველოს პარლამენტი. 2021. თემატური მოკვლევის ანგარიში. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/tematuri-mokvleva/genderuli/covid-19/Thematic-Inquiry-Report-Covid_19_impact_12.15.21.pdf [ბოლოს ნანახია: 05.08.2023].

¹⁹⁵ საქართველოს პარლამენტი. 2022. თემატური მოკვლევის ანგარიში. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/tematuri-mokvleva/genderuli/qalebis-cvdoma/mokvleva-ge.pdf> [ბოლოს ნანახია: 05.08.2023].

¹⁹⁶ საქართველოს პარლამენტი. 2022. თემატური მოკვლევის ანგარიში. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/tematuri-mokvleva/genderuli/infrastruktura/angarishi-qalebi-infr-2022.pdf> [ბოლოს ნანახია: 05.08.2023].

¹⁹⁷ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობა, მოსახლეობის რიცხოვნობა საქალაქო და სასოფლო დასახლებების მიხედვით, იხ. ბმული: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba>, ნანახია: [26/11/2023].

ხელშეწყობით (განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალებისათვის). გეგმა ასევე ხაზს უსვამდა მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების) ჩართულობის გაზრდის მნიშვნელობას ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრაში.¹⁹⁸

წინამორბედი დოკუმენტისგან განსხვავებით, სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია ითვალისწინებს მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, სოფლად ეკონომიკური შესაძლებლობების დივერსიფიცირება/განვითარებას, სოციალური მდგომარეობის და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. სტრატეგიის მიზნებია:¹⁹⁹

- ▶ კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები;
- ▶ ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემის შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია;
- ▶ სურსათის/ცხოველის საკვების უზენებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები.

გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზანს წარმოადგენს ქალების სამენარმეო შესაძლებლობების გაძლიერება და ამ სულისკვეთებით ქმნის პროგრამებს, რომლებიც ქალების სხვადასხვა ჯგუფების მაქსიმალურ ჩართულობას ითვალისწინებს.

სოფლად ახალგაზრდა მენარმეების მხარდაჭერის პროგრამა – „ახალგაზრდა მენარმე“ განკუთვნილია საქართველოს მოქალაქეობის მქონე ახალგაზრდებისთვის, რომელთაც სურთ ბიზნეს საქმიანობის განხორციელება საქართველოში.

პროგრამა ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ახორციელებს და ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო“ დონორი ორგანიზაციის, დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (DANIDA) დაფინანსებით, რომლის მიზანია სტიმული მიეცეს სოფლად ახალგაზრდა მენარმეების განვითარებას და ბიზნესში ჩართულობას, მოხდეს რეგიონებში ეკონომიკური ზრდის და კერძო სექტორის გაძლიერება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-რეალიზაციის ჯაჭვში განხორციელდეს ინვესტიციები. შედეგად, გაუმჯობესდება ახალგაზრდა მენარმეების სოციალურ-ეკონომიკური პირობები და შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

გარდა ამისა, სამინისტრო ახორციელებს მაღალმთიან დასახლებებში სამენარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამას, რომლის მიზანია, თანადაფინანსების გზით, ხელი შეუწყოს მაღალმთიან დასახლებებში კერძო სექტორის განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, განახორციელოს ახალგაზრდა მენარმეებისა და ეკონომიკური აქტივობის ზრდის სტიმულირება.

ამასთანავე, სამინისტრო ახორციელებს მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამას, რომლის მიზანია სოფლად ეკონომიკის განვითარება, კონკურენტუნარიანი, დივერსიფიცირებული და მდგრადი მერძევეობის დარგის ჩამოყალიბების ხელშეწყობის გზით. პროგრამის ამოცანაა რძის მცირე მწარმოებლებისთვის მდგრადობის და მოქნილობის ხელშეწყობა.

აღნიშნულ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით, განსხვავებული ასაკობრივი კრიტერიუმია დადგენილი²⁰⁰, რაც კიდევ უფრო მეტ ქალს აძლევს შესაძლებლობას, ისარგებლოს სახელმწიფო პროგრამებით.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის – UN Women-ის მხარდაჭერით, ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო (RDA) ახორციელებს საპილოტე პროგრამას ქალებისთვის. – პროგრამის მიზანია, საპილოტე მუნიციპალიტეტებში, ეკონომიკურად არააქტიური ქალების ინტეგრაცია საზოგადოების სრულყოფილებიან წევრ-

¹⁹⁸ გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, ნაწილი II, გვ. გვ. 46.

¹⁹⁹ აღნიშნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში, MEPA-ს აქტივობების ბენეფიციარი ფიზიკური პირები, სადაც შესაძლებელია გენდერის მიხედვით ჩაშლა შეადგენს 87,306 ადამიანს, საიდანაც ქალია 20,470 (23.45%). MRDI-ის აქტივობების ბენეფიციარები შეადგენენ ქვეყნის 9 რეგიონის 54 მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 1,411,582 ადამიანს, საიდანაც ქალია 709,119 (50.24%). MoES-ის მიერ განხორციელებული აქტივობების ბენეფიციარები შეადგენენ 14,214 ადამიანს, საიდანაც ქალია 6,502 (45.74%); MoJ-ის მიერ განხორციელებული აქტივობების ფარგლებში, ბენეფიციარია 210 ადამიანი, აქედან ქალი – 119 (56.67%); MoESD-ის აქტივობების ბენეფიციარია 1,028 ადამიანი, აქედან ქალია 519 (50.49%).

²⁰⁰ მომსახურების პროვაიდერი – პოტენციური ბენეფიციარი – მამაკაცი 18-35 წლის ჩათვლით; ქალი 18-40 წლის ჩათვლით.

ბად, მათი სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქალების სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართვის სტიმულირების გზით.

პროგრამის ამოცანას წარმოადგენს ჩოხატაურის, ვანის და ჩხორონყუს მუნიციპალიტეტებში ახალი სასათბურე მეურნეობის მოსაწყობად პოტენციური ქალი ბენეფიციარების ფინანსური და ტექნიკური დახმარება. ცოდნის მიღების მიზნით, ფინანსური დახმარების მიღებამდე, ბენეფიციარებს ჩაუტარდებათ თეორიული კურსი სასათბურე მეურნეობის მართვასა და სპეციფიკური კულტურების მოვლაზე.

დაფინანსების მიღების შემდეგ პრაქტიკული ტრენინგები განსაზღვრული კულტურებისათვის.²⁰¹

გენდერული თანასწორობა შრომით ურთიერთობებში

შრომით ბაზარზე გენდერული დისკრიმინაციისა და ბარიერების აღმოსაფხვრელად საქართველომ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებშიც აიღო ვალდებულება. მდგრადი განვითარების მე-10 მიზანი უთანასწორობის შემცირების შესახებ სახელმწიფოებს მოუწოდებს, „უზრუნველყონ თანასწორი შესაძლებლობები და შეამცირონ სამუშაოს შედეგების კუთხით უთანასწორობა, მათ შორის, დისკრიმინაციული კანონმდებლობის, პოლიტიკისა თუ პრაქტიკის აღმოფხვრით და ამ მხრივ სათანადო კანონმდებლობის, პოლიტიკისა თუ საქმიანობის ხელშეწყობით“.

საქართველომ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებისა და მათ წევრ სახელმწიფოთა შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით, აიღო ვალდებულებები, უზრუნველყოს დასაქმების, სოციალური პოლიტიკისა და თანაბარი შესაძლებლობების საკითხებზე ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის ჰარმონიზება. წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის, შრომით ურთიერთობებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფასთან მიმართებით საგულისხმოა შემდეგი დირექტივები:

- ▶ 1978 წლის 19 დეკემბრის საბჭოს 79/7/EEC დირექტივა – სოციალური უსაფრთხოების საკითხებში კაცისა და ქალის თანაბარი მოპყრობის პრინციპების პროგრესული განხორციელების შესახებ (შესრულების ვადა – 2018 წელი);
- ▶ 1992 წლის 19 ოქტომბრის საბჭოს 92/85/EEC დირექტივა – ორსულ, ახალნამშობიარე და მეძუძურ მუშაკთათვის შრომის უსაფრთხო პირობებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით მისაღები ზომების შესახებ (მე-10 ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში) (შესრულების ვადა – 2018 წელი);
- ▶ 2000 წლის 27 ნოემბრის საბჭოს 2000/78/EC დირექტივა – დასაქმებისა და შრომითი საქმიანობის საკითხებთან დაკავშირებით თანაბარი მოპყრობის ზოგადი ჩარჩოს შესახებ (შესრულების ვადა – 2017 წელი);
- ▶ 2006 წლის 5 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/54/EC დირექტივა – დასაქმებისა და საქმიანობის საკითხებში კაცისა და ქალის თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელების შესახებ (შესრულების ვადა – 2018 წელი).

საქართველოს შრომის კოდექსში 2020 წელს განხორციელებულმა ცვლილებებმა უზრუნველყო საქართველოს შრომის კოდექსის ნორმათა ნაწილის სრული შესაბამისობა ევროკავშირისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულ სტანდარტებთან, განსაკუთრებით – დისკრიმინაციის ნაწილში.

თანაბარი ანაზღაურების პრინციპი შრომით ურთიერთობებში

აღსანიშნავია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/54/EC დირექტივა, რომელიც დასაქმებისა და საქმიანობის საკითხებთან მიმართებით კაცისა და ქალის თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებას უზრუნველყოფს, თანაბარი სამუშაოსთვის ან თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპს განსაზღვრავს და ანაზღაურების განსაზღვრისას განსხვავებული კრიტერი-

²⁰¹ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის 6 ოქტომბრის წერილი.

უმებით დისკრიმინაციას კრძალავს. აღნიშნული ვალდებულება საქართველომ იკისრა საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების ფარგლებში.

აღნიშნული ვალდებულების შესრულების საპასუხოდ, საქართველოს შრომის კოდექსის ცვლილებებმა მოიცვა, ერთი მხრივ, „ანაზღაურების“ ცნება და, მეორე მხრივ, თანაბარი შრომისთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპი. შესაბამისი ცვლილებები შრომის კოდექსში 2020 წლის სექტემბერში შევიდა. კერძოდ, კოდექსის თანახმად²⁰², „დამსაქმებელი ვალდებულია, ქალი და მამაკაცი დასაქმებულების მიერ თანაბარი სამუშაოს შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოს მათთვის თანაბარი შრომის ანაზღაურების გადახდა“, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია გენდერული სახელფასო სხვაობის შემცირების პროცესში.

ევროპული კანონმდებლობის განვითარების პარალელურად, 2021 წლის სექტემბერში საქართველო „თანაბარი ანაზღაურების საერთაშორისო კოალიციას“²⁰³ (EPIC) შეუერთდა, რომლის მიზანია მსოფლიოს მასშტაბით სახელფასო სხვაობების შემცირება და თანაბარი ღირებულების საქმიანობის განვითარება ქალისა და მამაკაცისთვის თანაბარი ანაზღაურების უზრუნველყოფა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, კოალიცია მხარს უჭერს სახელმწიფოებს შესაძლებლობების ზრდაში, კანონმდებლობის დახვეწასა და აღსრულების მონიტორინგში.

სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების პრევენციის მექანიზმები

გენდერული თანასწორობის კანონი 2019 წლის თებერვალში განხორციელებულ ცვლილებებამდე არ ახდენდა შევიწროებისა და სექსუალური შევიწროების სახელდებას და მხოლოდ მის შინაარსს განსაზღვრავდა დისკრიმინაციის აკრძალვის ფარგლებში. ცვლილებების შემდგომ კანონში გაჩნდა შევიწროებისა და სექსუალური შევიწროების ცნებები, რაც წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს.

2020 წლის 29 სექტემბრის საქართველოს შრომის კოდექსში შესული ცვლილებების შემდგომ დამსაქმებელი ვალდებულია, მიიღოს ზომები დანესებულებაში დასაქმებულთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასახოს შრომის შინაგანანგნესა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყოს მათი შესრულება.

აღსანიშნავია, რომ ცვლილებების შეტანის პროცესში გაითვალისწინეს შრომის ინსპექციის მანდატის გავრცელება შევიწროებასა და სექსუალურ შევიწროებაზე. განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, „დამსაქმებლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისკრიმინაციის, მათ შორის პირდაპირი დისკრიმინაციისა და არაპირდაპირი დისკრიმინაციის, სამუშაო ადგილზე შევიწროებისა და სექსუალური შევიწროების, აკრძალვის პრინციპის, გონივრული მისადაგების პრინციპის, თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი შრომის ანაზღაურების გადახდის შესახებ დებულების დარღვევა გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას“.²⁰⁴

ამასთან, კოდექსი შენიშვნის სახით აზუსტებს, რომ „შევიწროებისას ან/და სექსუალური შევიწროებისას სამართალდამრღვევი დასაქმებულისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება, დამსაქმებელს არ ათავისუფლებს შესაბამისი პასუხისმგებლობისგან. დამსაქმებელს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს, თუ მისთვის ცნობილი გახდა შევიწროების ან/და სექსუალური შევიწროების ფაქტი და მან ამ ფაქტის შესახებ არ შეატყობინა შრომის ინსპექციას ან/და არ მიიღო შესაბამისი ზომები აღნიშნული ქმედების აღსაკვეთად“.

შრომის ხელსაყრელი პირობების სამართლებრივი გარანტიები

გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის მიხედვით, „საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფილია ორსული ქალებისა და მეძუძური დედებისათვის შრომის ხელსაყრელი პირობების

²⁰² საქართველოს პარლამენტი. 2020. საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსი“ ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/264269> [ბოლოს ნანახია: 05.08.2023].

²⁰³ დამატებითი ინფორმაცია „თანაბარი ანაზღაურების საერთაშორისო კოალიციის შესახებ შევიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: <https://www.equalpayinternationalcoalition.org/> [ბოლოს ნანახია: 05.08.2023].

²⁰⁴ გენდერული თანასწორობა საქართველოში, ბარიერები და რეკომენდაციები ნაწილი I, 2021, გვ. 30. <https://www.undp.org/ka/georgia/publications/გენდერული-თანასწორობა-საქართველოში-ბარიერები-და-რეკომენდაციები-2021>.

შექმნა, რაც გამორიცხავს მათ საქმიანობას მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან გარემოში, აგრეთვე ღამის საათებში.“²⁰⁵

საქართველოს შრომის კოდექსის ცვლილებებით, ორსულობისა და მშობიარობის გამო დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ანაზღაურებადი შვებულება 126 კალენდარული დღე (მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 143 კალენდარული დღე), ხოლო ბავშვის მოვლის გამო გათვალისწინებული შვებულებით – 604 კალენდარული დღე, საიდანაც 57 კალენდარული დღე ანაზღაურებადია, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ ისარგებლოს ბავშვის დედამ ან მამამ. არსებითად წინგადადგმული ნაბიჯია ის, რომ შრომის კოდექსის ახალ რეგულაციაში გვხვდება მამის მიერ შვებულების გამოყენების შესახებ მითითება.

რაც შეეხება საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთათვის არსებულ სამართლებრივ ბაზისს, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან ანაზღაურებადია 183 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 200 კალენდარული დღე. ანაზღაურება შესაბამისი საჯარო დაწესებულების ბიუჯეტიდან გაიცემა, მოხელის თანამდებობრივი სარგოსა და საკლასო დანამატის გათვალისწინებით.

გენდერული სხვაობა საჯარო სამსახურში დასაქმებულებს შორის

მნიშვნელოვანია აღინიშნოს საჯარო სამსახურის მასშტაბით დასაქმებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში (პროფესიული საჯარო მოხელე, შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები). 2014 წლიდან 2022 წლის ჩათვლით, დასაქმებული მამაკაცების რაოდენობა აღემატებოდა დასაქმებული ქალების რაოდენობას.

ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშნული მამაკაცების რაოდენობა აღემატება ქალების რაოდენობას. თუმცა, ხაზგასასმელია, რომ 2015 წლიდან 2022 წლის ჩათვლით, სხვაობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არის შემცირებული. მაგალითად, თუკი 2015 წელს ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშნული იყო 925 ქალი, მამაკაცების რაოდენობა შეადგენდა 2691-ს. 2022 წელს ეს მაჩვენებელი შეიცვალა, ქალების რაოდენობა არის 1470, ხოლო მამაკაცებისა – 1759.²⁰⁶

შრომის ინსპექციის მანდატი გენდერული თანასწორობის მიმართულებით

შრომის კოდექსის ცვლილებები კანონის აღსრულების მექანიზმად განსაზღვრავს შრომის ინსპექციას, რომლის საქმიანობას, შრომის კოდექსის გარდა, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონიც არეგულირებს. დისკრიმინაციის, მათ შორის – გენდერული უთანასწორობისა და შევიწროების აღმოფხვრაზე, ქალისა და მამაკაცისათვის თანაბარი შესაძლებლობების გარანტიების უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის კუთხით რეგულირებათა აღსრულების მანდატი შრომის ინსპექციას ეკისრება, რომელსაც ამავე კანონის საფუძველზე, მინიჭებული აქვს ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების უფლებამოსილება.

„შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, შრომის ინსპექციის სამსახურის მიზანია შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა და ამ მიზნის მისაღწევად იყენებს შემდეგ მექანიზმებს:

- მოთხოვნის შემთხვევაში, შრომითი ნორმების შესრულებასთან დაკავშირებით კონსულტაციის განწვევა ან/და ინფორმაციის მიწოდება;
- შრომითი ნორმების დაცვის ხელშეწყობი ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება და მისი ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა საინფორმაციო კამპანიებისა და სხვა ქმედითი ღონისძიებების განხორციელებით;
- შრომითი ნორმების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრების მიღება და განხილვა;

²⁰⁵ იქვე გვ. 32.

²⁰⁶ აღნიშნული მონაცემები არ მოიცავს შინაგან საქმეთა სამინისტროს. შსს-ს ჩათვლით მაჩვენებელი შემდეგნაირია: 2015 წელი – ქალი-965, კაცი-3369. 2022 წელი ქალი – 1489, კაცი 1946. საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს 2023 წლის 11 აგვისტოს წერილი, №გ7164.

- ინსპექტირება;
- საქართველოს შრომის კანონმდებლობის დასახვეწად და მისი გამოყენების გასაუმჯობესებლად წინადადებების შემუშავება.

შრომის კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრულია სანქციები, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნას შრომის ინსპექციის მიერ, დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის დარღვევისთვის, კერძოდ:

- ▶ დამსაქმებლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისკრიმინაციის, მათ შორის – პირდაპირი დისკრიმინაციისა და არაპირდაპირი დისკრიმინაციის, სამუშაო ადგილზე შევიწროებისა და სექსუალური შევიწროების, აკრძალვის პრინციპის, გონივრული მისადაგების პრინციპის, თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი შრომის ანაზღაურების გადახდის შესახებ დებულების დარღვევა – გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ამ კანონის 77-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესის გათვალისწინებით, შესაბამისი ჯარიმის სამმაგი ოდენობით.
- ▶ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისთვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებიდან 1 კალენდარული წლის განმავლობაში იმავე ქმედების განმეორებით ჩადენა – გამოიწვევს დაჯარიმებას შესაბამისი დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით.

შრომის კოდექსის მიერ შრომის ინსპექციის ფუნქციონირების ხელშეწყობა და მისი ამოქმედება არსებითი მნიშვნელობისაა დისკრიმინაციასთან ბრძოლისთვის, რაც ეფექტიანად და გამართულად მუშაობის თვალსაზრისით, არსებითად გააუმჯობესებს დასაქმებულთა უფლებრივ მდგომარეობას სამუშაო ადგილზე.

გენდერული ბიუჯეტირება

გენდერული თანასწორობის მიღწევა შეუძლებელია მასში შესაბამისი რესურსებისა და ძალისხმევის ჩადების გარეშე. სწორედ ამიტომ, გენდერული ბიუჯეტირება, იგივე გენდერულად მგრძობიარე ბიუჯეტირება, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს განვითარებულ სამყაროში. გენდერული ბიუჯეტირება საჯარო მმართველობის მნიშვნელოვანი მექანიზმია, რომელიც იძლევა შეფასების საშუალებას, თუ რა გავლენას ახდენს კონკრეტული საბიუჯეტო გადაწყვეტილებები გენდერულ თანასწორობაზე²⁰⁷. ესაა საერთაშორისო დონეზე აღიარებული კარგი მმართველობის ინსტრუმენტი, რომელიც აერთიანებს საჯარო ფინანსების მართვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებს და უზრუნველყოფს სახსრების გადანაწილებას ქალებისა და მამაკაცების საჭიროებების, ქვეყნის გენდერული პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტების მიხედვით.

მიუხედავად ამისა, გენდერული ბიუჯეტირება არ გულისხმობს ქალისა და მამაკაცის ცალკეული ბიუჯეტების შედგენას – იგი პროგრამული ბიუჯეტირების ნაწილია და თანასწორობაზე ორიენტირებული საბიუჯეტო პროცესის ჩამოყალიბებას გულისხმობს. საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობის ამაღლება, საჯარო ფინანსების ეფექტიანი მართვა, საბიუჯეტო პროცესების გაუმჯობესება და გენდერული თანასწორობის დამკვიდრების ხელშეწყობა გენდერული ბიუჯეტირების პრიორიტეტებს მიეკუთვნება²⁰⁸.

აღსანიშნავია, რომ არ არსებობს გენდერული ბიუჯეტირების ერთიანი უნივერსალური მოდელი, ამიტომ ცალკეული პრაქტიკა კონკრეტული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებლებსა და პოლიტიკურ პრიორიტეტებს ეყრდნობა. მაგალითად, საქართველოში გენდერული ბიუჯეტირება პროგრამული ბიუჯეტირების²⁰⁹ შემადგენელი ნაწილია, ამიტომ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გენდერული ბიუჯეტირების კონკრეტული მეთოდოლოგია ან მოდელი გათვალისწინებული არაა.

²⁰⁷ OECD. 2023. Gender budgeting. <https://www.oecd.org/gov/budgeting/gender-budgeting/> [ბოლოს ნანახია: 08.08.2023].

²⁰⁸ EECMD. 2020. „გენდერული ბიუჯეტირების გამოწვევები საქართველოში მუნიციპალურ დონეზე“. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://eecmd.org/wp-content/uploads/2020/12/Policy-Paper_Gender-Budgeting_web.pdf [ბოლოს ნანახია: 08.08.2023].

²⁰⁹ პროგრამული ბიუჯეტირება გულისხმობს საბიუჯეტო ასიგნებების გამოყოფას პრიორიტეტების, პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით, რომელსაც თან უნდა ახლდეს მოსალოდნელი შედეგების აღწერა და შესრულების შეფასების ინდიკატორები.

თავად პროგრამული ბიუჯეტირება ცენტრალური ხელისუფლების დონეზე 2012 წლიდან, „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ ფინანსთა მინისტრის N385 ბრძანებით დაინერგა²¹⁰, 2013 წლიდან კი ადგილობრივი და ავტონომიური ხელისუფლების დონეზეც დარეგულირდა აღნიშნული საკითხი. ზემოხსენებულ ბრძანებაში 2015 წელს გაკეთდა მითითება, რომ პროგრამის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად გამოიყოს პროგრამის გენდერულ ასპექტში შეფასების ინდიკატორი, რაც ცალსახად პოზიტიურად უნდა შეფასდეს.

გენდერულად მგრძობიარე ბიუჯეტირების პრინციპები ასევე ასახულია „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის მიხედვითაც მუნიციპალური პროგრამები და გეგმები ისე უნდა შემუშავდეს, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია. ამავე კანონის თანახმად, გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით, ოფიციალურ სტატისტიკურ ანგარიშებში უნდა შევიდეს სქესის ნიშნით განცალკევებული მონაცემები²¹¹.

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს როლი გენდერული ბიუჯეტირების დანერგვის პროცესში

მნიშვნელოვანია აღინიშნოს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს როლი გენდერული ბიუჯეტირების დანერგვის პროცესში, რადგან საბჭოს სხვადასხვა წლის სამოქმედო გეგმებში ხაზგასმულია გენდერულ ბიუჯეტირებასთან დაკავშირებული საკითხები, როგორც გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამ კუთხით გამოირჩევა საბჭოს მიერ 2014 წელს შემუშავებული დოკუმენტი „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმა²¹²“, რომელშიც მითითებულია როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის ფორმირების პროცესში, პროგრამების სპეციფიკის მიხედვით, გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინების აუცილებლობა.

მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ **2021 წლიდან საქართველოს პარლამენტის პროგრამულ ბიუჯეტში, საკანონმდებლო საქმიანობის ნაწილში (ბიუჯეტის პროგრამული კოდი 01 01 03 02), ასახულია ჩანაწერი გენდერული საქმიანობის შესახებ შემდეგი ფორმულირებით:** „გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება“; ხოლო 2022 წლიდან საბჭოს, საქმიანობის განხორციელების მიზნით, გამოეყო ბიუჯეტი 50 000 ლარის ოდენობით, რაც ცალსახად წინგადადგმული ნაბიჯია გენდერული პოლიტიკის მნიშვნელობის აღიარებისა და გენდერული ბიუჯეტირების დანერგვის კუთხით.

2021 წლიდან გენდერული ბიუჯეტირების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, საბჭომ არაერთი სამუშაო შეხვედრა ჩაატარა და მცირე სამუშაო ჯგუფი შექმნა, მათ შორის – პარლამენტის აპარატის საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისა და პარტნიორი დონორი ორგანიზაციის – გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენლების მონაწილეობით. საბოლოოდ, სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა პარლამენტის გენდერული მგრძობელობის ინდექსი და ანგარიშის ფორმა, რომელიც პირველ ეტაპზე განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტში გენდერული მგრძობელობის

²¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრი. 2011. ბრძანება N385 პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე. დოკუმენტი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: www.mof.ge/images/File/kanonebi-brdzanebebi/ბრძანება%20N385%202011%20წლის%208%20ივლისი.pdf [ბოლოს ნანახია: 08.08.2023].

²¹¹ საქართველოს პარლამენტი. 2014. საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=10> [ბოლოს ნანახია: 08.08.2023].

²¹² გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. 2014. „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმა“. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2235622?publication=0> [ბოლოს ნანახია: 08.08.2023].

ბელობის ხარისხს, მრავალმხრივი გენდერული ჭრილით აფასებს პარლამენტის როგორც საქმიანობას, ასევე სამუშაო გარემოს, სიმბოლურ მნიშვნელობასა თუ ფუნქციებს და ანალიზებს პარლამენტში გენდერული თანასწორობის კუთხით მიმართულ პირდაპირ და არაპირდაპირ საბიუჯეტო ხარჯებს.

აღნიშნული მეთოდოლოგია²¹³ (გენდერული მგრძობელობის ინდექსის კითხვარი, ანგარიშგების ფორმა, შეფასების მეთოდოლოგია შენონილი ქულებით) დამტკიცდა საბჭოს 2021 წლის 23 დეკემბრის სხდომაზე.

გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტის (EIGE) შეფასების²¹⁴ მიხედვით, პარლამენტის გენდერული მგრძობელობის განსაზღვრისას გამოიყო ხუთი ძირითადი მიმართულება:

- ▶ მამაკაცებისა და ქალებისთვის თანაბარი პირობების შექმნა პარლამენტში მოსახვედრად;
- ▶ მამაკაცებისა და ქალებისთვის თანაბარი პირობების შექმნა პარლამენტის საქმიანობაზე გავლენის მოსახდენად;
- ▶ პარლამენტის საქმიანობაში ქალთა ინტერესებსა და საჭიროებებისათვის სათანადო როლის მინიჭება;
- ▶ პარლამენტის მხრიდან გენდერულად მგრძობიარე კანონმდებლობის შექმნა;
- ▶ პარლამენტის შესაბამისობა მის სიმბოლურ ფუნქციასთან.

მექანიზმის მოდელი მოიცავს 5 მიმართულებას და 71 ქვეინდიკატორს/კითხვას, ხოლო შეფასება ყოველი ახალი მონვევის პარლამენტის შეკრებისას და საქმიანობის დასასრულს, ანუ ყოველ 4 წელიწადში ორჯერ არის გათვალისწინებული.

პარლამენტის აპარატთან, კომიტეტებსა და ფრაქციებთან კონსულტაციების შედეგად, 2022 წლის მაისის თვეში მომზადდა მეთექვსმეტე მონვევის პარლამენტის გენდერული მგრძობელობის შეფასების ანგარიში და გამოითვალა შესაბამისი ქულა, რაც საშუალებას იძლევა, განისაზღვროს პარლამენტისა და მისი საქმიანობის ის კომპონენტები, რომლებიც საჭიროებს დამატებით დახვეწას გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ეფექტიანობის ზრდისათვის.

ანგარიშში გამოიკვეთა კრიტიკული საკითხები, რომელთა მიმართულებითაც საქართველოს პარლამენტს ყველაზე დაბალი ქულები მიენიჭა და რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა პარლამენტის გენდერული მგრძობელობის ინდექსის ქულას; ასეთია, მაგალითად²¹⁵: ბიუჯეტში გენდერული ასპექტის ინტეგრირება (გენდერული ბიუჯეტირება), საპარლამენტო საქმიანობაში გენდერული გავლენის ანალიზის დანერგვა (ამ მიმართულებით, შეფასებაში საქართველოს პარლამენტმა 0 ქულა მიიღო), პარლამენტის აპარატში სექსუალური შევიწროების შიდა მექანიზმის ინტეგრირება და ა.შ.

საბოლოოდ, 2022 წლისთვის პარლამენტის გენდერული მგრძობელობა შეფასდა 100-დან 61.78 ქულით. აღნიშნული შეფასებიდან გამომდინარე, პარლამენტში დაინყო შესაბამისი ნაბიჯების დაგეგმვა უწყების გენდერული მგრძობელობის გასაუმჯობესებლად; მაგალითად, საბჭოს ინიციატივითა და USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, დაინყო მუშაობა პარლამენტში სექსუალური შევიწროების შიდა მექანიზმის დასანერგად და შემუშავდა გენდერული გავლენის ანალიზის ინსტიტუციონალიზაციის ეტაპები.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

საქართველოს პარლამენტში გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს გარდა, გენდერული ბიუჯეტირების საკითხებზე აქტიურად მუშაობს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, რომელმაც 2019

²¹³ გენდერული მგრძობელობის ინდექსის კითხვარი, ანგარიშგების ფორმა და შეფასების მეთოდოლოგია შენონილი ქულებით ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://parliament.ge/parliament/councils/51090/documents> [ბოლოს ნანახია: 08.08.2023].

²¹⁴ გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტის გენდერულად მგრძობიარე პარლამენტების შეფასების დეტალური მეთოდოლოგია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: <https://eige.europa.eu/gender-mainstreaming/toolkits/gender-sensitive-parliaments> [ბოლოს ნანახია: 08.08.2023].

²¹⁵ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. 2022. საქართველოს პარლამენტის გენდერული მგრძობელობის შეფასების ინდექსი. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Gender/angarishi/genderi-angarishi-2022.pdf> [ბოლოს ნანახია: 08.08.2023].

წელს გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით, შეიმუშავა „გენდერული ბიუჯეტირების გამკვლევი“²¹⁶. აღნიშნულს ჯერ კიდევ 2015 წელს წინ უძღოდა საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებული მოსაზრებები²¹⁷ საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გათვალისწინებასთან დაკავშირებით.

ამასთანავე, მომზადდა კვლევითი პუბლიკაცია „სახელმწიფო ბიუჯეტი გენდერულ ჭრილში – გენდერული მნიშვნელოვნების ინდექსი“²¹⁸, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამათა გენდერული მნიშვნელოვნების შეფასების ერთიან ჩარჩოს წარმოადგენს. ამავე წელს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, საბიუჯეტო ოფისმა მოამზადა 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზი²¹⁹, რომელიც სწორედ ერთიანი ჩარჩო-ინდექსის მეთოდოლოგიას დაეფუძნა.

საქართველოს მთავრობა

ამასთანავე, საქართველოს მთავრობა საბიუჯეტო პროცესებში გენდერის ინტეგრირებას ახორციელებს. აღნიშნული ინიციატივა გულისხმობს პარტნიორობას ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან, რომლის ფარგლებშიც 2021-2022 წლებში შემუშავდა სპეციალური ტრენინგ პროგრამა გენდერული ბიუჯეტირების შესახებ და ჩატარდა ტრენინგები საჯარო მოხელეებისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების 357-მა საჯარო მოხელემ გაიღრმავა ცოდნა ამ მიმართულებით. ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ ჩატარებულმა ტრენინგებმა მთელი ქვეყანა მოიცვა – საქართველოს მასშტაბით 64-ვე მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები გადამზადდნენ.

საჯარო მოხელეების გადამზადების გარდა, სანყის ეტაპზე გადამზადდნენ შერჩეული ტრენინგები/ექსპერტები, რომლებიც გახდნენ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის სერტიფიცირებული ტრენინგები გენდერულად პასუხისმგებელ ბიუჯეტირებაზე. გარდა ამისა, პროექტის დასასრულს, დამატებით 4-მა მონაწილემ მიიღო მონაწილეობა ტრენინგების ტრენინგში, რათა მათ შეძლონ, მიღებული ცოდნა გაუზიარონ კოლეგებს.

გენდერული ბიუჯეტირების ონლაინ კურსი პრაქტიკულად მზად არის და ის უახლოეს მომავალში განთავსდება ფინანსთა აკადემიის ვებგვერდზე. კურსი უფასო იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის, ასევე გაიცემა სერტიფიკატი მათთვის, ვინც გაივლის კურსს და ონლაინ მოდული კიდევ უფრო გაზრდის ინტერესს გენდერული ბიუჯეტირების თემის მიმართ.

გენდერული ბიუჯეტირება ხელს უწყობს კარგი საბიუჯეტო პრაქტიკის განვითარებას, ისევე, როგორც მთლიანობაში – კარგ მმართველობას. ამ სფეროებში საჯარო მოხელეების ტრენინგი ძალზე მნიშვნელოვანია, რათა მათ შეძლონ გენდერული ასპექტების გათვალისწინება მათი პოლიტიკისა და პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და ანგარიშგების ეტაპებზე.

გარდა ამისა, გენდერული ბიუჯეტირება ხელს შეუწყობს გენდერულ თანასწორობას და რესურსების უფრო სამართლიან განაწილებას.

გენდერული ბიუჯეტირება მუნიციპალიტეტებში

მუნიციპალიტეტებში ინსტიტუციური მექანიზმის დამკვიდრებისას, ბიუჯეტის გენდერულ ანალიზს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიერ 64-ვე მუნიციპა-

²¹⁶ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. 2019. „გენდერული ბიუჯეტირების გამკვლევი“. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://pbo.parliament.ge/ge/rs/rpapers.html> [ბოლოს ნანახია: 08.08.2023].

²¹⁷ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. 2015. საბიუჯეტო ოფისის მოსაზრებების დოკუმენტი. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Gender/gender-2016-bijetis-analizi.pdf> [ბოლოს ნანახია: 08.08.2023].

²¹⁸ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. 2016. პუბლიკაცია „სახელმწიფო ბიუჯეტი გენდერულ ჭრილში“. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/gender_budget_2018.pdf [ბოლოს ნანახია: 08.08.2023].

²¹⁹ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. 2019. სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზი. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/saxelmcfifo_bijetis_genderuli_analizi_2019.pdf [ბოლოს ნანახია: 08.08.2023].

ლიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოებთან პერიოდულად ჩატარებული საკონსულტაციო შეხვედრებისა და მჭიდრო კოორდინაციის საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ ადგილობრივ დონეზე კვლავ პრობლემურია გენდერულ ბიუჯეტირებასთან დაკავშირებული საკითხების ცოდნა და მათი პრაქტიკულად გამოყენება.

საბჭოების უმეტესობას გენდერულ საკითხებთან დაკავშირებულ ინიციატივებსა და სერვისებზე გამოყოფილი თანხები, ძირითადად, პროგრამულ ბიუჯეტში აქვს ინტეგრირებული, რომელიც თემატურად მსგავს მუხლებში აისახება. იმ მუნიციპალიტეტებშიც კი, სადაც საბჭოს წევრებს გავლილი აქვთ ტრენინგი გენდერული ბიუჯეტირების თავისებურებებზე, უჭირთ ქალთა სპეციფიკური საჭიროებების გამოკვეთა, რაც ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დამატებითი პროგრამების, პროექტებისა და ინიციატივების შექმნას გულისხმობს²²⁰.

პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ შიდა მოხმარების მიზნით მომზადებული მასალის²²¹ მიხედვით, 2023 წლისათვის 64 მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოდან 44-ს აქვს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების დახმარების პროგრამა, ხოლო 49 მუნიციპალიტეტს მართხველა მშობლის სტატუსის მქონე პირთათვის სხვადასხვა სერვისი აქვს დაწესებული. აღსანიშნავია, რომ 46 მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია გენდერული თანასწორობის ასპექტები ან/და გამოყოფილია კონკრეტულად გენდერული თანასწორობის საბჭოს ბიუჯეტი. ამ შემთხვევაშიც განსხვავებული პრაქტიკაა დაწესებული ცალკეული მუნიციპალიტეტის მიხედვით, მაგალითად:

2022 წელს მუნიციპალიტეტების მიერ გენდერული თანასწორობის/გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამაზე ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებიდან აღსანიშნავია, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, რომლის ბიუჯეტიდანაც გამოიყო 35 000 ლარი გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ხელშეწყობისთვის, ასევე, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები, რომელთაც 20 000 ლარი ჰქონდათ გამოყოფილი გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობისთვის.

თუმცა, განსხვავებით ზემოთხსენებული მუნიციპალიტეტებისგან საკმაოდ დაბალი იყო გენდერული თანასწორობის საბჭოებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი ასპინძისა და ხარაგაული მუნიციპალიტეტებში.

- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ფაქტობრივ ბიუჯეტს 3000 ლარი წარმოადგენს, რომელსაც საბჭო, დამოუკიდებელი საბიუჯეტო კოდის არარსებობის გამო საერთო ბიუჯეტიდან ითვისებს, ძირითადად ტრენინგებისთვის; ასევე – სკრინინგ პროგრამებში ჩართვისთვის მოქალაქეთა ტრანსპორტირებისათვის.
- ასპინძის მუნიციპალიტეტში კი 3000 ლარი გამოყოფილია კონკრეტულად გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად²²².

აღნიშნული განსხვავება რესურსებში იწვევს უთანაბრობას მუნიციპალიტეტებში მოქმედი გენდერული თანასწორობის საბჭოების საქმიანობასა და მიღწევებში. აქედან გამომდინარე, ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის მექანიზმების გაძლიერება, მათ შორის, მუნიციპალიტეტებში მოქმედი გენდერული საბჭოების ინსტიტუციური გაძლიერება და მათი საქმიანობისთვის საჭირო ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის საჭიროება მკაფიოდ არის აღნიშნული საერთაშორისო რეკომენდაციებშიც.

წარმატებული მაგალითი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

წარმატებულ მაგალითად შეიძლება დასახელდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სადაც 2019 წლის ბოლოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფი-

²²⁰ EECMD. 2020. დოკუმენტი „დამხმარე სახელმძღვანელო დოკუმენტი მუნიციპალიტეტებისათვის გენდერულ ბიუჯეტირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე“. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://eecmd.org/wp-content/uploads/2021/03/WEB_გენდერული-ბიუჯეტირება-1.pdf [ბოლოს ნანახია 18.09.2023].

²²¹ ივლისისხმება 2023 წლის ზაფხულში საბჭოს მიერ შიდა მოხმარების მიზნით მოკვლეული ინფორმაცია მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოების შესახებ.

²²² საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი. 2022. „მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება“ ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://ombudsman.ge/res/docs/2023041823365399348.pdf> [ბოლოს ნანახია: 18.09.2023].

ლებას დაემატა გენდერული თანასწორობის საკითხების ხელშეწყობის ფუნქცია. შედეგად, აღნიშნული წლიდან მოყოლებული, ხორციელდება „გენდერული თანასწორობის, ოჯახებისა და ბავშვების გაძლიერების პროგრამა“. მისი განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში 112 000 ლარით განისაზღვრა. პროგრამა სხვადასხვა მიმართულებით არაერთ აქტივობას მოიცავს, მათ შორის – „ქალთა ოთახის“ დაფინანსებას, ასევე ღონისძიებებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი მონიშნავს აგრეთვე სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების შეგროვების მიმართულებით, რაც საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს ადგილობრივ დონეზე არსებული საჭიროებები და გაითვალისწინონ ქალთა თუ სხვა მონაცვლადი ჯგუფებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების მუნიციპალიტეტის დღის წესრიგის შედგენისას. ამ მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი პრაქტიკულად ყველა მიმართულებით ამუშავებს სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების შეგროვებას.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია პირველია, რომელმაც ქალთა საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით, შექმნა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისია²²³. აღნიშნული ორგანო ხელს უწყობს ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთან მომუშავე უწყებების კოორდინაციას, ინფორმაციის გაცვლას, პრობლემების შესწავლას, წინადადებების შემუშავებას და ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე საბჭოში წარდგენას.

გარდა ამისა, **მუნიციპალიტეტში ოთხი წელია ფუნქციონირებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრი**, რომელიც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის და ქალთა საკონსულტაციო ცენტრის „სახლი“ ერთობლივი პროექტია. 2019-2021 წელს აღნიშნული კრიზისული ცენტრის სოციალური, ფსიქოლოგიური და იურიდიული მომსახურებით ჯამში 102-მა ძალადობის მსხვერპლმა ისარგებლა. აქედან 35-მა ბენეფიციარმა (24 ქალი, 11 ბავშვი) გაიარა რამდენიმეკვირიანი რეაბილიტაცია, ხოლო, 67 ბენეფიციარს გაენია ინდივიდუალური კონსულტაციები ძალადობის მსხვერპლებზე მორგებული სერვისების შესახებ²²⁴.

მუნიციპალური გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შემუშავებას ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, როგორც წესი, წინ უძღვის საკონსულტაციო ჯგუფების შექმნა, რომელთა შემადგენლობაშიც შედიან გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, აგრეთვე საჯარო უწყებების წარმომადგენლები და შშმ პირთა საბჭოსა და ახალგაზრდული საბჭოს წევრები²²⁵. სწორედ მათთან შეხვედრების შემდგომ ხდება სამოქმედო გეგმების შემუშავება, რაც მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებისა და გენდერულად მგრძობიარე ბიუჯეტირების დანერგვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მხარდაჭერა

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გარეშე წარმოდგენილია დემოკრატიული პროცესების განვითარება. სწორედ ამიტომ, გენდერული თანასწორობა, განვითარება და მშვიდობა ვერ მიიღწევა პოლიტიკურ პროცესებში ქალთა საჭიროებებისა და ხედვის გათვალისწინების გარეშე²²⁶. მიუხედავად ამისა, თანაბარი პოლიტიკური მონაწილეობა ძნელად მიიღწევა ბუნებრივი გზით, მეტიც, გაეროს გენერალური მდივნის, ანტონიო გუტერესის მიხედვით, არსებული ტემპით გენდერული თანასწორობის მიღწევას დაახლოებით 300 წელი დასჭირდება²²⁷.

²²³ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია. 2022. მერიის მიერ 2021 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში <https://zugdidi.gov.ge/sites/default/files//2021c.pdf> [ბოლოს ნანახია: 18.09.2023].

²²⁴ იქვე. გვ. 8.

²²⁵ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი. 2022. „მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება“. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://ombudsman.ge/res/docs/2023041823365399348.pdf> [ბოლოს ნანახია: 18.09.2023].

²²⁶ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. 1995. პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა

²²⁷ UN Women and United Nations Department of Economic and Social Affairs, Statistics Division. 2022. Progress on the Sustainable Development Goals. <https://www.unwomen.org/en/digital-library/publications/2022/09/progress-on-the-sustainable-development-goals-the-gender-snapshot-2022> [ბოლოს ნანახია: 12.08.2023].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობა ეტაპობრივად იზრდებოდა, ეს პროცესი ძალიან ნელი ტემპით ხასიათდებოდა. საქართველოში ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ყველა დონეზე, რაც გამოწვეულია არაერთი, მათ შორის – კულტურული, სოციალური თუ ეკონომიკური ფაქტორით.

მაია კუპრავა-შარვაშიძე, გენდერის ექსპერტი და „გენდერული თანასწორობის ქსელის“ კოორდინატორი, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდას აფასებს, როგორც სამართლიანობის უზრუნველყოფის ინდიკატორს:

„ზოგადად, ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში და გენდერული თანასწორობის მიღწევა სამართლიანობის საკითხია და, ამასთანავე, ადამიანის უფლებაც. მით უმეტეს, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას, ისევე, როგორც განათლებული მოსახლეობის დიდ ნაწილს, ქალები წარმოადგენენ. საბოლოო ჯამში, ეს არის ქალების მიმართ ისტორიული უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა“.

მაია კუპრავა-შარვაშიძე აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ქალთა პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლა დაახლოებით ოცდაცხრა წელს ითვლის – ქვეყანამ, პირველი რესპუბლიკის პროგრესული ინიციატივებიდან საუკუნის გასვლის შემდეგ, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის მხარდასაჭერად.

მაგალითად, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მიმართულებით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს, რადგან ქალების წილი პარლამენტში ფაქტობრივად გაორმაგდა და 6%-დან 12%-მდე გაიზარდა²²⁸. თუკი აღნიშნული წლის არჩევნების შედეგად პარლამენტში 18 ქალი იყო წარმოდგენილი, მომდევნო, 2016 წლის არჩევნებზე ეს რიცხვი 24-მდე გაიზარდა და შედეგად, ქალები პარლამენტის სრული შემადგენლობის 16%-ს წარმოადგენდნენ.

მიუხედავად ამ პროგრესისა, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მაჩვენებელი კვლავ დაბალი რჩებოდა, რაც ძნელად თუ დაკორექტირდებოდა ბუნებრივი პროცესებით. სწორედ ამიტომ, **მნიშვნელოვანია 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა**, როდესაც მე-11 მუხლის მე-3 პუნქტში განისაზღვრა, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისთვის და იღებს განსაკუთრებულ ზომებს არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად²²⁹. აღნიშნულმა ჩანაწერმა გზა გაუკვალა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის უზრუნველყოფის საერთაშორისო მექანიზმების დანერგვას და გენდერული მენისტრინგის მრავალმხრივ განვითარებას.

2020 წელს საარჩევნო რეფორმა განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც შემოაღნიშნული კონსტიტუციური პრინციპი საარჩევნო კოდექსშიც აისახა. შედეგად, საქართველოში დაინერგა გენდერული კვოტირების მექანიზმი როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე²³⁰ – საქართველოს პარლამენტმა სავალდებულო გენდერული კვოტები დაადგინა საპარლამენტო და თვითმმართველობის არჩევნებისთვის, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნის შესახებ კანონმა²³¹ მოაწესრიგა შესაბამისი რეგიონის კანონმდებლობა.

აღსანიშნავია, რომ გენდერული კვოტირება მსოფლიოში კარგად გამოცდილი მიდგომაა, რომელიც ერთგვარი გარდამავალი მექანიზმია მანამ, სანამ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა ბუნებრივად არ გაიზრდება.

²²⁸ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. 2017. „ქალები ქართულ პოლიტიკაში – 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ანალიზი“. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://gyla.ge/files/news/2008/ქალები%20ქართულ%20პოლიტიკაში.pdf> [ბოლოს ნანახია: 12.08.2023].

²²⁹ საქართველოს პარლამენტი. 2017. საქართველოს კონსტიტუცია. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [ბოლოს ნანახია: 12.08.2023].

²³⁰ საქართველოს პარლამენტი. 2020. ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“. დოკუმენტი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28324?publication=40> [ბოლოს ნანახია: 12.08.2023].

²³¹ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. 2020. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნის შესახებ კანონი“. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://www.sca.ge/geo/static/259> [ბოლოს ნანახია: 12.08.2023].

მიუხედავად კვოტების გარშემო არსებული უამრავი კრიტიკისა, გენდერული კვოტირება ვერ ჩაითვლება დისკრიმინაციად, რადგან იგი აკომპენსირებს იმ რეალურ ბარიერებს, რომლებიც ხელს უშლის ქალებს, დაიკავონ პოლიტიკური ადგილები და გაარღვიონ „შუშის ჭერი“²³². ამასთანავე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკანონმდებლო ორგანოებში ქალთა შესაბამისი წარმომადგენლობის, ე.წ. „კრიტიკული მასის“²³³ შექმნას, რათა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები და საჭიროებები იქნეს გათვალისწინებული²³⁴. შესაბამისად, კვოტირების მექანიზმი წარმომადგენს არა ქალთა უპირატესობის მიღწევის საშუალებას, არამედ პოლიტიკური გარემოს დემოკრატიზაციისა და სამართლიანი წარმომადგენლობის უზრუნველყოფის ეფექტურ მექანიზმს.

საქართველოში გენდერული კვოტირების მექანიზმის დანერგვას ხანგრძლივი ისტორია აქვს და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირების, სულ მცირე, 5 მცდელობას უკავშირდება. მაია კუპრავა-შარვაშიძე, რომელიც თავად იყო ჩართული კვოტირების შესახებ კვლევითი და საკანონმდებლო ინიციატივების როგორც მომზადების, ასევე ლობირების ყველა ეტაპზე, იხსენებს იმ წარმატებულ და წარუმატებელ ნაბიჯებს, რომლებიც მექანიზმის დანერგვას წინ უძღოდა:

2001 წელს საქართველოში დაიწყო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ბიუროს (OSCE/ODIHR) რეგიონალური პროგრამა „ქალთა უფლებები, გენდერული თანასწორობა და ქალთა მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში“, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა ქალთა ორგანიზაციების კოალიცია და მომწიფდა გენდერული კვოტირების დანერგვის პირველადი იდეა.

- 2008** | გენდერული კვოტირების საკანონმდებლო ინიციატივა მეორედ 2008 წელს იქნა წარდგენილი. არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრის“ მიერ. პროცესს მხარს უჭერდა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტისა და ადამიანის უფლებების დაცვის ოფისი (ODIHR) და ქალთა კოალიციის სამუშაო ჯგუფი „ქალი და პოლიტიკა“.
- 2014** | 2014 წლის მარტში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფი შეიქმნა. მასში დღემდე გაერთიანებულია აღნიშნულ თემაზე მომუშავე 20-ზე მეტი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლებიც ჯგუფის შექმნის დღიდან გენდერული კვოტირების საკითხს კოორდინირებულად უწევდნენ ლობირებას.
- 2015** | 2015 წლის ივნისში მორიგი საკანონმდებლო წინადადება წარედგინა საქართველოს პარლამენტს, სადაც კვოტების თანაფარდობა 50/50-ზე იყო გათვალისწინებული.
- 2016** | 2016 წლის მაისში პარლამენტში გენდერული კვოტირების შესახებ ახალი საკანონმდებლო ინიციატივა წარადგინა პარლამენტის წევრმა ნანა ყვინიშვილმა, რომელიც 30%-იან კვოტირებას ითვალისწინებდა.
- 2017** | 2017 წელს 37 450 ამომრჩევლის ხელმოწერით, საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო წინადადება შევიდა, რომელიც 50%-იან კვოტირებას ითვალისწინებდა.
- 2018** | საკომიტეტო განხილვების შედეგად, 2018 წელს აღნიშნული ინიციატივა კენჭისყრაზე ჩავარდა: 75 ხმის ნაცვლად, მხოლოდ 66 ხმა მოაგროვა, თუმცა პარლამენტის იმჟამინდელმა თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, დააფიქსირა მზადყოფნა ერთი კვირის ვადაში პარლამენტისთვის ახალი წინადადების წარდგენის შესახებ.

²³² 1987 წელს ენ მორისონმა ტერმინი „შუშის ჭერი“ შემოიტანა შრომის ბაზარზე არსებული იმ უხილავი ბარიერის აღსანიშნავად, რომელიც ქალებს და სხვა მარგინალიზებულ ჯგუფებს, მიუხედავად მათი განათლების, კვალიფიკაციის დონისა თუ პროფესიული მიღწევებისა, ხელს უშლის საჯარო თუ კერძო ორგანიზაციებში მაღალი პოზიციები დაიკავონ.

²³³ ქალთა წარმომადგენლობის ის მინიმალური ზღვარი, რომელიც მნიშვნელოვანია არსებითი ცვლილებების უზრუნველსაყოფად და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებზე გავლენის მოსახდენად.

²³⁴ Krook, Mona Lena. 2015. Empowerment versus backlash: gender quotas and critical mass theory.

2020

2020 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ შეიტანა ცვლილებები და, შედეგად, ქვეყანაში გენდერული კვოტირების მექანიზმი დაინერგა.

თუმცა, აღნიშნულ პროცესში არაერთი გამოწვევა გამოიკვეთა:

„პირადად შევხვდი პარლამენტის სპიკერს და პირველ ვიცესპიკერს თამარ ჩუგოშვილს, რომელიც აქტიურად ლობირებდა და დიდ დახმარებას გვინევდა ამ კანონპროექტის განხილვის პროცესში. შეხვედრაზე ბატონმა ირაკლი კობახიძემ დააფიქსირა, რომ პროცენტის დანების შემთხვევაში, ის შეძლებდა ამ კანონპროექტის გატანას და მხარდაჭერის მოპოვებას, რაზეც მე ვუპასუხე, რომ ცვლილების უფლება არ მქონდა, რადგან 37 450 ამომრჩევლის ხელმოწერილი კანონპროექტი იყო წარდგენილი, რომელიც 50/50 პროცენტთან თანაფარდობას გულისხმობდა; ამიტომ პროცენტს მე ვერ შევხებოდი. კანონპროექტს, როგორც უკვე აღვნიშნე, დააკლდა ხმები და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, მომდევნო კვირაში საქართველოს პარლამენტი უნდა დაჰბრუნებოდა გენდერული კვოტირების საკითხს“, – იხსენებს მათა კუპრავა-შარვაშიძე.

აღნიშნულ პროცესში სხვადასხვა პოლიტიკურ აქტორს განსხვავებული პოზიცია ჰქონდა გენდერული კვოტირების შესახებ:

„2018 წელს განხილულ საკანონმდებლო ინიციატივაზე აქტიურ მხარდაჭერას გვინევდა მმართველი პარტია. ოპოზიციური პარტიების პარლამენტარების დიდი ნაწილი, მიუხედავად წინასწარი შეთანხმებისა, ან არ გამოცხადდა სხდომაზე, ან, ვინც იყო, მხოლოდ მცირე ნაწილმა დაუჭირა მხარი და, შედეგად, კანონი ვერ გავიდა“.

საბოლოოდ, 2020 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად საქართველოში 25%-იანი გენდერული კვოტირების მექანიზმი დაინერგა, რაც ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის ეტაპობრივ ზრდას ისახავს მიზნად. პოლიტიკური პარტიები ვალდებულნი გახდნენ, 2028 წლამდე ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებში საარჩევნო ადმინისტრაციისთვის წარსადგენ პროპორციულ სიებში, სულ მცირე, ყოველი მეოთხე კანდიდატი განსხვავებული სქესისა წარადგინონ; ხოლო 2028-2032 წლამდე ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებში კი – მინიმუმ ყოველი მესამე. რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებს, 2020 წლის ცვლილებებით განისაზღვრა, რომ 2028 წლამდე ჩასატარებელი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის წარსადგენ პარტიულ სიაში ყოველი მეორე პირი მაინც განსხვავებული სქესის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. აღნიშნული ჩანაწერი შეიცვალა 2021 წლის 22 ივნისს, როდესაც საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვისას ჩანაწერი „ყოველი მეორე“ ჩანაცვლდა „ყოველი მესამით“.

ამასთანავე, **2020 წელს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ ორგანულ კანონს დამატება 39 პრიმა მუხლი**. აღნიშნული ცვლილება პარტიებისთვის (იმ პოლიტიკური პარტიებისთვის, რომელთა წარდგენილ პარტიულ სიაში ყოველ სამეულში ერთი კანდიდატი განსხვავებული სქესის წარმომადგენელი იქნებოდა) „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მისაღები დაფინანსების 30%-ის ოდენობის დანამატს გულისხმობს და მიზნად ისახავს ქალი კანდიდატების გაძლიერებას.

მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ სწორედ 2020 წელს გადაიხედა საარჩევნო სისტემაც – ურთიერთგაგების მემორანდუმის²³⁵ საფუძველზე, დამტკიცდა ახალი საკონსტიტუციო კანონპროექტი, რაც 120/30 საარჩევნო პროპორციასა და 1% ბარიერს ითვალისწინებდა. საარჩევნო სისტემას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს

²³⁵ მემორანდუმი გაფორმდა 2020 წლის 8 მარტს, მმართველ გუნდსა და ოპოზიციას შორის.

ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაზე, კერძოდ, ქვეყნებში, სადაც პროპორციული საარჩევნო სისტემაა, როგორც წესი, უფრო მაღალია ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის დონე²³⁶, რადგან პოლიტიკურ სუბიექტებს მეტად დივერსიფიცირებული საარჩევნო სიის წარდგენის საშუალება აქვთ, სადაც პოტენციურად უფრო მეტი ქალია წარმოდგენილი კანდიდატად, ვიდრე მაჟორიტარულ სისტემაში. ამასთანავე, დიდი მნიშვნელობა აქვს საარჩევნო ბარიერს, რადგან მაღალი ბარიერის შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ მცირერიცხოვან პარტიებს ერთმევათ შესაძლებლობა, მოიპოვონ ადგილები საკანონმდებლო ორგანოში, მხოლოდ სიის პირველი წევრები მოიპოვებენ მანდატებს, პარტიული სიის პირველ ერთეულებში კი ქალი კანდიდატები იშვიათად ჰყავთ გათვალისწინებული.

კვოტების მოქმედების პირველივე წელს, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობა გაიზარდა: 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად პარლამენტში 30 ქალმა მოიპოვა მანდატი²³⁷, რაც საკანონმდებლო ორგანოს სრული შემადგენლობის თითქმის 20%-ია და წინა, 2016 წლის არჩევნების შედეგებთან შედარებით, 4%-ითაა გაზრდილი. ხოლო მუნიციპალურ დონეზე 2021 წელს ჩატარებული არჩევნების შედეგად, პროპორციული სისტემით არჩეული ქალი კანდიდატების რაოდენობა 19,59%-დან (190 ქალი) 31,41%-მდე (441 ქალი) გაიზარდა²³⁸. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული მაჩვენებელი ჯერ ვერ უტოლდება საერთაშორისოდ მიღებულ 30%-იან „კრიტიკულ მასას“, საქართველოში გენდერული კვოტირების დანერგული სისტემა ქალთა რაოდენობის ეტაპობრივ ზრდას გულისხმობს, მაგალითად, 2028 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ქალთა წარმომადგენლობა 50-მდე უნდა გაიზარდოს, რაც პარლამენტის წევრთა მესამედს წარმოადგენს.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის უზრუნველყოფისთვის შემდეგი ნაბიჯები 2023 წლის თებერვალში გადაიდგა, როდესაც კვოტირების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის ადგილობრივ დონეზე წესი, ე.წ. „ჩამკეტი მექანიზმი“ განისაზღვრა: საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებების შედეგად²³⁹ საქართველოს პარლამენტს გამოკლებული ქალი წევრი დადგენილ ვადაში უნდა ჩანაცვლდეს იმავე პარტიის სიაში შეყვანილი მომდევნო ქალი კანდიდატით, ხოლო მამაკაცის შემთხვევაში მისი ჩანაცვლება არა ავტომატურად სიის მომდევნო წევრი მამაკაცით, არამედ სიის მომდევნო წევრით მოხდება მოხდება, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სიის მომდევნო წევრი იყოს ქალი დეპუტატი. აღნიშნული მექანიზმი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის დამატებითი გარანტიაა, რაც საშუალებას არ მისცემს ცალკეულ პოლიტიკურ სუბიექტებს გვერდი აუარონ კანონით განსაზღვრულ წესებს.

ამავე ცვლილებებით, შეიცვალა კანონის 203-ე მუხლი და გახანგრძლივდა გენდერული კვოტირების მოქმედების ვადა 2032 წლის ოქტომბრის ჩათვლით ჩასატარებელ არჩევნებთან მიმართებით როგორც პარლამენტის, ისე მუნიციპალიტეტის ორგანოთა საერთო არჩევნებისათვის.

მიუხედავად არაერთი გამოწვევისა და ხარვეზებისა, მაია კუპრავა-შარვაშიძე, დადებითად აფასებს საქართველოში გენდერული კვოტირების მექანიზმის დანერგვას:

„რთული გზა გაიარა გენდერული კვოტირების მექანიზმის მიღებამ, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ გზაზე არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობამ ხელისუფლების წარმომადგენლებთან თავისი შედეგი გამოიღო. პირველი და უმთავრესი არის ის, რომ გენდერული კვოტირების მიღება აუცილებელი იყო და, ვფიქრობ, ამ ეტაპზე, მიუხედავად მთელი რიგი უკმაყოფილებისა, რომელიც მე მანუხებს ამ მიმართულებით, შემოიღო ვთქვა: ეს იყო წარმატებული და აუცილებელი ნაბიჯი!

²³⁶ European Parliament. 1997. Differential impact of electoral systems on female political representation. https://www.europarl.europa.eu/workingpapers/femm/w10/2_en.htm [ბოლოს ნანახია: 12.08.2023].

²³⁷ ქალი დეპუტატების შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://parliament.ge/parliament-members> [ბოლოს ნანახია: 12.08.2023].

²³⁸ 2017 წელს პროპორციული სისტემით არჩეული ქალთა რაოდენობა 190-ს შეადგენდა, 2021 წელს კი 441-მდე გაიზარდა.

²³⁹ საქართველოს პარლამენტი. 2020. ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5717699?publication=0#DOCUMENT:1> [ბოლოს ნანახია: 12.08.2023].

ცვლილებებს რაც შეეხება, ვფიქრობ, ამაზე ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი და ასევე, აუცილებელია კვოტების მექანიზმის გაუმჯობესება ანუ 50%-იან კვოტირებამდე მისვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში გვაქვს ის, რაც გვაქვს და ვფიქრობ, არც ორიგინალური ვიქნები თუ ვიტყვი: რაც გვაქვს, ის არ მოგვწონს და ცვლილება გჭირდება!”

საქართველოს პარლამენტის როლი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშესაწყობად

აღსანიშნავია, რომ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდაზე აქტიურად მუშაობს საქართველოს პარლამენტიც. ამ მიზნით, 2021 წლის ზაფხულის პერიოდში გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ინიციატივითა და პარტნიორი განვითარების ორგანიზაციების²⁴⁰ მხარდაჭერით საქართველოს 23 მუნიციპალიტეტიდან 265 ქალი გადამზადდა, რომელთაგანაც 80 მათგანი 2021 წლის არჩევნებისთვის პარტიულ სიაში მოხვდა.

ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ არაერთი ღონისძიება დაგეგმა და განახორციელა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მხარდაჭერი საკანონმდებლო ცვლილებების ხელშესაწყობად. მათ შორის იყო როგორც საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი ზომები, ასევე პარლამენტის შიგნით დაგეგმილი კონსულტაციები.

უნდა აღინიშნოს დეპუტატ ქალთა არაფორმალური თანამშრომლობის პლატფორმა, სადაც პოლიტიკაში ქალთა გამონწვევის საკითხები აქტიურად განიხილებოდა. საანგარიშო პერიოდში საბჭომ კომუნიკაცია განახორციელა პოლიტიკურ პარტიებთან გენდერული კვოტირების მექანიზმის მნიშვნელობაზე და ეფექტიანად გამოყენების საკითხზე. აღნიშნული მიზნით, 2021 წლის 1 ივნისს გაიმართა ინტერპარტიული არაფორმალური შეხვედრა დეპუტატ ქალთა მონაწილეობით. შეხვედრაზე აქცენტი გაკეთდა გენდერული კვოტირების მნიშვნელობაზე, ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის გამონწვევებზე და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებზე.

საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

გარდა ცალკეული აქტივობებისა და საკანონმდებლო ცვლილებებისა, აქტიურად დაიწყო თანამშრომლობა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისა და ქალი კანდიდატების შესაძლებლობების განვითარების მიზნით. ამ კუთხით გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო 2021 წლიდან თანამშრომლობს ეუთოს (OSCE/ODIHR) ვარშავის გუნდთან და მათი გენდერული თანასწორობის მიმართულების ახალ პროექტთან „CHANGE“.

აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, 2022 წელს საქართველო გახდა პირველი ქვეყანა ეუთოს რეგიონში, სადაც მოხდა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ შემუშავებული სახელმძღვანელოს წარდგენა. ამ მიზნით 2022 წლის 12 დეკემბერს საბჭომ ეუთოს დელეგაციას უმასპინძლა, მონაწილეობა მიიღო სახელმძღვანელოს პრეზენტაციასა და შემდგომ სამუშაო შეხვედრაში. სახელმძღვანელო²⁴¹ მიმოიხილავს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემას და გასცემს კონკრეტულ რეკომენდაციებს პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაზრდისა და გაძლიერების მიზნით. იგი შედგება 5 ნაწილისაგან და მნიშვნელოვანი დოკუმენტია პოლიტიკური პარტიებისა და სახელმწიფო უწყებებისთვის ძალადობისგან დაცლილი და უსაფრთხო საარჩევნო გარემოს შესაქმნელად:

²⁴⁰ გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES), საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI).

²⁴¹ ეუთო. 2022. „პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა“. დოკუმენტი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.osce.org/files/f/documents/f/7/534603.pdf> [ბოლოს ნანახია: 13.08.2023].

- **ინსტრუმენტი 1** – შესავალი განმარტავს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას და აღწერს ეფექტური პრევენციის, მსხვერპლთა დაცვის, დამნაშავეთა სამართლებრივი დევნისა და პოლიტიკის კოორდინაციის საკითხებს.
- **ინსტრუმენტი 2** – პარლამენტებისთვის – წარმოადგენს მონაცემებსა და კარგი პრაქტიკების ნიმუშებს პარლამენტებისთვის სახელმძღვანელოდ და პარლამენტში და პარლამენტს მიღმა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ღონისძიებების შესამუშავებლად.
- **ინსტრუმენტი 3** – პოლიტიკური პარტიებისთვის – ეხმარება პოლიტიკურ პარტიებს, გადადგან ნაბიჯები თავიანთ სტრუქტურებში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად.
- **ინსტრუმენტი 4** – სამოქალაქო საზოგადოებისთვის – მიმოიხილავს სამოქალაქო საზოგადოებისა და ქალთა მოძრაობების როლს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.
- **ინსტრუმენტი 5** – პოლიტიკაში ჩართული ქალებისთვის – წარმოადგენს გზამკვლევს ამ სახის ძალადობის შედეგად პირდაპირ ან არაპირდაპირ დაზარალებული ქალებისთვის იმის შესახებ, თუ როგორ მიიღონ დახმარება და დაცვის საშუალებები.

ამასთანავე, ეუთოსთან მიმდინარე თანამშრომლობის ფარგლებში, 2023 წლის ნოემბერში ჩატარდა საქართველოში პირველი ახალგაზრდა პოლიტიკოს ქალთა 5 დღიანი აკადემია, რომელიც განკუთვნილია ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის წევრი ქალებისთვის და მათი, როგორც პოლიტიკის აქტორების, გაძლიერებას ისახავს მიზნად. მსგავსი აკადემია²⁴² პირველად ეუთომ 2021 წლის დეკემბერში, სტამბოლში ჩაატარა და მასში საქართველოს დელეგაციის წევრებიც იღებდნენ მონაწილეობას. იქიდან გამომდინარე, რომ აკადემია ქალების პოლიტიკური მონაწილეობის წახალისებას ისახავს მიზნად, მას მნიშვნელოვანი როლი შეუძლია შეასრულოს აღნიშნული კუთხით ინსტიტუციური ცოდნის თავმოყრის მიმართულებითაც, რისი გამოცდილებაც მანამდე ნაკლებად ყოფილა.

კანონმდებლობის გენდერული გავლენის შეფასების მეთოდოლოგიის (GIA) დანერგვა

გენდერული გავლენის შეფასება (ასევე ხშირად მოხსენიებული, როგორც GIA) გენდერული მენისტრიმინგის²⁴³ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტის მიდგომის თანახმად²⁴⁴, გენდერული გავლენის შეფასება ნიშნავს კანონის, პოლიტიკის ან პროგრამის ანალიზს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება განისაზღვროს, რა ალბათობით მოახდენს კონკრეტული გადანყვებილება/ინიციატივა ნეგატიურ ან/და პოზიტიურ გავლენას ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის მდგომარეობაზე. საინტერესოა აგრეთვე ევროკომისიის განმარტებაც, რომლის თანახმად, გენდერული გავლენის შეფასება ნიშნავს არსებული სიტუაციისა და ტენდენციის შეფასებას გენდერული კრიტერიუმების მიხედვით და შედარებას რეკომენდებული პოლიტიკის დანერგვის შედეგად მიღებულ მოვლენებთან²⁴⁵. ევროკომისიაში გავლენის შეფასებები თან ახლავს საკანონმდებლო, მარეგულირებელ და სხვა პოლიტიკურ წინადადებებს, რომელთაც აქვთ ეკონომიკური, სოციალური გავლენა ან/და გარემოზე ზეგავლენა და რომლებიც წარმოდგენილია კომისიის სამუშაო პროგრამაში ან პოლიტიკის წლიურ სტრატეგიაში.

²⁴² ეუთოს აკადემიის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე: <https://www.osce.org/odihr/525399> [ბოლოს ნანახია: 13.08.2023].

²⁴³ ევროპის საბჭოს განმარტებით, გენდერული მენისტრიმინგი გულისხმობს გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და პერსპექტივის ინტეგრირებას პოლიტიკის, პროგრამებისა თუ პროექტების შემუშავების ყველა ეტაპზე.

²⁴⁴ EIGE. 2023. What is gender impact assessment. <https://eige.europa.eu/gender-mainstreaming/toolkits/gender-impact-assessment/what-gender-impact-assessment> [ბოლოს ნანახია: 13.08.2023].

²⁴⁵ European Commission. 1998. A guide to gender impact assessment. <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/91d046cb-7a57-4092-b5d3-e4fd68097bb2> [ბოლოს ნანახია: 13.08.2023].

ევროკავშირის ქვეყნებში ამა თუ იმ ფორმით გენდერული გავლენის შეფასება კანონმდებლობის შემუშავების განუყოფელ და სავალდებულო ნაწილს წარმოადგენს²⁴⁶. სწორედ ამიტომ, საქართველოს დასავლური მისწრაფების პარალელურად, აღნიშნული მექანიზმი სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან როლს იძენს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ეტაპებზე. ამასთანავე, გენდერული გავლენის შეფასების გამოყენება პოლიტიკის დაგეგმვის და საკანონმდებლო პროცესებში მიიხედავს კარგი მმართველობის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. ინსტრუმენტის ძლიერი მხარეა ის მოცემულობები, რომ იგი უზრუნველყოფს პოლიტიკის და კანონმდებლობის შექმნის პროცესში მამაკაცებისა და ქალების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას, გენდერულ უთანასწორობათა იდენტიფიცირებას რესურსებზე ხელმისაწვდომობასთან და მის კონტროლთან მიმართებით, გენდერული როლებისა და გენდერული სტერეოტიპების გავლენის გათვალისწინებას, ასევე, გენდერული თანასწორობისადმი მხარდაჭერი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებას.

გენდერული გავლენის შეფასება, ფაქტობრივად, კითხვების დასმის ფორმით მიმდინარეობს. პროცესის ცენტრალური შეკითხვაა – ამცირებს, ინარჩუნებს თუ ზრდის გენდერულ უთანასწორობას ესა თუ ის კანონი, პოლიტიკის დოკუმენტი ან პროგრამა²⁴⁷.

საქართველოში გენდერული გავლენის ანალიზის დანერგვის პროცესი აქტიურად მიმდინარეობდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) და სხვა პარტნიორი საერთაშორისო, დონორი და ადგილობრივი ორგანიზაციების ჩართულობით. პარალელურად, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2017 წლის სამოქმედო გემაში²⁴⁸ პირველად გაჩნდა ჩანაწერი (ამოცანა 2.7) საპილოტე გენდერული გავლენის ანალიზის შესახებ, რომელიც 5 საკანონმდებლო წინადადებას ან ინიციატივას უნდა ჩასტარებოდა.

აღნიშნული ინიციატივის მხარდასაჭერად, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) თანამშრომლობით, 2018 წელს შემუშავდა გენდერული ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგია²⁴⁹, რომელიც მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენდა GIA-ს პილოტირების ეტაპზე და შექმნა ერთგვარი ჩარჩო საპილოტე საქმიანობის სამართავად.

ერთიანი ძალისხმევის შედეგად, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობითა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, საქართველოს პარლამენტში გენდერული ზეგავლენის ანალიზი ჩაუტარდა ისეთ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებსა და ინიციატივებს, რომლებსაც არსებითი გავლენა შეიძლება მოეხდინათ ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, მათ შორის:

- დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი – **მცირე მენარშეობის დაბეგვრისა და საშემოსავლო გადასახადის ზოგიერთი ასპექტის გენდერული გავლენის შეფასება;**
- ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი – **ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების გენდერული გავლენის შეფასება;**
- იურიდიულ საკითხთა კომიტეტი – **გენდერული გავლენის ანალიზი ოჯახში ძალადობისა და გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ინიცირებულ კანონპროექტზე;**
- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი – **შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონპროექტის გენდერული გავლენის ანალიზი**²⁵⁰;

²⁴⁶ EIGE. 2016. გენდერული გავლენის შეფასების სახელმძღვანელო დოკუმენტი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://eige.europa.eu/publications-resources/publications/gender-impact-assessment-gender-mainstreaming-toolkit?language_content_entity=en [ბოლოს ნანახია: 13.08.2023].

²⁴⁷ EIGE. 2023. What is gender impact assessment. <https://eige.europa.eu/gender-mainstreaming/toolkits/gender-impact-assessment/what-gender-impact-assessment> [ბოლოს ნანახია: 13.08.2023].

²⁴⁸ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. 2017. სამოქმედო გემა ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Gender/gender-samoqmedo-gegma-2017.pdf> [ბოლოს ნანახია: 13.08.2023].

²⁴⁹ NDI და გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. 2018. გენდერული ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://parliament.ge/parliament/councils/51090/documents> [ბოლოს ნანახია: 13.08.2023].

²⁵⁰ საქართველოს პარლამენტი. 2019. შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონპროექტის გენდერული გავლენის ანალიზი. ხელ-

- სპორტისა და ახალგაზრდობისა საქმეთა კომიტეტი – **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის გენდერული გავლენის ანალიზი**²⁵¹.
- საბჭო პარლამენტის სხვადასხვა კომიტეტებთან თანამშრომლობით – **საქართველოს ნარკოპოლიტიკის რეფორმის გენდერული გავლენის ანალიზი**²⁵².

2021 წელს საქართველოს პარლამენტში გენდერული გავლენის ანალიზი არ ჩატარებულა, თუმცა პარლამენტი აქტიურად გადავიდა საპილოტე რეჟიმიდან GIA-ს კანონშემოქმედებით პროცესში დანერგვის ეტაპზე. სწორედ ამ მიზნით, 2021 წლის აპრილში გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ინიციატივით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც საბჭოს წევრებთან და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან ერთად პარტნიორი დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც შედიოდნენ.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი, კაორი იშიკავა, იხსენებს, თუ რატომ გადაწყვიტეს ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა და გამოკვეთეს GIA-ს მნიშვნელობას:

„ტრადიციულად, პოლიტიკასა და კანონმდებლობას ხშირად მიიჩნევენ, როგორც გენდერულად ნეიტრალურ ინსტრუმენტებს; თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ დამკვიდრებულია სტრუქტურული უთანასწორობა და, მიუხედავად იმისა, რომ კანონი კაცსა და ქალს ერთნაირად ეხება, ქალები მაინც მონყვლად მდგომარეობაში რჩებიან, რადგან მათი „სასტარტო პოზიციები“ განსხვავდება კაცებისაგან. სწორედ ამიტომ, პოლიტიკის დაგეგმვის კარგი მექანიზმი არის ის, რომელიც ითვალისწინებს არსებულ გენდერულ უთანასწორობას ქალთა და მამაკაცთა ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სოციალურ სფეროებში, ასეთი კი სწორედ GIA-ა“.

სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით მომზადდა შიდა სამუშაო მეთოდოლოგია, რომელიც საწყის ეტაპზე ითვალისწინებდა გენდერული გავლენის ანალიზის ორეტაპიან პროცესს, კერძოდ, საბჭოს უნდა შეეთავსებინა პარლამენტში მთავარი მაკორდინირებელი ორგანოს ფუნქცია და დადგენილი სტანდარტის მეშვეობით განესაზღვრა, თუ რომელ კანონპროექტებზე/ინიციატივებზე უნდა მომზადებულიყო სრულყოფილი GIA. თავდაპირველმა ვერსიამ სამუშაო პროცესში არაერთი ცვლილება განიცადა და, საბოლოოდ, 2022 წლის ოქტომბერში მოხდა ცვლილებების ინიცირება, იმავე წლის დეკემბერში კი პარლამენტმა საბოლოოდ მოახდინა გენდერული გავლენის ანალიზის ინსტიტუციონალიზაცია საქართველოში.

„ჩვენ პირდაპირი ტექნიკური მხარდაჭერა გავუწიეთ პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივის შემუშავების მიზნით. პროცესში პრიორიტეტად დავისახეთ კოორდინაცია და როგორც განვითარების პარტნიორების, ისე სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობა. ამავდროულად, გადამწყვეტი როლი იქონია ადვოკატირების აქტიურმა კამპანიამ და ეროვნულ დონეზე არსებული დაინტერესებული მხარეების ცნობიერებისა და შესაძლებლობების ზრდამ“. – იხსენებს კაორი იშიკავა.

ინტენსიური მუშაობის შედეგად, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში²⁵³ შევიდა ცვლილებები, რამაც ხელი შეუწყო GIA-ს ინსტიტუციური ჩარჩოსა და მექანიზმის ჩამოყა-

მისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://parliament.ge/parliament/councils/51090/documents> [ბოლოს ნანახია: 13.08.2023].

²⁵¹ საქართველოს პარლამენტი. 2019. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის გენდერული გეგმის ანალიზი. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://pbo.parliament.ge/images/Sport_Gender_Analysis_GEO_2020.pdf [ბოლოს ნანახია: 13.08.2023].

²⁵² საქართველოს პარლამენტი. 2019. ნარკოპოლიტიკის რეფორმის გენდერული გავლენის ანალიზი. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/UNDP_GE_DG_Gender_Impact_Analysis_Drug_Reform_201712.pdf [ბოლოს ნანახია: 13.08.2023].

²⁵³ საქართველოს პარლამენტი. 2022. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=37> [ბოლოს ნანახია: 13.08.2023].

ლიბებას. ცვლილება ძირითადად კანონშემოქმედებით და ნორმატიული აქტების მომზადების პროცესს შეეხო, რომლის შედეგადაც აუცილებელი გახდა, ავტორსა და ინიციატორს წარმოედგინათ საკუთარი შეხედულებები და პოზიციები იმასთან დაკავშირებით, თუ რა გავლენა შეუძლია მოახდინოს ინიციატივამ გენდერული თანასწორობის მიმართულებით. კერძოდ, განმარტებით ბარათში აღნიშნული უნდა ყოფილიყო გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება.

ცვლილებით განისაზღვრა, რომ გენდერული გავლენის შეფასების განხორციელება სავალდებულოა ყველა ახალი საკანონმდებლო აქტის კანონპროექტის მომზადებისას და ყველა საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტის მომზადებისას.

აღნიშნული ცვლილების პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამდივნომ მოამზადა სახელმძღვანელო დოკუმენტი განმარტებით ბარათში გენდერული გავლენის ასპექტის ხარისხიანად შეფასებისათვის. მიუხედავად წარმატებული შედეგისა, სამუშაო პროცესს, რა თქმა უნდა, არ ჩაუვლია გამოწვევების გარეშე და აღნიშნული გამოწვევების ნაწილი დღემდე ინარჩუნებს აქტუალურობას; როგორც კაორი იშკავა აღნიშნავს:

„გამოწვევებს შორის გამოვყოფდი რამდენიმეს, მაგალითად: ჩართული მხარეების ინფორმირებულობის დაბალი დონე GIA-ს მნიშვნელობის შესახებ, ისევე, როგორც გენდერული მენისტრის განსახორციელებლად უნარებისა და შესაძლებლობების ნაკლებობა იყო და ნაწილობრივ რჩება საქართველოში GIA-ს რეფორმის განხორციელების მთავარ გამოწვევად. ამ სირთულეების გადასაჭრელად, წლების განმავლობაში გაეროს ქალთა ორგანიზაციამ განვითარების პარტნიორებთან ერთად მნიშვნელოვანი ინვესტიცია ჩადო GIA-ს ეროვნული შესაძლებლობების გასაძლიერებლად. ამასთანავე, სამოქალაქო საზოგადოებასთან სტრატეგიულმა პარტნიორობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან წარმატებულ ადვოკატირებაში. საბოლოოდ კი, ამ ერთიანმა ძალისხმევამ გამოიწვია GIA-ს საქართველოში დანერგვა“.

თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს ამ მიმართულებით განხორციელებული პროგრესიც: **კარგი პრაქტიკის მაგალითად უნდა აღინიშნოს პარლამენტში საანგარიშო პერიოდისთვის ყველაზე ახალი გენდერული გავლენის ანალიზის დოკუმენტი**, რადგან მისი რეკომენდაციები დაუყოვნებლივ აისახა შესაბამისი კანონპროექტის სამუშაო ვერსიაში, რაც განსაკუთრებით გამჭვირვალეს ხდის კანონშემოქმედებით პროცესს.

კერძოდ, 2022 წლის დეკემბერში პარლამენტმა წარადგინა გენდერული თანასწორობის საბჭოს, აგრარულ საკითხთა კომიტეტისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის ერთობლივი მუშაობის შედეგად, „სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების შემცირებისა და სურსათის შენარჩუნების შესახებ“ კანონპროექტის საფუძველზე მომზადებული გენდერული გავლენის შეფასების ანგარიში²⁵⁴. პრეზენტაციას წინ უძღოდა სამუშაო ჯგუფის მიერ, ექსპერტის ჩართულობით ჩატარებული 8-თვიანი კვლევა და სამუშაო შეხვედრები. სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტდა საბჭოსა და შესაბამისი კომიტეტების წევრი დეპუტატებისა და აპარატის თანამშრომლებით.

აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ორგანოს პარალელურად, პარტნიორი დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, ხელისუფლების აღმასრულებელ შტოშიც აქტიურად დაიწყო მუშაობა სიღრმისეული გენდერული გავლენის ანალიზის პრაქტიკაში დანერგვის მიმართულებით, რაც მეტყველებს GIA-ს შესახებ ცნობიერების ზრდაზე და ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს. მაგალითად,

- **საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობის ფარგლებში, 2020 წელს მომზადდა სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავლის“ გენდერული გავლენის შეფასება**²⁵⁵. გენდერული კუთხით საფუძვლიანი ანალიზის შედეგად, პროგრამა შეფასდა, როგორც „გენდერუ-

²⁵⁴ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. 2022. გენდერული გავლენის შეფასების ანგარიში. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/sabcho/genderi/sursatis-danakargebi/GIA-Food-Loss-final-Georgia.pdf> [ბოლოს ნანახია: 13.08.2023].

²⁵⁵ გაეროს ქალთა ორგანიზაცია. 2020. სახელმწიფო პროგრამის გენდერული გავლენის შეფასება. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://iset-pi.ge/ka/publications/ria/3000-saxelmtsipho-programa-danerge-momavlis-genderuli-zegavlenis-shephaseba> [ბოლოს ნანახია: 13.08.2023].

ლად ბრმა“, რადგან ის უგულებელყოფდა ქალისა და მამაკაცის განსხვავებულ როლებს, შესაძლებლობებს, არსებულ უთანასწორობას, ძირითად საჭიროებებსა და კონტექსტს, განსაკუთრებით – საქართველოში რესურსებზე წვდომის პრაქტიკული მიდგომის გათვალისწინებით.

- **საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2023 წელს დაიწყო მუშაობა გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასების საპილოტე პროექტზე**, თავდაცვის კოდექსის პროექტის ორ თავთან მიმართებით; 2022 წლის 28 დეკემბერს მოხდა აღნიშნული თავდაცვის კოდექსის პროექტის საქართველოს პარლამენტში ინიცირება.²⁵⁶
- **2023 წლის მაისში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით მოამზადა „მეუღლეთა ქონების, როგორც თანასაკუთრების, შესახებ სამართლებრივი ჩარჩოს გენდერული ზეგავლენის შეფასება“**, რომლის ფარგლებშიც გაიცა 20 რეკომენდაცია შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიმართ.

მსგავსი მაგალითები კიდევ ერთხელ ადასტურებს ქვეყანაში გენდერული ზეგავლენის შეფასების განვითარებისთვის პოლიტიკურ ნებასა და მზადყოფნას, რათა კიდევ უფრო მეტად დაიხვეწოს კანონშემოქმედებითი პროცესი და კანონმდებლობა გახდეს გენდერულად მგრძობიარე.

თუმცა, მიუხედავად განხორციელებული პროგრესისა, გენდერული გავლენის ანალიზის მიმართულებით, ჯერ კიდევ უამრავი სამუშაო წინ. სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებში საკმაოდ დაბალია ცოდნა თავად მექანიზმის შესახებ, რაც სისტემურ და ხანგრძლივ მიდგომას საჭიროებს; ხოლო სიღრმისეული GIA-ს ჩატარება მნიშვნელოვან დროს მოითხოვს და როგორც საბიუჯეტო, ისე ადამიანურ რესურსთანაა დაკავშირებული, რაც დამატებითი გამოწვევაა მუდმივად შეზღუდული რესურსების პირობებში. სწორედ ამ მიზეზებიდან გამომდინარე, საქართველოში დაინერგა სიღრმისეული გენდერული გავლენის ანალიზის ჩატარებისას გარე²⁵⁷ რესურსებით სარგებლობის პრაქტიკა, რაც არამდგრადი მიდგომაა მექანიზმის ეფექტური და ეფექტიანი მუშაობისთვის.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, კვლავ გაგრძელდეს მუშაობა პროგრესის შესანარჩუნებლად და არსებული გამოწვევების დასაძლევად, რისთვისაც მზადაა, აქტიურად გააგრძელოს თანამშრომლობა ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან:

„საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, ამასთანავე, საკანონმდებლო პროცესებში GIA-ს თანმიმდევრული გამოყენების უზრუნველსაყოფად, მომდევნო ლოგიკური ნაბიჯი იქნება საკანონმდებლო რეფორმის ეტაპობრივი გაფართოება და სიღრმისეული GIA-ს სავალდებულოება. გაეროს ქალთა ოფისი მზადაა, გააგრძელოს საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა GIA-ს რეფორმის განხორციელებაში; ასევე, მზად ვართ ხელი შევუწყოთ გენდერული მენისტრინგის უფრო ფართოდ დანერგვას, გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების შესახებ საქართველოს საერთაშორისო და ეროვნული ვალდებულებების შესაბამისად“, – აღნიშნავს კაორი იშიკავა.

საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩართულობა გენდერული თანასწორობის მხარდაჭერასა და ცნობიერების ამაღლების პროცესებში

საზოგადოების ჩართულობა და მხარდაჭერა მნიშვნელოვანი წინაპირობაა ნებისმიერი დემოკრატიული პროცესის წარსამართავად; აღნიშნული კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც საქმე საზოგადოებაში თანასწორობის დამკვიდრებას ეხება.

²⁵⁶ საქართველოს პარლამენტი. 2022. „თავდაცვის კოდექსის“ შესახებ. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://parliament.ge/legislation/25591> [ბოლოს ნანახია: 13.08.2023].

²⁵⁷ იგულისხმება ე.წ. „outsourcing“.

სწორედ ამიტომ, საზოგადოების ჩართულობა და გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება განსაზღვრულია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის²⁵⁸ 76-ე მუხლითა და გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დებულების²⁵⁹ მე-4 მუხლში; შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საბჭოს სამოქმედო გეგმებსა და ყოველწლიურ საქმიანობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს; თუმცა, ცნობიერების ამაღლების მიზნით განუვლი ძალისხმევა განსაკუთრებით 2021 წლიდან გაძლიერდა, როდესაც საბჭომ შექმნა ახალი საკომუნიკაციო არხები და გააძლიერა თანამშრომლობა ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

საბჭო აქტიურად იყენებს არაერთ მედია პლატფორმასა და სოციალურ ქსელს;

საბჭოს საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ასევე უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, სადაც პროაქტიულად თავსდება ინფორმაცია საბჭოს საქმიანობების შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე, მათ შორის: იდება ანონსი საბჭოს სხდომებისა და თემატური მოკვლევების ზეპირი მოსმენების შესახებ, ქვეყნდება საბჭოს მიერ დამუშავებული ანგარიშები და სხვა დოკუმენტები, ინერება სიახლეები საბჭოს მიერ ჩატარებული შეხვედრებისა და საბჭოს წევრების მიერ სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების შესახებ და სხვა. ინფორმაციის გავრცელების მსგავსი მრავალმხრივი მიდგომა „ღია მმართველობის“ ერთ-ერთი პრინციპია და მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს.

აღნიშნული პლატფორმების აქტიურად გამოყენების შედეგად, 2021 წლიდან მკვეთრად გაიზარდა საბჭოს შესახებ ცნობიერება, რაც პირდაპირ აისახება როგორც სოციალურ ქსელებში დაინტერესებული პირების მხრიდან მომართვიანობაზე, ასევე საბჭოსთან თანამშრომლობის სურვილის მქონე ორგანიზაციების რაოდენობაში.

2020-2022 წლებში გაიზარდა საბჭოს მიერ განხორციელებული სამუშაო შეხვედრების რაოდენობა თბილისსა და რეგიონებში – მაგალითად, საბჭოს აქტიურობა უკანასკნელ 2 წელში ისე გაიზარდა, რომ თუკი 2020 წლამდე წელიწადში სამუშაოდ 100-მდე სამუშაო შეხვედრა ტარდებოდა, საბჭომ 2021 წელს – 140, ხოლო 2022 წელს – 218 სამუშაო შეხვედრა ჩაატარა თბილისსა და ქვეყნის რეგიონებში ცალკეული დონორებისა და უწყებების ჩართულობით ისეთ საკითხებზე, როგორცაა: სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და განხილვის საკითხები; ქალთა პოლიტიკური გაძლიერება და ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში; ინკლუზიური საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა ქალთა გაძლიერების გზით; მენარმე ქალთა მენტორობის პროგრამის დანერგვა; ოჯახისადმი მეგობრული პოლიტიკა სამუშაო ადგილებზე და სხვა.

აღსანიშნავია, რომ სამწლიანი (2022-2024) სამოქმედო გეგმის²⁶⁰ ფარგლებში საბჭომ გამოყო პრიორიტეტები თითოეული წლისათვის, რის საფუძველზეც 2022 წლის პრიორიტეტად განისაზღვრა ცნობიერების ამაღლება, ქალთა მონაწილეობის გაზრდა ტექნოლოგიებში და ICT სფეროში; აგრეთვე, მუნიციპალურ დონეზე არსებული გენდერული თანასწორობის მხარდაჭერის უზრუნველყოფა. ამ მიზნით, დამატებით შეიქმნა შიდა სამუშაო სამოქმედო გეგმა და საკომუნიკაციო პლატფორმა მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავებისათვის.

2022 წლიდან საბჭოს საქმიანობა კიდევ უფრო გაფართოვდა და მოიცვა მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოებიც. სწორედ მათი მხარდაჭერის და გაძლიერების მიზნით, 2022 წლის განმავლობაში საბჭო ვიზიტით ეწვია და შეხვდა 60 მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოების წარმომადგენლებს. აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭომ ჩამოაყალიბა მუნიციპალური თანამშრომლობის პლატფორმა და ე.წ. „დონორთა მეფინგი“ (დონორთა რეგიონში განაწილების ერთგვარი რუკა), რომლის ფარგლებშიც ადგილობრივ დონეზე დაიგეგმა და განხორციელდა მნიშვნელოვანი აქტივობები, რაც ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლობის კარგი პრაქტიკის მაგალითია და ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლების ზრდას გენდერული თანასწორობის საკითხების გარშემო.

²⁵⁸ საქართველოს პარლამენტი. 2018. პარლამენტის რეგლამენტი. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://parliament.ge/legislation/reglament/1412> [ბოლოს ნანახია: 13.08.2023].

²⁵⁹ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. 2019. საბჭოს დებულება. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Gender/genderuli-debuleba.pdf> [ბოლოს ნანახია: 13.08.2023].

²⁶⁰ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს სამოქმედო გეგმები. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://parliament.ge/parliament/councils/51090/documents> [ბოლოს ნანახია: 15.08.2023].

აგრეთვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ **საბჭოს ინიციატივითა და პარტნიორი დონორი ორგანიზაციების UNDP და IFES-ის ტექნიკური მხარდაჭერით, შეიქმნა პირველი ელექტრონული ბიბლიოთეკა,**²⁶¹ რომელიც უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის საკითხზე ინსტიტუციური მეხსიერების დაგროვებას/შენახვას და ქართული თუ უცხოეთიდან მასალის ერთ სივრცეში თავმოყრას. აღნიშნული ბიბლიოთეკის პრეზენტაცია, საბჭოს 2022 წლის საქმიანობის შეჯამებასთან ერთად, 19 დეკემბერს გაიმართა და მას დაესწრნენ როგორც ახალგაზრდები, რომლებიც ბიბლიოთეკის ძირითად სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ, ასევე საბჭოს პარტნიორები სახელმწიფო უწყებებიდან, აგრეთვე წარმომადგენლები ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

გარდა ამისა, 2022 წელს პირველად გენდერული თანასწორობის საბჭომ გამოაცხადა **კონკურსი**, რომლის საფუძველზეც გენდერული თანასწორობის მიღწევის, ამ კუთხით ცნობიერების ამაღლებისა და ქალთა გაძლიერების საქმეში წვლილის შეტანისათვის განსაკუთრებული ღვაწლის მქონე პირებს საბჭომ მადლობა გამოუცხადა. პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა კონკურსის წესი,²⁶² გამარჯვებულთა შერჩევის კრიტერიუმები და საკონკურსო ჟიური. გამარჯვებულები შეირჩნენ ღია კონკურსით. კანდიდატთა ნომინირება 1 თვის განმავლობაში შეეძლოთ როგორც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, ასევე პარლამენტის გენდერული საბჭოს წევრებს, სახელმწიფო უწყებებსა და მინიმუმ 10 ადამიანისაგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფს. ჟიურის მიერ მინიჭებული ქულების საფუძველზე გამოვლინდა 2 გამარჯვებული, რომელთა დაჯილდოებაც საქართველოს პარლამენტის სასახლეში 2022 წლის 22 სექტემბერს გაიმართა.

2023 წლიდან საბჭომ აქტიურად დაიწყო თანამშრომლობა ახალგაზრდებთან გენდერული თანასწორობის საკითხებში მათი ცნობიერების ამაღლებისა და განვითარების მიზნით. მოსწავლეებთან და სტუდენტებთან რეგულარული საინფორმაციო შეხვედრების გარდა, საქართველოს პარლამენტმა დაიწყო 2 მასშტაბური პროექტის განხორციელება:

კერძოდ, **2023 წლის აპრილიდან გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის, ნინო წილოსანის ინიციატივითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანია დაიწყო.**²⁶³ აღნიშნული კამპანიის ფარგლებში, საბჭო ყოველკვირეულად პარლამენტში მასპინძლობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლებს: მოსწავლეებს უტარდებათ საინფორმაციო ექსკურსია პარლამენტარობის შესახებ, რის შემდეგაც ხვდებიან გენდერული თანასწორობის საბჭოს; ეცნობიან საბჭოს საქმიანობას, გენდერული თანასწორობის არსსა და მნიშვნელობას და დისკუსიის რეჟიმში განიხილავენ მათთვის საინტერესო საკითხებს.

ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროში ახალგაზრდების, განსაკუთრებით კი გოგოების ჩართვის მიზნით, საბჭომ 2022 წლის აპრილიდან წარმოიწყო ახალი საინფორმაციო კამპანია,²⁶⁴ რომლის ფარგლებშიც საბჭოს წევრები ექსპერტთან ერთად ეწვივნენ საქართველოს 6 ქალაქს.²⁶⁵ ორსაათიანი შეხვედრების ფარგლებში საბჭოს წარმომადგენლები ხვდებოდნენ ადგილობრივ ახალგაზრდებს და დისკუსიის ფორმატში განიხილავდნენ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებებს და აღნიშნული საკითხის პრიორიტეტულობას, გენდერული თანასწორობის პოლიტიკას და გოგოების ტექნოლოგიების სფეროში ჩართვის მნიშვნელობას. შეხვედრების დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ახალგაზრდებისთვის იმ კონკრეტული შესაძლებლობების გაზიარებას, რომლებიც სახელმწიფო ტექნოპარკებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის საშუალებით მათთვის ხელმისაწვდომია.

²⁶¹ ელექტრონული ბიბლიოთეკა შეგიძლიათ დეტალურად იხილოთ შემდეგ ბმულზე: <http://genderequality.ge/> [ბოლოს ნანახია: 15.08.2023].

²⁶² საბჭოს 2022 წლის 31 მაისის ოქმი. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/sabcho/genderi/oqmebi/2022/11.pdf> [ბოლოს ნანახია: 15.08.2023].

²⁶³ ინფორმაცია კამპანიის შესახებ. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://parliament.ge/media/news/nino-tsilosani-akhalgazrda-taoba-aris-is-mtavari-ram-razets-chven-unda-gavaketot-aktenti> [ბოლოს ნანახია: 15.08.2023].

²⁶⁴ ინფორმაცია კამპანიის შესახებ. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.facebook.com/GenderEquality-Council/posts/pfbid0Rcaj6VWjq78gmiGUB5LkgxjMizi4sS81sq3zSE7rmKx96emYsiZUuysYXQH1vbTUI> [ბოლოს ნანახია: 15.08.2023].

²⁶⁵ რუსთავი, თელავი, გურჯაანი, ქუთაისი, ოზურგეთი და დუშეთი.

აღსანიშნავია, არასამთავრობო სექტორის როლი და ჩართულობა გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების პროცესში. ქალთა უფლებების დაცვის, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები (მათ შორის, „საფარი“, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG)“, „ქალების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის (ფემეა)“, „ქალები საქართველოდან“, მოძრაობა ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის (MAEE), შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მშობელთა ორგანიზაციების კოალიცია „მოძრაობა ცვლილებებისთვის“, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), საქართველოს ყრუთა კავშირი, შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ქსელი, მშობელთა საინფორმაციო ცენტრი (PIC) და სხვ.) სხვადასხვა სახის აქტივობის, ღონისძიების ორგანიზებით, მათ შორის, ტრენინგების, კონფერენციების, ინტერვიუების ჩატარებით თუ უშუალოდ ძალადობის მსხვერპლთათვის დახმარების/რეაბილიტაციის სერვისების მიწოდებით, უზრუნველყოფენ გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და უმცირესობების წარმომადგენელთა (ქალები, შშმ პირები, ეთნიკური უმცირესობები, და სხვ.) ინტეგრაციის ხელშეწყობას, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე.

ადმასრულებელი ხელისუფლების მიერ განხორციელებული ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები

რაც შეეხება ადმასრულებელ ხელისუფლებას, გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, ისევე, როგორც ძალადობის პრევენცია და მსხვერპლთა დაცვა, საქართველოს მთავრობისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია.

კოვიდ პანდემიის პერიოდში, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის გაზრდილი რისკების შესამცირებლად, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისმა კომისიამ (შემდგომში კომისია) შეიმუშავა **ოჯახში ძალადობის საკომუნიკაციო სტრატეგია** და აწარმოა განგრძობადი ცნობიერების ამაღლების კამპანიები მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის გაზრდილი რისკის საპასუხოდ, ადამიანის უფლებათა საბჭოს კომისიის წევრი საჯარო უწყებები, სამოქალაქო საზოგადოებასთან და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, ერთი მხრივ, აწვდიდნენ ინფორმაციას მოსახლეობას ძალადობის შეტყობინების ალტერნატიული გზების შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, მყისიერად რეაგირებდნენ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე, უზრუნველყოფდნენ მსხვერპლთა დაცვის სერვისების უწყვეტ რეჟიმში მიწოდებას და აგრძელებდნენ მოსახლეობის ინფორმირებას ძალადობის მიუღებლობასთან დაკავშირებით.

ინფორმაცია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისგან დაცვის არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ გავრცელდა ქვეყანაში მოქმედ სააფთიაქო და სასურსათო მაღაზიათა ქსელებში. ასევე, საინფორმაციო პოსტერები განთავსდა საკარანტინო სასტუმროებში ქვეყანაში დაბრუნებული მოქალაქეებისთვის.

ამავე თემას მიეძღვნა 2020 წლის ყოველწლიური 16 დღიანი გლობალური კამპანია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. კამპანია გზავნილით – **„იმოქმედე ძალადობის წინააღმდეგ“** თითოეული მოქალაქის მხრიდან ძალადობის აღსაკვეთად ქმედითი ნაბიჯების წახალისებას ისახავდა მიზნად. ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე სამთავრობო უწყებებმა 100-ზე მეტი თემატური ღონისძიება ჩაატარეს. 2021 წელს კამპანიას კერძო სექტორიც შეუერთდა. 16-დღიანი კამპანია საქართველოში გაეროს მუდმივი წარმომადგენლის ოფისის, გაეროს ქალთა ორგანიზაციის, გაეროს განვითარების პროგრამის, გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით ჩატარდა. მის ფარგლებში მომზადდა სხვადასხვა სახის საინფორმაციო მასალა, მათ შორის – ვიდეორგოლები სახელმწიფო სერვისების შესახებ, პოსტერები, ბროშურები და ა.შ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო

2021 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროში სქესობრივ დანაშაულებზე გამოძიებულთა სპეციალიზაციის პროცესი დაიწყო. შესაბამისი ტრენინგ პროგრამა ევროპის საბჭოს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის, „თანასწორობა ახლას“ და შინაგან საქმეთა სამინისტროს მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავდა და მიზნად ისახავს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოძიებლებისთვის სექსუალური ძალადობის საქმეების ეფექტიანი გამოძიებისთვის ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებას, მსხვერპლზე ორიენტირებული და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენებას და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებისთვის ეფექტიანი საქმეების მომზადებას. სქესობრივ დანაშაულებზე სპეციალიზაციის კურსი უკვე გაიარა სამინისტროს სხვადასხვა ტერიტორიული და სტრუქტურული ერთეულის 240-მდე გამოძიებელმა.

შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 25 მარტის ბრძანებით, დამტკიცდა ბავშვის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის ფაქტების გამოძიების სტანდარტული ოპერაციული პროცედურები, რომელთა მიზანია ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრში – ბარნაჰუსში სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ჩადენილ და მომიჯნავე დანაშაულებზე გამოძიების იმდაგვარად წარმართვა, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების პროცესი.

ამასთანავე, შინაგან საქმეთა სამინისტროს **ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ საქართველოს მასშტაბით გადამზადდა 248 პოლიციის თანამშრომელი**, მათ შორის – გამოძიებლები და დანაყოფების ხელმძღვანელები, რომლებიც უკვე სერტიფიცირებული არიან სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საქმეებზე გამოძიების კუთხით. ჩატარებული ტრენინგპროგრამა მიზნად ისახავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოძიებლებისთვის სექსუალური ძალადობის საქმეების ეფექტიანი გამოძიებისთვის სრულყოფილი ცოდნის მიღებას როგორც სამართლებრივ ნაწილზე, ისე ფსიქოლოგიურ ასპექტებზე, მსხვერპლის გამოკითხვის თავისებურებებსა თუ მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის არსსა და მნიშვნელობაზე.²⁶⁶

კამპანია „ნუ წაართმევ ბავშვობას“

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2018 წლიდან, ტრადიციულად 1 ივნისს, შინაგან საქმეთა სამინისტრო ბავშვობის ასაკში ქორწინების ხელშემწყობი დანაშაულების აღმოფხვრისა და ამ საკითხზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, ასევე, აღნიშნული დანაშაულის შესახებ სამართალდამცველებისთვის დროული შეტყობინების მიზნით, საინფორმაციო კამპანიას, სახელწოდებით – „ნუ წაართმევ ბავშვობას“ ახორციელებს.

კამპანიის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები პარტნიორი უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, თემატურ შეხვედრებს მართავენ თბილისსა და რეგიონებში სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან.

საქართველოს პროკურატურა

საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, რომელიც 2017 წელს დამტკიცდა, ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი მექანიზმის ეფექტიანად გამოყენებისა და აღნიშნული დანაშაულის პრევენციის მიზნით, შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები განისაზღვრა:

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა;
- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ფაქტების გამოვლენის მექანიზმების გაუმჯობესება;
- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება;
- სისხლის სამართლის საქმეებზე ეფექტიანი გამოძიების წარმოება;
- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ფაქტების შემცირება;
- პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება;

²⁶⁶ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 14 აგვისტოს წერილი N MIA 6 23 02358099.

- სხვა სტრუქტურებთან ურთიერთობის გაღრმავება და პრევენციულ ღონისძიებებში საზოგადოების ჩართვა.

პროკურატურა აქტიურად მუშაობდა სტრატეგიით დასახული მიზნების მისაღწევად. 2020 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს გენერალური პროკურატურის **2021-2025 წლების სტრატეგიაზე**, რომელიც დამტკიცდა და ახალი სტრატეგიის ფარგლებში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა კვლავ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა.

ოჯახში ძალადობასთან და ქალთა მიმართ ძალადობასთან, განსაკუთრებით – სექსუალურ ძალადობასთან, ბრძოლა საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთი პრიორიტეტია და მიუხედავად პანდემიისა, პროკურორებმა დაუყოვნებლივ ჩაატარეს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები დაუსაბუთებელი შეფერხების გარეშე და, იმის გათვალისწინებით, რომ პროკურორებს ჰქონდათ სათანადო მტკიცებულება, დაუყოვნებლივ მიანიჭეს პირს დაზარალებულის სტატუსი.

საქართველოს პროკურატურამ დანერგა სექსუალური შევიწროების მექანიზმი და ამ დროისთვის საქართველოს პროკურატურის 552-მა თანამშრომელმა გაიარა გადამზადება.

2019-2022 წლებში საქართველოს პროკურატურა აქტიურად იყო ჩართული ევროპის საბჭოს ცნობიერების ამაღლების კამპანიაში – „მე ვირჩევ თანასწორობას“. პროკურატურის წარმომადგენლებმა სულ 9 საინფორმაციო შეხვედრა გამართეს თანასწორობისა და შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ. შეხვედრებზე ფართოდ განიხილეს ეთნიკური უმცირესობების სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები.

შეხვედრები გაიმართა სხვადასხვა ქალაქში: გარდაბანში, თბილისში, მარნეულში, ბოლნისში, ახალციხეში, ნინოწმინდაში, ხელვაჩაურში. შეხვედრებს ესწრებოდნენ ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, მათ შორის ქალები, შშმ პირები და იძულებით გადაადგილებული პირები, ასევე, სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები, წალკის, მარნეულის, დმანისის და თეთრიწყაროს საჯარო სკოლების მოსწავლეები, მათ შორის ეთნიკური უმცირესობები. საერთო ჯამში, შეხვედრებს დაახლოებით 500 ადამიანი ესწრებოდა.

ნათია მერებაშვილი

საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე (2020 წლიდან დღემდე)

„2022 წლის 6 ოქტომბერს, დეპარტამენტის ორგანიზებით, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში აშშ-ს საელჩოსა და გავროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, ფემიციდის წინააღმდეგ მასშტაბური საინფორმაციო კამპანია „არა ფემიციდს“ დაიწყო. ფემიციდის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის მიზანს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ფემიციდის დანაშაულების პრევენცია წარმოადგენს. კამპანიის დაგეგმვა დაახლოებით 3 თვე გაგრძელდა, შემუშავდა ფემიციდის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებში მთელი საქართველოს მასშტაბით 200-ზე მეტი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა“.

ფემიციდის წინააღმდეგ კამპანიის ფარგლებში, სპეციალიზებულმა პროკურორებმა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს ყველა რეგიონში საინფორმაციო შეხვედრები გამართეს საზოგადოებასთან. პროკურორები საბავშვო ბაღების წარმომადგენლებს, საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურებს, მასწავლებლებს, მოსწავლეებს, სტუდენტებს, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს შეხვდნენ. მათ მონიხსნეს ძალადობის მსხვერპლთა მომსახურე დაწესებულებებში მოთავსებული დაზარალებულები, შეხვდნენ სოციალურ მუშაკებსა და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს. კამპანიის ფარგლებში:

- მომზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლები ცნობილი მოღვაწეებისა და პროკურორების მონაწილეობით.
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, დაიბეჭდა ბუკლეტები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. კამპანიაში აქტიურად იყვნენ ჩართულები, როგორც ადგილობრივი არა-სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე პროკურორები.
- საქართველოს სხვადასხვა ქალაქში 40-მდე სარეკლამო ბანერი და ვიდეომონიტორი მოეწყო.

- კამპანიის ფარგლებში საქართველოს პროკურატურა თანამშრომლობდა 15-ზე მეტ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან და სახელმწიფო უწყებასთან.
- პროკურორებმა და პროკურატურის მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორებმა მონახულეს ძალადობის მსხვერპლთა დაწესებულებები და შეხვდნენ მსხვერპლ ქალებს საქართველოს ოთხ ქალაქში: თბილისში, გორში, სენაკსა და ზუგდიდში.
- უწყებებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, პროკურორებმა და მონმეთა და მსხვერპლთა კოორდინატორებმა გამართეს მრავალსექტორული სამუშაო შეხვედრა იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში დანაშაულის მსხვერპლთა მომსახურებას.
- საქართველოს პროკურატურამ კახეთში, მთიანეთსა და სამცხე-ჯავახეთში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მრავალსექტორული ადგილობრივი საბჭოს სხდომა.
- საქართველოს ექვსი ქალაქის სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის პროკურორებმა საჯარო ლექციები წაიკითხეს.
- კამპანიის ფარგლებში სპეციალიზებულმა პროკურორებმა გამართეს საინფორმაციო შეხვედრები საბავშვო ბაღების, მათ შორის თბილისის ყველა საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორებთან. შეხვედრებს სულ 190 კოორდინატორი ესწრებოდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი სახელმწიფო დაწესებულებების მიერ, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის მიმართულებით ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები ხორციელდებოდა როგორც საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, ასევე, სემინარებისა და ტრენინგების სახით. საკვალიფიკაციო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ისწავლება ზოგადი, ე.წ. სავალდებულო მოდული „სამოქალაქო განათლება“, რომლის ერთ-ერთი სწავლის შედეგი მიზნად ისახავს პროფესიული სტუდენტებისთვის ადამიანის უფლებებთან და თანასწორობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებასა და ცნობიერების ამაღლებას.

2018 წლიდან 2020 წლის ჩათვლით, პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ორგანიზებითა და ჩართულობით, პროფესიული სტუდენტებისთვის, საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის და სკოლის მოსწავლეებისთვის განხორციელდა რიგი ღონისძიებები საკითხებზე: გენდერული თანასწორობა, ქალთა მიმართ ძალადობა, ოჯახში ძალადობა, პროფესიული განვითარებისას დასაქმებულთა გენდერული თანასწორობის პრობლემები, სოფლად მცხოვრები ქალები, გენდერული სტერეოტიპების დაძლევა, ბულინგი და სხვა.

აღნიშნულ საკითხებზე სემინარები/ტრენინგები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ჩატარდა პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი 19 საგანმანათლებლო დაწესებულების ჩართულობით; სულ ჩატარდა 62 ღონისძიება და 2500-მდე მსმენელმა მიიღო ინფორმაცია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

არაფორმალური განათლების მიმართულებით, 2020 წლის თებერვალში ჩატარდა მოსწავლეთა ესეების კონკურსი თანასწორობის საკითხებზე. აღნიშნული კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილ საკონკურსო ნამუშევრებში მოზარდებმა გამოხატეს საკუთარი ხედვა და დამოკიდებულება ისეთი საკითხების მიმართ, როგორებიცაა: ადამიანის უფლებები, ძალადობის, ბულინგის, დისკრიმინაციის, მათ შორის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, ადრეული ქორწინების რისკები, მულტიკულტურალიზმი და სხვა. კონკურსებში მონაწილეობას იღებდნენ VIII-XII კლასის მოსწავლეები. საუკეთესო ნამუშევრების ავტორები დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

გარდა ამისა, საქართველოს **განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ**, 2020 წლის 16 ნოემბრიდან 10 დეკემბრის პერიოდში, **ორგანიზება გაუწია სკოლებში ძალადობის წინააღმდეგო კვირეულის გამართვას.** აღნიშნული კვირეული ჩატარდა ონლაინ სივრცეში. კამპანიის მიზანი იყო ძალადობის (ბულინგი, ოჯახური ძალადობა, ადრეული ქორწინება და სხვა) პრევენცია და სკოლებში უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა. აღნიშნული კვირეულის ფარგლებში საქართველოს ზოგადსაგან-

მამანათლებლო სკოლებში ჩატარდა სხვადასხვა აქტივობა: კვირეულის ფარგლებში სამოქალაქო განათლების მასწავლებლებმა მოსწავლეებს დისტანციურ რეჟიმში ჩაუტარეს გაკვეთილები ძალადობის თემაზე;

კამპანიის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებმა ნახეს და განიხილეს თემატური ფილმები და ანიმაციები, ნაიკითხეს და განიხილეს თემატური წიგნები/ზღაპრები; გაიმართა ონლაინ დისკუსიები დისკრიმინაციაზე, ძალადობასა და მათი აღმოფხვრის გზებზე, მომზადდა პრეზენტაციები, შეიქმნა კომიქსები, ნახატები, სლოგანები, ვიდეომიმართვები, ბლოგები და სხვა.

კამპანიის ფარგლებში შექმნილი აქტივობების თაობაზე ინფორმაცია სკოლებმა განათავსეს თავიანთ ვებ-გვერდზე.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, თავიანთი ავტონომიურობის ფარგლებში, განხორციელებული აქვთ მთელი რიგი აქტივობები, კერძოდ, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხები ასახულია საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, როგორც კერძო, ასევე, საჯარო, საგანმანათლებლო პროგრამებში, მოდულებსა და სასწავლო კურსებში, (მაგ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის – „ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანმრთელობითი განათლება“, სასწავლო გეგმაში არის მოდული „ადამიანის უფლებები“. ამ მოდულის ფარგლებში ისწავლება საკითხი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის შესახებ. ეს მოდული ასევე ისწავლება სამაგისტრო პროგრამაში – „რეაბილიტაციაში მრჩეველი“. გარდა ამისა, უნივერსიტეტების მიერ გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციის მიმართულებით ჩატარებულია ტრენინგები და სხვა აქტივობები, მაგალითად, საინფორმაციო შეხვედრები, გამოფენები ადგილობრივი ექსპერტებისა და საერთაშორისო დონორების მონაწილეობით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში განხორციელდა ოჯახში ძალადობის საკითხების ინტეგრირება სამშვიდობო ოპერაციების გადასროლის წინა მომზადების, აგრეთვე, გადასროლის შემდეგ რეაბილიტაციის პროგრამებში. ასევე, სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიასთან თანამშრომლობით, თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომელთათვის პერიოდულად ხორციელდება ტრენინგი თემაზე: „ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის ფსიქოლოგიური ასპექტები“.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო რეგულარულად ახორციელებს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს.

- ყოველწლიურად იუსტიციის სამინისტრო აწყობს უფასო იურიდიულ ტრენინგებს დაინტერესებული პირებისთვის, სკოლის მოსწავლეებისთვის და სტუდენტებისთვის ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის, სამართლებრივი დაცვის, გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის თემებზე;
- Covid-ის პანდემიის დროს იუსტიციის სახლები (PSH) განუწყვეტლივ ემსახურებოდნენ მომხმარებლებს და აწვდიდნენ 470-მდე საჯარო სექტორისა და ზოგიერთი კერძო სექტორის მომსახურებას, როგორც ონლაინ, ისე, საჭიროების შემთხვევაში, PSH-ში პანდემიის პრევენციისთვის დადგენილი წესების სრული დაცვით;
- 2019 წლის იანვრიდან, **იუსტიციის სასწავლო ცენტრი**, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა ესკორტის ოფიცრებისთვის ორგანიზებას უწევს „ესკორტის ოფიცრების საორიენტაციო კურსს“. კურსის ფარგლებში, ინტეგრირებულია 3-საათიანი ტრენინგი „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სამართლებრივი საშუალებები“. ტრენინგი მაქსიმალურად ითვალისწინებს მიზნობრივი ჯგუფის სპეციფიკას და საქმიანობის თავისებურებებს, ემსახურება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართ მოსამსახურეთა მგრძობელობის ამაღლებას და ინფორმირებას.

- „ესკორტირების ოფიცრის საორიენტაციო კურსის“ ფარგლებში, 2020 წლის 21-22 სექტემბერს ჯამში 21 ესკორტირების ოფიცერს (2 ჯგუფი: 11 და 10 მონაწილე) ჩაუტარდა ტრენინგი „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღკვეთის სამართლებრივი საშუალებები“.
- 2020 წლის აგვისტოში, საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა აქტუალურ თემაზე ჩატარდა უფასო ტრენინგები, მათ შორის იყო „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სამართლებრივი საშუალებები“ (3 ჯგუფი / 16 მონაწილე); „ქალთა უფლებები“ (1 ჯგუფი / 6 მონაწილე).

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ 2020 წლის 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე გაიმართა კამპანია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს **საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს** დაქვემდებარებაში არსებულმა სსიპ სახელოვნებო ორგანიზაციებმა.

მოეწყო კინოჩვენებები, ონლაინ ტრანსლაციით გადაიყვანა სპექტაკლები და კონცერტები, რომელთა სლოგანებიც იყო: „არა ძალადობას!“, „არა ქალთა მიმართ ძალადობას!“. ნაჩვენები იყო 4 სპექტაკლი, სამი ფილმი, პროექტის „ცოცხალი წიგნები“ ფარგლებში ქალი პოეტებისა და მწერლების ვიდეოპორტრეტების ჩვენება. ფოლკლორის ცენტრმა გამართა კონცერტები კამპანიის მხარდასაჭერად. ასევე, კულტურული მემკვიდრეობის მიმართულების ორგანიზაციები, მუზეუმები ჩაერთნენ კამპანიაში „კულტურაში ქალთა როლისა და სახის შესახებ“ ლექციებით. ასევე, სოციალური კუთხით ქალთა თემატიკის განხილვა გაიმართა სალექციო ფორმატში. სულ 19-მა სსიპ სახელოვნებო ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა ზემოაღნიშნულ კამპანიაში 30 ღონისძიებით.

კამპანიაში ასევე ჩაერთნენ სპორტის ხუთი სახეობის: ფეხბურთის, კალათბურთის, ამერიკული ფეხბურთის, ხელბურთისა და ჩერლიდინგის სპორტსმენები, მსაჯები და ადმინისტრაციული პერსონალი, ჯამში – 100-ზე მეტი მონაწილე. მასალა გაშუქდა მედიის, ვებგვერდებისა და სოციალური მედიის მეშვეობით, ჰეშთეგით #სპორტი-ძალადობის წინააღმდეგ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

სამინისტრო აქტიურად მუშაობს ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის პრევენციის მიზნით. კერძოდ, 2020 წელს შიდა ქართლის ექიმებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „როგორ ამოვიცნოთ ძალადობა. სახელმწიფოში არსებული სამართლებრივი მექანიზმები“. კონფერენციას ესწრებოდა 22 მონაწილე და მიმართული იყო ძალადობის საკითხებზე შესაბამისი უწყებებისათვის მიმართვის თემაზე. ტრენინგის ერთ-ერთი ტრენერი იყო შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენელი.

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო აქტიურად მუშაობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე, ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს, ტრენინგებს, ავრცელებს ინფორმაციას (სოციალური ქსელი, საინფორმაციო ბროშურები, საინფორმაციო კლიპები) დახმარების ხაზისა და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სერვისების შესახებ.

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში ძალადობის მსხვერპლთათვის 24-საათიანი ცხელი ხაზი ფუნქციონირებს. ნებისმიერ მსურველს შეუძლია დარეკოს ცხელ ხაზზე: 116 006 და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ცხელი ხაზის კონსულტაციები ადამიანებით ვაჭრობის, ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის, სექსუალური ძალადობის საკითხებზე ხელმისაწვდომია 9 ენაზე, სერვისი უფასო და ანონიმურია.

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსა და სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. თანამშრომლობის ერთ-ერთი მიზანია მარტოხელა დედების, ოჯახში, სექსუალური ძალადობის მსხვერპლების, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება და ამ გზით მათი დასაქმების ხელშეწყობა შრომის ბაზარზე.

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო ყოველწლიურად უერთდება გლობალურ კამპანიას და საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობისა და სერვისების შესახებ.

2020

2020 წლის 4 დეკემბერს საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, ქალთა მიმართ და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16-დღიანი სამთავრობო კამპანიის ფარგლებში, გაიმართა საჯარო მოხელეთა ფორუმი, თემაზე – „სექსუალური შევიწროების დეფინიცია და რეაგირების გზები“. ფორუმს საქართველოს მასშტაბით 100-მდე საჯარო მოხელე დაესწრო და მას გაუძღვნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის უფროსი.

2020-2021

2020-2021 წლების განმავლობაში, **სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროსთან** თანამშრომლობით, ადამიანის უფლებების საკითხებზე სიღრმისეული ინფორმაცია 800-ზე მეტ საჯარო მოხელეს მიენიჭა. მათ შორის იყო საჯარო მოხელეთა ფორუმები სექსუალური შევიწროების, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ასევე ჩატარდა ფორუმი თემაზე „გენდერი საჯარო სამსახურში“.

საანგარიშო პერიოდში საჯარო მოხელეთა მონაწილეობით გაიმართა რამდენიმე საერთაშორისო ვიზიტი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. მათ შორის – ერთ-ერთი ვირტუალური ვიზიტი ესპანეთის სამეფოს წარმომადგენლებთან, რომლის ფარგლებშიც ქართველმა და ესპანელმა კოლეგებმა ერთმანეთს გაუზიარეს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მუშაობის გამოცდილება.

2022

2022 წლის ნოემბერს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტომ კამპანიის ფარგლებში გამართა საინფორმაციო შეხვედრები საქართველოს მასშტაბით: ქალაქებში თბილისში, ქუთაისში, გორში, ბათუმში, ზუგდიდში, თელავში, სიღნაღში, მარნეულსა და ოზურგეთში ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეებთან, სტუდენტებთან და დაინტერესებულ პირებთან.

შეხვედრები ჩატარდა ინტერაქტიულ რეჟიმში; მონაწილეებს მიენიჭათ ინფორმაცია მათი უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე და პრევენციულ ღონისძიებებზე.

ამას გარდა, ადამიანის უფლებებსა და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემაზე იმართებოდა რეგიონული შეხვედრები მასწავლებლებთან და სკოლების დირექტორებთან. შეხვედრები ჩატარდა ბათუმში, ზუგდიდში, თელავში, ბორჯომში, გარდაბანში და ა.შ. შედეგად, ადამიანის უფლებების საკითხებზე, მათ შორის – ბავშვის უფლებების, თანასწორობისა და ოჯახში ძალადობისაგან დაცვის მექანიზმებზე სიღრმისეულ განხილვებში 250-ზე მეტმა მასწავლებელმა და დირექტორმა მიიღო მონაწილეობა.

დაგეგმილი საინფორმაციო კამპანიები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით

ცნობიერების ამაღლების კამპანიები ამჟამადაც მიმდინარეობს და მათ შორის ამ კამპანიების განხორციელების შესახებ ინფორმაციას მოიცავს სხვადასხვა პოლიტიკის დოკუმენტი:

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განსახორციელებლად 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმით განისაზღვრა ერთ-ერთ ამოცანად პრევენციული ღონისძიებების განხორციელება: კერძოდ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების ცნობიერების ამაღლება ძალადობისა და „ადამიანის უსაფრთხოების“ საკითხებზე. აქედან

გამომდინარე, ჩამოყალიბდა შესაბამისი აქტივობები, რომლებიც აღნიშნულის განხორციელებას ხელს შეუწყობს:

- ▶ საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან, გოგოებთან და მათი ოჯახის წევრებთან;
- ▶ საკონსულტაციო/საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, ასევე – საქართველოს მასშტაბით, რეგიონების შესაბამისად მცხოვრებ დევნილებთან და დევნილთა ჩასახლებებში;
- ▶ დევნილი ქალებისა და გოგოების საჭიროებების კვლევა, მათ შორის – ძალადობის საკითხებზე ცნობიერების შესახებ;
- ▶ უსაფრთხოების სექტორში სექსუალური ძალადობის, გენდერული ნიშნით ძალადობის, სექსუალური შევიწროების ფაქტების პრევენციისა და მათზე ეფექტური რეაგირების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა ან/და გაუმჯობესება;
- ▶ სექსუალური ძალადობის, გენდერული ნიშნით ძალადობის, ოჯახში ძალადობის საკითხების ინტეგრირება გადასროლის წინა/შემდგომი მომზადებისა და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროგრამაში.

გარდა ამისა, **ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმით** გათვალისწინებული პირველი მიზანია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართ საზოგადოებაში ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრების ხელშეწყობა და პრევენციის მექანიზმების გაუმჯობესება. მისი ამოცანაა, ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის მიზნით, ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებსა და მსხვერპლის დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურებაზე საზოგადოების ინფორმირების გაზრდა და ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექცია.

სწორედ ამ მიზნით, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია:

- ▶ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება;
- ▶ ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობასთან და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული საკითხების მიმართულებით პროფესიული სტუდენტების ცნობიერების ამაღლება;
- ▶ მოძალადე მსჯავრდებულებისთვის მოქმედი ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციის პროგრამების გადახედვა, შემდგომი დახვეწა და დანერგვა და ასევე ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციის პროგრამ(ებ)ის მოდიფიცირება და საგანგებო სიტუაციებისას, მათ შორის, პანდემიის პირობებში, მოძალადე პირებისთვის მიწოდება.

გარდა ამისა, **ცნობიერების ამაღლების მიმართულებით**, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია:

- ▶ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის მიზნებისთვის თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების თანამშრომელთა პროფესიული უნარების განვითარებისთვის ტრენინგების ჩატარება;
- ▶ ჯანდაცვის სისტემაში (უნყვეტი სამედიცინო განათლების სფეროში) ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე აკრედიტებული ელექტრონული სასწავლო მოდულის დანერგვა;
- ▶ ადვოკატებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებისთვის – ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სასწავლო ღონისძიებების ჩატარება.

სამოქმედო გეგმაში მნიშვნელოვანი წილი ასევე ეთმობა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სამართალდამცავთა და პროკურორთა პროფესიული უნარების გაძლიერებას. აღნიშნული მიმართულებით ასევე მნიშვნელოვანია განათლების სამინისტროს მიერ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა, რაც სწორედ სამოქმედო გეგმით არის გათვალისწინებული, მათ შორის – საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან ოჯახში ძალადობის შემთხვევათა შეტყობინების გაუმჯობესების მიზნით.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, ასევე მნიშვნელოვანია ქალთა უფლებების დაცვისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების როლიც, რომლებიც აქტიურად ახორციელებენ საინფორმაციო კამპანიებს, მათ შორის, ადგილობრივ დონეზე საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფისთვის სხვადასხვა აქტივობის, ღონისძიების ორგანიზებით.

თავი IV. გენდერული მენისტრიმინგი და მისი გეგმობითი როლი

გენდერული მენისტრიმინგი გენდერული თანასწორობის მიღწევის ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია მისი განგრძობად პროცესად დასახვა, რომელიც გაცდება თანასწორობის ფორმალურ მიდგომას და შედეგად არსებითი თანასწორობის მიღწევას დაისახავს.²⁶⁷

გენდერული მენისტრიმინგი ითვალისწინებს ქალების და კაცების პრიორიტეტებისა და საჭიროებების, გარემოებების ინტეგრაციას პოლიტიკის, პროექტებისა და პროგრამების ფორმირების პროცესში. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს გეგმობითი როლის დასაფუძვლები, რომელთა საშუალებითაც ხდება გენდერული მენისტრიმინგის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებით, ცვლილებებითა და ღონისძიებებით დასახული მიზნების შესრულების მონიტორინგი.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისთვის სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, განხორციელებული ცვლილებებისა და გადადგმული ნაბიჯების სიღრმისეულად შესწავლისთვის ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის საზედამხებველო მექანიზმი – თემატური მოკვლევა. თემატური მოკვლევა მოქალაქეების, ექსპერტებისა და დაინტერესებული ორგანიზაციების პირდაპირი ჩართულობით ხორციელდება, რასაც თან სდევს პრობლემების დადგენა და მათ შესაბამისად, ცალკეული უწყებებისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

თემატური მოკვლევის არსიდან გამომდინარე, აღნიშნული საზედამხებველო ინსტრუმენტის და მის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის წვლილი მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიმართულებით არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებისა და მათ დასაძლევად საპასუხო ნაბიჯების, ბერკეტების შემუშავებისთვის.

თემატური მოკვლევების საზედამხებველო მექანიზმი პარლამენტში

ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში დროდადრო ჩნდება საკითხები, რომელთა გადაჭრაც სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებს. ხშირად თავად პრობლემის სწორი იდენტიფიცირებაც შეუძლებელია საკითხის სათანადოდ შესწავლის გარეშე. სწორედ მსგავსი საკითხების დეტალურად შესწავლისთვის არაერთი მექანიზმი არსებობს, რომელთა შორის გვხვდება თემატური მოკვლევა.

თემატური მოკვლევა საზედამხებველო ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობითაც საპარლამენტო კომიტეტები და მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოები:

- მოქალაქეების, ექსპერტებისა და დაინტერესებული ორგანიზაციების პირდაპირი ჩართულობით შეისწავლიან კონკრეტულ საკითხს;
- გამოკვეთენ პრობლემებს;
- შემუშავებენ რეკომენდაციებს ცალკეული უწყებების მიმართ.

2018 წელს საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა რეგლამენტში²⁶⁸, რაც, ერთი მხრივ, საკანონმდებლო, მეორე მხრივ, საზედამხებველო ფუნქციების გაძლიერებას ისახავდა მიზნად. პარლამენტი აღი-

²⁶⁷ საქართველოს სახალხო დამცველი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN). გენდერული მენისტრიმინგი საქართველოს მიერ აღიარებული ვალდებულებებისა და მათი შესრულების სტატუსის მომხილვა, გვ. 4. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://ombudsman.ge/res/docs/2021031012092173973.pdf>.

²⁶⁸ საქართველოს პარლამენტი. 2018. პარლამენტის რეგლამენტი. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://parliament.ge/legislation/reglament/1412> [ბოლოს ნანახია: 17.08.2023].

ჭურვა სათანადო მექანიზმებითა და ინსტრუმენტებით, რათა უზრუნველყოს მთავრობის ანგარიშვალდებულება გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესის მეშვეობით²⁶⁹. აღნიშნული რეფორმის შედეგად დაინერგა ისეთი ინოვაციური მექანიზმი, როგორც თემატური მოკვლევა – პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლში დეტალურად გაიწერა მოკვლევის პროცესი.

აღნიშნული პრაქტიკის დანერგვით, საქართველოს პარლამენტმა ახალი საზედამხებველო მექანიზმი შეიქმნა, რომელსაც მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურები და პასუხისმგებლობების ჯაჭვი აქვს; გარდა იმისა, რომ მოკვლევის მთელი პროცესი საჯაროა, ამასთანავე, იგი ყვრდნობა ღია პარლამენტისა და კარგი მმართველობის პრინციპებს და უზრუნველყოფს საპარლამენტო საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობას. აქედან გამომდინარე, მექანიზმი იძლევა ცალკეული საკითხების სხვადასხვა პერსპექტივით გაანალიზების საშუალებას და, შედეგად, იზრდება გაცემული რეკომენდაციების ლეგიტიმიზაციისა და კვალიფიციურობის ხარისხიც.

თემატური მოკვლევა ადგენს იმ ხარვეზებს თუ ნაკლოვანებებს, რომლებიც კანონმდებლობაში ან ჩნდება კონკრეტული პოლიტიკის განხორციელებისას, ამიტომ მისი გამოყენება თითქმის ნებისმიერი ტიპის პრობლემისა და საკითხის შესასწავლად შეიძლება²⁷⁰.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს საქართველოში თემატური მოკვლევის მექანიზმის დანერგვა სწორედ ბრიტანული პარლამენტის მოდელის მიხედვით მოხდა. საქართველოში მოკვლევის პროცესი განერილია პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლში და იგი 4 ეტაპს მოიცავს:

- **მოკვლევის საკითხის შერჩევა** კომიტეტებისა და საბჭოების წევრების პრეროგატივაა და იგი შესაძლოა სულაც არ უკავშირდებოდეს კანონით პირდაპირ მონესრიგებულ საკითხებს. პირიქით, მექანიზმის გამოყენების მიზეზი სწორედ საკითხის გარშემო არსებული ბუნდოვანების აღმოფხვრა და მონესრიგება შესაძლოა იყოს²⁷¹.
- **ჯგუფის ფორმირება** საკითხით დაინტერესებული კომიტეტის/საბჭოს წევრებისგან ხდება, რომელსაც ხელმძღვანელობს მოკვლევის მთავარი მომხსენებელი; სამუშაო ჯგუფი კი შესაბამისი კომიტეტის ან საბჭოს სხდომაზე მტკიცდება. სწორედ აღნიშნული ჯგუფის ვალდებულებაა, მოკვლევის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 დღეში მოამზადოს ტექნიკური დავალება საკითხის მოკლე აღწერისა და სხვა დეტალების მითითებით და უზრუნველყოს დოკუმენტის გამოქვეყნება პარლამენტის ვებგვერდზე.

თემატური მოკვლევის მექანიზმის ჩამოყალიბების შესახებ

აღნიშნული მექანიზმი თავდაპირველად XIX საუკუნეში ბრიტანეთის პარლამენტში ჩამოყალიბდა, სადაც კონკრეტულ კომიტეტებს „ინდივიდების, დოკუმენტებისა და ჩანაწერების კონსოლიდირების ძალაუფლება“ მიენიჭათ, ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით ზეპირი და წერილობითი მტკიცებულებების წარმოსადგენად. 1979 წლიდან თემთა პალატის მუდმივმოქმედ დარგობრივ კომიტეტებში აქტიურად ხდება თემატური მოკვლევის ინსტრუმენტის გამოყენება მთავრობის საქმიანობაზე ზედამხედველობის გასაწევად.

მოკვლევის პროცესში, როგორც წესი, ხდება რამდენიმე ზეპირი მოსმენის ჩატარება, რის შედეგადაც შესაძლებელია შედგეს შუალედური ანგარიშები, თუმცა, საკითხის მოკვლევა ოფიციალურად სრულდება თემთა პალატის შესაბამისი კომიტეტის მიერ საბოლოო ანგარიშის მომზადებით, სადაც მიმოხილულია ძირითადი მიგნებები და მათზე დაყრდნობით შემუშავებული რეკომენდაციები ცალკეული სამთავრობო უწყებების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებების განსახორციელებლად მოკვლევის ჯგუფებს პირდაპირი სამართლებრივი ბერკეტები არ აქვთ, ბრიტანეთის მთავრობა ყოველთვის სათანადო ყურადღებით ეპყრობა თემატური მოკვლევის მიგნებებს.

თემატური მოკვლევის პრაქტიკა არაერთ დემოკრატიულ სახელმწიფოშია დანერგილი (აშშ, ესპანეთი, ლუქსემბურგი, ავსტრია, ნორვეგია, გერმანია და სხვა).

²⁶⁹ NDI. 2022. პარლამენტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების კონტროლი.
²⁷⁰ საქართველოს პარლამენტი, WDF, UNDP. 2019. საპარლამენტო თემატური მოკვლევის გზამკვლევი. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/tematuri-mokvleva/tematuri-mokvlevis-gzamklevi.pdf> [ბოლოს ნანახია: 17.08.2023].
²⁷¹ კახა ურიადმყოფელი. 2020. ახალი შესაძლებლობები საპარლამენტო კონტროლისთვის: ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი, თემატური მოკვლევა, თემატური მომხსენებელი, იხ. ბმული: <https://clr.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2020/07/kakha-uriadmqopheli-gv.118-129.pdf> [ბოლოს ნანახია: 17.08.2023].

- **მოკვლევის ჯგუფი** დადგენილ ვადაში იღებს მოსაზრებებს დაინტერესებული პირებისგან, რის შემდეგაც ხდება მიღებული ინფორმაციის გაანალიზება და ზეპირი მოსმენების ჩატარება. აღნიშნული ეტაპი ერთ-ერთი საკვანძო ნაბიჯია თემატური მოკვლევის პროცესში, რადგან მოსაზრებების ავტორებისა და შესაბამისი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან ერთად, იმართება დისკუსია მოკვლევის თემის გარშემო.
- **საბოლოოდ, საკითხის შესწავლის შედეგად**, მოკვლევის დაწყებიდან 3 თვის ვადაში, თემატური მოკვლევის ჯგუფი ამზადებს დასკვნის ანგარიშს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ცალკეული უწყებების მიმართ, რომლებიც საჭაროა და ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე.

საინტერესოა, რომ, მაგალითად, ბრიტანეთის პარლამენტში, საიდანაც აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკის დანერგვა მოხდა, ოფიციალურად არ არსებობს მოკვლევისთვის განსაზღვრული ვადა, თუმცა, პრაქტიკაში, როგორც წესი, მოკვლევები დაახლოებით 2 თვე გრძელდება. სხვა ქვეყნების, მაგალითად, ლუქსემბურგის შემთხვევაში, დადგენილია 6-თვიანი ვადა, როდესაც სამუშაო ჯგუფმა საბოლოო ანგარიში უნდა წარმოადგინოს, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული ვადის გახანგრძლივება ერთჯერადად 3 თვით არის შესაძლებელი.

თემატური მოკვლევის მექანიზმის დანერგვისა და პროცესის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად, საქართველოს პარლამენტის ინიციატივით, ვესტმინისტერის დემოკრატიის ფონდის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამისა და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, **2019 წელს მომზადდა საპარლამენტო თემატური მოკვლევის გზამკვლევი**²⁷², რომელიც მნიშვნელოვანი ჩარჩო-დოკუმენტია არა მხოლოდ საპარლამენტო კომიტეტებისა თუ საბჭოებისთვის, არამედ პროცესით დაინტერესებული მხარეებისთვისაც; **2021 წელს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) პროექტის ფარგლებში საპარლამენტო კონტროლის ახალი ერთიანი გზამკვლევი შეიქმნა**²⁷³, რომელმაც სრულად მოიცვა თემატური მოკვლევის მექანიზმის ასპექტები.

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თემატური მოკვლევები

თემატური მოკვლევა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოსთვის ერთ-ერთი ყველაზე აქტიურად გამოყენებადი საპარლამენტო კონტროლის ინსტრუმენტია. მულტიპარტიული თანამშრომლობის ფორმატში მექანიზმის დანერგვის პერიოდიდან²⁷⁴ 2023 წლამდე საბჭომ თემატური მოკვლევის 7 ჯგუფი შექმნა, რომლის ფარგლებშიც გასცა 278 რეკომენდაცია შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიმართ.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლის შესაბამისად, გენდერული თანასწორობის საბჭომ 2019 წელს შექმნა თემატური მოკვლევის 2 ჯგუფი:

- თემატური მოკვლევის „**სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობა**“²⁷⁵ (მხარდაჭერი NDI) სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, საბჭოს აღნიშნული პერიოდისთვის ჯერ კიდევ წევრი ნილო სანის ინიციატივით. მოკვლევის ფარგლებში გაიცა 29 რეკომენდაცია შესაბამისი უწყებების მიმართ.
- „**პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის**“²⁷⁶ თემატური მოკვლევის სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, საბჭოს წევრის, გუგული მალრადის ინიციატივით. მოკვლევის ფარგლებში გაიცა 14 რეკომენდაცია შესაბამისი უწყებების მიმართ.

²⁷² საქართველოს პარლამენტი, WDF, UNDP. 2019. საპარლამენტო თემატური მოკვლევის გზამკვლევი. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/tematuri-mokvleva/tematuri-mokvlevis-gzamklevi.pdf> [ბოლოს ნანახია: 17.08.2023].

²⁷³ USAID/GGI. 2021. საპარლამენტო კონტროლის ახალი ერთიანი გზამკვლევი. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00Z7W2.pdf [ბოლოს ნანახია: 17.08.2023].

²⁷⁴ 2018 წლიდან.

²⁷⁵ საქართველოს პარლამენტი. 2019. თემატური მოკვლევის ანგარიში. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Gender/angarishi/angarishi_tematuri-2022.pdf [ბოლოს ნანახია: 17.08.2023].

²⁷⁶ საქართველოს პარლამენტი. 2019. თემატური მოკვლევის ანგარიში. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Gender/angarishi/angarishi_tematuri-2022.pdf [ბოლოს ნანახია: 17.08.2023].

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე მოხდა თემატური მოკვლევის ინიცირება – „**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგოებისთვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის შესახებ**“²⁷⁷ (მხარდამჭერი NDI). თემატური მოკვლევის მთავარი მომხსენებელი გახლდათ რატი იონათამიშვილი, რომელიც კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოზიციასთან ერთად, იკავებდა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრის პოზიციას; მიუხედავად იმისა, რომ მოკვლევა საბჭოს ფარგლებში არ ინიცირებულა, საბჭო ჩართული იყო აღნიშნული თემატური მოკვლევის პროცესში და მოგვიანებით, მოკვლევის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების²⁷⁸ მონიტორინგი სწორედ გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით საბჭოს პასუხისმგებლობის ქვეშ მოექცა.

2021 წელს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ შექმნა თემატური მოკვლევის 3 ჯგუფი:

- თემატური მოკვლევა: „**ქალთა უფლებები არაფორმალურ ეკონომიკაში და COVID-19-ის გავლენა**“²⁷⁹ (მხარდამჭერი PROLoG/USAID) სამუშაო ჯგუფი შეიქმნა საბჭოს წევრი ხატია წილოსანის ინიციატივით. მოკვლევის ფარგლებში გაიცა 16 რეკომენდაცია შესაბამისი უწყებების მიმართ.
- თემატური მოკვლევა „**ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის და აღკვეთის შესახებ**“²⁸⁰ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) ვალდებულებების კანონმდებლობაში ასახვის და მათი აღსრულების ეფექტიანობა“²⁸⁰ (მხარდამჭერი USAID/GGI) მომზადდა საბჭოს თავმჯდომარის, ნინო წილოსანის ინიციატივით. მოკვლევის ფარგლებში გაიცა 37 რეკომენდაცია კონკრეტული ვადების მითითებით შესაბამისი უწყებების მიმართ.
- თემატური მოკვლევა: „**გენდერული თანასწორობის საკითხების მენისტრინი სამთავრობო პოლიტიკაში**“²⁸¹ (მხარდამჭერი UN Women) მისი ინიცირება მოხდა საბჭოს წევრის, მარიამ ლაშხის ინიციატივით. მოკვლევის ფარგლებში გაიცა 10 რეკომენდაცია კონკრეტული ვადების მითითებით შესაბამისი უწყებების მიმართ.

2022 წელს საბჭოს საქმიანობის ფარგლებში განხორციელდა 2 თემატური მოკვლევა, კერძოდ:

- თემატური მოკვლევა: „**ქალებისა და გოგოებისთვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესახებ**“²⁸² (მხარდამჭერი EU AA Facility და NDI) სამუშაო ჯგუფი შეიქმნა საბჭოს წევრი, ანა ნაცვლიშვილის ინიციატივით. აღნიშნული მოკვლევა საბჭოს საქმიანობის ფარგლებში პირველი შემთხვევაა, როდესაც პროცესს უხელმძღვანელა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა. მოკვლევის ფარგლებში გაიცა 35 რეკომენდაცია კონკრეტული ვადების მითითებით შესაბამისი უწყებების მიმართ.
- თემატური მოკვლევის „**ქალებისა და გოგოებისათვის ინფრასტრუქტურის (გზა, ტრანსპორტი, ინტერნეტი, წყალი) ხელმისაწვდომობის შესახებ**“²⁸³ (მხარდამჭერი NDI) სამუშაო ჯგუფი შეიქმნა საბჭოს წევ-

²⁷⁷ საქართველოს პარლამენტი. 2019. თემატური მოკვლევის ანგარიში. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://parliament.ge/supervision/thematic-inquiry> [ბოლოს ნანახია: 17.08.2023].

²⁷⁸ მოკვლევის ფარგლებში გაიცა 90 რეკომენდაცია.

²⁷⁹ საქართველოს პარლამენტი. 2021. თემატური მოკვლევის ანგარიში. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/tematuri-mokvleva/genderuli/covid-19/Thematic-Inquiry-Report-Covid_19_impact_12.15.21.pdf [ბოლოს ნანახია: 17.08.2023].

²⁸⁰ საქართველოს პარლამენტი. 2021. თემატური მოკვლევის ანგარიში. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/tematuri-mokvleva/genderuli/dzaladoba/angarishi.pdf> [ბოლოს ნანახია: 17.08.2023].

²⁸¹ საქართველოს პარლამენტი. 2021. თემატური მოკვლევის ანგარიში. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/tematuri-mokvleva/genderuli/mainstreaming/angarishi-meinstrimingi.pdf> [ბოლოს ნანახია: 17.08.2023].

²⁸² საქართველოს პარლამენტი. 2022. თემატური მოკვლევის ანგარიში. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/tematuri-mokvleva/genderuli/qalebis-cvdoma/mokvleva-ge.pdf> [ბოლოს ნანახია: 17.08.2023].

²⁸³ საქართველოს პარლამენტი. 2022. თემატური მოკვლევის ანგარიში. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/tematuri-mokvleva/genderuli/infrastruktura/angarishi-qalebi-infr-2022.pdf> [ბოლოს ნანახია: 17.08.2023].

რის, ბაია კვიციანის ინიციატივით. მოკვლევის ფარგლებში გაიცა 46 რეკომენდაცია კონკრეტული ვადების მითითებით შესაბამისი უწყებების მიმართ.

წარმატებული პრაქტიკიდან გამომდინარე, თემატური მოკვლევების ჩატარება განსაზღვრულია საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმითაც²⁸⁴, მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებების გამოძიება, საქართველოში მცხოვრები უმცირესობების (ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი, შშმ და სხვ.) ძირითადი გამოწვევები და საჭიროებები და სხვ.

საპარლამენტო ზედამხედველობის ფარგლებში განხორციელებული ანგარიშგება და გაცემული რეკომენდაციები

მიუხედავად 2018 წლიდან დაწყებული პროგრესისა, საქართველოს პარლამენტში საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერების კუთხით ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი. გარდა იმისა, რომ კომიტეტების/საბჭოების მიერ გაცემული რეკომენდაციები მეთოდოლოგიური თვალსაზრისით განსხვავდება ერთმანეთისგან, ამასთანავე, პარლამენტს არ გააჩნია ერთიანი, შეთანხმებული მეთოდოლოგია გაცემული რეკომენდაციების განხორციელების მონიტორინგთან დაკავშირებით.

ამ არასისტემური მიდგომის გამო, საპარლამენტო რეკომენდაციები გაბნეულია სხვადასხვა დასკვნასა და ანგარიშში, რაც პარლამენტის საზედამხედველო საქმიანობის ფრაგმენტულობას უწყობს ხელს და, ამავდროულად, მოქალაქეებს ურთულებს პარლამენტის მიერ გაწეული საზედამხედველო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებას.

შესაბამისად, თემატური მოკვლევის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგის არაერთგვაროვანი პრაქტიკაა დანერგილი გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ფარგლებშიც – საანგარიშო პერიოდში 8 თემატური მოკვლევიდან საბჭომ 3 მოკვლევის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი განახორციელა. აღნიშნულ პროცესში განსხვავებული იყო სამუშაო ვადები, მეთოდოლოგია და მიდგომები.

საბჭოს მიერ 2019 წელს განხორციელებული პირველი 2 თემატური მოკვლევის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი²⁸⁵ ერთობლივად ჩატარდა 2021 წელს ორგანიზაცია Egeria Solutions მხარდაჭერით, რომლის შედეგადაც შემუშავდა მონიტორინგის ერთიანი ანგარიში²⁸⁶:

ანგარიშში მიმოხილულია რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობა. აგრეთვე, შეფასებულია, ერთი მხრივ, პარლამენტის საქმიანობის გავლენა ქვეყანაში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესზე და, მეორე მხრივ, აღმასრულებელი უწყებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პარლამენტთან ინსტიტუციური თანამშრომლობის ხარისხი.

ანგარიშში გამოიკვეთა, რომ თემატური მოკვლევების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები ნაწილობრივ შესრულდა, თუმცა მოკვლევამ მნიშვნელოვანი პროცესების დაწყებას მისცა ბიძგი როგორც ცენტრალური,

²⁸⁴ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. 2021. 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Gender/gender-samoqmedo-gegma-2022.pdf> [ბოლოს ნანახია: 17.08.2023].

²⁸⁵ „სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობა“ – გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით დაიგზავნა 7 წერილი შესაბამისი უწყებებში: სოფლის განვითარების სააგენტო, დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ „ანარმოე საქართველოში“. – „პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ – გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით გაიგზავნა 70 წერილი 64 მუნიციპალიტეტსა და 7 სამინისტროში.

²⁸⁶ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. 2021. მონიტორინგის ანგარიში. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Gender/angarishi/angarishi_tematuri-2022.pdf [ბოლოს ნანახია: 17.08.2023].

ისე ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. აღმასრულებელმა უწყებებმა მეტწილად მზაობა გამოთქვეს, ყურადღება გაამახვილონ და იმუშაონ იმ პრობლემების გამოსასწორებლად და ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რომლებიც მოკვლევის პროცესში გენდერული საბჭოს წევრების მიერ გამოვლინდა. რიგ საკითხებზე უწყებებმა უკვე მოახდინეს რეაგირება და დაიწყეს კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება.

კერძოდ:

- ▶ **ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით მხარდაჭერის საპილოტე პროგრამის შემუშავება და დანერგვა მარნეულისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში:** აღსანიშნავია სოფლის განვითარების სააგენტოს ახალი პროგრამა მარნეულისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში, რომელიც ახალი სასაბჭოებო მეურნეობის მოსაწყობად ქალების ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას ითვალისწინებს. აღნიშნული პროგრამა დაინერგა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან არაერთი კონსულტაციის საფუძველზე, ზემოხსენებული თემატური მოკვლევის („სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობა“) რეკომენდაციების ფარგლებში. პროგრამის თანახმად, ქალ ბენეფიციარებს საშუალება ექნებათ, მცირე მიწის ნაკვეთზე მოაწყონ სასაბჭოებო მეურნეობა და მთელი წლის განმავლობაში აწარმოონ სოფლის მეურნეობის პროდუქცია შემდგომი რეალიზაციის მიზნით.
- ▶ რეკომენდაციების საფუძველზე შესრულებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება **სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში მონაწილე ქალებისთვის მიწის ნაკვეთის საზღაურის გარეშე რეგისტრაციას უკავშირდება.** აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 1-ელი აგვისტოდან მიწის ნაკვეთზე ქალთა საკუთრების უფლების რეგისტრაცია „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“²⁸⁷ საქართველოს კანონის საფუძველზე დროებით უფასოდ გახდა ხელმისაწვდომი, თუმცა, აღნიშნული კანონი ძალაში იყო 2018 წლის 1 ივლისამდე, რომელიც საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, 2020 წლის 1-ელი იანვრიდან კანონის მუდმივმოქმედ ნორმად გარდაიქმნა.
- ▶ **პროფესიული განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა:** რეკომენდაციების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების 2021-2025 წლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში გაითვალისწინეს პროფესიული განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის საკითხები, მათ შორის – ცალკეული კატეგორიების მონაცემების გენდერული ნიშნით ჩაშლა.

განსხვავებული მიდგომით წარმართა თემატური მოკვლევის „შშმ ქალებისა და გოგონების ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სერვისებზე“ რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესი. თუკი ზემოხსენებული 2 მოკვლევის ანგარიშზე მუშაობა 3 თვე გაგრძელდა და საქმიანობა ერთიანი ანგარიშის შექმნით დასრულდა, შშმ თემატიკაზე მონიტორინგი NDI-ს ტექნიკური მხარდაჭერით 2021-2022 წლების განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა.

მონიტორინგის პროცესის დაწყების წინ, საბჭომ მოიწვია ყველა შესაბამისი ანგარიშგააღმავალი უწყება, გააცნო მონიტორინგის განხორციელების გეგმა და მოამზადა შესაბამისი სამუშაო ცხრილი, სადაც აისახა მოკვლევის თითოეული რეკომენდაციის სტატუსი. შემდგომ ეტაპზე საჯარო უწყებებიდან გამოითხოვეს ინფორმაცია და განხორციელდა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების საჯარო მოსმენა, რის შედეგადაც განახლდა რეკომენდაციების შესრულების სტატუსი და ისინი წარადგინეს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან გამართულ საკოორდინაციო შეხვედრაზე.

რეკომენდაციების აღსრულების შედეგად არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა, მაგალითად:

- გადახედეს სამედიცინო პროტოკოლებს შშმ ქალთა და შშმ პირთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხების ჭრილში;

²⁸⁷ საქართველოს პარლამენტი. 2016. საქართველოს კანონი „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3306633?publication=10> [ბოლოს ნანახია: 17.08.2023].

- ფსიქიკური აშლილობების მქონე ქალებისა და გოგოებისთვის შემუშავდა გაიდლაინი და პროტოკოლი, რომელიც დამტკიცდა „პერინატალური პერიოდის მართვა ფსიქიკური აშლილობების დროს“ – კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინი) და „პერინატალური პერიოდის მართვა ფსიქიკური აშლილობების დროს“ – კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 3 ივლისის №01-319/ო ბრძანებით²⁸⁸;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის შეიქმნა დანყებითი საფეხურის ქართული შესტური ენის სწავლების სტანდარტი, მათ შორის, შეიქმნა 5000 ახალი შესტი, რომელიც მანამდე არ არსებობდა;
- მოხდა მუნიციპალურ დონეზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების მოდალური დებულებების შემუშავება – შშმ საკითხებზე მომუშავე საბჭო შეიქმნა 58 მუნიციპალიტეტში, საიდანაც ჯამში 22 შშმ ქალი და 57 შშმ კაცი მუშაობენ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე შშმ საკითხების შესახებ.

გარდა აღნიშნული 3 თემატური მოკვლევის მონიტორინგისა, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, შიდა მოხმარების მიზნით, მოამზადა **ინტერაქტიული დოკუმენტი**²⁸⁹, რომელშიც თავმოყრილია საბჭოს საქმიანობის ფარგლებში საბჭოს მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია, მათი შესრულების განახლებადი სტატუსებით; თუმცა საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერებისთვის ეს ძალისხმევა, ცხადია, არ არის საკმარისი და მიდგომას სისტემური სახე უნდა ჰქონდეს.

საინტერესოა, რომ მსგავსი პრაქტიკაა დანერგილი არაერთ დასავლურ სახელმწიფოშიც²⁹⁰, მაგალითად, ესპანეთს, ნორვეგიას, პორტუგალიას, ლუქსემბურგს არ გააჩნიათ თემატური მოკვლევის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების ერთიანი ბაზა და არც შესრულების მონიტორინგის ცალსახად განვლილი სისტემა, თუმცა გაცემულ რეკომენდაციებზე პასუხი აქტიურად მოეთხოვება ხელისუფლების აღმასრულებელ შტოს. აღნიშნულის საპირისპიროდ, ბრიტანეთის პარლამენტში არათუ ყველა გაცემული რეკომენდაციაა ერთიანად თავმოყრილი პარლამენტის ვებგვერდზე, ამასთანავე, ინსტიტუციური მეხსიერების უზრუნველყოფისთვის მასალის შენახვა მატერიალური ფორმითაც ხდება: როგორც წესი, თემატური მოკვლევის ანგარიშშივე მითითებულია რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის დანყების სავარაუდო თარიღი, თუმცა, თუკი მსგავსი ჩანაწერი არ არსებობს, განმახორციელებელი კომიტეტი თავად წყვეტს მონიტორინგის ჩატარების დროს. აღმასრულებელი შტო ვალდებულია, რეკომენდაციების გაცემიდან 2 თვის ვადაში წარადგინოს ანგარიშგება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვადაგადაცილების თაობაზე არგუმენტირებული პასუხით უნდა დაუბრუნდეს პარლამენტს. აღნიშნული მიდგომა ხაზს უსვამს პარლამენტის, როგორც საზედამხედველო ორგანოს მნიშვნელობას; შესაბამისად, მსგავსი ფუნდამენტური კონტროლის მექანიზმის დანერგვა მნიშვნელოვანია საქართველოს პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერებისთვისაც.

ზემოთ განხილული გამოწვევებიდან გამომდინარე, **2022 წელს საქართველოს პარლამენტში შემუშავდა პარლამენტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების კონტროლის პრაქტიკული სახელმძღვანელო**, რომელიც მიმოიხილავს საპარლამენტო ზედამხედველობის ინსტრუმენტებს და მთავარ აქცენტს აკეთებს საპარლამენტო რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის აუცილებლობაზე. სახელმძღვანელო მომზადდა

²⁸⁸ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი. 2020. „პერინატალური პერიოდის მართვა ფსიქიკური აშლილობების დროს“ – კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინი) და „პერინატალური პერიოდის მართვა ფსიქიკური აშლილობების დროს“ – კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) დამტკიცების თაობაზე“ №01-319/ო ბრძანება. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.moh.gov.ge/uploads/guidelines/2020/07/06/acfce95b5d5d332f99ffaf888ff63aae.pdf> [ბოლოს ნანახია: 17.08.2023].

²⁸⁹ რეკომენდაციების ერთიანი დოკუმენტი. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://docs.google.com/spreadsheets/d/1HxulosO6mHJOUzk1bdn_UKXfS1k97IUXpyHt2LY8tMo/edit#gid=0 [ბოლოს ნანახია: 17.08.2023].

²⁹⁰ საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი. 2023. საპარლამენტო კვლევებისა და დოკუმენტირების ევროპული ცენტრიდან (ECPRD) მიღებული ინფორმაცია.

ექსპერტების კენ მაკინტოშისა და თამარ ჩუგოშვილის მიერ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით და ერთგვარ სარეკომენდაციო დოკუმენტს წარმოადგენს საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელების პროცესში.

ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს²⁹¹ 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმაში²⁹² პარლამენტის საზედამხედველო საქმიანობის გაუმჯობესება ერთ-ერთ პრიორიტეტადაა გამოყოფილი. ამ მიზნით საბჭომ პარლამენტის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და მათი განხორციელების მონიტორინგის სისტემის დანერგვა აიღო ვალდებულებად, რაშიც ტექნიკურ მხარდაჭერას გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) გაუწევს.

²⁹¹ ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო წარმოადგენს პარლამენტში არსებული 5 მუდმივმოქმედი საბჭოდან ერთ-ერთს. მისი საქმიანობის ძირითადი მიზანია საპარლამენტო გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში საქართველოს პარლამენტის სამოქმედო გეგმების შემუშავება და მათი განხორციელების მონიტორინგი.

²⁹² ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. 2022. საბჭოს სამოქმედო გეგმა. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/OGP/samoqmedo-gegmebi/samoqmedo-gegma-2023-2024.pdf> [ბოლოს ნანახია: 18.08.2023].

თავი V. ევროკომისიის მე-9 რეკომენდაციის მნიშვნელობა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის პროცესში: მისი შესრულება და მონიტორინგი

პუბლიკაციაზე მუშაობის პერიოდში, 2023 წლის 14 დეკემბერს, ევროკომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებაზე, რაშიც ასევე დიდი როლი ითამაშა გენდერული თანასწორობის მიმართულებით გადადგმულმა მნიშვნელოვანმა ნაბიჯებმა.

2022 წლის 17 ივნისს გადაწყვეტილებით ევროკომისიამ საქართველოს განუსაზღვრა ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა ფარგლებშიც ცვლილებების განხორციელება აუცილებელი იყო ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მისაღებად. ევროკომისიის მიერ წარდგენილი 12 რეკომენდაციიდან მე-9 რეკომენდაციის – „გენდერული თანასწორობის გაძლიერება, ბრძოლა ქალთა წინააღმდეგ მიმართულ ძალადობასთან“, აღსრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოებად გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო და საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი განისაზღვრა.

მოცემულ თავში განხილულია ის ცვლილებები, მიღწევები და გამონწვევები, რომლებიც ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად მე-9 რეკომენდაციის შესრულების ფარგლებში იქნა განხორციელებული.

ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, ბატონ შალვა პაპუაშვილთან

გენდერული თანასწორობის მიმართულებით, განსაკუთრებით ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციის შესრულების მხრივ, მნიშვნელოვანია საქართველოს პარლამენტის და გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს როლი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ბატონი შალვა პაპუაშვილი, აფასებს ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციის შესრულების პროცესსა და მასთან დაკავშირებულ გამონწვევებს.



შალვა პაპუაშვილი

საქართველოს მე-10 მონვევის პარლამენტის თავმჯდომარე

1. როგორ შეაფასებდით ევროკომისიის 12 რეკომენდაციის ფარგლებში გენდერული თანასწორობის საკითხების სპეციალურ რეკომენდაციად გამოტანის მნიშვნელობას და როგორ წარმოართა მე-9 რეკომენდაციის შესრულების პროცესი?

გენდერული თანასწორობა ევროკავშირის ერთ-ერთი ძირითადი ღირებულებაა. გენდერული თანასწორობის მიღწევა და ქალებისა და გოგოების გაძლიერება მნიშვნელოვანია სამართლიანი, ინკლუზიური და მშვიდობიანი საზოგადოებების ჩამოყალიბებისა და საყოველთაო კეთილდღეობისთვის. გენდერული თანასწორობის საკითხების სპეციალურ რეკომენდაციად გამოტანა კიდევ ერთხელ მონშობს ამ მიმართულების მნიშვნელობას ევროკავშირისთვის და ხაზს უსვამს საქართველოს, როგორც ევროკავშირის მომავალი წევრი ქვეყნის ძალისხმევას, მიაღწიოს მეტ პროგრესს ამ კუთხით.

გენდერული თანასწორობის საკითხი ჩვენს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს და ამ მიმართულებით უკანასკნელ წლებში არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. საქართველოს პარლამენტი თავიდანვე დიდი პასუხისმგებლობით შეუდგა მე-9 რეკომენდაციის შესრულებას. ამ პროცესის წარმატებით წარმართვაში განსაკუთრებით დიდი წვლილი გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს აქვთ შეტანილი. საქმიანობის მეტი ეფექტიანობისთვის, განსახორციელებელი სამუშაო 2 ნაწილად დაიყო:

- ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხები;
- ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გრძელვადიანი სტრატეგიული მიდგომები ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გასაზრდელად, მათ შორის გენდერული კვოტების საკითხი.

საერთო ჯამში, საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის ერთობლივი ძალისხმევით, დაინერგა შემდეგი სიახლეები, რის შედეგადაც სრულად შესრულდა ევროკავშირის მე-9 რეკომენდაცია:

- გენდერული ზეგავლენის შეფასების დანერგვა კანონპროექტებისთვის.
- სახელმწიფო სერვისებზე (თავშესაფარი, კრიზისული ცენტრი, სხვ.) წვდომის გამარტივება, მათ შორის, ამ სერვისების გამოყენებისთვის მსხვერპლის სტატუსის საჭიროების გაუქმება (სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულება).
- გენდერული თანასწორობის კონცეფცია.
- ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სტრატეგია.
- გენდერული კვოტების მოქმედების ვადის გახანგრძლივება 2032 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩათვლით.
- კომპენსაცია ქალთა მიმართ ძალადობისა ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის (სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულება – მუხლი 30 კომპენსაციის შესახებ) – 2022 წლის 9 ნოემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო ქალთა მიმართ ძალადობისა ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი. აღნიშნული ცვლილებით,

სახელმწიფოსგან კომპენსაცია შეიძლება მოითხოვოს მსხვერპლმა, რომელმაც ძალადობის შედეგად მიიღო ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანი. კომპენსაცია, ასევე, შეუძლიათ მოითხოვონ ფემიციდის მსხვერპლი ქალის არასრულწლოვანმა შვილებმა.

- ცვლილებები რამდენიმე საკანონმდებლო აქტში, რომლებიც მიზნად ისახავს საკანონმდებლო დონეზე გენდერული თანასწორობის, როგორც თანაბარი შესაძლებლობის დადგენასა და არსებითი თანასწორობის ხელშეწყობის, როგორც მიზნის, განსაზღვრას.

2. რა იყო ძირითადი წინააღმდეგობა გენდერული თანასწორობის რეკომენდაციის შესრულების პროცესში და რა იყო საკვანძო ამ გამონწვევის დაძლევის პროცესში?

მე-9 რეკომენდაციაზე მუშაობის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი, შრომატევადი და მოცულობითი აღმოჩნდა. რეკომენდაციის შესრულების პროცესში ძირითად გამონწვევას მისი მასშტაბურობა და კომპლექსურობა წარმოადგენდა. ჩართულ მხარეებს უწყებათაშორის ფორმატში მუშაობა მრავალი მიმართულებით უწევდათ. გენდერული თანასწორობის საბჭომ საკანონმდებლო ცვლილებები სხვადასხვა კომიტეტთან თანამშრომლობით განახორციელა, რის შედეგადაც მნიშვნელოვანი სიახლეები იქნა მიღებული.

დასახელებული გამონწვევის დაძლევის პროცესში პარლამენტის სრული ჩართულობა გადამწყვეტი აღმოჩნდა, მათ შორის, მნიშვნელოვანია განხილვების გამართვა, კანონპროექტებისა და კონცეფციების ინიცირება და მიღება მრავალპარტიულ რეჟიმში. გენდერული თანასწორობის საბჭო ნათელი მაგალითი გამოდგა იმისა, თუ რამდენად დადებითად შეუძლიათ ითანამშრომლონ სხვადასხვა პოლიტიკური ხედვის მქონე ადამიანებს იმისათვის, რასაც გენდერული თანასწორობის ადვოკატირება ჰქვია. საკითხების საყოველთაო მხარდაჭერამ საშუალება მისცა საბჭოს, წარმატებით დაესრულებინა ჩვენი ქვეყნის ევროკავშირში განვრცობის გზაზე ისტორიული პროცესის ეს ნაწილი.

3. როგორ ფიქრობთ რამ განაპირობა აღნიშნული რეკომენდაციის წარმატებით შესრულება და რას ნიშნავს ეს ჩვენი ქვეყნის ისტორიის ჭრილში?

აღნიშნული რეკომენდაციის წარმატებით შესრულება განაპირობა გენდერული თანასწორობის საბჭოს თავდაუზოგავმა შრომამ და მრავალპარტიულ ფორმატში გაერთიანებულმა ძალებმა.

რეკომენდაციის შესრულება, აგრეთვე, გააადვილა იმ ფაქტმა, რომ ყველა საკითხზე პარლამენტს უკვე დანყებული ჰქონდა მუშაობა და მომზადებული იყო დასაინიცირებელი საკანონმდებლო პაკეტი, რამაც დროისა და რესურსის დაზოგვის შესაძლებლობა მოგვცა.

რაც შეეხება რეკომენდაციის შესრულების მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის ისტორიის ჭრილში, ის განუზომელია, ვინაიდან მე-9 რეკომენდაციის სრული შესრულება გენდერული თანასწორობის პრინციპის განმტკიცების, ქვეყნის უკეთესი განვითარების ხელშეწყობის კარგი შესაძლებლობაა, რაც კიდევ ერთი ხიდი იქნება ევროპული კავშირის ოჯახის წევრობისთვის. აღნიშნული კი საერთო კეთილდღეობისა და უკეთესი მომავლის წინაპირობაა.“

ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციის შესრულება და მონიტორინგი

მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რიგს შეუერთდა, ევროპული მომავალი ქვეყნის მთავარი პოლიტიკური კურსია. საქართველოსა და ევროკავშირს შორის სამართლებრივ ურთიერთობას საფუძველი ჰერ კიდევ 1996 წლის ხელშეკრულებით²⁹³ ჩაეყარა, რამაც სათავე დაუდო მულტისექტორულ თა-

²⁹³ „ხელშეკრულება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“, ძალაში შევიდა 1999 წელს. ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს სხვადასხვა სექტორებში, როგორცაა პოლიტიკა, ეკონომიკა, ვაჭრობა, კულტურა და სხვა.

ნამშრომლობას; მას შემდეგ ქვეყანაში ეტაპობრივად მიმდინარეობს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია, რაც საქართველოს მოქალაქეებს უფლებათა დაცვის ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული მექანიზმებით აღჭურავს.

საქართველოს ევროპული მომავლის უზრუნველსაყოფად, 2022 წლის 3 მარტს ქვეყანამ განაცხადი შეიტანა ევროკავშირში განევრების შესახებ. საქართველომ კითხვარის პირველი ნაწილი, რომელიც პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიტერიუმებს მოიცავდა, იმავე წლის 11 აპრილს, ხოლო ნაწილი ევროკავშირის კანონთა კრებულთან დაკავშირებით – 19 აპრილს მიიღო. შევსებული კითხვარი ქვეყნიდან 2 და 10 მაისს გაიგზავნა²⁹⁴.

ევროკომისიის 2022 წლის 17 ივნისს გადაწყვეტილებით²⁹⁵, საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად 12 პრიორიტეტის შესრულება დაევალა. აღნიშნული გადაწყვეტილება 23 ივნისს ევროპულმა საბჭომ დაამტკიცა და შედეგად, საქართველოს ევროპული პერსპექტივა მიენიჭა და დაიწყო მუშაობა აღნიშნული რეკომენდაციების/პრიორიტეტების აღსრულებაზე²⁹⁶.

ევროპული საბჭოს გადაწყვეტილების საპასუხოდ, 2022 წლის 1 ივლისს მმართველი პარტიის „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ევროკავშირის 12 რეკომენდაციის შესრულების გეგმა წარადგინა. რეკომენდაციების შესასრულებლად 2022-2023 წლების განმავლობაში არაერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

აღნიშნული გეგმის შესასრულებლად, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო და საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი განისაზღვრა საქართველოს მიმართ გაცემული რეკომენდაციებიდან, კონკრეტულად, მე-9 რეკომენდაციის აღსრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოებად; აღნიშნული რეკომენდაციის თანახმად, საქართველოს მოეთხოვება გაძლიერდეს ძალისხმევა გენდერული თანასწორობის მიღწევის ზრდისთვის და ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის წინააღმდეგ²⁹⁷.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, ბატონი მიხეილ სარჯველაძე, იხსენებს რეკომენდაციაზე მუშაობის პროცესს:

„თავიდანვე გაჩნდა ინიციატივები და მოსაზრებები. დეპლარატივის შესახებ რეკომენდაციის გათვალისწინებით, დაიგეგმა ფართომასშტაბიანი მუშაობა ყველა დაინტერესებული მხარის უკლებლივი ჩართულობით; შესაბამისად, გადამწყდა, რომ მე-9 რეკომენდაციის აღსრულებისთვის, საბჭო და კომიტეტი სათავეში ჩაუდგებოდა საქმიანობას. სწრაფადვე მოუყარეთ თავი ყველა პრობლემასა და მნიშვნელოვან თემას, რომელიც გამოწვევად მიიჩნეოდა და დავგეგმეთ აქტიური მუშაობა. გაცხადებულ ვადებშივე შევძელით კონკრეტული ნაბიჯები გადაგვედგა“.

როგორც მიხეილ სარჯველაძე აღნიშნავს, სამუშაო ჯგუფებში საკვანძო იყო სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობა:

²⁹⁴ ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში. 2022. სტატია „ევროკომისია რეკომენდაციას უწევს ევროკავშირის საბჭოს, დაადასტუროს უკრაინის, მოლდოვასა და საქართველოს ევროკავშირში განევრიანების პერსპექტივა“. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: www.eeas.europa.eu/delegations/georgia/ევროკომისია-რეკომენდაციას-უწევს-ევროკავშირის-საბჭოს-დაადასტუროს-უკრაინის-მოლდოვასა-და-საქართველოს_ka [ბოლოს ნანახია: 19.08.2023].

²⁹⁵ ევროკომისიის გადაწყვეტილება საქართველოს ევროკავშირის წევრი სახელმწიფო კანდიდატის სტატუსის შესახებ. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/opinion-georgias-application-membership-european-union_en [ბოლოს ნანახია: 19.08.2023].

²⁹⁶ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. 2023. საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://mfa.gov.ge/european-union/903144-saqartvelo-evrokavshiris-urtiertobebis-mnishvnelovani-movlenebis-qronologia> [ბოლოს ნანახია: 19.08.2023].

²⁹⁷ European Commission. 2022. Opinion on Georgia's application for membership of the European Union. https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/opinion-georgias-application-membership-european-union_en [ბოლოს ნანახია: 19.08.2023].

„არასამთავრობო სექტორის ჩართულობა ერთ-ერთი პრიორიტეტია ინსტრუმენტებს შორის გენდერის საკითხებზე სამუშაოდ. ეს არაა რაღაც გადაწყვეტილების მიღების მხოლოდ სავალდებულო ეტაპი – ეს ძალიან კარგი წინაპირობაა წარმატებული საქმიანობისთვის, ამიტომ, როდესაც 12 რეკომენდაციას შორის დასახელდა გენდერული თანასწორობის მიმართულება, ეს კარგი შესაძლებლობაც იყო ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც დაინტერესებულია, რომ ამ კუთხით ქვეყანაში პროგრესი არსებობდეს“.

13 ივნისის სამუშაო შეხვედრაზე გამოიკვეთა რეკომენდაციის აღსრულებისთვის საკვანძო პრიორიტეტები და აქცენტები, მათ შორის: გენდერული თანასწორობისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციების დამტკიცება, საკანონმდებლო პროცესში გენდერული გავლენის ანალიზის ინტეგრირება, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება, მსხვერპლის კომპენსაციის წესის დამტკიცება, სავალდებულო გენდერული კვოტირების გახანგრძლივება და სხვა.

მეორე სამუშაო შეხვედრა გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებს მიეძღვნა, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა შიდა სამუშაო გეგმა და უკუკავშირის მიღების მიზნით, გაზიარდა ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

2022 წლის 8 სექტემბერს ფემიციდის შესახებ სისტემური მოკვლევა დაანონსდა²⁹⁸. აღნიშნული მიზნით, კომიტეტის ამავე წლის 19 სექტემბრის სხდომაზე შეიქმნა ფემიციდის აღკვეთის სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეისწავლა ფემიციდის შემთხვევების გამოვლენის, პრევენციისა და აღკვეთის საკითხები, მათ შორის – არსებული გამოწვევებისა და ფემიციდის შემთხვევათა პრევენციის სისტემის გაუმჯობესების შესაძლებლობები. სამუშაო ჯგუფი მოიცავდა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებს და შესაბამისი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს.

აღნიშნული ჯგუფის პირველი სამუშაო შეხვედრა 2022 წლის 3 ოქტომბერს გაიმართა²⁹⁹. შეხვედრისას მხარეებმა სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფორმატისა და მუშაობის ფარგლებში შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები წარადგინეს; განიხილეს სხვა რელევანტურ უწყებებთან თანამშრომლობის აუცილებლობა. შედეგად, სამუშაო ჯგუფის წევრებს მიეცათ ვადა ფემიციდის პრევენციის ხელშეწყობი ღონისძიებების შესახებ მოსაზრებების წერილობით წარმოსადგენად.

2022 წლის 5 ოქტომბერს გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე³⁰⁰ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო წილოსანმა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ, მიხეილ სარჯველაძემ, რეკომენდაციის აღსრულების ფარგლებში დასაინიცირებელი საკანონმდებლო ცვლილებების ე.წ „პირველი ტალღა“ დაანონსეს და სამოქალაქო ორგანიზაციებსა თუ საერთაშორისო პარტნიორებთან აქტიური თანამშრომლობის გაგრძელების იმედი გამოთქვეს.

ბრიფინგის შედეგად, 2022 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტში მოხდა რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილების ინიცირება, მათ შორის:

- ცვლილებები „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში გენდერული გავლენის ანალიზის (GIA) დანერგვის თაობაზე³⁰¹
- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბ-

²⁹⁸ დამატებითი ინფორმაცია მოკვლევის შესახებ. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://parliament.ge/media/news/adamianis-uflebata-datsvisa-da-samokalako-integratsiis-komitetsi-akhali-samushao-jgufebi-sheikmna> [ბოლოს ნანახია: 19.08.2023].

²⁹⁹ შეხვედრის შესახებ დამატებითი ინფორმაცია. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://parliament.ge/media/news/femitsidis-preventsii-sakitkhebz-momushave-jgufma-pirveli-shekhvedra-gamarta> [ბოლოს ნანახია: 19.08.2023].

³⁰⁰ ინფორმაცია ბრიფინგის შესახებ. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://parliament.ge/media/news/evrokomiisii-12-punktiani-rekomendatsiebis-farglebshi-genderuli-tanastorobis-gadzlierebisa-da-kalta-mimart-dzaladobis-tsinaaghmdg-brdzolastan-dakavshirebul-sakitkhebz-parlamenti> [ბოლოს ნანახია: 19.08.2023].

³⁰¹ საქართველოს პარლამენტი. 2023. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე დოკუმენტი. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5640766?publication=0#DOCUMENT:1> [ბოლოს ნანახია: 19.08.2023].

ჭოს კონვენციის მოთხოვნებთან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ნორმების შესაბამისობაში მოყვანა³⁰²

- ცვლილებები საქართველოს კანონში „გენდერული თანასწორობის შესახებ“³⁰³ და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში³⁰⁴.

გენდერული გავლენის ანალიზის (GIA) დანერგვა – ცვლილებები „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში³⁰⁵

როგორც წინა თავებშია განხილული, კანონშემოქმედების პროცესის გენდერული მგრძობელობის დახვეწის მიზნით, პარლამენტმა 2022 წლის 15 დეკემბერს მიიღო ცვლილებები საქართველოს კანონში „ნორმატიული აქტების შესახებ“, რის საფუძველზეც კანონპროექტის განმარტებით ბარათში განისაზღვრა გენდერული გავლენის ანალიზის (GIA) ასპექტები. განმარტებით ბარათს დაემატა მუხლი გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასების შესახებ. აღნიშნული სავალდებულოა ყველა ახალი საკანონმდებლო აქტის კანონპროექტის მომზადებისას და ყველა საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტის მომზადებისას.

საკანონმდებლო პაკეტი³⁰⁶ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მოთხოვნებთან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ნორმების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით

საკანონმდებლო პაკეტის მიზანია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მოთხოვნებთან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ნორმების შესაბამისობაში მოყვანის გზით და აღნიშნული ქმედებებისთვის ადეკვატური პასუხისმგებლობის ზომების დაწესებით, ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის უზრუნველყოფა³⁰⁷.

ამავე პაკეტით შესაბამისი ცვლილებები გათვალისწინებულია რამდენიმე საკანონმდებლო აქტში, მათ შორის – „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“, ასევე, „იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონსა“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“. ცვლილებები თემატურად შეეხება ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორებიცაა:

- **სქესობრივი დანაშაულები** – საკანონმდებლო ბაზის ევროპულ პრინციპებთან დაახლოების მიზნით, სისხლის სამართლის კოდექსში რამდენიმე ცვლილება განხორციელდება, კერძოდ, მუხლებში, რომლებიც ითვალისწინებს აბორტს ორსულის თანხმობის გარეშე, იძულებით ქორწინებას, იძულებით აბორტს და პროსტიტუციით დაკავებული არასრულწლოვანის მომსახურებით სარგებლობას;
- **მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვა** – ცვლილებები შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა მონმის დაკითხვის წესი, ბრალდებულის უფლებები და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო

³⁰² საქართველოს პარლამენტი. 2022. N07-3/251/22.

³⁰³ საქართველოს პარლამენტი. 2022. საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=10> [ბოლოს ნანახია: 19.08.2023].

³⁰⁴ საქართველოს პარლამენტი. 2022. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://parliament.ge/legislation/reglament> [ბოლოს ნანახია: 19.08.2023].

³⁰⁵ საქართველოს პარლამენტი. 2023. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე დოკუმენტი. ხელმისაწვდომია შემდეგბმულზე [ბოლოს ნანახია: 19.08.2023]

³⁰⁶ საქართველოს პარლამენტი. 2022. N07-3/251/22

³⁰⁷ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი. 2022. კომიტეტის საქმიანობის ანგარიში. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/319213> [ბოლოს ნანახია: 19.08.2023].

კოდექსით რეგულირებული სავალდებულო დაცვის შემთხვევები. ამდენად, აღნიშნული საკითხების ახალი რეგულაცია საკანონმდებლო დონეზე (სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებში) ცვლილებების განხორციელებას მოითხოვს;

- **ცვლილება „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონში** – კანონპროექტის მიხედვით, ბრალდებულის უფლებების გაფართოების შესახებ მოსამართლის გადაწყვეტილების მიღებისას, ადვოკატი ბრალდებულს დაიცავს სახელმწიფოს ბიუჯეტის ხარჯზე. ასეთ შემთხვევაში ადვოკატი ვალდებული იქნება, ბრალდებულს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია მისი მონაწილეობის გარეშე ჩატარებული ექსპერტიზის შინაარსისა და საქმისთვის არსებითი სხვა გარემოებების შესახებ;
- **ცვლილებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში** – კანონპროექტი აუმჯობესებს სექსუალური შევიწროების განმარტებას და სრულად შეესაბამება სტამბოლის კონვენციას. ასევე, გათვალისწინებულია აღნიშნული დანაშაულისთვის უფრო ეფექტური, პროპორციული და დამაბრკოლებელი სანქციების დანესება.

ცვლილებები საქართველოს კანონში „გენდერული თანასწორობის შესახებ“³⁰⁸ და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში³⁰⁹

საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული ცვლილებები 2022 წლის 15 დეკემბერს მიიღო; შედეგად, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. სახელმწიფო ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლებებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში. სახელმწიფო უზრუნველყოფს ქალებსა და მამაკაცებს შორის რეალური თანასწორობის დამკვიდრების სტიმულირებას და ფაქტობრივი უთანასწორობის აღმოფხვრას.“

შესაბამისად, განისაზღვრა, რომ სახელმწიფო, გარდა ფორმალური თანასწორობის განმტკიცებისა, უზრუნველყოფს ქალებსა და მამაკაცებს შორის რეალური თანასწორობის დამკვიდრებას და ფაქტობრივი უთანასწორობის აღმოფხვრას.

კანონპროექტის მიღება ხელს უწყობს საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის რეალიზებას, კერძოდ, სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებას იმგვარად, რომ აღნიშნული, გარდა ქალსა და მამაკაცს შორის De jure³¹⁰ თანასწორობისა, ორიენტირებული იყოს De Facto³¹¹ უთანასწორობის აღმოფხვრაზე.

დამტკიცდა თანმდევი ცვლილებები საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში – კერძოდ, რეგლამენტის 76-ე მუხლის მე-4 პუნქტს, რომელიც განსაზღვრავს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს საქმიანობას, დაემატა შემდეგი შინაარსის „ბ¹“ ქვეპუნქტი: „ბ¹) შეიმუშაოს წინადადებები ქალებსა და მამაკაცებს შორის რეალური თანასწორობის დამკვიდრებისთვის, ფაქტობრივი უთანასწორობის აღმოფხვრისთვის და უზრუნველყოს შესაბამისი დანესებულებებთან ადვოკატირების განვლა“.

შესაბამისად, აღნიშნულით განისაზღვრა, რომ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო შეიმუშავებს წინადადებებს ქალთა და მამაკაცთა შორის რეალური თანასწორობის დამკვიდრებისთვის და პასუხისმგებელი გახდა ამგვარ წინადადებებს გაუწიოს ადვოკატირება შესაბამისი დანესებულებებთან.

³⁰⁸ საქართველოს პარლამენტი. 2022. საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=10> [ბოლოს ნანახია: 19.08.2023].

³⁰⁹ საქართველოს პარლამენტი. 2022. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://parliament.ge/legislation/reglament> [ბოლოს ნანახია: 19.08.2023].

³¹⁰ ფორმალური გენდერული თანასწორობა.

³¹¹ ფაქტობრივი.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებები

აღნიშნული პროცესების პარალელურად, 2022 წლის 25 ნოემბერს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციასთან საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად, თემატური მოკვლევა დაიწყო³¹². აღნიშნული ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ღონისძიებების და ცალკეული საკითხების იდენტიფიცირების მიზნით, კომიტეტის გადაწყვეტილებით, თემატური მოკვლევის ჯგუფი შეიქმნა.

გენდერული თანასწორობის საბჭოსა და კომიტეტის აქტიური თანამშრომლობით, 2022-2023 წლებში მე-9 რეკომენდაციის შესრულების ფარგლებში განხილულ იქნა და დამტკიცდა არაერთი საკანონმდებლო ცვლილება, რამაც არსებითად უზრუნველყო აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება. ეს ცვლილებებია:

- **„მსხვერპლის სტატუსის“ გაუქმება, როგორც თავშესაფრის სერვისებით სარგებლობის წინაპირობა – ცვლილებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღკვეთის მარეგულირებელ კანონმდებლობაში**³¹³

2022 წლის 22 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის გაძლიერება და სახელმწიფო მომსახურებებით, მათ შორის – სახელმწიფო თავშესაფრით სარგებლობისთვის არსებული გამონწვევის/ბარიერის დაძლევა.

- **გენდერული თანასწორობის ახალი სახელმწიფო კონცეფციის დამტკიცება**³¹⁴

2022 წლის 22 დეკემბერს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“. როგორც ანგარიშის მე-4 თავში დეტალურადაა განხილული, დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფოს ხედვას გენდერის ნიშნით ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისთვის სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ სფეროში, როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო ურთიერთობებში.

- **ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციის დამტკიცება**³¹⁵

2023 წლის 23 მარტს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ. იგი წარმოადგენს რეგიონში პირველ ერთიან დოკუმენტს, რომელიც ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას ეძღვნება და მიზნად ისახავს საქართველოში არსებული სპეციფიკური გენდერული თანასწორობის გამონწვევების გათვალისწინებით, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ჩარჩოს ჩამოყალიბებას; ითვალისწინებს ინტერვენციებს როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ დონეზე.

- **სავალდებულო გენდერული კვოტების წესის გახანგრძლივება – ცვლილება საქართველოს ორგანულ კანონში „საარჩევნო კოდექსი“**³¹⁶

2023 წლის 9 თებერვალს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში „საარჩევნო კოდექსი“, რომლის შედეგადაც სავალდებულო გენდერული კვოტირების ვადა 2032 წლის ოქტომბრის ჩათვლით გახანგრძლივდა. დამატებით, აღნიშნული ცვლილებებით, გენდერული კვოტის გაზრდისა და

³¹² დამატებითი ინფორმაცია ღონისძიების შესახებ. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://parliament.ge/media/news/parlamentma-kalta-mimart-da-ojakhshi-dzaladobis-preventsiisa-da-aghkvetsi-shesakheb-evropis-sabchos-konventsiast-an-kartuli-kanonmdeblobis-harmonizatsiis-uzrunvelsaqofad-tematuri> [ბოლოს ნანახია: 19.08.2023].

³¹³ აღნიშნული ცვლილებები დეტალურადაა განხილული ანგარიშის მე-4 თავში.

³¹⁴ საქართველოს პარლამენტი. 2022. გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://parliament.ge/legislation/23812> [ბოლოს ნანახია: 19.08.2023].

³¹⁵ საქართველოს პარლამენტი. 2023. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია განხილულია ანგარიშის მე-4 თავში და დოკუმენტი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5755428?publication=0> [ბოლოს ნანახია: 19.08.2023].

³¹⁶ ცვლილებები დეტალურადაა განხილული ანგარიშის მე-4 თავში, ხოლო კოდექსი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=80> [ბოლოს ნანახია: 19.08.2023].

ქალების პოლიტიკაში წახალისების მიზნით, დადგინდა, რომ კაცი დეპუტატის მიერ საკანონმდებლო ორგანოს დატოვების შემთხვევაში მოხდება მისი ჩანაცვლება არა მომდევნო კაცით ავტომატურად, არამედ სიის მომდევნო წევრით, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სიის მომდევნო წევრი იყოს ქალი დეპუტატი.

ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციის შესრულების ერთ-ერთ აქტივობად შესაძლებელია ჩაითვალოს აგრეთვე საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის“³¹⁷, რომელშიც განისაზღვრა მე-9 რეკომენდაციაში მითითებული გარკვეული საკითხების შესრულების ვალდებულება. აღნიშნული სტრატეგია პარლამენტმა 2023 წლის 28 მარტს დაამტკიცა. სტრატეგიის ერთ-ერთი თავი ეხება გენდერული თანასწორობის საკითხებს, რომლის თანახმად, ქვეყნის მასშტაბით ხელშესახები ცვლილებების განსახორციელებლად, სტრატეგია უზრუნველყოფს ეფექტიანი ღონისძიებების გატარებას როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე. ასევე, გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი მექანიზმების გაძლიერებას. დამატებით, სტრატეგია ხელს უწყობს ქალთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაძლიერებას და მათ აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში³¹⁸.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო ორგანიზაციები ევროკომისიის აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების ნაწილში გაუპატიურების მუხლის სტამბოლის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანას ითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეჭვქვეშ აყენებდნენ რეკომენდაციის სრულად შესრულების შესაძლებლობას³¹⁹; მიუხედავად ამისა, 2023 წლის ივნისში ოლივერ ვარჰეიმ, ევროკომისარმა სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში, გაასაჯაროვა³²⁰ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებისთვის წარდგენილი ზეპირი მოხსენება, რომელშიც საქართველოს მიერ 12 რეკომენდაციის შესრულებას აფასებდა; მისი განცხადებით, საქართველომ სრულად შეასრულა სამი³²¹ რეკომენდაცია, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ მე-9 რეკომენდაციაა გენდერული თანასწორობის შესახებ. ამასთანავე, ქვეყანას გარკვეული პროგრესი აქვს 7 რეკომენდაციის მიმართულებით, შებენი პროგრესი – 1 რეკომენდაციის (დეოლიგარქიზაცია) მიმართულებით, ხოლო პლურალისტური მედიის მიმართულებით – პროგრესი არ აქვს. აღნიშნული შეფასება შუალედურია – ევროკომისიის საბოლოო ანგარიში და გადანყვეტილება 2023 წლის ბოლოსთვის იქნება მიღებული, რის შემდეგაც, დადებითი გადანყვეტილების შემთხვევაში, საქართველოს ევროკავშირში განწევრების თაობაზე დაიწყება მოლაპარაკებები.

კითხვაზე, თუ რამ განაპირობა მე-9 რეკომენდაციის შესრულების სტატუსის მოპოვება, მიხეილ სარჯველაძე რამდენიმე ფაქტორს გამოკვეთს:

„არსებობს დიდი წრე ადამიანების, რომლებიც არიან საკმაოდ ენთუზიამით აღვსილი, საიმისოდ, რომ პოზიტიური ცვლილებები განხორციელდეს. საბედნიეროდ ეს წრე არ შემოიფარგლება მხოლოდ ქალებით – ძალიან ხშირია მამაკაცთა ჩართულობა, რაც, რასაკვირველია, ძალიან სასიხარულო ამბავია. ყველა ამ ადამიანს აერთიანებს კონკრეტული ინიციატივები, საინტერესო იდეები როგორც ორიგინალური, ასევე

³¹⁷ საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5757268?publication=0>.

³¹⁸ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი. 2022. კომიტეტის საქმიანობის ანგარიში. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/319213> [ბოლოს ნანახია: 19.08.2023].

³¹⁹ OSGF. 2022. „12 ნაბიჯი ევროკავშირის კანდიდატობისთვის“. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://osgf.ge/wp-json/wi/validate/v1/file?wifile=wp-content/uploads/2022/07/evropisken_08.pdf [ბოლოს ნანახია: 19.08.2023].

³²⁰ European Commission. 2023. Press remarks by Neighbourhood and Enlargement Commissioner. https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/statement_23_3460 [ბოლოს ნანახია: 19.08.2023].

³²¹ სრულად შესრულებული რეკომენდაციები მოიცავს: 1. გენდერული თანასწორობის გაძლიერება და ბრძოლა ქალთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ; 2. საქართველოს სასამართლოების მიერ განხილვისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს [„სტრასბურგის“] გადანყვეტილებების პროაქტიულად გათვალისწინება; 3. ახალი სახალხო დამცველის გამჭვირვალედ დანიშვნა.

საერთაშორისო კარგ გამოცდილებაზე დაყრდნობილი, რომლის დანერგვას და განხორციელებას როგორც ეროვნულ, ისე მუნიციპალურ დონეზე, დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ეს სიმრავლე ქმნის ძალიან კარგ წინაპირობას წარმატებისთვის. ამასთანავე, როდესაც გაქვს ხელისუფლების უმაღლესი დონიდან მხარდაჭერა, ეს უკვე ძალიან კარგი წინაპირობაა რეალური წარმატებისთვის“.

ამასთანავე, იგი დიდ როლს ანიჭებს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსაც, როგორც „უნიკალურ პლატფორმას, სადაც, პრაქტიკულად, არ არსებობს თვისებრივი აზრთა სხვაობა სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებსა და გაერთიანებებს შორის“. სწორედ ამიტომ, ეს ფორმატი „გაბედული ნაბიჯების გადადგმის“ საშუალებას იძლეოდა.

მიხეილ სარჯველაძე

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე
(2020 წლიდან დღემდე)

„ხშირად გენდერული თანასწორობის საკითხებს გაბედული ნაბიჯების გადადგმა სჭირდება, რაც შეიძლება საზოგადოების ცალკეული ჯგუფებისთვის რთულად აღსაქმელი იყოს. ესაა სოციალურ-კულტურული ფაქტორი, რაზეც სერიოზული სამუშაო იქნება კვლავ გასაწევი. რეალურად ქალების პოტენციური უზარმაზარი ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაში.“

და საერთოდ, გენდერული უთანასწორობა იმდენად მრავალნაზნაგოვანი პრობლემაა, რომ მისი ერთბაშად გადაჭრის ილუზია არავის არ უნდა ჰქონდეს. ამიტომ საკმაოდ დიდი შრომაა ჯერ კიდევ გასაწევი, საიმისოდ, რომ ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრას“.

საბოლოოდ, უნდა აღნიშნოს, რომ, მიუხედავად მე-9 რეკომენდაციის შესრულებული სტატუსისა, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოსა და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის საქმიანობის ფარგლებში კვლავ აქტიურად გრძელდება მუშაობა ქვეყანაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით.

ამიტომ, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, კომიტეტისა და საბჭოს თანამშრომლობით კვლავ მიმდინარეობს საქმიანობა სქესობრივი დანაშაულის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფში, სადაც სწორედ გაუპატიურების დეფინიციის ცვლილების საკითხები განიხილება; ამასთანავე, საბჭო აგრძელებს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტული მიმართულებების შესრულებას, მათ შორის – ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა საკანონმდებლო ცვლილებები მარტოხელა მშობლის სტატუსის გაფართოებისა და შესაბამისი მხარდამჭერი სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის შესახებ, გენდერული სახელფასო სხვაობის შემცირების გზები, მიგრანტი ქალების უფლებრივი მდგომარეობა, ქალების ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერების უზრუნველყოფა და სხვა.

მუდამ განგრძობადი საქმიანობისა და პროგრესის მნიშვნელობას უსვამს ხაზს ბატონი მიხეილ სარჯველაძეც, რომელიც აღნიშნავს, რომ მუშაობა ისევ გრძელდება:

„ჩვენ არ ვაპირებთ დავასრულოთ რეფორმების ეტაპი და მიღწეულით დაკმაყოფილდეთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია წინსვლისთვის – სწორი ხედვა და სწორი დამოკიდებულება. ვფიქრობ, ეს არც შემფასებელი ევროპელი კოლეგების ყურადღების მიღმა დარჩენილა და არც მომავალში დარჩება შეუმჩნეველი.“

ერთ-ერთი მიმართულება, რაც, ჩემი აზრით, ყველაზე პრიორიტეტული გახლავთ, ეს არის ქალთა მიმართ ძალადობა და სტამბოლის კონვენციის ვალდებულებების შესრულება. ეს არა მხოლოდ ვალდებულებაა, არამედ საშუალება ქვეყნის წინსვლისთვის. ქალები დაცული უნდა იყვნენ ყოველგვარი ძალადობისგან, მიზანიც სწორედ ეს გახლავთ“.

შეჯამება და სამომავლო გეგმები

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი განამტკიცებს სახელმწიფოს ვალდებულებას უზრუნველყოს თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები მამაკაცებისა და ქალებისათვის და მიიღოს განსაკუთრებულ ზომები მათი არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. შესაბამისად, გენდერული თანასწორობის მისაღწევად, საქართველო აგრძელებს ქალების გაძლიერებას ყველა მიმართულებით.

ხელისუფლების ყველა შტო სრული ძალისხმევით განაგრძობს დისკრიმინაციის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას და მსხვერპლთა დაცვას. ამავდროულად, მნიშვნელოვანია ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და ამ მიმართულებით სახელმწიფო მუდმივად მზარდი პროგრამებით ხელს უწყობს უფრო მეტ ქალს.

საქართველოს პარლამენტი და მათ შორის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, აქტიურად აგრძელებს მუშაობას ქვეყანაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და გაძლიერებისთვის. ამ მიზნით საბჭო აგრძელებს სამწლიანი სამოქმედო გეგმისა და საკომუნიკაციო სტრატეგიის აღსრულებას, რომელსაც შესაბამისი ანგარიშგება და ახალი სამომავლო სამოქმედო გეგმების შემუშავება კვლავ მოჰყვება, რადგან, მიუხედავად განხორციელებული პროგრესისა, ჯერ კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი საკითხია შესასრულებელი. კერძოდ:

- ▶ გრძელდება თანამშრომლობა კომიტეტებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან სქესობრივი დანაშაულების პრევენციისა და აღმოფხვრის საკითხებზე. ამ მიმართულებით, მიმდინარეობს მუშაობა გაუპატიურების დეფინიციის ცვლილების საკითხებზე.
- ▶ საბჭო აქტიურად მუშაობს საკანონმდებლო ცვლილებები მართხელა მშობლის სტატუსის გაფართოებისა და შესაბამისი მხარდამჭერი სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის შესახებ, რაც სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს;
- ▶ შრომით ურთიერთობებში გენდერული თანასწორობის პრინციპების უზრუნველსაყოფად მიმდინარეობს მუშაობა გენდერული სახელფასო სხვაობის შემცირების მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვაზე;
- ▶ საბჭოს სამომავლო საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის არის მონყვლადი ჯგუფების საჭიროებების ინტეგრირება და მათი უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება ყველა მიმართულებით, მათ შორის ისეთი კრიტიკულად მნიშვნელოვან სერვისებზე წვდომის გაუმჯობესება, როგორცაა ჯანდაცვა, განათლება, და სხვა სოციალური თუ ეკონომიკური სერვისები;
- ▶ საბჭო მნიშვნელოვნად მიიჩნევს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ეროვნული და ადგილობრივი მექანიზმების გაძლიერებასა და სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ისეთი საზედამხედველო ინსტრუმენტების გამოყენებას როგორცაა გენდერული გავლენის შეფასება და გენდერულად მგრძობიარე ბიუჯეტირების პრაქტიკის დანერგვა.
- ▶ საბჭო მუშაობს ქალის მფლობელობაში არსებული ბიზნესის სერტიფიცირებაზე, რათა შესყიდვების სისტემა გახდეს გენდერულად მეტად მგრძობიარე.

საქართველოს მთავრობა მუდმივად ახორციელებს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ პოლიტიკას; რაც მკაფიოდ არის გაცხადებული ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებში, დარგობრივ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში.

- ▶ ამ მიზნით იქნა მიღებული ადამიანის უფლებათა დაცვის რიგით მეორე ეროვნული სტრატეგია, 2022-2030, რომლის მიზანია საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სისტემური გარანტიების შემდგომი განმტკიცება. დოკუმენტი ასახავს საქართველოს ეროვნულ საჭიროებებსა და არსებულ გამოწვევებს ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით, სტრატეგია ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო, მათ შორის – ევროპული სამართლებრივი დოკუმენტებიდან გამომდინარე ვალდებულებებს (როგორც ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების შემდგომი გაუმჯობესების მიმართულების

განმსაზღვრელი შესაძლებლობების ერთობლიობას) და თანხვედრაშია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან.

- ▶ სტრატეგიაზე დაყრდნობით, საქართველოს მთავრობის მხრიდან აქტიურად მიმდინარეობს ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმაზე მუშაობა, სადაც სახელმწიფო უწყებებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობენ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები.
- ▶ ამასთანავე, 2022 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ორი ცალკე მდგომი სამოქმედო გეგმა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა და ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა, აღნიშნული გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება აქტიურად მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელება მოითხოვს მჭიდრო კოორდინაციას ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის, როგორც ეროვნულ ასევე ადგილობრივ დონეზე. ამასთანავე, მნიშვნელოვანია რომ უზრუნველყოფილი იქნას კავშირი სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის, რათა თავიდან იქნას აცილებული დუბლირება ან პირიქით, მნიშვნელოვანი საკითხის გამორჩენა. სწორედ ამ მიზნით, მნიშვნელოვანია გაგრძელდეს ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე მოქმედი ინსტიტუტების გაძლიერება და უწყებათაშორისი თანამშრომლობა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ყველა დონეზე გენდერული თანასწორობის პრინციპების ქმედითი მექანიზმებისა და ბერკეტების დანერგვა.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ამასთანავე, ადამიანების უფლებათა დაცვის მდგომარეობის მიმართულებით არსებული საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით, მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი ინსტიტუტების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების როლი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ კვლავ გაგრძელდეს და გაიზარდოს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობა როგორც გადაწყვეტილების მიღების, ასევე შემდგომი ადვოკატირებისა და მონიტორინგის პროცესში.

აღსანიშნავია, რომ საქართველო აქტიურად ჩაერთო რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე ადამიანის უფლებების დაცვასთან და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საქმიანობაში და გარკვეულ წინსვლას მიაღწია ევროსაბჭოს და გაეროს სხვადასხვა სტრუქტურებთან ქალთა გაძლიერების და გენდერული თანასწორობის საკითხებზე თანამშრომლობის გააქტიურების მიმართულებით. საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს მიერ ბოლო ათწლეული განმავლობაში მიღწეულმა პროგრესმა პოზიტიური შეფასებები დაიმსახურა. თუმცა, კვლავ რჩება რიგი რეკომენდაციები, ისეთ საკითხებზე როგორცაა მოწყვლადი, მარგინალიზებული ჯგუფების უფლებათა დაცვის ქმედითი სამართლებრივი ბერკეტების დანერგვა, ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის მექანიზმების გაძლიერება, ქალთა, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები და სხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა, და სხვა. აღნიშნულ გამოწვევებზე საპასუხო მექანიზმები ნაწილობრივ არის გათვალისწინებული ეროვნულ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში, თუმცა მათი ეფექტური აღსრულება სისტემურ და კოორდინირებულ მიდგომას საჭიროებს. გამომდინარე აქედან, ადამიანის უფლებათა დაცვის, თანასწორობის პრინციპებისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის მიზნით პოლიტიკის აღსრულების მექანიზმების განმტკიცება, უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერება და მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა მომდევნო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

ბიბლიოგრაფია

- EECMD. 2020. „გენდერული ბიუჯეტების გამოწვევები საქართველოში მუნიციპალურ დონეზე“. თბილისი, 4-6. https://eecmd.org/wp-content/uploads/2020/12/Policy-Paper_Gender-Budgeting_web.pdf.
- EIGE. 2016. „Gender Impact Assessment Mainstreaming toolkit.“ Vilnius, 8-10. 2023. „What is gender impact assessment.“ *European institute for gender equality*. <https://eige.europa.eu/gender-mainstreaming/toolkits/gender-impact-assessment/what-gender-impact-assessment>.
- European Commission. 2023. *Press remarks by Neighborhood and Enlargement Commissioner*. Stockholm. https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/statement_23_3460.
- European Commission. 1998. „A guide to gender impact assessment.“ Brussels, 8. <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/91d046cb-7a57-4092-b5d3-e4fd68097bb2>.
- European Commission. 2022. „Opinion on Georgia's application for membership of the European Union.“ Brussels, 9. https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/opinion-georgias-application-membership-european-union_en.
- European Parliament. 1997. „Differential impact of electoral systems on female political representation.“ Brussels, 2. https://www.europarl.europa.eu/workingpapers/femm/w10/2_en.htm.
- Krook, Mona Lena. 2015. *Empowerment versus backlash: gender quotas and critical mass theory*. New Brunswick: Routledge.
- OECD. 2023. „Gender budgeting.“ *OECD*. <https://www.oecd.org/gov/budgeting/gender-budgeting/>.
- OSGF. 2022. „12 ნაბიჯი ევროკავშირის კანდიდატობისთვის.“ თბილისი, 11. https://osgf.ge/wp-json/wi/validate/v1/file?wfile=wp-content/uploads/2022/07/evropisken_08.pdf.
- UN Women and United Nations Department of Economic and Social Affairs, Statistics Division. 2022. „Progress on the Sustainable Development Goals.“ New York. <https://www.unwomen.org/en/digital-library/publications/2022/09/progress-on-the-sustainable-development-goals-the-gender-snapshot-2022>.
- World Bank. 2021. „Country Gender Assessment – Georgia.“
- გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. 1995. „პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა.“ პეკინი, 181.
- გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. 2022. „თემატური მოკვლევა ქალებისა და გოგონებისთვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესახებ.“ თბილისი, 2-10. <https://parliament.ge/supervision/thematic-inquiry>.
- გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. 2021. *თემატური მოკვლევების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი*. თბილისი. https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Gender/angarishi/angarishi_tematuri-2022.pdf
- გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. 2022. „საქართველოს პარლამენტის გენდერული მგრძობელობის შეფასების ინდექსი.“ თბილისი, 20-27. <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Gender/angarishi/genderi-angarishi-2022.pdf>.
- ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში. 2022. „ევროკომისია რეკომენდაციას უწევს ევროკავშირის საბჭოს, დაადასტუროს უკრაინის, მოლდოვასა და საქართველოს ევროკავშირში განვერიანების პერსპექტივა.“ www.eeas.europa.eu/delegations/georgia/ევროკომისია-რეკომენდაციას-უწევს-ევროკავშირის-საბჭოს-დაადასტუროს-უკრაინის-მოლდოვასა-და-საქართველოს_ka.
- ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი. 2022. „პარლამენტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების კონტროლი.“ თბილისი.
- პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი. 2022. „კომიტეტის საქმიანობის ანგარიში.“ 34. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/319213>.
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. 2017. „ქალები ქართულ პოლიტიკაში – 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ანალიზი.“ თბილისი, 13-14. <https://gyla.ge/files/news/2008/ქალები%20ქართულ%20პოლიტიკაში.pdf>.
- საქართველოს მთავრობა. 2020. „დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025.“ თბილისი, 4. mrdi.gov.ge/uploads/publications/5e467a975a3be.pdf.
- საქართველოს პარლამენტი. 2021. „გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ანგარიში საქართველოში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ.“ თბილისი, 22. <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Gender/angarishi/genderuli-cliuri-angarishi-2021.pdf>.

- საქართველოს პარლამენტი. 2019. *გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დებულება*. თბილისი. <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Gender/genderuli-debuleba.pdf>.
- საქართველოს პარლამენტი. 2014. „საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ.“ თბილისი, 13. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=10>.
- საქართველოს პარლამენტი. 2017. *საქართველოს კონსტიტუცია*. თბილისი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>.
- საქართველოს პარლამენტი. 2014. „საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.“ თბილისი, 16. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=68>.
- საქართველოს პარლამენტი. 2022. „საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ.“ თბილისი.
- საქართველოს პარლამენტი. 2020. „საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსი.“ თბილისი, 4. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/264269?>
- საქართველოს პარლამენტი, WDF, UNDP. 2019. „საპარლამენტო თემატური მოკვლევის გზამკვლევი.“ თბილისი, 12.
- საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია. 2023. „საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკა.“ თბილისი, 4. <https://cesko.ge/ge/chven-shesakheb/saarchevno-administratsiis-genderuli-tanastorobis-politika>.
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. 2022. „საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია.“ <https://mfa.gov.ge/european-union/903144-saqartvelo-evrokavshiris-urtiertobebis-mnishvne-lovani-movlenebis-qronologia>.
- საქართველოს სახალხო დამცველი & UN Women. 2021. „გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება საქართველოში.“ თბილისი. <https://ombudsman.ge/res/docs/2022022817262614843.pdf>.
- საქართველოს სახალხო დამცველი. 2023. „გენდერის დეპარტამენტის შესახებ.“ *საქართველოს სახალხო დამცველი*. <https://ombudsman.ge/geo/departamentis-shesakheb>.
- საქართველოს სახალხო დამცველი. 2023. „გზამკვლევი.“ *საქართველოს სახალხო დამცველი*. <https://ombudsman.ge/geo/gzamkvlevi>.
- საქართველოს სახალხო დამცველი. 2022. „მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება.“ თბილისი, 20. <https://ombudsman.ge/res/docs/2023041823365399348.pdf>.
- ურიადმოფელი, კახა. 2020. *ახალი შესაძლებლობები საპარლამენტო კონტროლისთვის: ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი, თემატური მოკვლევა, თემატური მომხსენებელი*. თბილისი. <https://clr.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2020/07/kakha-uriadmoghpheli-gv.118-129.pdf>.
- ქალთა ოთახების გაერთიანება. 2017. „როგორ შევქმნათ მუნიციპალური „ქალთა ოთახი“ და გავაუმჯობესოთ ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესი.“ თბილისი, 17.
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის N551 დადგენილება: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3465313>
- პეკინის დეკლარაციის იმპლემენტაციის მიმოხილვა-საქართველო Georgia, *National-level Review of the Implementation of the BPfA Beijing +25*.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 14 აგვისტოს წერილი N MIA 6 23 02358099.
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N11, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 4. (2019) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4472026?publication=0>
- საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება, (2022), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5401545?publication=0>
- საქართველოს გენერალურ პროკურატურაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილება: <https://pog.gov.ge/news/saqartvelos-generalur-prokuraturashi-adamianis-uflebaTa-dacvis-departamenti-sheiqmna>
- საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი“, ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N3/3/1526, 25.09.2020 <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=10127>
- საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი“, ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N3/3/1526, 25.09.2020 <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=10127>
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება, (2017), <http://sca.ge/res/docs/umag-sabch-dadgenileba-genderis-debulebaze.pdf>
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა 2021-2023 წლებისთვის: <http://www.sca.ge/geo/static/91/genderuli-tanastorobis-sabcho>

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 15 აგვისტოს წერილი, N207.
- საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ, N2315-III, 2014. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2348314?publication=0>
- ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020. <https://myrights.gov.ge/ka/documents/documents/strategy/>
- საქართველოს მთავრობის დადგენილება საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) დამტკიცებისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ, N445, (2014). https://myrights.gov.ge/uploads/files/docs/2063HRAP_2014-2015.pdf
- ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015) შესრულების ანგარიში. <https://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf>
- საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის 2014 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ანგარიშის შეფასება, საია, თბილისი, (2015). <https://gyla.ge/files/samoqmedo%20gegma.pdf>
- საქართველოს მთავრობის დადგენილება საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ, N338, (2016). https://myrights.gov.ge/uploads/files/docs/9003HRAP_2016-2017.pdf
- საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) შესრულების ანგარიში <https://myrights.gov.ge/uploads/files/docs/6971Report2016-2017.pdf>
- ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ანგარიში (2016-2017წწ.), თბილისი, 2018, გვ.120, https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98_1537358492.pdf
- საქართველოს მთავრობის დადგენილება ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2018-2020), დამტკიცების შესახებ, N182, (2018), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4153833?publication=1>
- GDI და IDSD-ის შეფასება ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2018-2020)-ის შესახებ <http://www.hrm.org.ge/ge?ap=83>
- COVID-19-ის კრიზისის დროს ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის საკომუნიკაციო სტრატეგია.
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, N1, 2020. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4830390?publication=0> REPORT OF THE GOVERNMENT OF GEORGIA ON THE IMPLEMENTATION OF THE COUNCIL OF EUROPE CONVENTION ON PREVENTING AND COMBATING VIOLENCE AGAINST WOMEN AND DOMESTIC VIOLENCE (ISTANBUL CONVENTION) გვ 41.
- ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2022-2030), <https://myrights.gov.ge/uploads/files/docs/3906ადამიანისუფლებათადაცვისეროვნულისტრატეგია.pdf>
- ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა, https://myrights.gov.ge/uploads/files/docs/5148ოჯ.დაქალთაძალადობისწინააღმდეგსამოქმედოგეგმა_24.ოქტ.2022+.pdf
- ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა, <https://myrights.gov.ge/uploads/files/docs/67761325სამოქმედოგეგმა24.ოქტ.2022.pdf>
- საქართველოს მთავრობის დადგენილება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე, N523, (2022), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5611339?publication=0>
- ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017.
- UN Women, UNDP, UNFPA, *საქართველოში COVID-19-ით გამოწვეული სიტუაციის სწრაფი გენდერული შეფასება 2021.*
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ეროვნული კვლევა საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ (2017) <https://www.geostat.ge/media/26061/National-VAW-Study-Report-ENG.pdf>
- საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (2020). ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>
- საქართველოს პროკურატურა: https://m.facebook.com/story.php?story_fbid=pfbid02n72s9S9KSqCZ1eT3t16Fwy4WN3JUKfT2dhjywAGXZexAaBjxci7xTSYfQv8qQhd6l&id=100064494740657
- საქართველოს სახალხო დამცველი და გაეროს ერთობლივი პროგრამა „გენდერული თანასწორობისთვის“, *ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში* (2019), გვ. 12. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://ombudsman.ge/res/docs/2021061415064722095.pdf>

- გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭოს ანგარიში საქართველოში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ (2021) <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Gender/angarishi/genderuli-cliuri-angarishi-2021.pdf>
- <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Gender/angarishi/genderuli-cliuri-angarishi-2021.pdf>
- საჯარო სამსახურის ბიუროს 2023 წლის 11 აგვისტოს წერილი, Nგ7164.
- გენდერული თანასწორობა საქართველოში, ბარიერები და რეკომენდაციები ნაწილი I, 2021, გვ.30.
- საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს 2023 წლის 11 აგვისტოს წერილი, Nგ7164.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 14 აგვისტოს წერილი N MIA 6 23 02358099.
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. საქმე „თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ“, საჩივარი #33056/17. სტრასბურგი: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2021. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5273734?publication=0> (23.08.2023).
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. საქმე „A და B საქართველოს წინააღმდეგ“, საჩივარი #73975/16. სტრასბურგი: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2022. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5443641?publication=0> (23.08.2023).
- საქართველოს მთავრობა. 2019. განკარგულება #2328, მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის თათბარზე. <https://matsne.gov.ge/document/view/4732470?publication=0> (10.07.2023).
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 2019. ანგარიში #4607. <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/16877> (23.08.2023).
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 2020. 2019 წლის ანგარიში – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ. <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/26130> (23.08.2023).
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 2023. 2022 წლის ანგარიში – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ. <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/38763> (23.08.2023).
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 2023. 2022 წლის ანგარიში – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ. <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/38706> (23.08.2023).
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება # 14/25, შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია. 2014. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289?publication=0> (10.08.2023).
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება # 2012-28-02, ბავშვის უფლებების კონვენციის „შეტყობინების პროცედურის შესახებ“ დამატებითი ოქმი. 2016. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3580102?publication=0> (10.08.2023).
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება CETS #210, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია. 2017. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0> (12.08.2023).
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება # 14/25-01, შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატიური ოქმი. 2021. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5173211?publication=0> (10.08.2023).
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება # 14/25-01, შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატიური ოქმი. 2021. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5173211?publication=0> (10.08.2023).
- საქართველოს პარლამენტი. დადგენილება #2663-XIმს-Xმპ, „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის მეორე ეროვნული სტრატეგიის“ დამტკიცების შესახებ. 2023. მე-4 სესია, მე-10 მოწვევის პარლამენტი, 2020-2024. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5757268?publication=0> (25.07.2023).
- საქართველოს პარლამენტი. დადგენილება #2662-XIმს-Xმპ, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ. 2023. მე-4 სესია, მე-10 მოწვევის პარლამენტი, 2020-2024. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5755428?publication=0> (25.07.2023).
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2020. გენდერული სტატისტიკის სტრატეგია 2021-2023. https://www.geostat.ge/media/41397/Gender_Strategy-Geostat.pdf (05.08.2023)
- Council of Europe, Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence (CETS no. 210). Istanbul: Council of Europe, 2011. <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=signatures-by-treaty&treatynum=210> (13.10.2023)

- Council of Europe, Report submitted by Georgia pursuant to Article 68, paragraph 10 of the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence (Baseline Report). Strasbourg: GREVIO, 2020. <https://rm.coe.int/georgia-state-report/1680a0a4e6> (13.08.2023).
- Council of Europe, Recommendation on the implementation of the Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence by Georgia. GREVIO, 2022. <https://rm.coe.int/ic-cp-inf-2022-14-cop-recommendation-georgia-eng/1680a952e8>(13.10.2023).
- Countryeconomy.com, Georgia – Global Gender Gap Index. <https://countryeconomy.com/demography/global-gender-gap-index/georgia> (10.08.2023).
- European Court of Human Rights, CASE OF GAIDUKEVICH v. GEORGIA, Application no.38650/18. Strasbourg: ECHR, 2023). [https://hudoc.echr.coe.int/#{"itemid":\["001-225228"\]}](https://hudoc.echr.coe.int/#{) (23.08.2023).
- CEDAW, Communication NO. 24/2009 – CEDAW/C/61/D/24/2009. Geneva: CEDAW, 2015. <https://juris.ohchr.org/casetails/2051/en-US>(23.08.2023).
- CEDAW, Communication NO. 140/2019 – CEDAW/C/80/D/140/2019. Geneva: CEDAW, 2021. <https://juris.ohchr.org/SearchResult> (23.08.2023).
- OHCHR. Reporting Status for Georgia. UN Treaty Body Database, CEDAW. https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/TreatyBodyExternal/countries.aspx?CountryCode=GEO&Lang=EN (29.07.2023).
- OHCHR, Concluding observations on the combined fourth and fifth periodic reports of Georgia – CEDAW/GEO/CO/4-5. Geneva: CEDAW, 2014. https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW%2FC%2FGEO%2FCO%2F4-5&Lang=en(29.07.2023).
- OHCHR. Concluding observations on the sixth periodic reports of Georgia – CEDAW/GEO/CO/6. Geneva: CEDAW, 2023. https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW%2FC%2FGEO%2FCO%2F6&Lang=en(24.07.2023).
- OHCHR. Concluding observations on the combined sixth and eighth periodic reports of Georgia – CERD/C/GEO/CO/6-8. Geneva: CERD, 2016. https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CERD%2FC%2FGEO%2FCO%2F6-8&Lang=en(29.07.2023).
- OHCHR. Concluding observations on the combined ninth and tenth periodic reports of Georgia – CERD/C/GEO/CO/9-10. Geneva: CERD, 2022. https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CERD%2FC%2FGEO%2FCO%2F9-10&Lang=en(29.07.2023).
- OHCHR. Concluding observations on the fourth periodic report of Georgia – CRC/C/GEO/CO/4. Geneva: CRC, 2017. https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRC%2FC%2FGEO%2FCO%2F4&Lang=en (29.07.2023).
- OHCHR. Concluding observations on the initial report of Georgia – CRPD/C/GEO/CO/1. Geneva: CRPD, 2023. https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRPD%2FC%2FGEO%2FCO%2F1&Lang=en (29.07.2023).
- OHCHR. Combined fifth and sixth reports submitted by Georgia under article 44 of the Convention, due in 2023 – CRC/C/GEO/5-6. Geneva: CRC, 2023. https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRC%2FC%2FGEO%2F5-6&Lang=en (29.07.2023).
- OHCHR. Third periodic report submitted by Georgia under articles 16 and 17 of the Covenant, due in 2007 – E/C.12/GEO/3. Geneva: CESCR, 2023. https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=E%2FC.12%2FGEO%2F3&Lang=en (29.07.2023).
- OHCHR. Universal Periodic Review of Georgia. Geneva: Human Rights Council, 2021. <https://www.ohchr.org/en/hrbodies/upr/ge-index>(15.08.2023)
- OHCHR. Report of the Special Rapporteur on the human rights of internally displaced persons – A/HRC/26/33/Add.1. Geneva: Human Rights Council, 2014. <https://spinternet.ohchr.org/Download.aspx?SymbolNo=A%2fHRC%2f26%2f33%2fAdd.1&Lang=en> (16.07.2023).
- OHCHR. Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment on his mission to Georgia – A/HRC/31/57/Add.3. Geneva: Human Rights Council, 2015. <https://spinternet.ohchr.org/Download.aspx?SymbolNo=A%2fHRC%2f31%2f57%2fAdd.3&Lang=en> (16.07.2023).
- OHCHR. Report of the Special Rapporteur on violence against women, its causes and consequences on her mission to Georgia – A/HRC/32/42/Add.3. Geneva: Human Rights Council, 2016. <https://spinternet.ohchr.org/Download.aspx?SymbolNo=A%2fHRC%2f32%2f42%2fAdd.3&Lang=en>(16.07.2023).
- OHCHR. Report of the Special Rapporteur on the sale of children, child prostitution and child pornography on her visit to Georgia – A/HRC/34/55/Add.1. Geneva: Human Rights Council, 2016. <https://spinternet.ohchr.org/Download.aspx?SymbolNo=A%2fHRC%2f34%2f55%2fAdd.1&Lang=en> (16.07.2023).

- OHCHR. Report of the Special Rapporteur on the human rights of internally displaced persons on his follow-up mission to Georgia – A/HRC/35/27/Add.2. Geneva: Human Rights Council, 2016. <https://spinternet.ohchr.org/Download.aspx?SymbolNo=A%2fHRC%2f35%2f27%2fAdd.2&Lang=en> (16.07.2023).
- OHCHR. Report of the Independent Expert on the enjoyment of all human rights by older persons on her mission to Georgia – A/HRC/39/50/Add.1. Geneva: Human Rights Council, 2018. <https://spinternet.ohchr.org/Download.aspx?SymbolNo=A%2fHRC%2f39%2f50%2fAdd.1&Lang=en>(16.07.2023).
- OHCHR. Report of Independent Expert on protection against violence and discrimination based on sexual orientation and gender identity on his visit to Georgia – A/HRC/41/45/Add.1. Geneva: Human Rights Council, 2019. <https://spinternet.ohchr.org/Download.aspx?SymbolNo=A%2fHRC%2f41%2f45%2fAdd.1&Lang=en> (29. 07. 2023).
- UN. International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of their Families – GA resolution 45/158. New York: General Assembly, 1990. <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-convention-protection-rights-all-migrant-workers> (25.07.2023).
- UN. International Convention for the Protection of all Persons from Enforced Disappearance – GA resolution 47/133. New York: General Assembly, 2010. <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-convention-protection-all-persons-enforced> (25.07.2023).
- UN. Optional protocol to the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights – A/RES/63/117. New York: General Assembly, 2008. <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/optional-protocol-international-covenant-economic-social-and> (26.07.2023).
- UN. Convention on Elimination of All Forms of Discrimination against Women. New York: General Assembly, 1979. <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/convention-elimination-all-forms-discrimination-against-women> (10.08.2023).
- UN. Beijing Declaration and Platform for Action. Beijing: Fourth World Conference on Women, 1995. https://archive.unescwa.org/sites/www.unescwa.org/files/u1281/bdpfa_e.pdf (23.08.2023).
- UN. Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development – A/RES/70/1. New York: General Assembly, 2015. <https://sustainabledevelopment.un.org/post2015/transformingourworld/publication> (10.08.2023).
- UN. Millennium Development Goals and Beyond 2015. New York: DESA, 2016. <https://www.un.org/millenniumgoals/> (10.08.2023).
- UN. Work of the Statistical Commission pertaining to the 2030 Agenda for Sustainable Development – A/RES/71/313. New York: General Assembly, 2017. https://ggim.un.org/documents/a_res_71_313.pdf (10.08.2023).
- UN. Synthesis of Voluntary National Reviews. New York: High Level Political Forum, 2016. https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/127761701030E_2016_VNR_Synthesis_Report_ver3.pdf (10.07.2023).
- UN. Voluntary National Review. New York: High Level Political Forum, 2020. <https://sustainabledevelopment.un.org/memberstates/georgia> (10.08.2023).
- UN. Georgia’s National-level Review of the Implementation of the Beijing Declaration and Platform for Action Beijing +25. New York: CSW64, 2020. <https://www.unwomen.org/sites/default/files/Headquarters/Attachments/Sections/CSW/64/National-reviews/Georgia.pdf> (29.07.2023).
- UN. Universal Periodic Review – Resolution 60/251. New York: General Assembly, 2006. <https://www.ohchr.org/en/hrbodies/upr/upr-home>(15.08.2023).

დანართი 1 – მდგრადი განვითარების მიზნების გენდერულად მგრძობიარე ინდიკატორები

მიზანი 1. დამთავრდეს სიღარიბე ყველა მისი ფორმით ყველგან

1.1.1: სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის წილი (1.90 აშშ დოლარი/დღე, 2011 მყიდველობითი უნარის პარიტეტი), სქესის მიხედვით (%)

1.2.1: სიღარიბის ეროვნულ ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, სქესისა და ასაკის მიხედვით

1.3.1: სოციალური დაცვის მინიმალური ნორმებით/ სისტემებით დაფარული მოსახლეობის პროპორციული ოდენობა სქესის მიხედვით; ბავშვების, უმუშევრების, ხანდაზმულების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ორსული ქალების, ახალშობილების, სანარმოო ტრავმების მსხვერპლებისა და ღარიბი და მოწყვლადი ადამიანების ხაზგასმით

1.4.2: იმ ზრდასრული მოსახლეობის პროპორციული ოდენობა სქესის და საკუთრების ტიპის მიხედვით, რომელსაც იურიდიულად დადასტურებული დოკუმენტაციით აქვს მიწის ქონის უფლება და დაცულად აღიქვამს ამ უფლებას

მიზანი 2. დაასრულეთ შიმშილი, მიაღწიეთ სასურსათო უსაფრთხოებას და გააუმჯობესეთ კვება და ხელი შეუწყეთ მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარებას

2.3.2: სურსათის მცირე მწარმოებელთა საშუალო შემოსავალი სქესისა და ადგილობრივი მკვიდრის სტატუსის მიხედვით

მიზანი 3. უზრუნველყავით ჯანსაღი ცხოვრება და მიაღწიეთ სასურსათო უსაფრთხოებას, ხელი შეუწყეთ კვებას და ხელი შეუწყეთ მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარებას

3.1.1: დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი

3.1.2: შობადობის წილი, რომელსაც ესწრება კვალიფიციური ჯანდაცვის მუშაკები

3.3.1: HIV-ით ინფიცირების ახალი შემთხვევების რაოდენობა 1000 არა ინფიცირებულ მოსახლეზე, სქესის, ასაკისა და რისკ ჯგუფების მიხედვით

3.7.1: რეპროდუქციული ასაკის (15-49 წლის) იმ ქალების პროპორციული ოდენობა, რომელთა ოჯახის დაგეგმვის საჭიროებები დაკმაყოფილებულია თანამედროვე მეთოდების მეშვეობით

3.7.2: მოზარდებს (10-14 წლის; 15-19 წლის) შორის შობადობის მაჩვენებელი შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის 1000 ქალზე

3.8.1 ძირითადი ჯანდაცვის სერვისების დაფარვა (განსაზღვრულია, როგორც ძირითადი სერვისების საშუალო დაფარვა, რომელიც დაფუძნებულია კვლევით ინტერვენციებზე, რომლებიც მოიცავს რეპროდუქციულ, დედათა, ახალშობილთა და ბავშვთა ჯანმრთელობას, ინფექციურ დაავადებებს, არა გადამდებ დაავადებებს და მომსახურების შესაძლებლობებს და ხელმისაწვდომობას, ზოგად და ყველაზე დაუცველ მოსახლეობას შორის)

მიზანი 4. უზრუნველყოფით ინკლუზიური და თანაბარი ხარისხის განათლება და ხელი შეუწყეთ უწყვეტი სწავლის ხელმისაწვდომობას ყველასთვის

4.1.1. სქესის მიხედვით ბავშვებისა და ახალგაზრდების პროპორციული ოდენობა: (ა) 2/3 კლასებში; (ბ) დაწყებითი განათლების ბოლოს; და (გ) საბაზო განათლების ბოლოს, რომლებიც ფლობენ (i) კითხვისა და (ii) მათემატიკის მინიმალურ უნარებს

4.2.1. 5 წლამდე ასაკის ბავშვების პროპორციული ოდენობა სქესის მიხედვით, რომელთა განვითარება, სწავლა და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობა სწორი გზით მიდის

4.2.2 ორგანიზებულ სასწავლო პროცესში ბავშვების მონაწილეობის მაჩვენებელი, სქესის მიხედვით (ერთი წლით ადრე სკოლაში სწავლების დაწყების ოფიციალურ ასაკამდე)

4.3.1: ბოლო 12 თვის განმავლობაში ოფიციალურ და არაოფიციალურ განათლებასა და სწავლებაში ახალგაზრდებისა და ზრდასრული ადამიანების მონაწილეობის მაჩვენებელი, სქესის მიხედვით

4.5.1: თანასწორობის მაჩვენებლები (ქალი/ მამაკაცი, სოფლად/ქალაქში მცხოვრები, სიმდიდრის ყველაზე მაღალი/ყველა დაბალი კვინტილის მქონე და სხვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მქონე, მკვიდრი მოსახლეობა და კონფლიქტით დაზარალებული პირები, როდესაც ხელმისაწვდომი იქნება მონაცემები) ამ ჩამონათვალში მოცემული ყველა სასწავლო ინდიკატორისთვის, რომელთა კლასიფიცირება შესაძლებელია

4.6.1: მოცემულ ასაკობრივ ჯგუფში, სქესის მიხედვით, იმ მოსახლეობის პროცენტული ოდენობა, რომელიც ფლობს (ა) წიგნიერებისა და (ბ) რაოდენობრივი წიგნიერების მინიმალურ ფუნქციურ უნარებს.

4.7.1: რამდენადაა ინტეგრირებული (i) გლობალური მოქალაქეობის განათლება და (ii) განათლება მდგრადი განვითარებისთვის, გენდერული თანასწორობისა და ადამიანის უფლებების ჩათვლით, ყველა დონეზე: (ა) ეროვნული განათლების პოლიტიკაში, (ბ) სასწავლო გეგმებში, (გ) მასწავლებელთა განათლებასა და (დ) მოსწავლეთა შეფასებაში

4.a.1: სკოლების პროპორციული ოდენობა, რომლებშიც ხელმისაწვდომია: (ა) ელექტროენერგია; ბ) ინტერნეტი პედაგოგიური მიზნებისათვის; გ) კომპიუტერები პედაგოგიური მიზნებისათვის; (დ) ადაპტირებული ინფრასტრუქტურა და მასალები შშმ სტუდენტებისთვის; (ე) ძირითადი სასმელი წყალი; ვ) ერთსქესიანთა ძირითადი სანიტარული საშუალებები; და (ზ) ხელების დაბანის ძირითადი საშუალებები (WASH ინდიკატორის განმარტებების მიხედვით)

მიზანი 5. გენდერული თანასწორობის მიღწევა და ქალების და გოგოების გაძლიერება

5.1.1 არსებობს თუ არა თანასწორობის ხელშეწყობის და აღსრულების და სქესის საფუძველზე დისკრიმინაციის მონიტორინგის სამართლებრივი ჩარჩოები

5.2.1: 15 წლის და უფრო მეტი ასაკის ქალებისა და გოგოების პროპორციული რაოდენობა ძალადობის ფორმისა და ასაკის მიხედვით, რომელთაც ჰყოლიათ პარტნიორი და რომელთა მიმართ ამჟამინდელი ან ყოფილი ინტიმური პარტნიორის მხრიდან წინა 12 თვის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას

5.2.2: 15 წლის და უფრო მეტი ასაკის იმ ქალებისა და გოგოების პროპორციული რაოდენობა ასაკის და ძალადობის ადგილის მიხედვით, რომელთა მიმართ არა ინტიმური პარტნიორის მხრიდან წინა 12 თვის განმავლობაში ადგილი ჰქონია სექსუალურ ძალადობას

5.3.1: 20-24 წლის იმ ქალთა პროპორციული რაოდენობა, რომლებიც დაქორწინებულები იყვნენ ან კავშირში იმყოფებოდნენ 15 და 18 წლის ასაკამდე

5.4.1: დროის პროპორციული ოდენობა, რომელიც დახარჯულია ანაზღაურებად სამინაო სამუშაოსა და მოვლაზე სქესის, ასაკისა და ადგილმდებარეობის მიხედვით

5.5.1 პარლამენტში და ადგილობრივ ხელისუფლებაში ქალთა მიერ დაკავებული ადგილების პროპორციული რაოდენობა

5.5.2 ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალების პროპორციული ოდენობა

5.6.1: 15-49 წლის იმ ქალთა პროპორციული ოდენობა, ვინც სექსუალურ ურთიერთობებთან, კონტრაცეპტივების გამოყენებასთან და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით, საკუთარ, ინფორმირებულ გადაწყვეტილებას იღებს

5.6.2: ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც კანონების და რეგულაციების მეშვეობით უზრუნველყოფენ 15 წელზე უფროსი ასაკის ქალებსა და მამაკაცებს სრულ და თანაბარ ხელმისაწვდომობას სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, ინფორმაციასა და განათლებაზე

5.a.1. ა) სოფლად მცხოვრები იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა სქესის მიხედვით, რომელსაც აქვს საკუთრების ან გარანტირებული უფლებები სასოფლო-სამეურნეო მიწაზე. ბ) სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საკუთრების ან გარანტირებული უფლების მქონე მოსახლეობას შორის ქალთა წილი

5.a.2: ქვეყნების პროპორციული რაოდენობა, რომლის საკანონმდებლო ბაზა (მათ შორის ჩვეულებითი სამართალი) უზრუნველყოფს ქალთა თანაბარ უფლებებს მიწის საკუთრებაზე ან/და კონტროლზე.

5.b.1: იმ ადამიანების პროპორციული რაოდენობა, ვინც ფლობს მობილურ ტელეფონს, სქესის მიხედვით

მიზანი 8: მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასთვის

8.3.1: არასასოფლო-სამეურნეო დასაქმებაში არაფორმალური დასაქმების პროპორციული რაოდენობა სქესის მიხედვით

8.5.1: დასაქმებული ქალებისა და მამაკაცების საშუალო საათობრივი შემოსავალი, სამუშაოს, ასაკისა და შებენი უნარების შესაძლებლობების მქონე პირების მიხედვით

8.5.2: უმუშევრობის დონის მაჩვენებელი, სქესის, ასაკისა და შებენი უნარების შესაძლებლობების მქონე პირების მიხედვით

8.7.1: 5-17 წლის იმ ბავშვების პროპორციული ოდენობა და რაოდენობა, რომლებიც ჩართულები არიან ბავშვთა შრომაში, სქესისა და ასაკის მიხედვით

8.8.1: სასიკვდილო და არასასიკვდილო სანარმოო ტრავმების სიხშირის მაჩვენებელი, სქესისა და მიგრანტის სტატუსის მიხედვით

8.8.2: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სტანდარტებთან და ეროვნულ კანონმდებლობასთან, შრომის უფლებების შესაბამისობაში მოყვანის გაზრდა (გაერთიანების თავისუფლება და კოლექტიური ადვოკატირება) სქესის და მიგრანტის სტატუსის მიხედვით.

8.9.2: სამუშაო ადგილების რაოდენობა ტურისტულ ინდუსტრიაში, როგორც მთლიანი სამუშაო ადგილების პროპორციული რაოდენობა და სამუშაო ადგილების ზრდის ტემპი, სქესის მიხედვით

მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და მათ შორის

10.2.1: მედიანური შემოსავლის 50 პროცენტზე ქვემოთ მცხოვრები ადამიანების პროპორციული ოდენობა, სქესის, ასაკის და შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიხედვით

მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოებების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველასთვის და ყველა დონეზე ეფექტური, ან-გარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა.

16.1.1: განზრახ მკვლელობის მსხვერპლთა რაოდენობა 100,000 ადამიანზე, სქესისა და ასაკის მიხედვით

16.1.1.2: კონფლიქტის შედეგად დამდგარი სიკვდილის შემთხვევათა რაოდენობა 100,000 ადამიანზე, სქესის, ასაკისა და სიკვდილის მიზეზის მიხედვით

16.2.2: ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობა 100,000 ადამიანზე, სქესის, ასაკის და ექსპლუატაციის ფორმის მიხედვით

16.2.3: 18-29 წლის იმ ახალგაზრდა ქალებისა და მამაკაცების პროპორციული ოდენობა, ვისაც 18 წლის ასაკამდე სქესობრივი ძალადობა განუცდია

16.7.1: საჯარო დაწესებულებებში (ეროვნულ და ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში, საჯარო სამსახურში და მართლმსაჯულების სისტემაში) პოზიციების პროპორციები (სქესის, ასაკის, შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და მოსახლეობის ჯგუფების მიხედვით) ეროვნულ საერთო განაწილებებთან შედარებით

16.7.2: იმ მოსახლეობის წილი, რომელსაც მიაჩნია, რომ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი ინკლუზიური და სწრაფი რეაგირების უნარის მქონეა, სქესის, ასაკის, შებლუდული შესაძლებლობისა და მოსახლეობის ჯგუფის მიხედვით

დანართი 1ა – დამატებითი ქვეყნისთვის სპეციფიკური ბენდერულად მბრძნობიარე ინდიკატორები

მიზანი 2. დაასრულეთ შიმშილი, მიაღწიეთ სასურსათო უსაფრთხოებას და გააუმჯობესეთ კვება და ხელი შეუწყეთ მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარებას

2.3.2: სოფლის მოსახლეობის საოჯახო მეურნეობის საშუალო შემოსავალი (დასაქმებიდან/თვითდასაქმებიდან, სასოფლო-სამეურნეო საქონლის გაყიდვებიდან): 700 ლარი

მიზანი 3. უზრუნველყავით ჯანსაღი ცხოვრება და მიაღწიეთ სასურსათო უსაფრთხოებას, ხელი შეუწყეთ კვებას და ხელი შეუწყეთ მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარებას

3.8.1 მოსახლეობის %, რომელმაც 6 თვის განმავლობაში ავადმყოფობა განაცხადა და რაიმე მიზეზით მიმართა ექიმს სამედიცინო დაწესებულებაში: 85%

მიზანი 4. უზრუნველყავით ინკლუზიური და თანაბარი ხარისხის განათლება და ხელი შეუწყეთ უწყვეტი სწავლის ხელმისაწვდომობას ყველასთვის

4.1.1. 2030 წლისთვის დაწყებითი და საშუალო განათლება ხელმისაწვდომი იქნება 100% ბავშვებისთვის. ყველა ბავშვი მიაღწევს მინიმუმ დაწყებით დონეს საბაზისო კითხვისა და მათემატიკის უნარებში

4.2.1. ფორმალური განათლების სისტემის მიღმა დარჩენილი ბავშვების რიცხვი მინიმუმ 10%-მდე შემცირდება

4.2.2 ყველა მუნიციპალიტეტი ახორციელებს სასკოლო მზაობის პროგრამას; 5-6 წლის ბავშვების რაოდენობა ჩართული სასკოლო მზაობის პროგრამებში სქესის მიხედვით

4.3.1: ახალგაზრდების და მოზარდების მონაწილეობის მაჩვენებელი ხელმისაწვდომ და ხარისხიან ტექნიკურ და პროფესიულ განათლებასა და სწავლებაზე 2030 წლისთვის გაიზარდა

4.5.1: ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობა ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლების სისტემაში უზრუნველყოფილია 2030 წლამდე

4.a.1: ყველა საჯარო სკოლა აღიჭურვა და რეაბილიტირებულია სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების საჭიროებების გათვალისწინებით

მიზანი 5. გენდერული თანასწორობის მიღწევა და ქალების და გოგონების გაძლიერება

5.4.1 ქალთა ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებელი (ქალთა პროცენტი სამუშაო ძალაში) – სამიზნე: 77%

5.a.2: სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ზომები, რომელიც ამკვიდრებს ქალთა თანაბარ უფლებებს ეკონომიკურ რესურსებზე, ისევე როგორც მინაზე და სხვა საკუთრებაზე, მათ შორის საკუთრებასა და მემკვიდრეობის კონტროლზე

მიზანი 8: მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასთვის

8.8.1: ადმინისტრაციული მონაცემების და შრომის უსაფრთხოებისა და უსაფრთხოების შესახებ კანონის შე-საბამისად შრომის უსაფრთხოებისა და უსაფრთხოების წესების დარღვევის რაოდენობის შემცირება; შრომის ინსპექტორებმა ყოველწლიურად უნდა შეამოწმონ არანაკლებ კომპანიების 2,5% 2030 წლისთვის.

8.9.2: სამუშაო ადგილების რაოდენობა ტურისტულ ინდუსტრიაში 2025 წლისთვის; 333 000-ზე მეტი

მიზანი 9:

9.5.2 კვლევების რაოდენობა 10%-ით გაიზარდა 2030 წლისთვის

მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოებების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველასთვის და ყველა დონეზე ეფექტური, ან-გარიშვალდებულებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა.

16.1.2: გამყოფ საზღვარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე რეგისტრირებული დანაშაული

16.2.1: ტრეფიკინგისათვის მსჯავრდებულთა რაოდენობა დაყოფილი სქესის, ასაკისა და ექსპლუატაციის ფორმის მიხედვით

16.7.1: საჯარო მოხელეთა რაოდენობა (ასაკი, სქესი, შშმ პირები, ადგილობრივი თვითმმართველობა, სასა-მართლო სისტემა)

დანართი 2 – გაერთიანებული საერთაშორისო რეკომენდაციები

CEDAW 2023	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა სახელმწიფო სამინისტროს და სხვადასხვა შესაბამისი საერთაშორისო ფორუმების მეშვეობით უზრუნველყოს ქალებისა და გოგოების მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კონვენციით განსაზღვრული უფლებებით სარგებლობა
CEDAW 2023	განაახლოს გენდერული თანასწორობის შესახებ 2010 წელს მიღებული კანონი და მოიყვანოს შესაბამისობაში ბოლო საკონსტიტუციო ცვლილებებთან
CEDAW 2023	უზრუნველყოს, რომ ეროვნული სამართალი ეყრდნობოდეს კონვენციის მოთხოვნებს და სათანადოდ მოამზადოს სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლები
CEDAW 2023	შეცვალოს სამოქალაქო კოდექსი, ისე რომ მარტოხელა მშობლის სტატუსი ვრცელდებოდეს ყველა დედაზე, რომელიც ბავშვს მარტო ზრდის, და უზრუნველყოს მათი წვდომა სოციალურ და სხვა დამხმარე სერვისებზე
CEDAW 2023	აღმოფხვრას ქალებისა და გოგოების მიმართ გენდერული ძალადობის შემთხვევების არასაკმარისი მომართვიანობის ძირეული მიზეზები
CEDAW 2023	უზრუნველყოს გამოძიებისა და დაკითხვის პროცესის გენდერული მგრძობელობა; უზრუნველყოს სამართალდამცავ სისტემაში გენდერული მიკერძოებისა და ქალებისა და გოგოების სტიგმატიზაციის აღმოფხვრა, განსაკუთრებით გენდერული ძალადობის შემთხვევებისას
CEDAW 2023	ინსტიტუციურად გააძლიეროს ქალთა წინსვლის ეროვნული მექანიზმი, მკაფიოდ განსაზღვროს მისი მანდატი და პასუხისმგებლობები, უზრუნველყოს ადეკვატური ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსებით და გააძლიეროს ადგილობრივ მმართველობაში ინტეგრაციით. უზრუნველყოს ხელისუფლების ყველა დონეზე გენდერული თანასწორობა და გენდერული მენისტრიმინგი
CEDAW 2023	პარლამენტში პოლიტიკის დოკუმენტის მიღებისას აუცილებელ მოთხოვნად აქციოს გენდერული ზემოქმედების შეფასება. გააგრძელოს სახელმწიფო ფინანსების მართვის სისტემის რეფორმა, და განახორციელოს სისტემატური გენდერული ბიუჯეტირება. უზრუნველყოს აღნიშნული მიმართულებით საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების გაძლიერება
CEDAW 2023	უზრუნველყოს სახალხო დამცველის აპარატის და მისი მანდატის გაძლიერება, ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსების გამოყოფითა და დამოუკიდებლობის გაზრდით
CEDAW 2023	მისაღწევი მიზნების დროში განერით, დააჩქაროს ქალებისა და მამაკაცების არსებითი თანასწორობის მიღწევა ყველა სფეროში, სადაც ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი ან ესაჭიროებათ განსაკუთრებული დაცვა, განსაკუთრებით აქცენტით ქალთა მონყვლადა ჯგუფებზე; განახორციელოს მონიტორინგი; შეუსრულებლობისთვის დაანესოს ადეკვატური სანქციები; სისტემატურად განახორციელოს დროებითი სპეციალური ღონისძიებების გავლენის შესახებ მონაცემთა შეგროვება
CEDAW 2023	განხორციელების მონიტორინგისა და ქალებისა და მამაკაცების არსებითი თანასწორობის მიღწევაზე მათი გავლენის შესაფასებლად მექანიზმების ჩამოყალიბება და შეუსრულებლობისთვის ადეკვატური სანქციების დანესება

CEDAW 2023	მიიღოს კანონმდებლობა, რომელიც აკრძალავს „ქალწულობის ტესტირებას“, ადეკვატურად დასაჯოს დამნაშავეები, სისტემატურად შეაგროვოს მონაცემები, და გამოავლინოს მავნე პრაქტიკის ძირითადი მიზეზები; გააგრძელოს ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლება და საგანმანათლებლო კამპანიები
CEDAW 2023	მიიღოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები, შეიმუშაოს გაუპატიურების დეფინიცია, რომელიც ეფუძნება თანხმობის არარსებობას; განსაზღვროს ეკონომიკური ძალადობის სახელით ჩადენილი დანაშაულები
CEDAW 2023	წაახალისოს ოჯახში ძალადობის შესახებ მიმართვიანობა; უზრუნველყოს ეფექტური წვდომა დაცვის ორდერებზე, მათ შორის საგანგებო შემთხვევებზე ორდერებზე
CEDAW 2023	გააძლიეროს ძალისხმევა, მათ შორის რისკის შეფასება ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, განსაკუთრებით ფემიციდის პრევენციის მიზნით, შეიმუშაოს დამნაშავეთათვის ქცევის შეცვლის სავალდებულო სასწავლო პროგრამები
CEDAW 2023	სამართალდამცავი სისტემების გაძლიერების გზით უზრუნველყოს, რომ გენდერული მოტივით ჩადენილი დანაშაული ფასდება დამამძიმებელ გარემოებად და დანაშაულის სიმძიმის შესატყვისია შეფასება დამამძიმებელ გარემოებად, მათ შორის ოჯახური და სექსუალური ძალადობის შემთხვევებში
CEDAW 2023	გააძლიეროს მსხვერპლთა დახმარების სერვისები; უზრუნველყოს ხელმისაწვდომი თავშესაფრები, სამედიცინო მკურნალობა, ფსიქოლოგიური კონსულტაცია და ეკონომიკური მხარდაჭერა, მათ შორის გაუპატიურების კრიზისულ ცენტრებში, განსაკუთრებით ქალებზე, რომლებიც განიცდიან მრავალმხრივ დისკრიმინაციას
CEDAW 2023	ტრეფიკინგის პრევენციისათვის სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით მიიღოს ზომები: შექმნას სპეციალიზებული გენდერულად მგრძობიარე და ბავშვზე ორიენტირებული მხარდაჭერის სერვისები, თავშესაფრები, აწარმოოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიები. განსაკუთრებით გააძლიეროს პრევენციის ღონისძიებები ქალთა მონყვლადი ჯგუფების მიმართ
CEDAW 2023	გააძლიეროს ქალებისა და გოგოების ტრეფიკინგის მსხვერპლთა ადრეული იდენტიფიკაცია, განსაკუთრებით საქართველოს საზღვარზე
CEDAW 2023	გააუმჯობესოს ტრეფიკინგის მსხვერპლთა მხარდაჭერა – დახმარების ხაზი, უზრუნველყოს სერვისების უფრო ეფექტური მიწოდება
CEDAW 2023	გაზარდოს ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფინანსური დახმარება
CEDAW 2023	მოიპოვოს საერთაშორისო სუროგაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია
CEDAW 2023	მოიპოვოს პროსტიტუციაში მყოფი ქალების შესახებ ინფორმაცია და განიხილოს პროსტიტუციის ექსპლუატაციის ძირეული მიზეზები; შეიმუშაოს პროგრამები, რომლებიც მისცემს ქალებს პროსტიტუციის დატოვების საშუალებას; დანერგოს პროსტიტუციის მოთხოვნის კლების ზომები
CEDAW 2023	დანერგოს ქალების პრეფერენციული დაქირავება, კვოტები და გენდერული თანასწორობის სისტემა, ხელისუფლების ყველა დონეზე, სასამართლო სისტემაში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიაში, საგარეო სამსახურში და საერთაშორისო ორგანიზაციებში მივლინებისთვის, განსაკუთრებით გადაწყვეტილების მიღების დონეზე, რომელიც გავრცელდება მონყვლადი ჯგუფების წარმომადგენელ ქალებზეც

CEDAW 2023	გააძლიეროს ზომები პოლიტიკაში ქალების მიმართ დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ; აწარმოოს საგანმანათლებლო კამპანიები აღნიშნული მიმართულებით
CEDAW 2023	უზრუნველყოს ქალთა ქმედითი მონაწილეობა უშიშროების საბჭოს რეზოლუციის 1325 (2000) მეოთხე ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით
CEDAW 2023	მიიღოს დროებითი სპეციალური ზომები ქალების და გოგოების წასახალისებლად აირჩიონ განათლების არატრადიციული სფეროები და კარიერული გზები: როგორცაა ინჟინერია, მათემატიკა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
CEDAW 2023	დანერგოს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ სავალდებულო ასაკის შესაბამისი და ინკლუზიური განათლება; ასევე, პასუხისმგებელი სექსუალური ქცევის, კონტრაცეფციის თანამედროვე ფორმების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენციისა და არა უსაფრთხო აბორტის რისკების შესახებ განათლება
CEDAW 2023	გააძლიეროს ცნობიერების ამაღლების კამპანიები და დანერგოს ზომები შშმ ქალების და გოგოების სკოლაში ჩარიცხვის, შენარჩუნებისა და დამთავრების მაჩვენებლების გაზრდის მიზნით, განსაკუთრებით სოფლად
CEDAW 2023	მიიღოს ზომები, ქალებში უმუშევრობის შესამცირებლად, განსაკუთრებით ქალთა მონყვლად ჯგუფებში
CEDAW 2023	მიიღოს ზომები ქალთა ჰორიზონტალური და ვერტიკალური პროფესიული სეგრეგაციის აღმოსაფხვრელად
CEDAW 2023	მიიღოს ზომები, რათა კერძო და საჯარო სექტორში შემცირდეს და საბოლოოდ დასრულდეს გენდერული ანაზღაურების სხვაობა; განიხილოს 1999 წელს დაფიქსირებული მინიმალური ხელფასის გაზრდა
CEDAW 2023	შეაფასოს არაფორმალურ ეკონომიკაში ქალების მონაწილეობა, სოციალური უზრუნველყოფის და საპენსიო სქემების ხელმისაწვდომობა, გენდერული პერსპექტივიდან განიხილოს დასაქმების მოქმედი კანონმდებლობა და პოლიტიკა, ქალთა სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, არაფორმალურ ეკონომიკაში დასაქმებულთა და დაბალი შემოსავლის მქონე და/ან თვითდასაქმებული ქალების ჩათვლით
CEDAW 2023	ხელი შეუწყოს ქალებსა და მამაკაცებს შორის საოჯახო და ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობების თანაბარ განაწილებას, მათ შორის ბავშვზე ზრუნვის დანესებულებების რაოდენობის გაზრდით და მშობლის შვებულების თანასწორი გამოყენების ხელშეწყობით, აწარმოოს ცნობიერების ამაღლების კამპანიები
CEDAW 2023	მოახდინოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენციების რატიფიცირება: 1981 წლის საოჯახო პასუხისმგებლობის მქონე დასაქმებულის შესახებ (No. 156), დედობის დაცვის კონვენცია (No. 183), ოჯახში დასაქმებულის (No. 189).) 2019 წლის ძალადობისა და შევიწროების შესახებ კონვენცია (No. 190)
CEDAW 2023	გაზარდოს ჯანდაცვისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი, რათა უზრუნველყოს ყველა ქალისა და გოგოსთვის ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა, მათ შორის HIV პროფილაქტიკა, განსაკუთრებით ქალთა მარგინალური ჯგუფებისთვის

CEDAW 2023	უზრუნველყოს ქალებისთვის და გოგოებისთვის თანამედროვე კონტრაცეპტივების ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით ქალთა მარგინალური ჯგუფებისთვის
CEDAW 2023	უზრუნველყოს ქალების და გოგოებისთვის უსაფრთხო აბორტისა და აბორტის შემდგომი სერვისების ხელმისაწვდომობა, შეაგროვოს მონაცემები უკანონო აბორტების და მათი მიზეზების შესახებ
CEDAW 2023	გაატაროს ზომები დედათა სიკვდილიანობის მიზეზების აღმოსაფხვრელად
CEDAW 2023	გაზარდოს გენდერულად მგრძობიარე ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა; შექმნას თვითმკვლელობის პრევენციის დახმარების ხაზები
CEDAW 2023	განახორციელოს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ქალთა მარგინალურ ჯგუფებს
CEDAW 2023	ჩამოაყალიბოს გენდერულად მგრძობიარე და ფინანსურად მხარდაჭერილი სოციალური დაცვის სქემები ქალებისთვის, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ქალთა მარგინალურ ჯგუფებს
CEDAW 2023	მიიღოს მიზანმიმართული და დროებითი სპეციალური ზომები, რათა უზრუნველყოს ქალების მონყვლადი და მარგინალიზებული ჯგუფების, როგორებიც არიან ხანდაზმული ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები, სპეციალური საჭიროების მქონე ქალები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული ქალები, კონფლიქტით დაზარალებულ რაიონებში მცხოვრები ქალები, ლტოლვილები, თავშესაფრის მაძიებელნი, მიგრანტი და მოქალაქეობის არმქონე ქალები, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა, დასაქმება და ჯანდაცვა, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე წვდომა, სოციალური დაცვა და საკვები უსაფრთხოება, მათი სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით
CEDAW 2023	აღმოფხვრას ბავშვთა ქორწინების მავნე პრაქტიკა, განსაკუთრებით სოფლად. აღმოფხვრას ბავშვთა ქორწინების ძირეული მიზეზები, გააუმჯობესოს მსგავსი შემთხვევების გამოვლენის მექანიზმები და სისხლისსამართლებრივი დევნა; წინ აღუდგეს, იძულებითი ქორწინებას სისხლისსამართლებრივი დევნით და ყველა ქორწინების სამოქალაქო რეესტრში გატარების მოთხოვნით; განახორციელოს საკანონმდებლო რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავს ქალებისა და გოგოების უფლებების დაცვას არარეგისტრირებულ ქორწინებებში და დე ფაქტო კავშირებში და უზრუნველყოს ასეთ კავშირების შედეგად დაბადებული ბავშვების უფლებების დაცვა
CEDAW 2023	მკაცრად აღასრულოს სქესის მიხედვით შერჩევითი აბორტების აკრძალვა და შექმნას სერვისები, მათ შორის დახმარების ხაზები, ქალებისთვის, რომელთაც აიძულებენ აბორტის/შერჩევითი აბორტის გაკეთებას
CEDAW 2023	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და დეინსტიტუციონალიზაციის 2023–2030 წლების სტრატეგიისა და 2023–2025 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, უზრუნველყოს შშმ დედების წვდომა დამხმარე სერვისებზე, რათა შშმ დედებმა და მათმა შვილებმა ისარგებლონ ოჯახური ცხოვრებისა და კონფიდენციალურობის უფლებით
CRPD 2023	ჩართოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგოების უფლებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კანონისა და გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში და მათ შესაბამის სტრატეგიებში, პოლიტიკასა და პროგრამებში, რათა უზრუნველყოს შშმ ქალებისა და გოგოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დონეზე

CRPD 2023	ხელი შეუწყო შშმ ქალებისა და გოგოების მდგომარეობის კვლევას, ჩართოს მათი პრობლემები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ზოგადად ქალების შესახებ მონაცემების შეგროვებაში და აქტიურად ჩაერთოს შშმ ქალებისა და გოგოების წარმომადგენლობითი ორგანიზაციები ასეთი ღონისძიებების დიზაინსა და განხორციელებაში, ასევე მონიტორინგსა და შეფასებაში
CRPD 2023	შშმ ქალთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან კონსულტაციით შეიმუშაოს სტრატეგია, რათა ხელი შეუწყო შშმ ქალებისა და გოგოების წინსვლას ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვისა და ცნობიერების ამაღლების პროგრამების მიწოდებით
CERD 2022	უზრუნველყოს 2019 წლის თებერვალში მიღებული საპარლამენტო ეთიკის კოდექსის განხორციელება, რომელიც კრძალავს პარლამენტარების მიერ სიძულვილის ენის გამოყენებას, ასევე უზრუნველყოს საჯარო დაწესებულებების ეთიკის წესებისა და ქცევის კოდექსის ეფექტიანი განხორციელება, რომელიც დამტკიცდა მთავრობის 2020 წლის 30 აპრილს #200 დადგენილებით
CERD 2022	უზრუნველყოს ტრადიციულ სამაუწყებლო და ონლაინ მედიაში სიძულვილის ენის რეგულირების გაძლიერება
CCPR 2022	გენდერულ სტერეოტიპებთან წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით გააგრძელოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ოჯახში და საზოგადოებაში
CCPR 2022	გააძლიეროს ძალისხმევა ქალთა სრული და თანაბარი მონაწილეობის მისაღწევად პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ შორის აღმასრულებელ, სასამართლო და საკანონმდებლო ორგანოებში ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, განსაკუთრებით გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე
CCPR 2022	შეებრძოლოს შეუწყნარებლობას, სტერეოტიპებს, ცრურწმენას და დისკრიმინაციას მონყვლადი ჯგუფების, მათ შორის ეთნიკური და რელიგიური და სხვა უმცირესობების მიმართ, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოების, პროკურატურისა და სასამართლო მოხელეების ტრენინგებითა და ცნობიერების ამაღლებით. ფართო საზოგადოებაში მრავალფეროვნებისადმი სენსიტიურობისა და პატივისცემის ხელშეწყობი კამპანიების წარმოებით
CCPR 2022	უზრუნველყოს, რომ სიძულვილის, მტრობის ან ძალადობის ნებისმიერი ადვოკატირება ეთნიკური, ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური იდენტობის (და სხვ.) ნიადაგზე აკრძალულია კანონით
CCPR 2022	წაახალისოს სიძულვილის დანაშაულებისა და სიძულვილის ენის შესახებ შეტყობინებები და უზრუნველყოს ასეთი დანაშაულების იდენტიფიცირება და რეგისტრაცია, მათ შორის მონაცემთა შეგროვების ყოვლისმომცველი სეგრეგირებული სისტემის შექმნის გზით
CCPR 2022	გააძლიეროს სამართალდამცავი ორგანოების საგამოძიებო შესაძლებლობები სიძულვილის დანაშაულებებზე და სიძულვილის ენაზე, მათ შორის ონლაინ სიძულვილის ენაზე, და უზრუნველყოს ყველა საქმის გამოძიება, დამნაშავეთა პასუხისმგებლობა, დანაშაულის შესაბამისი სასჯელი და მსხვერპლთა წვდომა სრული რეპარაციაზე
GREVIO 2022	უზრუნველყოს სტამბოლის კონვენციის დებულებების განხორციელება ყოველგვარი დისკრიმინაციის საფუძვლის გარეშე, რომელიც ჩამოთვლილია მე-4 მუხლის მე-3 პარაგრაფში, განსაკუთრებით იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქალები, რომელთა მიმართ განხორციელდა ან ემუქრებათ ინტერსექციური დისკრიმინაცია, მიიღებენ ადეკვატურ ინფორმაციას მათი უფლებებისა და ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისთვის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისთვის, სოფლად მცხოვრები ქალებისთვის მხარდაჭერაზე

	<p>წვდომის გაუმჯობესებით; პოლიტიკაზე ორიენტაციითა და ზომების გატარებით, რომლებიც ეყრდნობა ამ ქალების თვითმყოფად ხედვას და მათ წარმომადგენელ ქალთა უფლებადამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას (პარაგრაფი 25)</p>
GREVIO 2022	<p>გააძლიეროს ძალისხმევა, რათა სისტემატურად შეფასდეს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გენდერული ასპექტი; უზრუნველყოს, რომ პრაქტიკაში განხორციელებული პოლიტიკა და ყველა ზომა ეფუძნებოდეს ძალადობის გენდერულ გაგებას (31-ე პარაგრაფი)</p>
GREVIO 2022	<p>გააგრძელოს ძალისხმევა, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნულ და რეგიონულ/ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კოორდინაციის გაუმჯობესებას ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის განხორციელებისას და პოლიტიკის განხორციელების დამოუკიდებელი მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით (41-ე პარაგრაფი)</p>
GREVIO 2022	<p>გაზარდოს და უზრუნველყოს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებსა და პოლიტიკის ფორმირებაზე გამოყოფილი ფინანსური რესურსების მდგრადობა, განსაკუთრებით, ამ სფეროში პოლიტიკის ფორმირებასა და ღონისძიებების კოორდინირებაზე პასუხისმგებელი უწყების ბიუჯეტი; ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციების ბიუჯეტი, რომლებიც მსხვერპლებს სთავაზობენ სპეციალისტების დახმარებას; უზრუნველყოს ყველა შესაბამისი ეროვნული და ადგილობრივი ინსტიტუტების მიერ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და წინააღმდეგ ბრძოლაზე დახარჯული თანხების უფრო ეფექტური მართვა (პარაგრაფი 50)</p>
GREVIO 2022	<p>გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორის კომისიას, რომელიც შეიქმნა სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად, თავისი როლის, როგორც ეროვნული საკოორდინაციო ორგანოს ადეკვატურად შესრულებისთვის, გამოუყოს საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსი, და ამავე დროს, უზრუნველყოს, ერთის მხრივ, პოლიტიკისა და ღონისძიებების კოორდინაცია და განხორციელება და, მეორეს მხრივ, პოლიტიკის შეფასების ობიექტურობა დამოუკიდებელი მონიტორინგის და შეფასების უზრუნველყოფით (65-ე პარაგრაფი)</p>
GREVIO 2022	<p>მონაცემთა ცდომილების მაჩვენებლების შეფასების მიზნით, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ჯაჭვში და მის ფარგლებს გარეთ, გააძლიეროს მონაცემთა შეგროვებისთვის ძალისხმევა (პარაგრაფი 75), მოიძიოს მონაცემები ჯანდაცვის პროვაიდერებიდან გენდერული ძალადობის გამოცდილების მქონე ქალ პაციენტებთან მათი კონტაქტის შესახებ (პარაგრაფი 77), მოიძიოს მონაცემები გენდერული დევნის საფუძველზე საქართველოსგან თავშესაფრის მაძიებელთა შესახებ, მათ შორის ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრების და იძულებით ქორწინების მიზეზით თავშესაფრის მაძიებელთა შესახებ (პარაგრაფი 81), მოიძიოს მონაცემები ძალადობის კვლევის საშუალებით, როდესაც ეს გავლენას ახდენს ქალების მონყვლად ჯგუფებზე, როგორცაა ეთნიკური და/ან ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალები და გოგოები, მიგრანტი ქალები, შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალები (პუნქტი 87)</p>
GREVIO 2022	<p>ყველა სახის იურიდიულ ერთეულს შორის, როგორცაა არასამთავრობო ორგანიზაციები და სპეციალიზირებული სერვისის პროვაიდერები, ჩამოაყალიბოს კოორდინაციისა და თანამშრომლობის ინსტიტუციური სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვადასხვა სახის უწყებათა თანამშრომლობას, მორგებულს ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ტიპის მსხვერპლთა სპეციფიკურ საჭიროებებზე, რომელსაც ფარავს სტამბოლის კონვენცია; კერძოდ, როგორცაა გაუპატიურება და სექსუალური ძალადობა, იძულებითი ქორწინება, თვალთვალი და სექსუალური შევიწროება, ასევე ოჯახში ძალადობის განსხვავებული ფორმები (პარაგრაფი 146)</p>

<p>GREVIO 2022</p>	<p>გაზარდოს თავშესაფრების რაოდენობა და/ან შესაძლებლობები, რათა მთელი ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოს მინიმალური სტანდარტი ერთი ოჯახის ადგილი 10 000 სულ მოსახლეზე და უზრუნველყოს ასეთ თავშესაფრებზე თანაბარი წვდომა, მათ შორის ნებისმიერი დამატებითი მოთხოვნებისა და ბიუროკრატიული დაბრკოლებების გაუქმების გზით, როგორცაა მსხვერპლის სტატუსის მოთხოვნა და მიიღოს ერთსქესიანთა თავშესაფრებში დაზარალებულ ქალთა განთავსებისთვის საჭირო ზომები (პარაგრაფები 186 და 187)</p>
<p>GREVIO 2022</p>	<p>გაუპატიურების ან/და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის შექმნას საკმარისი რაოდენობის ხელმისაწვდომი გაუპატიურების ან/და სექსუალური ძალადობის კრიზისული ცენტრები და/ან სექსუალური ძალადობის რეფერალური ცენტრები, რომლებიც დააკმაყოფილებენ მსხვერპლთა ყველა საჭიროებას და რომლებიც უზრუნველყოფენ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, მაღალი ხარისხის სასამართლო ექსპერტიზას, ფსიქოლოგიურ და იურიდიულ დახმარებას და სპეციალისტებით აღჭურვილ მხარდაჭერ ორგანიზაციებთან წვდომას, იმავდროულად, გახადოს ამ ცენტრებზე მსხვერპლთა ხელმისაწვდომობა დამოუკიდებელი მსხვერპლის მიერ საჩივრის წარდგენაზე ან/და მსხვერპლის სტატუსის ქონაზე (პარაგრაფი 200)</p>
<p>GREVIO 2022</p>	<p>უზრუნველყოს, რომ ერთი მშობლის მიერ მეორეზე ძალადობის ან ძალადობის სხვა ფორმის მავნე ზეგავლენის სამართლებრივი დასაბუთება ითარგმნება ასეთი ბავშვებისთვის ადეკვატურ და ასაკის შესაბამის კონსულტაციებისა და მხარდაჭერის მიწოდებაში, მათ შორის გრძელვადიანი ფსიქოლოგიური დახმარების მიწოდებაში (პარაგრაფი 207)</p>
<p>GREVIO 2022</p>	<p>შეცვალოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე და 139-ე მუხლები, რომლებიც ეხება გაუპატიურებას და სექსუალურ ძალადობას, რათა შესატყვისობაში მოიყვანოს სტამბოლის კონვენციის 36-ე მუხლით განსაზღვრულ თავისუფლად გაცემული თანხმობის არქონის ცნებასთან და უზრუნველყოს რომ ეს ცნება ეფექტურად გამოიყენება სამართალდამცავი ორგანოების, პროკურორებისა და სასამართლო ხელისუფლების მიერ, მათ შორის ამ საკითხზე შესაბამისი ტრენინგების უზრუნველყოფით (პარაგრაფი 261)</p>
<p>GREVIO 2022</p>	<p>უზრუნველყოს, რომ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებში სასჯელის შეფარდება დანაშაულის სიმძიმის შესატყვისია და მსჯელობით ფუნქციას ატარებს და, რომ სასამართლო ხელისუფლების წევრები ითვალისწინებენ სასჯელების მთელ სპექტრს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით და პატივისცემით ეკიდებიან სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პრინციპს (პარაგრაფი 291)</p>
<p>GREVIO 2022</p>	<p>უზრუნველყოს სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა ტრენინგი, დაფუძნებული მსხვერპლსა და მოძალადის შორის არსებული ძალაუფლების გენდერთ განპირობებული სხვაობას გაგებაზე, რომელიც გავლენას ახდენს ძალადობის ბუნებასა და მის შედეგებზე, რათა დაძლიონ პოლიციის ოჯახში ძალადობაზე რეაგირების ხელშემწყობი გამჭდარი სტერეოტიპული განწყობები, რწმენა და პრაქტიკა; (პარაგრაფი 319)</p>
<p>GREVIO 2022</p>	<p>სწრაფად გამოავლინოს და რეაგირება მოახდინოს ნებისმიერ/ყველა კანონით განპირობებულ და პროცედურულ ფაქტზე, რომელიც გაუპატიურების დადასტურების ძალიან მაღალი ზღვრბლის არსებობას უწყობს ხელს სასამართლოში, ამასთან, სათანადოდ გაითვალისწინოს გამოძიებისა და სასამართლო პროცესების დროს მსხვერპლის ხელახალი ტრავმატიზაციის თავიდან აცილების პრინციპი (321-ე პარაგრაფი)</p>

IE SOGI 2018	დააჩქაროს სტრატეგიისა და მასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმის შემუშავება სასჯელად-სრულების დაწესებულებებში მყოფი დაკავებულებთან მიმართებაში, რომლებიც მიეკუთვნებიან ისტორიულად დისკრიმინირებულ თემებს, უზრუნველყოს მათი დაცვა, სოციალური ზრუნვა და ინტეგრაცია ტრენინგებით, ცნობიერების ამაღლებით და სხვა აქტივობებით.
IE SOGI 2018	იმავედროულად, გაზარდოს პენიტენციურ პერსონალის და პატიმრების ადამიანის უფლებების, არა დისკრიმინაციის, შესახებ ტრენინგი და ცნობიერების ამაღლება
IE SOGI 2018	უზრუნველყოს, რომ პატიმართა განთავსება და პატიმრობის რეჟიმი ეფუძნება რისკის ინდივიდუალურ გათვალისწინებას და არა სტიგმასა და ცრურწმენას
IE SOGI 2018	უზრუნველყოს საჯარო სამსახურის სტანდარტებისა და ეთიკის კოდექსის სწრაფი დანერგვა
IE SOGI 2018	მიიღოს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა სიძულვილის ენასთან დაკავშირებით, საჯაროდ დაგმოს მსგავსი ქმედებები, გამოიძიოს საჩივრები და დასაჯოს დამნაშავეები
IE SOGI 2018	დააჩქაროს უსაფრთხოების ახალი სტრატეგიისა და უსაფრთხო სისხლის რეფორმის განხორციელება და შეასრულოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სისხლის დონორებთან დაკავშირებული დისკრიმინაციული და სტიგმატიზებული კანონმდებლობის გასაუქმებლად
IE SOGI 2018	აღმოფხვრას შეურაცხმყოფელი მოთხოვნები, როგორც გენდერის მარკერის შეცვლის წინაპირობა, მათ შორის იძულებითი სტერილიზაცია, სამედიცინო პროცედურები, რომლებიც დაკავშირებულია ცვლილებასთან, ქირურგიულ და ჰორმონალურ თერაპიასთან და სავალდებულო სამედიცინო დიაგნოზთან, ფსიქოლოგიურ შეფასებებთან ან სხვა სამედიცინო ან ფსიქოსოციალურ პროცედურებთან ან მკურნალობასთან

